2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში

2022 წელი

შესავალი 5
1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება 19
2. ზოგადი განათლება 22
3. პროფესიული განათლება 32
3. უმაღლესი განათლება 51
5. მეცნიერება, ტექნოლოგია და ინოვაცია 56
სამოქმედო გეგმის შესრულება 64
სტრატეგიული მიზანი: მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლისთვის მომზადების უზრუნველყოფა 64
სტრატეგიული ამოცანა 1: სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მაღალი ხარისხის, ინკლუზიური და თანაბრად ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა. 64
ამოცანა 1: სტანდარტების, პროგრამების და რესურსების შემუშავება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისა და სასკოლო მზაობის უზრუნველყოფის მიზნით 64
ამოცანა 2: სკოლამდელი განათლების პერსონალის მომზადება/გადამზადების პროგრამების განვითარების მხარდაჭერა და განხორციელება 68
ამოცანა 3: კომპაქტური განსახლების რეგიონების სკოლამდელ დაწესებულებებში ბილინგვური განათლების დანერგვა 70
სტრატეგიული მიზანი: მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით მაღალი ხარისხის ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო შედეგების უზრუნველყოფა. 71
სტრატეგიული ამოცანა 1: მაღალი ხარისხის ზოგადი განათლების თანაბარი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. 71
ამოცანა 1: ხარისხიან განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა 71
ამოცანა 2: ინკლუზიური განათლების მიღების დაფარვის გაზრდა და საჭიროებებზე მორგებული პროგრამების დანერგვა 75
ამოცანა 3: განათლების უზრუნველყოფის მოდელების მრავალმხრივი განვითარება 83
სტრატეგიული ამოცანა 2: განათლების ხარისხის გაუმჯობესება სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების გაზრდის, მოსწავლეებში სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარებისა და უკეთესი აკადემიური შედეგების მიღწევისათვის 84
ამოცანა 1: ეროვნული სასწავლო გეგმის მოდერნიზება 84

ამოცანა 2: ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება და გამრავალფეროვნება 86

ამოცანა 3: სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება 88

ამოცანა 4: ეროვნული და საერთაშორისო შეფასებების გამოყენებით სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება 95

სტრატეგიული ამოცანა 3: საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება 97

ამოცანა 1: საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა 97

ამოცანა 2: სკოლებში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა 99

სტრატეგიული ამოცანა 4: სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მოტივაციის და ეფექტურობის გაზრდა 103

ამოცანა 1: მასწავლებლებისთვის უწყვეტი განათლების შესაძლებლობების გარემოს შექმნა და მოტივაციის ზრდა 103

ამოცანა 2: მასწავლებელთა მოზიდვის, შენარჩუნებისა და მოტივაციის პროცესების მხარდაჭერა. 104

სტრატეგიული ამოცანა 5: ზოგადი განათლების ყველა დონეზე ეფექტური მართვის სისტემის განვითარება 105

ამოცანა 1. სკოლების ავტორიზაციის მექანიზმისა და შიდა ხარისხის მართვის სისტემის შექმნა 105

სტრატეგიული ამოცანა 1: პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სისტემის ინტერნაციონალიზაცია 107

ამოცანა 1: საჯარო-კერძო პარტნიორობის გაძლიერება 107

ამოცანა 2. საქართველოში არსებული პროფესიული კვალიფიკაციების ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობის, აღიარებისა და მობილობის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა 109

ამოცანა 3: შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების განვითარება 112

ამოცანა 4. ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების განვითარება და დანერგვა; 113

სტრატეგიული ამოცანა 2. სტრატეგიული ამოცანა: მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა 116

ამოცანა 2.1: პროფესიული განათლების დაკავშირება განათლების სხვა საფეხურებთან და საგანმანათლებლო ჩიხების აღმოფხვრა 116

ამოცანა 2.2: სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების, მათ შორის, ზრდასრულთა საჭიროებების შესაბამისი, მოქნილი სასწავლო პროგრამების, მოდელებისა და სერვისების შექმნა 118

ამოცანა 3. ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების ეფექტური მექანიზმების შექმნა და განვითარება 122

ამოცანა 4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთიანი, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, მოქნილი ქსელის შექმნა 124

ამოცანა 5. პროფესიული განათლების ფარგლებში საკვანძო კომპეტენციების განვითარება 130

ამოცანა 6: მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოება 131

სტრატეგიული ამოცანა 3: პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მიმზიდველობის გაზრდა 135

ამოცანა 1. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის განვითარება 135

ამოცანა 2.2. საკომუნიკაციო სტრატეგიის განხორციელება 137

სტრატეგიული ამოცანა 1. უმაღლესი განათლების სისტემის შემდგომი მოდერნიზაცია, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და ხარისხის ამაღლება 138

ამოცანა 1: სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება უმაღლესი განათლების სისტემაში. 139

ამოცანა 2: საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაცია140

ამოცანა 3. ეფექტური და ეფექტიანი დაფინანსების სისტემის შექმნა 149

ამოცანა 4. უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე ბიზნეს პროცესების ავტომატიზაცია 150

ამოცანა 5. შედეგზე დაფუძნებული და განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შექმნა 151

სტრატეგიული ამოცანა 2: მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ეფექტიანი შესაძლებლობების შექმნა 163

ამოცანა 1. დისტანციური განათლების აღიარება 163

სტრატეგიული ამოცანა 3: ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა 166

ამოცანა 1. ხარისხიანი ინკლუზიური უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა 166

ამოცანა 2. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისა და თანამემამულის სტატუსის მქონე პირების უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა 168

სტრატეგიული ამოცანა: 1 მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში გამორჩეული ხარისხის მისაღწევად საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) ეკო-სისტემის განვითარება 169

ამოცანა 1: ინტელექტუალური საკუთრების უფლებების, ტექნოლოგიის ტრანსფერის, და მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სექტორში საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვის გასაძლიერებლად საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სისტემის მართვისთვის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა 170

ამოცანა 2: საქართველოს კვლევით უნივერსიტეტებში, მათთან ინტეგრირებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და დამოუკიდებელ კვლევით ცენტრებში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) ინფრასტრუქტურისა და კვლევითი შესაძლებლობების მოდერნიზება და განახლება. 179

ამოცანა 3: კარიერის განვითარების მექანიზმების ოპტიმიზაცია მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სექტორში საერთაშორისოდ კონკურენტუნარიანი ადამიანური რესურსის განვითარების მიზნით. 180

ამოცანა 4: კვლევითი და საგანმანათლებლო პროგრამების ინტეგრირების ხელშეწყობა კვლევითი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამებში კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსის აქტიური გამოყენებით..... 181

ამოცანა 5 სტრატეგიული პრიორიტეტული დარგების და შესაბამისი დაფინანსების ხელშეწყობა მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) მიმართულებით, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის მდგრად განვითარებას 184

ამოცანა 6. ქართული კულტურისა და ეროვნული იდენტობის დაცვასა და პოპულარიზაციაზე ორიენტირებული მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) პროგრამებისა და დაფინანსების სქემების შემუშავება და განხორციელება..... 185

სტრატეგიული ამოცანა 2: ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) როლის, სტატუსისა და ღირებულების გაძლიერება და მისი, როგორც ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, ეროვნული პრიორიტეტის პოზიციონირება. 186

ამოცანა 1: მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI)-ს პოპულარიზაცია ფორმალური და არაფორმალური განათლების ყოველ საფეხურზე. 186

ამოცანა 2. კვლევითი კომპეტენციებისა და ინოვაციური აზროვნების განვითარების ხელშეწყობა, სამეცნიერო ეთიკის პოპულარიზაცია ფორმალური და არაფორმალური განათლების თითოეულ საფეხურზე. 188

სტრატეგიული ამოცანა 3: საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სისტემის ინტერნაციონალიზაცია და დაფინანსების რესურსების დივერსიფიცირება..... 189

ამოცანა 1. საერთაშორისო, გრძელვადიანი თანამშრომლობის ინსტრუმენტებისა და პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სისტემაში. 189

შეჯამება..... 194

შესავალი

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს თითოეული მოქალაქისათვის ხარისხიანი, ინკლუზიური და ყველასათვის ხელმისაწვდომი განათლებისა და მეცნიერების სისტემის უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღნიშნული საკითხის აქტუალურობა და მნიშვნელობა ხაზგასმულია ეროვნულ დონეზე შემუშავებულ სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტში. შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების სფეროს რეფორმირებისა და განვითარებისათვის საქართველოს მთავრობის ძალისხმევით არაერთი პროგრამა განხორციელდა, რაც მიმართულია განათლებისა და მეცნიერების სისტემის გარდაქმნის, კონკურენტუნარიანობის გაზრდის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბებისა და ზოგადად, რეგიონულ, თუ გლობალურ დონეზე საქართველოს უკეთესი პოზიციონირებისაკენ. 2021 წლის მდგომარეობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ბიუჯეტმა 1,5 მილიარდი ლარი შეადგინა. თუმცა, მიუხედავად გაწეული რეფორმებისა და დანერგილი სიახლეებისა, სისტემის მასშტაბით ჯერ ისევ რჩება გამოწვევები სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა გადაჭრაზეც უწყების მასშტაბით გრძელდება აქტიური სამუშაოები.

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“ 2017 წლის 7 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N533 დადგენილებით დამტკიცდა. აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტი განსაზღვრავს მთავრობის ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს განათლებისა და მეცნიერების სფეროში და ეფუძნება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს, განათლების, მეცნიერებისა და გადამზადების სფეროს მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზს.

სტრატეგია მოიცავს განათლებისა და მეცნიერების ყველა სფეროს: ბავშვთა ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, ზრდასრულთა განათლება, მეცნიერება და კვლევები. სტრატეგიის დოკუმენტში დაცულია მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების (LLL) პრინციპი და უზრუნველყოფილია განათლების სხვადასხვა დონეების შორის კავშირი. დოკუმენტი სრულად ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნებს, ითვალისწინებს ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს და შესაბამისობაშია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან.

2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიის სტრატეგიული ამოცანებისა და 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზანია აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტის ამოცანებითა და აქტივობებით განსაზღვრული შედეგების შესრულების შემოწმება, ხარვეზების გამოვლენა და საჭირო რეკომენდაციების დროული განსაზღვრა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა ამოცანებისა და აქტივობების განხორციელების საკითხთან დაკავშირებით, სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებთან და სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, როგორც პასუხისმგებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით, შეძლო მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაციის მოგროვება და დამუშავება სტრატეგიული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების მიმდინარეობის ხარისხის, და ასევე, მათი შესრულებისას გამოვლენილი შეფერხებების გათვალისწინებით.

სტრატეგიით გათვალისწინებულ ხუთივე სფეროს (განათლების სხვადასხვა საფეხურს) განსაზღვრული აქვს სპეციფიკური მიზანი, რომლის მისაღწევადაც ჩამოყალიბებულია შესაბამისი სტრატეგიული ამოცანები. თითოეული სპეციფიკური მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა ყველა მიმართულებით. თითოეულ მიზანთან დაკავშირებული ძირითადი მიღწევები მოკლედ იქნება მიმოხილული შესავალში, ხოლო დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება თითოეული სტრატეგიული ამოცანის ქვეშ.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით სპეციფიკურ მიზნად განსაზღვრულია **მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლისთვის მომზადების უზრუნველყოფა,** ხოლო ამ მიზნის მისაღწევად ჩამოყალიბებულია ერთი სტრატეგიული ამოცანა - სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მაღალი ხარისხის, ინკლუზიური და თანაბრად ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა.

ხარისხიანი, ინკლუზიური და თანაბრად მისაწვდომი სკოლამდელი განათლების უზრუნველსაყოფად, სამინისტროს მიერ არაერთი მხარდამჭერი ღონისძიება დაიგეგმა. სამინისტროს შესაბამისმა სამსახურებმა შეიმუშავეს სტრატეგიის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა „მეთოდური და პრაქტიკული სახელმძღვანელოებისთვის (2-5 წლის ასაკობრივი და შერეული ჯგუფებისთვის“ და პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2 წლიდან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის). სტრატეგიული ამოცანის მიღწევისათვის, სისტემატურად ხორციელდებოდა საინფორმაციო-საორიენტაციო შეხვედრები რესურსცენტრის სკოლამდელი განათლების სპეციალისტებთან და თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსა და მუნიციპალიტეტების სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებების მეთოდისტებთან. ჩატარებულმა შეხვედრებმა გამოკვეთა სპეციალური საჭიროებები/გამოწვევები და დაიგეგმა ტრენინგ მოდულები საბავშვო ბაღების პრაქტიკოსებისა და ადმინისტრაციისთვის.

სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მხარდასაჭერად ჩატარდა კვლევა ალტერნატიული ფორმების საჭიროებების და ალტერნატიული განათლების გამოცდილებების შესასწავლად. ამ ეტაპზე შემუშავებულია დოკუმენტის - „ალტერნატიული და მხარდამჭერი მომსახურებების საჭიროებების კვლევა ხარისხიანი და ინკლუზიური ადრეული და სკოლამდელი განათლების უზრუნველსაყოფად“ სამუშაო ვერსია, რომელიც საბოლოო სახეს 2022 წლის დასაწყისში მიიღებს.

სტრატეგიული ამოცანის შესრულების პროცესში აღსანიშნავია გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერა. საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში სამინისტრო ახორციელებს პროგრამას „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კანონის და სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტების დონეზე. პროგრამის ფარგლებში შემუშავდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რესურსცენტრის სკოლამდელი განათლების სპეციალისტის სამუშაო აღწერილობით და განახლდა სხვადასხვა სახის დოკუმენტები,

სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, თემის წევრების ცნობიერების ამაღლება და მათი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა დაწესებულებებში ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შესაქმნელად. სხვადასხვა ფორმატში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები 6 წლამდე ასაკის ბავშვის მშობლებთან (მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან მათი საჭიროებების უკეთ განსაზღვრის მიზნით).

ბოლო 2 წლის განმავლობაში დისტანციურ რეჟიმში აქტიურად გრძელდებოდა ტრენინგ მოდულების ჩატარება რამდენიმე მუნიციპალიტეტის გაერთიანების მეთოდისტებისა და რესურსცენტრის ადრეული განათლების სპეციალისტებისთვის.

ასევე, ხაზგასასმელია, რომ 2020 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N68/ნ ბრძანებით დამტკიცდა „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდული.'' აღნიშნული ტრენინგ მოდული, 2021 წელს ჯამში, წარმატებით გაიარა 353-მა აღმზრდელმა.

ზოგადი განათლების მიმართულებით სპეციფიკურ მიზნად განსაზღვრულია **მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით, მაღალი ხარისხის ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო შედეგების უზრუნველყოფა,** ხოლო აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩამოყალიბებულია ხუთი სტრატეგიული მიზანი, რომლებიც აქცენტს აკეთებენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე განათლების ხარისხის გაუმჯობესება და ყველა მოსწავლისათვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მოსწავლეზე ორიენტირებული საგანანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა და აქტიური სწავლის მეთოდების გამოყენება, ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისათვის ინკლუზიური, თანაბარი და მამოტივირებელი გარემოს უზრუნველყოფა, მასწავლებელთა და დირექტორთა მოტივაციის ამაღლებისა და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამების დანერგვის გაგრძელება და ზოგადი განათლების მართვის სისტემის განვითარება და ეფექტიანობის გაზრდა.

ზოგადი განათლების მიმართულებით ჩამოყალიბებული მიზნების მიღწევის კუთხით აღინიშნება დადებითი პროგრესი. გარდა ამისა, სტრატეგიის დოკუმენტში ზოგადი განათლების მიმართულებას ყველაზე მოცულობითი ადგილი უკავია.

2020 წლიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რაზეც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პირველად დაიწყო მუშაობა, არის საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ,,სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელება. 2021 წლისათვის დამუშავებულია 5,973 პირის მონაცემი, რომელთაგან 1681 უკვე ჩაირიცხა სკოლაში, ხოლო 608 არის სკოლის მიღმა დარჩენილი. მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვის უფლებათა სამსახურებში ამ ეტაპზეც მიმდინარეობს 4,431 ბავშვის მონაცემების დამუშავება, რომელთაგან 2,620 არის დევნილის სტატუსის მქონე.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა სკოლის მიღმა დარჩენის პრევენციის მიზნით, დაწესდა რეგულაციები, რომლებიც სკოლებს ავალდებულებს, სასწავლო წლის განმავლობაში ზედიზედ 45 სასწავლო დღის განმავლობაში მოსწავლის სკოლაში ან დისტანციური, სრულად ელექტრონული ფორმით ჩატარებულ გაკვეთილებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ეფექტური რეაგირება მოახდინოს. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს განათლების სისტემას, უზრუნველყოს თითოეული მოზარდის განათლების ფუნდამენტური უფლების დაცვა. ხსენებულ რეგულაციებზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF-ის საერთაშორისო კონსულტანტთან და UNESCO-ს განათლების მკვლევარებთან ერთად იმუშავა. სწორედ მათ რეკომენდაციებსა და საერთაშორისო გამოცდილებას დაეფუძნა შესაბამისი დოკუმენტი, სადაც რეგულაციები რამდენიმე ეტაპს და პრევენციის სხვადასხვა მექანიზმს მოიცავს.

განათლების სისტემა ყველა კანონიერ ბერკეტს გამოიყენებს მოზარდის სასწავლო პროცესში ჩასართავად. ასევე, აღსანიშნავია სამინისტროს მიერ ინიცირებული რამდენიმე მხარდამჭერი პროგრამა, რომელიც საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის უზრუნველყოფს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა საჭიროებების დაკმაყოფილებას (ტრანსპორტი, კომპიუტერები, სახელმძღვანელოები და სხვ).

ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის მიზნით, „ახალი სკოლის მოდელი“-ის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით 597 საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილი იყო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში მხარდამჭერი მექანიზმები. კერძოდ, სკოლები ინდივიდუალურად იყვნენ უზრუნველყოფილნი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში პირისპირ ან/და ონლაინ ფორმატში კონსულტაციებით. ასევე, მომზადდა და საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო სკოლას დაეგზავნა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მხარდამჭერი დოკუმენტების პაკეტი.

ყველა მოსწავლისთვის საკუთარი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმის დახვეწა-განვითარება: მომზადდა და დამტკიცდა ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის საგნობრივი სტანდარტები და შეიქმნა საგნობრივი გზამკვლევები დაწყებითი და საბაზო საფეხურისთვის.

აღსანიშნავია სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ სკოლებში უსაფრთხო, ზრუნვაზე ორიენტირებული და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს ხელშეწყობისა და განმტკიცების მიზნით, ევროპის საბჭოს, ევროკავშირისა და UNICEF-ის მხარდაჭერით, განხორციელებული პროექტები, მათ შორის, 2019 წლიდან მანდატურის სამსახურმა დაიწყო ფსიქო სოციალური მომსახურების ცენტრის რეფორმირება და მუშაობის ახალ უნიფიცირებულ მოდელზე გადასვლა. 2020 წელს კი ცენტრმა დაიწყო მუშაობა მომსახურების ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტების დანერგვაზე, რომლის მიზანია გაწეული მომსახურების შედეგის შეფასება.

საუკეთესო დასავლური გამოცდილების გათვალისწინებით, ადგილობრივ და ევროპელ ექსპერტებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე, მანდატურის სამსახურმა სკოლებში სოციალური მუშაობის მოდელი შეიმუშავა. ეს არის პირველი შემთხვევა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, როდესაც სოციალური მუშაკი სასკოლო ცხოვრების ორგანული ნაწილი გახდა და ის თავის ფუნქცია-მოვალეობებს უშუალოდ ადგილზე ახორციელებს.

არააკადემიური ვალდებულებების აღსრულებისათვის, სკოლის გაძლიერებისა და სასკოლო კლიმატის გაუმჯობესების მიზნით, 2019-2021 წლებში, მანდატურის სამსახურმა საპილოტედ შერჩეულ 11 საჯარო სკოლაში განახორციელა ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ბულინგის, ნივთიერებების ავად მოხმარების პრევენციის და აღდგენითი პროცესების დანერგვის მხარდამჭერი პროექტი.

2021 წლიდან მანდატურის სამსახურმა სასკოლო მედიაციის უპრეცედენტო პროექტი აამოქმედა. საწყის ეტაპზე სასკოლო მედიაციის განხორციელება საპილოტედ შერჩეულ საქართველოს 29 საჯარო სკოლაში დაიწყო. ამასთანავე, 2021 წლის ოქტომბრიდან მანდატურის სამსახურმა აამოქმედა ახალი ვებ-გვერდი befriend.mes.gov.ge, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, სრული კონფიდენციალურობის დაცვით, ონლაინ ჩათის საშუალებით, მიიღოს კვალიფიციური ფსიქოლოგიური კონსულტაცია.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მთელი ქვეყნის მასშტაბით სკოლების რეაბილიტაციისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ასევე სხვადასხვა საჭირო ინვენტარით სკოლების აღჭურვის თვალსაზრისით.

უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს მასწავლებლის პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა. ამ მიმართულებით შემუშავებული სქემის მიზანია კვალიფიციური კადრების მომზადება, მასწავლებლის კომპეტენციის ამაღლება და პროფესიული განვითარება, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. 2020-2021 წლებში მოხდა სქემის ფუნდამენტალური მოდიფიცირება, სკოლის ბაზაზე გაჩნდა მასწავლებლის პროფესიული განვითარების მხარდაჭერისათვის თვისობრივად ახალი ერთეულის არსებობის შესაძლებლობა, დაინერგა მასწავლებელთა გარე შეფასების სრულიად ახალი სისტემა, შეიცვალა სკოლის მუშაობის სპეციფიკა, სასკოლო კულტურა, მრავალფეროვანი გახდა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობები.

მასწავლებლობის მაძიებლობა წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლად მუშაობის დაწყების უფლების მოპოვების ერთ-ერთ გზას ახალგაზრდა და მოტივირებული მასწავლებლობის უფლების არმქონე პირებისათვის, რაც ხელს უწყობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას. მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამას აქვს მთელი რიგი უპირატესობები: სწავლა/მასწავლებლის სტატუსის მოპოვება დასაქმების პარალელურად; პროფესიაში შესვლის/მასწავლებლობის უფლების მოპოვების სწრაფი გზა; მაძიებელი თავად გეგმავს საკუთარი სწავლის პროცესს; არის ეკონომიური; სწავლების ფორმატი - დისტანციური.

პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული მიზანს წარმოადგენს **ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ზრდა, მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარება.** აღნიშნული მიზნის მისაღწევად სტრატეგიაში გამოკვეთილია 3 ამოცანა: პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სისტემის ინტერნაციონალიზაცია, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მიმზიდველობის გაზრდა.

საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმა, მისი მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს სისტემის განვითარების ისეთი ორიენტირების შექმნაზე, რომლებიც სწრაფად ცვალებად სამყაროში უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნების საპასუხო ადამიანური კაპიტალის ფორმირებას.

2020 წელს სამინისტრომ დაიწყო პროფესიული განათლების მართვის ახალი ინსტიტუციური მოწყობის მოდელის დამუშავება, შეფასება და განხილვა მონაწილე მხარეებთან. ვინაიდან რეფორმის სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს, საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით, კერძო სექტორის მონაწილეობის სტიმულირება, როგორც პოლიტიკის შემუშავების, ასევე მისი განხორციელებისა და შეფასების ეტაპებზე, მართვის ახალი მოდელის კონცეფცია, სწორედ აღნიშნულ პრინციპზე იქნა ორიენტირებული. ახალი კონცეფციის თანახმად, მთავარი პრინციპი, რომელიც პროფესიული განათლების მართვისა და განვითარების პროცესს წარმართავს, არის თანამონაწილეობა - ქვეყნის ადამიანური კაპიტალის განვითარების აქსელერაცია საჯარო და კერძო სექტორების ერთობლივი ძალისხმევითა და პასუხიმგებლობების გაზიარების გზით.

მიღწეული შეთანხმების შედეგად, 2021 წელს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ერთობლივად დააფუძნეს ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტო“. სააგენტო დაკისრებულ ფუნქციებს განახორციელებს დარგობრივი უნარების ორგანიზაციების მეშვეობით. 2021 წლის დეკემბერში მოხდა პროფესიული უნარების სააგენტოს ოფიციალური წარდგენა.

აღსანიშნავია სხვადასხვა მიმართულებით საინტერესო პროექტები და ინიციატივები, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სხვადასხვა ორგანიზაციას შორის მიმდინარე თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა, არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების, პროფესიული განათლების საფეხურზე აღიარების საშუალებას იძლევა. რეგულაციის თანახმად, არაფორმალური განათლების აღიარებაზე უფლებამოსილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება და პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელებაზე უფლებამოსილი იურიდიული პირი, იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაცია დააკმაყოფილებს არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოსაპოვებლად დადგენილ მოთხოვნებს.

მოქალაქეთა მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. ბოლო წლების განმავლობაში, შეინიშნება სამოქალაქო აქტიურობისა და ჩართულობის ხარისხის შემცირება, რაც განსაკუთრებულად მტკივნეულია საქართველოს მსგავსი განვითარებადი დემოკრატიისათვის. თუმცა, 2020 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES) ინიციატივით დაიწყო არსებული საგანმანათლებლო მოდულის შეფასება და ჩატარებული სამუშაოების შედეგად, შემუშავდა და დამტკიცდა ახალი 3 კრედიტიანი მოდული. მოდული აგებულია ისე, რომ დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეობისა და დემოკრატიული ღირებულებების სწავლება, სრულ შესაბამისობაში იყოს, როგორც ზოგადად განათლების მიზნებთან, ასევე პროფესიული სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებთან.

აუცილებელია აღინიშნოს პროფესიული განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები. საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში არაერთი ფუნდამენტური ცვლილება განხორციელდა სისტემის დონეზე. ახლადშექმნილი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო დაეფუძნა ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებსა და პრინციპებს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში გაცემული კვალიფიკაციების თავსებადობას და აღიარებას განათლების ევროპულ სივრცეში.

გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მომზადდა და დასამტკიცებლად ინიცირდა გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესისა და პირობების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტები. აქტების ამოქმედება ხელს შეუწყობს გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების განხორციელებას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წლიდან საქართველოს მიეცა შესაძლებლობა Erasmus+-ში ჩაერთოს პროფესიული განათლების საფეხურზეც.

პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით არაერთ საინტერესო პრაქტიკულ ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი და ამ მიმართულებით სამინისტროს ძირითად პარტნიორ ორგანიზაციებად/დონორებად დასახელებული არიან: გაეროს განვითარების პროგრამა, ევროპის განათლების ფონდი (ETF), ევროკავშირი და მისი ტექნიკური დახმარების პროექტი, გერმანიის საერთაშორისო განვითარების საზოგადოების-GIZ, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი, შვეიცარიის განვითარების სააგენტო, აზიის განვითარების ბანკი, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და სხვ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანების შესაბამისად დამტკიცდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტები. ახალი სტანდარტები საგანმანათლებლო პროცესის, ყველა შემადგენელ ნაწილს ერთიანი, მწყობრი მექანიზმის ჭრილში აფასებს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დაინტერესებული მხარეების სრული ჩართულობის უზრუნველყოფას საგანმანათლებლო პროცესში.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს უკვე დასრულდა QMS - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ავტომატიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა და

დატრენინგდნენ დაწესებულებების მომხმარებლები, რაც უზრუნველყოფს დაწესებულებების თვითშეფასების პროცესის სრულს ავტომატიზაციას. ასევე, 2021 წლიდან ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, დაიწყო პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების სერტიფიცირება.

უდიდესი ყურადღება დაეთმო პედაგოგების შერჩევას და მათ გადამზადებას. საანგარიშო პერიოდში ტრენინგები ხელმისაწვდომი იყო ასევე კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის და მისი მიზანი იყო ინტეგრირებული პროგრამების ადმინისტრირების საკითხების სპეციფიკის გაცნობა.

პროფესიულ განათლებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ასევე პროფესიული განათლების საფეხურზე ინკლუზიურობის პრინციპების პრაქტიკული განხორციელების მიზნით, შემუშავდა წესი „პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიკაციისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების შესახებ“, რომლის დამტკიცებაც დაგეგმილია 2022 წელს.

2020-2021 წლებში სამინისტროს კოორდინაციით გაგრძელდა ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარების პროცესი, რაც გულისხმობს მრავალფეროვანი პროგრამების დანერგვას, დაფინანსების უზრუნველყოფას, სერვისების პოპულარიზაციას, ახალი მოქნილი პროცედურების შექმნას.

ზრდასრულთა განათლების სისტემის დანერგვის შემდეგ, 2020 წლიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება–გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“ გახდა ფორმალური განათლების ფარგლებში პროფესიული მომზადება/გადამზადების სისტემის ნაწილი. შესაბამისად, 2020-2021 წლებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება/გადამზადება განხორციელდა ფორმალური პროგრამების ფარგლებში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და DVV International-ის ფინანსური მხარდაჭერით, 2021 წლის დეკემბერში პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა პირველად ჩატარდა საქართველოში. კვლევა გვაძლევს ინფორმაციას, თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა). მიღებული მონაცემები მოიცავს, როგორც კურსდამთავრებულთა შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას, ასევე მათ აღქმებს და შეფასებებს.

მიღებული შედეგების თანახმად, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 76.4%-ს. მიმართულებების მიხედვით დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი განათლების, ინჟინერია, წარმოება და მშენებლობის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების მიმართულებების

კურსდამთავრებულებს შორის გამოვლინდა. კურსდამთავრებულთა შორის თვითდასაქმების მაჩვენებელი 16.9%-ია.

პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების მთავარი პირობა, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების მოდიფიცირების პარალელურად, კვალიფიციურ მასწავლებელთა კორპუსია. ბრიტანეთის კარგი მმართველობის ფონდისა და მსოფლიო ბანკის პროექტის „პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება“ ფარგლებში, 2020-2021 წლებში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა, ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორიცაა, პროფესიული განვითარების ახალი მოდელი, მასწავლებლის სტანდარტი ანაზღაურების ახალი სქემა და სხვ.

პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტეტია. საანგარიშო პერიოდში წარმატებით გაგრძელდა ინფრასტრუქტურული პროექტები ახალ ლოკაციებზე, ისევე, როგორც არსებული შენობების სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია და სახელოსნოების მშენებლობა.

2021 წლიდან პროფესიული განათლების სისტემაში ამოქმედდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის ერთიანი წესი, რომლის თანახმად, 2021 წელს პირველად, ერთიანი მიღების ფარგლებში, გახდა შესაძლებელი პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა არა მხოლოდ საჯარო, არამედ ყველა კერძო დაწესებულებაში. ამდენად, ყველა ავტორიზებული, მათ შორის, კერძო დაწესებულება სტუდენტებს მხოლოდ ერთიანი მიღების ფარგლებში, საერთო პლატფორმის მეშვეობით იღებს.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა დისტანციური სწავლების ხელშეწყობის მიმართულებით. გლობალური პანდემიის გამოწვევის საპასუხოდ, სამინისტრომ დაგეგმა და განახორციელა რიგი ღონისძიებები, რომელთა მიზანი იყო სასწავლებლების მხარდაჭერა, როგორც ტექნიკურ, ორგანიზაციულ ნაწილში, ასევე შინაარსობრივი კუთხით. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ, ყველა ავტორიზებულ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ მასწავლებლებისა და პროფესიულ სტუდენტებისთვის შეიქმნა ანგარიშები Microsoft 365 Teams-ით დისტანციური სწავლების უზრუნველყოფისთვის და ხორციელდება ამ პროცესის საინფორმაციო და ტექნიკური მხარდაჭერა.

2020 წლის ნოემბერში შედგა თანამშრომლობა ევროპის განათლების ფონდთან (ETF) და პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით ჩატარდა ევროპის უნარების კვირეული - 2020 (European Skills Week-2020). პროფესიული განათლების კვირეული (Skills Week Georgia) ისეთ აქტუალურ თემებს მიეძღვნა, როგორებიცაა: პანდემია და მისი გავლენა პროფესიულ განათლებაზე, გამოწვევები, გადაჭრის გზები, მასწავლებელთა შესაძლებლობები, კერძო სექტორი და უნარებზე მოთხოვნა პანდემიის პირობებში, საერთაშორისო მხარდაჭერა და სხვ.

მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში, დასრულდა პროფესიული განათლების საინფორმაციო ვებ-პორტალის შექმნის პროცესი. სპეციალურად შექმნილმა ტექნიკურმა ჯგუფმა, განათლების მართვის

საინფორმაციო სისტემასთან თანამშრომლობით და სამინისტროს ჩართულობით, დაასრულა მუშაობა ვებგვერდის (www.vet.ge) ახალი ვერსიის განვითარებაზე.

აღსანიშნავია 2021 წლის ნოემბერში ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მხარდაჭერით გამართული პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს რიგით მეოთხე დაჯილდოება.

პროფესიული განათლების პოპულარიზაციას და პროფესიული კვალიფიკაციების გაძლიერებას ემსახურებოდა მედიისა და ტელე ხელოვნების პროფესიული კოლეჯისა და კოლეჯის „იკაროსის“ ერთობლივი ორგანიზებით გამართული კულინარიული კონკურსი. კონკურსში მონაწილეობა მიიღო საქართველოში კულინარიის მიმართულებით არსებულმა 10-მდე პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ.

უმაღლესი განათლების მიმართულებით სტრატეგიაში წარმოდგენილია შემდეგი სპეციფიკური მიზანი - **უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია ხარისხიანი უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებისა და დასაქმების გაუმჯობესებისათვის.** უმაღლესი განათლების სფეროში არსებული გამოწვევების საპასუხოდ განისაზღვრა სამი სტრატეგიული ამოცანა: უმაღლესი განათლების სისტემის შემდგომი მოდერნიზაცია, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და ხარისხის ამაღლება, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ეფექტიანი შესაძლებლობების შექმნა, ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განხორციელდა არაერთი ღონისძიება. გაგრძელდა ერთობლივი ორმხრივი პროგრამების ხელშეწყობა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად. თანამშრომლობა მოიცავდა ისეთ ღონისძიებებს, როგორებიცაა: ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის კიდევ ერთი ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამის გახსნა, „ვისწავლოთ საქართველოში” პროგრამის ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ABET აკრედიტებული STEM საბაკალავრო პროგრამების მხარდაჭერა და, რაც მთავარია, აღსანიშნავია მეგა-პროექტის – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის განვითარება.

უნივერსიტეტი 2021 წელს წარდგა ამერიკის რადიაციული ონკოლოგიის წლიურ შეხვედრაზე, სადაც მიღწეულ იქნა შეთანხმება KIU-ს პროტონული თერაპიის ცენტრის თანამშრომლობის თაობაზე სამედიცინო აპარატურის მწარმოებელ, დარგის წამყვან კომპანიებთან, როგორც დიაგნოსტიკის, ასევე მკურნალობის მიმართულებით.

შედგა საინტერესო შეხვედრები ჰარვარდის მედიცინის სკოლის წარმომადგენლებთან, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს უნივერსიტეტის განვითარების პროექტს და გასცეს მნიშვნელოვანი რეკომენდაციები უნივერსიტეტში სამედიცინო განათლების დამატებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამატებასა და საერთაშორისო პარტნიორობის გაღრმავებაზე. მიმდინარეობს მოლაპარაკებები მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან.

გაგრძელდა სხვადასხვა სახელმწიფოსთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეებისთვის აკადემიური მობილობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება (ERASMUS+, Fulbright, DAAD და განათლების საერთაშორისო ცენტრის სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში). პანდემიის მიუხედავად, 130-ზე მეტი სტიპენდია გაიცა საზღვარგარეთ სწავლის მსურველი ახალგაზრდებისთვისაც.

უმაღლესი განათლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ხარისხის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციაა. შემუშავდა კლასტერული აკრედიტაციის კონცეფცია, აკრედიტაციის სტანდარტები, პროცედურები და კლასტერულ აკრედიტაციაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა. ევროკავშირის დაფინანსებული დაძმობილების პროექტის (TWINNING) მხარდაჭერით, ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსა (EKKA) და გერმანიის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (AQAS) თანამშრომლობით, კლასტერული აკრედიტაციის პილოტირება სამ ქართულ უნივერსიტეტში განხორციელდა.

მნიშვნელოვანია, ასევე აღინიშნოს სადოქტორო პროგრამების სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების მიზნით, სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება, რომელმაც გაითვალისწინა დამატებითი მოთხოვნები კვლევითი კომპონენტის ორგანიზების კუთხით, დაზუსტდა და დაიხვეწა სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვასთან დაკავშირებული პროცედურები.

ამასთანავე, დაიწყო მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის განახლება, რომელიც ითვალისწინებს თემატური კვლევის შედეგებს, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) და სამედიცინო სფეროს საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების რეკომენდაციებს.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად გრძელდებოდა სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამები. 2020-2021 სასწავლო წლის სწავლის საფასურით დაფინანსდა აგრეთვე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები 2355 სტუდენტი. ბიუჯეტმა შეადგინა 4,380,087.50 ლარი.

სამინისტროს სოციალური პროგრამების ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტი მოიპოვა 2021-2022 სასწავლო წელს 1420 სტუდენტმა, ხოლო სასწავლო სამაგისტრო გრანტი 106 სტუდენტმა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მიხედვით. სახელმწიფო პროგრამების ბიუჯეტმა შეადგინა 2 725 000 ლარი.

„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სახელმწიფო სტიპენდიით, თვეში 150 ლარის ოდენობით, უზრუნველყოფილი იქნა 16 სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 3025 სტუდენტი, ხოლო 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში - 11 სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 3029 სტუდენტი. პროგრამის ჯამურმა ბიუჯეტმა შეადგინა 4,604,700.0 ლარი.

მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის მიმართულებით განსაზღვრულია შემდეგი სპეციფიკური მიზანი - **მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის მოდერნიზაცია და ინტერნაციონალიზაცია ახალი ცოდნის შექმნისათვის და ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის,** აღნიშნული მიზნის გასაუმჯობესებლად დასახულია შემდეგი სტრატეგიული ამოცანები: მეცნიერებისა და ტექნოლოგიებში გამორჩეული ხარისხის მისაღწევად საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების ეკო-სისტემების განვითარება, ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების როლის, სტატუსისა და ღირებულების გაძლიერება და მისი როგორც ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, ეროვნული პრიორიტეტის პოზიციონირება, ასევე საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის ინტერნაციონალიზაცია და დაფინანსების რესურსების დივერსიფიცირება.

პირველ რიგში, ხაზგასასმელია, ფონდი „ქართუ"-ს დაფინანსებით სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში ადრონული თერაპიის ცენტრის ჩამოყალიბების პროცესი. ცენტრი საქართველოში მეცნიერების განვითარების კუთხით უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს. ცენტრში განთავსდება ორი ციკლოტრონი, რომელთა დამზადება მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან კომპანიაში (IBA) მიმდინარეობს. ერთი ციკლოტრონი მოხმარდება სიმსივნის მკურნალობას, მეორე კი განკუთვნილი იქნება სამეცნიერო-კვლევითი პროცესისთვის სამედიცინო და ბირთვულ ფიზიკაში.

SARS-CoV-2 ვირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული პანდემიის პირობებში ბიოსამედიცინო მეცნიერებების, კონკრეტულად კი - იმუნოლოგიის და მიკრობიოლოგიის სფეროში, პანდემიის ეფექტური მართვის ხელშეწყობისათვის ამოქმედდა ქვეპროგრამა „ბიოსამედიცინო მეცნიერების მიმართულებით ინტერდისციპლინური სასწავლო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერა".

2021 წლიდან ამოქმედდა სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომლის მიზანია ზემოაღნიშნული უნივერსიტეტების დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულების აღჭურვა თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი აპარატურით, სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამებით, კომპიუტერული ტექნიკით, საჭირო მასალებით, სათანადო ლიტერატურის შეძენის და არსებული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ფუნქციური გაუმჯობესების ან/და სათადარიგო ნაწილების შესყიდვისათვის, აუცილებელი სახსრებით უზრუნველყოფა.

2021 წლიდან ამოქმედდა ქვეპროგრამა „ღია მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა", რომლის მიზანია სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, მათ შორის სსიპ - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტეგრირებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პროდუქტიულობისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით ბოლო 20 წლის განმავლობაში, ადგილობრივი, თუ საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული გრანტების ფარგლებში განხორციელებული პროექტების, გამოცემული პუბლიკაციების და არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნა და ამ ბაზის ღიაობის უზრუნველყოფა.

ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) როლის, სტატუსისა და ღირებულების გაძლიერებისა და მოსახლეობაში ცნობადობის ამაღლების მიზნებიდან გამომდინარე 2021 წლიდან მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა პროგრამის „მეცნიერების პოპულარიზაცია“ განხორციელების სხვადასხვა მიმართულებებით.

დასრულდა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის მე-8 ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი 2020“ განხორციელება, რომელშიც საქართველო 2016 წლიდან ასოცირებული ქვეყნის სტატუსით იღებდა მონაწილეობას. „ჰორიზონტი 2020“ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსებში შეტანილი 425 საპროექტო განაცხადიდან, წარმატებას მიაღწია საქართველოს 65 წარმომადგენლმა დაწესებულებამ, რომლებიც ჩართული იყვნენ სხვადასხვა მიმართულებით ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ 58 პროექტში. პროექტებში მონაწილე ქართველმა ინსტიტუციებმა ევროკავშირის მხრიდან გრანტის სახით, ჯამში, 8,71 მილიონი ევროს ოდენობის დაფინანსება მიიღეს. საქართველომ, როგორც ჰორიზონტი 2020 პროგრამაში ასოცირებულმა ქვეყანამ, საწევრო გადასახადის სახით გადაიხადა 7.52 მილიონი ევრო, რომლის 50% უკანვე დაუბრუნდა.

მნიშვნელოვან ნაბიჯად მიიჩნევა 2021 წლის ბოლოს ევროკავშირის ჩარჩო პროგრამაში „ჰორიზონტი ევროპა“ საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებით საერთაშორისო შეთანხმებაზე ხელის მოწერა, რომლის შედეგად საქართველო ასოცირებული ქვეყანაა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამასთან "ჰორიზონტი ევროპა", რამაც უზრუნველყო ევროკავშირის უმსხვილეს ჩარჩო პროგრამაში ხელმისაწვდომის გაგრძელება საქართველოს წარმომადგენლებისთვის პროგრამის კონკურსებში და სხვა აქტივობებში მონაწილეობა.

სამინისტროსთან ამოქმედდა პროგრამის „ჰორიზონტი ევროპა“ ოფისი. ასევე, აღნიშნულ პროგრამაში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობისა და შესაბამისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნებისათვის ათ სსიპ - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაიხსნა Horizon Europe-ის საგრანტო ოფისები, რომელთა ფუნქცია იქნება არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელება ევროკავშირის კონკურსების შესახებ, არამედ ქართველ მკვლევართა ჯგუფების დახმარება კონკურენტუნარიანი საპროექტო განაცხადების მომზადებასა და შემდგომში მის მართვაში.

საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციების განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის მიერ, რომელმაც უზრუნველყო სხვადასხვა სამეცნიერო პროექტის, ვიზიტის და საგანმანათლებლო-შემეცნებითი შეხვედრის ორგანიზება.

ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში, 2021 წელს ნაყოფიერი თანამშრომლობა შედგა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოსთან, საფრანგეთის რესპუბლიკასთან, ნორვეგიის სამეფოსთან, ესტონეთთან, პოლონეთთან. ხელი მოეწერა არაერთ მნიშვნელოვან შეთანხებას, მემორანდუმსა და პროგრამას. ამასთან, 40 საერთაშორისო ხელშეკრულებაზე განხორციელდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, საქართველოს მთავრობის ფინანსური ძალისხმევით, პირველად ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში,

ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრში ქართველოლოგიის პროგრამა ამოქმედდა. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტების ახალი თაობის აღზრდას, რომლებიც არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების, არამედ მსოფლიოს სამეცნიერო და ინტელექტუალურ წრეებში საქართველოს შესახებ კვლევების მხარდამჭერებად და ცოდნის გამავრცელებლებად მოგვევლინებიან.

ქართველოლოგიის პროგრამა შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან: (1) კვლევა და აკადემიური გაცვლები; (2) სწავლება და (3) საკომუნიკაციო აქტივობები. ქართველოლოგიის პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს კვლევებს, სამეცნიერო და აკადემიურ გაცვლებს. ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, ასევე ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელებას. პროგრამის ფარგლებში, ქართველი და ამერიკელი პროფესორ-მასწავლებლები აშშ.-ს და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებსა თუ არქივებში კვლევითი და კოლაბორაციული საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებისათვის მიიღებენ ფინანსურ მხარდაჭერას.

ქართველოლოგიის პროგრამა, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრში ხორციელდება, ხელს უწყობს როგორც საქართველოს ისტორიის, კულტურის, ლიტერატურისა და პოლიტიკის, ასევე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მეცნიერებაში შეტანილი წვლილის შესახებ აკადემიური ცოდნის გავრცელებას და გაცვლას. პროგრამაში გათვალისწინებული იქნება კვლევები კავკასიოლოგიის მიმართულებითაც. ქართველოლოგიის პროგრამის ინაუგურაციის საზეიმო ცერემონია ჰარვარდის ნიუ-იორკის კლუბში, 2021 წლის 22 სექტემბერს გაიმართა.

1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება

მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლისთვის მომზადების უზრუნველყოფა

<u>სტრატეგიული ამოცანა:</u> სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მაღალი ხარისხის, ინკლუზიური და თანაბრად ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა.

<u>ამოცანის შესრულების ანგარიში:</u>

ხარისხიანი, ინკლუზიური და თანაბრად მისაწვდომი სკოლამდელი განათლების უზრუნველსაყოფად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, არაერთი მხარდამჭერი ღონისძიება დაიგეგმა. მათი განხორციელება განისაზღვრა როგორც „სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის“ წლიური პროგრამით, ასევე მიმდინარე საჭიროებების შესაბამისად. საგანმანათლებლო რესურსების დანერგვა გულისხმობდა სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მიერ შექმნილი გზამკვლევისა და კურიკულუმების პროცესში გამოცდას. სწორედ ამ მიზნით, შემუშავდა დანერგვის სტრატეგიის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა „მეთოდური და პრაქტიკული სახელმძღვანელოებისთვის (2-5 წლის ასაკობრივი და შერეული ჯგუფებისთვის“ და პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2 წლიდან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის). ვებინარების ციკლის დაინტერესებულ პირთათვის მიწოდებაც დანერგვის პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო. საინფორმაციო-საორიენტაციო შეხვედრები რესურსცენტრის სკოლამდელი განათლების სპეციალისტებთან და თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსა და მუნიციპალიტეტების სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებების მეთოდისტებთან ემსახურებოდა სტრატეგიული ამოცანის მიღწევას; შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა დამატებითი ინტერვენციის საჭიროება და შემუშავდა ორი ტრენინგ მოდული საბავშვო ბაღების პრაქტიკოსებისა და ადმინისტრაციისთვის. ტრენინგ მოდულები დამტკიცებულია სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტებისთვის; საგანმანათლებლო რესურსების დანერგვის სტრატეგიის დოკუმენტი გაეგზავნა და დისტანციური სამუშაო შეხვედრის ფორმატში, პრეზენტაციის სახით, წარედგინა ქვეყნის მასშტაბით სკოლამდელი განათლების გაერთიანების ხელმძღვანელებს და გაერთიანების მეთოდისტებს საფუძვლიანად გაცნობისა და შემდგომი უკუკავშირისთვის.

სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მხარდასაჭერად ჩატარდა კვლევა ალტერნატიული ფორმების საჭიროებების და ალტერნატიული განათლების გამოცდილებების შესასწავლად. ამის აუცილებლობა მიმდინარე პანდემიის დროს კიდევ უფრო მწვავედ დადგა. საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვის მიზნით, კვლევა განხორციელდა თვისებრივი მიდგომის გამოყენებით, მეთოდებად კი შეირჩა სამაგიდე კვლევა, სიღრმისეული ინტერვიუ და

ფოკუს-ჯგუფი. ამ ეტაპზე შემუშავებულია დოკუმენტის - „ალტერნატიული და მხარდამჭერი მომსახურებების საჭიროებების კვლევა ხარისხიანი და ინკლუზიური ადრეული და სკოლამდელი განათლების უზრუნველსაყოფად“ სამუშაო ვერსია, რომელიც დასრულებულ სახეს 2022 წლის თებერვალში მიიღებს.

სტრატეგიული ამოცანის შესრულების პროცესში აღსანიშნავია გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერა. საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში სამინისიტრო ახორციელებს პროგრამას „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კანონის და სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტების დონეზე. პროგრამის ფარგლებში შემუშავდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რესურსცენტრის სკოლამდელი განათლების სპეციალისტის სამუშაო აღწერილობები; განახლდა დოკუმენტი „ხარისხის სტანდარტის შეფასების ინსტრუმენტები“; განახლდა მუნიციპალიტეტის/საბავშვო ბაღების გაერთიანების/სააგენტოს წარმომადგენელთა არსებული 3 დღიანი ტრენინგ-მოდული და მოერგო დისტანციური შეხვედრის ფორმატს. აღნიშნული ტრენინგ-მოდული მოიცავს შემდეგ თემებს: (1) მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართვა; (2) მონიტორინგი და შეფასება; (3) აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტისა და ხარისხის სტანდარტის დანერგვის მხარდაჭერა; (4) ინკლუზიური სკოლამდელი განათლების მხარდაჭერა; (5) სკოლამდელი განათლება საგანგებო სიტუაციებში;
შემუშავდა და გამოიცა ორი ბროშურა: (1) სკოლამდელი განათლების მნიშვნელობა, მართვის პრინციპები და რეფორმის პრიორიტეტული მიმართულებით; (2) ინკლუზიური სკოლამდელი განათლების მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე;

11 საპილოტე მუნიციპალიტეტის გაერთიანების მეთოდისტებისა და რესურსცენტრის ადრეული განათლების სპეციალისტებისთვის ერთობლივად, მათ შორის პოზიტიური თანამშრომლობის ფასილიტაციის მიზნით, ჩატარდა დისტანციური ტრენინგი შემდეგ თემებზე: ხარისხის სტანდარტის მონიტორინგი, საბავშვო ბაღებში ქოუჩინგის პრინციპები და მეთოდოლოგია. აღნიშნულ თემატიკაზე ჩატარდა მხარდამჭერი შეხვედრები ადგილზე და კონსულტაცია გაეწიათ დისტანციურად. მიწოდებული ცოდნის მდგრადობისა და უკუკავშირისთვის დაიგეგმა 4 მხარდამჭერი შეხვედრა.

ჩატარდა 2 დისტანციური და 2 პირისპირ სამუშაო შეხვედრები 6 წლამდე ასაკის ბავშვის მშობლებთან (მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან მათი საჭიროებების უკეთ განსაზღვრის მიზნით);

სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, თემის წევრების ცნობიერების ამაღლება და მათი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა დაწესებულებებში ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შესაქმნელად. ამ მიზნით, შემუშავდა და 2022 წელს გამოიცემა ბროშურა პოზიტიური მშობლობის თემაზე. ასევე, შემუშავდა პოზიტიური მშობლობის პროგრამის კონცეფცია და პირველი სამუშაო ვერსია.

ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მხარდაჭერის მიზნით, გაეროს ბავშვთა ფონდის დაფინანსებით, დაიგეგმა და ჩატარდა სესიები ადრეული განათლების საკითხებზე. სესიები მიეწოდება აკადემიურ პერსონალს იმ ცხრა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რომელიც ჩართულია სკოლამდელი საბაკალავრო პროგრამების შემუშავების მიმართულებით. მიმდინარეობს კამპანია ადრეული განათლების სასწავლო რესურსების ბანკის შესაქმნელად, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მომავალი სტუდენტებისათვის, მკვლევარებისა და აკადემიური პერსონალისთვის.

2020 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N68/ნ ბრძანებით დამტკიცდა „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდული.'' აღნიშნული ტრენინგ მოდულის მე-4 მუხლის მიხედვით შეირჩა ტრენინგ მოდულის მიმწოდებელი 8 ორგანიზაცია და მომზადდა 27 ტრენერი. 2021 წელს ორგანიზაციების მიერ გადამზადებულია 397 აღმზრდელი. ტრენინგ მოდული წარმატებით გაიარა 353 მა აღმზრდელმა.

ამოცანის შესრულების ინდიკატორი:

1.სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვის ზრდა, რომლებიც ახორციელებენ სასკოლო მზაობის პროგრამას

2021 წლის ბოლოსთვის 5-6 წლის ბავშვების რაოდენობა შეადგენს 57,262, მათგან სასკოლო მზაობის პროგრამაში ჩართულია 48,482 (85%). საჯარო საბავშვო ბაღებში ფუნქციონირებს 1,475 სასკოლო მზაობის ჯგუფი და 26 ალტერნატიული სასკოლო მზაობის ცენტრი.

2.სკოლამდელ დაწესებულებებში სერტიფიცირებულ აღმზრდელ პედაგოგების რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი

2021 წლის ბოლოსთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 28/06/2020 წლის №68/ნ ბრძანებით დამტკიცებული „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულით“ გადამზადდა და დაძლია დადგენილი ბარიერი 337 პირმა.

2. ზოგადი განათლება

<u>სტრატეგიული მიზანი:</u> მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით, მაღალი ხარისხის ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო შედეგების უზრუნველყოფა.

<u>სტრატეგიული ამოცანა:</u> მაღალი ხარისხის ზოგადი განათლების თანაბარი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

<u>ამოცანის შესრულების ანგარიში:</u>

2020 წლიდან პირველად დაიწყო საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 10 სექტემბერის N573 დადგენილებით დამტკიცებული ,,სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელება. პროცესი მასშტაბური და მრავალმხრივი აღმოჩნდა. მონაცემების დამუშავება ჯერ ისევ მიმდინარეობს. პროგრამაში ჩართულ უწყებებს შორის ინფორმაციის მიმოცვლის შედეგად გამოიკვეთა 10,404 სასკოლო ასაკის არასრულწლოვნის მონაცემი, რომელიც არასდროს ფიქსირდებოდა მოსწავლის სტატუსით. 2021 წლის ბოლოსთვის არსებული ინფორმაციით დამუშავებულია 5,973 პირის მონაცემი, რომელთაგან 1681 უკვე ჩაირიცხა სკოლაში, ხოლო 608 არის სკოლის მიღმა და მათი სკოლის მიღმა დარჩენის მიზეზები სხვადასხვაა: მძიმე და მრავლობითი დარღვევები, განვითარების გლობალური შეფერხება, პალიატიურ ზრუნვაში ყოფნა, თემის კულტურული თავისებურებები, ოჯახების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, მეურვის არარსებობა და სხვა. ზრუნვის სააგენტოსთან ერთად მუშაობა მიმდინარეობს 87 შემთხვევაზე ზემოაღნიშნული 608-დან, სადაც ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და არ არის შემაფერხებელი ფაქტორი სკოლაში რეგისტრაციისთვის. მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვის უფლებათა სამსახურებში ამ ეტაპზეც მიმდინარეობს 4,431 ბავშვის მონაცემების დამუშავება, რომელთაგან 2,620 არის დევნილის სტატუსის მქონე.

მოსწავლეთა სკოლის მიღმა დარჩენის პრევენციის მიზნით, სასწავლო პროცესში ჩართულობის მონიტორინგის მექანიზმი ამოქმედდა. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №11/ნ ბრძანებით დაწესდა რეგულაციები, რომლებიც სკოლებს ავალდებულებს, სასწავლო წლის განმავლობაში ზედიზედ 45 სასწავლო დღის განმავლობაში მოსწავლის სკოლაში ან დისტანციური, სრულად ელექტრონული ფორმით ჩატარებულ გაკვეთილებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ეფექტური რეაგირება მოახდინოს. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს განათლების სისტემას, უზრუნველყოს თითოეული მოზარდის განათლების ფუნდამენტური უფლების დაცვა. აღნიშნულ რეგულაციებზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF-ის საერთაშორისო კონსულტანტთან და UNESCO-ს განათლების მკვლევარებთან ერთად იმუშავა.

სწორედ მათ რეკომენდაციებსა და საერთაშორისო გამოცდილებას დაეფუძნა შესაბამისი დოკუმენტი. რეგულაციები რამდენიმე ეტაპს მოიცავს. კერძოდ, ბრძანების მიხედვით, პირველ ეტაპზე, მოსწავლის სკოლაში/დისტანციური ელექტრონული ფორმით ჩატარებულ გაკვეთილზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ყოველდღიური მონიტორინგის საფუძველზე, არაუგვიანეს მე-10 დღეს, კლასის დამრიგებელი ვალდებულია სკოლის ადმინისტრაციას წარუდგინოს წერილობითი ანგარიში. დოკუმენტში გაწერილი უნდა იყოს მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელთან მუშაობის 10-დღიანი ანგარიში (გაცდენის მიზეზის დადგენა, მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის აღწერა და სხვ.). იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური პრობლემების გამო მოსწავლეს არ აქვს წვდომა „ტელესკოლასა“ და ონლაინ სწავლებაზე, მასწავლებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მასთან კომუნიკაცია ნებისმიერი, მათ შორის სატელეფონო ფორმით. ხოლო მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია, ითანამშრომლოს სკოლასთან. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, მოსწავლე დისტანციური სწავლების დროს ინტერნეტსა თუ კომპიუტერულ აღჭურვილობაზე ხელმიუწვდომლობის გამო სტატუსის შეჩერებისგან დაცულია.

ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ კი, პროცესში კლასის დამრიგებელთან ერთად, განათლების სისტემის სოციალური მუშაკები ჩაერთვებიან, რომლებსაც აქვთ ვალდებულება, ინფორმაციის მიღებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში განახორციელონ ოჯახში ვიზიტი. განათლების სოციალური მუშაკები მოზარდის სასწავლო პროცესში დაბრუნების მიზნით, იმუშავებენ მოსწავლესთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან.

შესაბამისი ბრძანებით დაწესებული რეგულაციებით, განათლების სისტემას შეუძლია გამოიყენოს ყველა კანონიერი ბერკეტი მოზარდის სასწავლო პროცესში ჩასართავად. იმ შემთხვევაში, თუ აღწერილი ეტაპების გავლის შემდეგ, 45-ე დღეს მოსწავლე სკოლაში მაინც არ გამოცხადდა, მას მოსწავლის სტატუსი უჩერდება, თუმცა, სტატუსის აღდგენა ნებისმიერ დროს შესაძლებელია მშობლის განცხადების საფუძველზე, სკოლის ადმინისტრაციისთვის მიმართვისთანავე.

რაც შეეხება უწყების მიერ სკოლების ტექნიკური მხარდაჭერის მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებს, საჭიროა აღინიშნოს რამდენიმე მათგანი:

"ჩემი პირველი კომპიუტერის პროგრამის" - ფარგლებში, ყოველწლიურად კომპიუტერები გადაეცემა საქართველოს საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელს, მათ დამრიგებლებს და ასევე წარჩინებულ მოსწავლეებს.

"მოსწავლეებისა და მასწავლებლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში ასევე ყოველწლიურად სახელმძღვანელოები გადაეცა პროგრამის ბრძანებით განსაზღვრულ ყველა ბენეფიციარს.

„საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში თბილისის რეგიონში. 2020-2021 სასწავლო წლის I და II სემესტრში განხორციელდა 28 საჯარო სკოლის (მათ შორის 5 სსსმ და შშმ) 7121 (მათ შორის 320 სსსმ და შშმ) მოსწავლეთა უფასო ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სავალდებულო განათლების დონეზე სწავლის მიტოვების მაჩვენებლის კლება

მოსწავლეთა რიცხოვნობა, რომელთაც შეწყვიტეს სწავლა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საბაზო განათლების დასრულებამდე, სასწავლო წლის განმავლობაში ან მისი დასრულების შემდეგ, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე.

მიტოვების პროცენტული წილი - მოსწავლეთა რაოდენობის შეფარდება, რომელთაც შეწყვიტეს სწავლა, დაწყებითი-საბაზო საფეხურების მოსწავლეთა მთლიან რაოდენობასთან სასწავლო წლის დაწყებისას.

სასწავლო წელი	კერძო სკოლა	საჯარო სკოლა	სულ	დაწყებითი-საბაზო საფეხურის მოსწავლეთა რაოდენობა სასწავლო წლის დაწყებისას	მიტოვების %.
2015-2016	505	3135	3640	428573	0.85%
2016-2017	515	3029	3544	441871	0.80%
2017-18	433	3389	3822	452788	0.84%
2018-19	657	3906	4563	464099	0.98%
2019-20	626	2654	3280	466702	0.70%
2020-21	676	2133	2809	473344	0.59%

2. სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების სკოლაში ინტეგრაციის მაჩვენებლის ზრდა

2021 წელს 1700-ზე მეტი სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვი ჩაირიცხა სკოლაში.

სტრატეგიული ამოცანა: განათლების ხარისხის გაუმჯობესება სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების გაზრდის, მოსწავლეებში სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარებისა და უკეთესი აკადემიური შედეგების მიღწევისათვის

ამოცანის შესრულების ანგარიში:

ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის მიზნით, „ახალი სკოლის მოდელი“-ს ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით 597 საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილი იყო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში მხარდამჭერი მექანიზმებით. კერძოდ, სკოლები

ინდივიდუალურად იყვნენ უზრუნველყოფილნი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში პირისპირ ან/და ონლაინ ფორმატში კონსულტაციებით. ასევე, მომზადდა და საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო სკოლას დაეგზავნა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მხარდამჭერი დოკუმენტების პაკეტი შემდეგი შემადგენლობით: (1) ეროვნული სასწავლო გეგმის თეორიული საფუძვლები; (2) საგნობრივი გზამკვლევები სასკოლო სასწავლო გეგმის ასაგებად; (3) განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები; (4) კომპლექსური დავალებების ნიმუშები.

საჯარო სკოლის I-IX კლასების მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან განახლებული გრიფირებული სახელმძღვანელოებით, მათ შორის არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების I-VIII კლასების მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იყვნენ მშობლიურ ენაზე ნათარგმნი გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოებით.

ყველა მოსწავლისთვის საკუთარი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობის მიზნით მიმდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმის დახვეწა-განვითარება: მომზადდა და დამტკიცდა ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის საგნობრივი სტანდარტები, მომზადებულია საგნობრივი წლიური პროგრამების პირველადი ვერსიები; შეიქმნა 5 მოკლე არჩევითი კურსი საშუალო საფეხურისთვის, მუშაობა გრძელდება სხვა არჩევითი კურსების შესაქმნელად; მომზადდა საგნობრივი გზამკვლევები დაწყებითი და საბაზო საფეხურისთვის და ელექტრონული ვერსიები განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე. შესაბამისად, გზამკვლევები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პედაგოგისთვის და პირისთვის.
გაეროს ბავშვთა ფონდისა და ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შეიქმნა დაწევისა და დაჩქარებული სწავლების პროგრამა, სასწავლო რესურსები, სკოლის ადმინისტრატორთა და მასწავლებელთა ტრენინგ-მოდულები, შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტები.

სპეციალური საგანანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლების ხელშეწყობისთვის მომზადდა და დამტკიცდა სენსორული სასწავლო გეგმა განვითარების შეფერხების მქონე მოსწავლეთათვის, გაფართოებული სასწავლო გეგმა მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის.

<u>ამოცანის შესრულების ინდიკატორი:</u>

1. <u>ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა შედეგების გაუმჯობესება</u>

აღნიშნული ინდიკატორით მიღწეული შედეგის გაზომვა შეუძლებელია სკოლის გამოსაშვები გამოცდების (CAT) გაუქმების გამო

<u>სტრატეგიული ამოცანა:</u> **საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება**

<u>ამოცანის შესრულების ანგარიში:</u>

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა სკოლებში უსაფრთხო, ზრუნვაზე ორიენტირებული და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს ხელშეწყობისა და განმტკიცების მიზნით, გასულ წელს, წინა წლების მსგავსად, სკოლებში, ევროპელ ექსპერტებთან თანამშრომლობით, ევროპის საბჭოს, ევროკავშირისა და UNICEF-ის მხარდაჭერით, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, მათ შორის:

2019 წლიდან მანდატურის სამსახურმა დაიწყო ფსიქო სოციალური მომსახურების ცენტრის რეფორმირება და მუშაობის ახალ უნიფიცირებულ მოდელზე გადასვლა. სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, დაინერგა მომსახურების გაწევის ერთიანი მიდგომები, კერძოდ, შეიქმნა ფსიქო სოციალური მომსახურების გაწევის წესი და სტანდარტი. ცენტრის ისტორიაში პირველად, შემუშავდა სუპერვიზიის კონცეფცია და დაიწყო მისი განხორციელება, როგორც ფსიქოლოგებისათვის, ასევე სოციალური მუშაკებისათვის. დაინერგა მულტი დისციპლინური გუნდის მუშაობის პრინციპები. მომსახურების მიწოდების უნიფიცირების მიზნით, შეიქმნა მოდული როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მუშაობისათვის. 2020 წელს ფსიქო სოციალური მომსახურების ცენტრმა დაიწყო მუშაობა მომსახურების ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტების დანერგვაზე, რომლის მიზანია გაწეული მომსახურების შედეგის შეფასება.

ამასთანავე, UNICEF-ის მხარდაჭერით, მანდატურის სამსახურისთვის, დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მიერ განხორციელდა მოსწავლეთა ქცევის აღწერის ფორმისა და მოზარდთა თვითანგარიშის შეფასების ინსტრუმენტების (აშენბახი) ვალიდაცია.

საუკეთესო დასავლური გამოცდილების გათვალისწინებით, ადგილობრივ და ევროპელ ექსპერტებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა სკოლებში სოციალური მუშაობის მოდელი შეიმუშავა. სოციალური მუშაობის კომპონენტით, მანდატურის სამსახური თბილისისა და რეგიონების 36 საჯარო სკოლაში შევიდა. ეს არის პირველი შემთხვევა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, როდესაც სოციალური მუშაკი სასკოლო ცხოვრების ორგანული ნაწილი გახდა და ის თავის ფუნქცია-მოვალეობებს უშუალოდ ადგილზე ახორციელებს.

არააკადემიური ვალდებულებების აღსრულებისათვის, სკოლის გაძლიერებისა და სასკოლო კლიმატის გაუმჯობესების მიზნით, 2019-2021 წლებში, მანდატურის სამსახურმა საპილოტედ შერჩეულ 11 საჯარო სკოლაში განახორციელა ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ბულინგის, ნივთიერებების ავად მოხმარების პრევენციის და აღდგენითი პროცესების დანერგვის მხარდამჭერი პროექტი. ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ბულინგის პრევენციის პროექტის შეფასების მიზნით, 2021 წლის დეკემბერში, მოწვეული მკვლევარის მიერ დაიწყო პილოტირების შედეგების

პოსტ-კვლევა, (პროცესს წინ უძღვოდა პრე-კვლევა). შედეგების კვლევის პროცესი 2022 წლის დასაწყისში დასრულდება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა შეიმუშავა სკოლებში აღდგენითი მიდგომების დანერგვის გზამკვლევი. საპილოტე სკოლებში დაიწყო აღდგენითი პროცესების დანერგვა და წარმატებული გამოცდილების გაზიარება.

2021 წლიდან მანდატურის სამსახურმა სასკოლო მედიაციის უპრეცედენტო პროექტი აამოქმედა. საწყის ეტაპზე, სასკოლო მედიაციის განხორციელება საპილოტედ შერჩეულ საქართველოს 29 საჯარო სკოლაში დაიწყო, მათ შორის, აჭარის, იმერეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის რეგიონებსა და თბილისში. მედიაციის პროცესს მანდატურის სამსახურის სპეციალურად გადამზადებული თანამშრომლები უძღვებიან.

2021 წელს, მანდატურის სამსახურის მიერ საპილოტე სკოლებში გაგრძელდა ნივთიერებათა ავად მოხმარების პრევენციის პროგრამა 13 წელს ზემოთ და 13 წლამდე ასაკის მოსწავლეებისთვის, მტკიცებულებითი მეთოდის (EU DAP Unplugged Program) გამოყენებით.

2021 წლის ოქტომბრიდან მანდატურის სამსახურმა აამოქმედა ახალი ვებ-გვერდი befriend.mes.gov.ge, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, სრული კონფიდენციალურობის დაცვით, ონლაინ ჩათის საშუალებით, მიიღოს კვალიფიციური ფსიქოლოგიური კონსულტაცია.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა 2021 წელს კონკურსის წესით 77 ახალი მანდატური შეარჩია. ისინი თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლებში გადანაწილდნენ. სულ, მოცემულ ეტაპზე, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური 607 საჯარო სკოლაში, 2 კერძო სკოლასა და 2 პროფესიულ კოლეჯშია წარმოდგენილი.

ევროპის საბჭოს პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ ფარგლებში, მანდატურის სამსახურისთვის შექმნილი ადამიანის უფლებათა სწავლების პროგრამით 2020-2021 წლებში ტრენერად 39 თანამშრომელი გადამზადდა. წლის განმავლობაში მანდატურის სამსახურის ტრენერებმა 240 მოქმედ მანდატურს ჩაუტარეს ტრენინგების ციკლი ადამიანის უფლებების, ტოლერანტობის, მრავალფეროვნების და არადისკრიმინაციული მიდგომის შესახებ. აღნიშნულ საკითხებზე გადამზადებულმა მანდატურებმა სკოლებში, მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის, 150-მდე შეხვედრა გამართეს.

საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს 2020-2021 წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და მოწყობის მიმართულებით განხორციელებული შემდეგი ღონისძიებები:

2020 წელს დასრულდა 9 სრულად ადაპტირებული სკოლის მშენებლობა, 2021 წელს დასრულდა სსიპ-მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ წვირმის საჯარო სკოლის 60 მოსწავლეზე გათვლილი შენობის მშენებლობა. მიმდინარეობს 5 სკოლის მშენებლობა.

2020 წელს დასრულდა 7 სკოლის სრული რეაბილიტაცია ადაპტირებული გარემოს გათვალისწინებით 2021 წელს დასრულდა 3 სკოლის სრული რეაბილიტაცია:

მიმდინარეობს 4 სკოლის სრული რეაბილიტაცია და 3 სკოლის სრული რეაბილიტაციისთვის მიმდინარეობს ტენდერი;

2020 წელს დასრულდა 127-ზე მეტი სკოლის და 2021 წელს 100-ზე მეტი სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო მოსწავლეთა საჭიროების შესაბამისი ფიზიკური გარემოს მოწყობის გათვალისწინებით (შენობის კონსტრუქციული მდგომარეობიდან გამომდინარე)

2021 წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და მოწყობის მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- 216 საჯარო სკოლა აღიჭურვა სამედიცინო ოთახის ინვენტარით, 49 სკოლა სასკოლო საოფისე ავეჯით, 182 საჯარო სკოლას გადაეცა 507 პროექტორი.
- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ შესყიდულ იქნა 2 კომპლექტი რეალურ-ვირტუალური ლაბორატორია. რომელიც გადაეცა სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლას და სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორის საჯარო სკოლას.

<u>ამოცანის შესრულების ინდიკატორი:</u>

1.<u>თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პროცენტული ზრდა</u>

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესი ჯერ-ჯერობით არ დაწყებულა. შესაბამისად, ამ ეტაპზე, პროცენტული ზრდის გამოთვლა ვერ ხერხდება.

<u>სტრატეგიული ამოცანა:</u> სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მოტივაციის და ეფექტურობის გაზრდა

<u>ამოცანის შესრულების ანგარიში:</u>

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის (შემდგომში – სქემა) მიზანია კვალიფიციური კადრების მომზადება, მასწავლებლის კომპეტენციის ამაღლება და პროფესიული განვითარება, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. 2020-2021 წლებში მოხდა სქემის ფუნდამენტალური მოდიფიცირება, სკოლის ბაზაზე გაჩნდა მასწავლებლის პროფესიული განვითარების მხარდაჭერისათვის თვისობრივად ახალი ერთეულის არსებობის შესაძლებლობა, დაინერგა მასწავლებელთა გარე შეფასების სრულიად ახალი სისტემა, შეიცვალა სკოლის მუშაობის სპეციფიკა, სასკოლო კულტურა, მრავალფეროვანი გახდა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობები.

- გაუქმდა მასწავლებლის სტატუსის შენარჩუნების ან ჩამორთმევის მექანიზმები - მასწავლებელს, სტატუსის შესანარჩუნებლად, აღარ სჭირდება განსაზღვრული აქტივობების განხორციელება. მასწავლებლის სტატუსი გახდა ხელშეუხებელი.
- გაუქმდა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი (გარდა არაქართული სექტორისა) - 2020 წელს სქემაში შესული ცვლილების საფუძველზე, სტატუსი გაუუქმდა ყველა იმ პრატიკოს მასწავლებელს (გარდა არაქართულენოვანი სექტორებისა), ვისაც მინიმუმ ერთი კრედიტქულით მაინც არ ჰქონდა დადასტურებული საგნობრივი და პროფესიული უნარების კომპეტენციები;
- ინერგება კომპლექსური შეფასების სისტემა - გაუქმდა კრედიტების დაგროვების სისტემა, მასწავლებელი შემდგომი სტატუსის მოპოვებისთვის აბარებს პროფესიული უნარების გამოცდას და გადის პრაქტიკულ 360 გრადუსიან შეფასების პროცესს. შეფასების პროცესში მასწავლებელი წარმოადგენს პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებებს, თუ ადრე მასწავლებელი სტატუსის შესაცვლელად ახორციელებდა სქემით გაწერილ კონკრეტულ აქტივობებს, ამ ეტაპზე, იგი თავად ირჩევს რომელი აქტივობით დაადასტუროს სტანდარტში გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, რაც მასწავლებელს უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს.
- გაუქმდა სკოლის შეფასების ჯგუფი. სქემის შესაბამისად, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის ეფექტურად განხორციელების მიზნით, სკოლას აქვს შესაძლებლობა ჩამოაყალიბოს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფები (რომლის ფუნქციაა თითოეული მასწავლებლის პროფესიული განვითარების გზების დაგეგმვა, განხორციელებული საქმიანობების შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა).სკოლას დაეკისრა მხოლოდ განმავითარებელი ფუნქცია, რაც თავისთავად გულისხმობს სკოლის განვითარებასა და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად, მასწავლებლის პროფესიული ზრდის ხელშეწყობას.

მასწავლებლობის მაძიებლობა წარმოადგენს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლად მუშაობის დაწყების უფლების მოპოვების ერთ-ერთ გზას, ახალგაზრდა და მოტივირებული მასწავლებლობის უფლების არმქონე პირებისათვის, რაც ხელს უწყობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას. მაძიებლის პროფესიული ცოდნის გაღრმავებას, მასწავლებლის უნარ-ჩვევების შეძენას ან/და განვითარებას და სასკოლო გარემოსთან ადაპტირების ხელშეწყობას. მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამას აქვს

მთელი რიგი უპირატესობები: სწავლა/მასწავლებლის სტატუსის მოპოვება დასაქმების პარალელურად; პროფესიაში შესვლის/მასწავლებლობის უფლების მოპოვების სწრაფი გზა; მაძიებელი თავად გეგმავს საკუთარი სწავლის პროცესს; არის ეკონომიური; სწავლების ფორმატი - დისტანციური. მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამა შედგება საგნის კომპეტენციის წარმატებით ჩაბარების და ორი კურსისგან: ა) აკადემიური კურსი; ბ) პედაგოგიური პრაქტიკის კურსი. მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამის წარმატებით დაძლევის შემდგომ მონაწილეს მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

ამოცანის შესრულების ინდიკატორი:

1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და წინსვლის სქემაში ზედა საფეხურზე გადასულ მასწავლებელთა რაოდენობის ზრდა

2020 წლის საანგარიშო პერიოდის მდგომარეობით სქემის ფარგლებში გადანაწილებულია სულ 58703 მასწავლებელი მათ შორის - მენტორი 277, წამყვანი 7858, უფროსი 34903, პრაქტიკოსი 9635, მაძიებელი 2038 და უსტატუსო 3992,ხოლო 1889 სპეცილური მასწავლებელი მათ შორის - 1875 სპეციალური პრაქტიკოსი მასწავლებელი და 11 სპეციალური უფროსი მასწავლებელი.
2021 საანგარიშო პერიოდის მდგომარეობით, სქემის ფარგლებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გადანაწილებულია სულ 58790 მასწავლებელი. ამათგან: პრაქტიკოსი - 3597 ; უფროსი - 37853; წამყვანი - 7898; მენტორი - 278 ; უსტატუსო 8465; მაძიებელი - 699. 1993 სპეციალური მასწავლებელი, მათ შორის - 916 პრაქტიკოსი, 971 უფროსი, 1 წამყვანი, 105 უსტატუსო სპეციალური მასწავლებელი.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგების რაოდენობა, რომლებსაც მიენიჭათ მითითებული სტატუსი შესაბამის წელს. სტატუსებისა და კალენდარული წლების მიხედვით:

	სტატუსის მინიჭების წელი					
მიენიჭა მასწავლებლის სტატუსი	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**
უფროსი	1856	6493	7568	10949	2659	1374
წამყვანი	37	306	2635	5012	86	1
მენტორი	9	32	209	29	4	
სულ	**1902**	**6831**	**10412**	**15990**	**2749**	**1375**

<u>სტრატეგიული ამოცანა: ზოგადი განათლების ყველა დონეზე ეფექტური მართვის სისტემის განვითარება</u>

<u>ამოცანის შესრულების ანგარიში:</u>

2021 წელს საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და სამინისტროს თანამშრომლების მიერ განხორციელდა 2000-ზე მეტი ვიზიტი სკოლებში სასკოლო გარემოს მონიტორინგის მიზნით.

ამასთან, (COVID-19)-ით გამოწვეულ პანდემიასთან დაკავშირებით, სამინისტრომ შეიმუშავა მონიტორინგის ახალი ფორმა - „საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი“ - 2021 წლის 2000 მონიტორინგიდან 1968 ვიზიტი სწორედ ამ მიმართულებით განხორციელდა.

<u>ინდიკატორი:</u>

1.<u>სკოლების მონიტორინგის შედეგების გაუმჯობესება</u>

მონიტორინგის პროცესში დაფიქსირებული ხარვეზების შემცირება.

3. პროფესიული განათლება

<u>სტრატეგიული ამოცანა:</u> **პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სისტემის ინტერნაციონალიზაცია**

<u>ამოცანის შესრულების ანგარიში:</u>

საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმა, მისი მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს სისტემის განვითარების ისეთი ორიენტირების შექმნაზე, რომლებიც სწრაფად ცვალებად სამყაროში უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნების საპასუხო, ადამიანური კაპიტალის ფორმირებას. პროფესიული განათლების მნიშვნელობა ხაზგასმულია არაერთ პოლიტიკის დოკუმენტში და მისი მოდერნიზაციის პროცესი სამთავრობო პრიორიტეტს წარმოადგენს.

საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმა, მიზნად ისახავს დამსაქმებლების ჩართულობას განათლების ფორმირების ყველა ეტაპზე. შესაბამისად, ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ნერგავს ან/და ინსტიტუციურად აძლიერებს მათთან პარტნიორობის სხვადასხვა ფორმებს.

2020 წელს სამინისტრომ დაიწყო პროფესიული განათლების მართვის ახალი ინსტიტუციური მოწყობის მოდელის დამუშავება, შეფასება და მონაწილე მხარეებთან განხილვა. წინა წლებში, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, პროფესიული განათლების ინსტიტუციური მოწყობის შესახებ ჩატარებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის საფუძველზე, სამინისტრომ გააგრძელა ახალ მოდელზე მუშაობა, რაც მოიცავდა შესაბამისი ფინანსური გავლენის, ახალი მიდგომის ეფექტიანობისა და რისკების შეფასებას. როგორც ცნობილია, მანამდე არსებული მოწყობა სისტემის ცენტრალიზებულ მართვას გულისხმობდა, რომელიც ძირითადად სახელმწიფო სტრუქტურის კომპეტენციას მიეკუთვნებოდა. ვინაიდან რეფორმის სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს, საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით, კერძო სექტორის მონაწილეობის სტიმულირება, როგორც პოლიტიკის შემუშავების, ასევე მისი განხორციელებისა და შეფასების ეტაპებზე, მართვის ახალი მოდელის კონცეფცია, სწორედ აღნიშნულ პრინციპზე იქნა ორიენტირებული. ასევე, აღსანიშნავია მართვის დეცენტრალიზაციის ამოცანაც, რაც თავის თავში მოიცავს მართვის არა მხოლოდ ვერტიკალურ ჩაშლას, არამედ ჰორიზონტალურ დივერსიფიკაციას, პასუხისმგებლობების გადანაწილებას, სექტორული/ტექნიკური ცოდნის ხელმისაწვდომობას და შედეგებით თანაბრად სარგებლობის შესაძლებლობის უზრუნველყოფას. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული რიგი საკითხები ხშირად სცილდება სახელმწიფო უწყებისა და ქვეუწყების კომპეტენციის საზღვრებს და მოითხოვს ათეულობით სექტორის შესახებ ტექნიკურ

ცოდნას. გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ, ასევე მონაწილე მხარეების რეკომენდაციებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, ჩამოყალიბდა მართვის ახალი მოდელი, რომელიც გულისხმობს კერძო და საჯარო სექტორების მიერ, ახალი ინსტიტუციის დაფუძნებას. ახალი კონცეფციის თანახმად, მთავარი პრინციპი, რომელიც პროფესიული განათლების მართვისა და განვითარების პროცესს წარმართავს, არის თანამონაწილეობა - ქვეყნის ადამიანური კაპიტალის განვითარების აქსელერაცია საჯარო და კერძო სექტორების ერთობლივი ძალისხმევითა და პასუხიმგებლობების გაზიარების გზით.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად განისაზღვრა ორგანიზაციის სტრუქტურა, მართვის პრინციპები და ის ფუნქციები, რომელთა შესრულებაც მიზანშეწონილია გადაეცეს ახალ უწყებას, კერძოდ: პროფესიის სტანდარტების შემუშავების პროცესის მხარდაჭერა და კოორდინაცია, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობა, მეწარმეობის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სახელმძღვანელოებისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, პროფესიული განათლების პროვაიდერების ინსტიტუციური განვითარების გაძლიერება, საერთაშორისო პარტნიორობის სტიმულირება, კარიერის დაგეგმვის სერვისების გაუმჯობესება, მომზადებისა და გადამზადების პროგრამების კოორდინაცია, მონიტორინგი და შეფასება და სხვ.

მიღწეული შეთანხმების შედეგად, 2021 წელს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ერთობლივად, დააფუძნეს ა(ა)იპ **„პროფესიული უნარების სააგენტო“.** სააგენტო დაკისრებულ ფუნქციებს განახორციელებს დარგობრივი უნარების ორგანიზაციების მეშვეობით. სააგენტოს უმაღლესი მართვის ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია ქვეყანაში არსებული ბიზნეს გაერთიანებების წარმომადგენლებითა და დარგობრივი სამინისტროების წარმომადგენლებით. სააგენტო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს დარგობრივი უნარების ორგანიზაციების განვითარების მიმართულებით, რომლებიც მოახდენენ დარგობრივი ცოდნის აკუმულირებას, რაც ამჟამად ფრაგმენტული და არა ინსტიტუციონალიზებულია. 2021 წლის დეკემბერში მოხდა პროფესიული უნარების სააგენტოს ოფიციალური წარდგენა, რომელსაც დონორი ორგანიზაციების, კერძო სექტორისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი მხარდაჭერით 2020 წელს გაგრძელდა სოფლის მეურნეობის დარგში **„დარგობრივი უნარების ორგანიზაციის (SSO) - აგრო დუო“** განვითარება. მისი ამოცანაა პროფესიული კვალიფიკაციების განვითარება, პოპულარიზაცია, ხარისხის გაუმჯობესება, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვა და საგანმანათლებლო სერვისების განვითარება სოფლის მეურნეობის დარგში. სხვა სექტორების წარმომადგენლებთან აღნიშნული გამოცდილების გაზიარებაზე და მსგავსი ორგანიზაციის ჩამოყალიბების ინიციატივაზე, 2021 წლიდან მუშაობა პროფესიული უნარების სააგენტომ გააგრძელა. სწორედ „სექტორული უნარების ორგანიზაციების“ რესურსების გამოყენებით შეძლებს სააგენტო დარგობრივი ექსპერტიზის მიღებას. მსგავსი მოდელი გვხვდება შვეიცარიისა და გერმანიის პროფესიული განათლების სისტემებში და წარმოადგენს წარმატებულ პრაქტიკას.

აღსანიშნავია, რომ საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატში საინტერესო მოდელი შემუშავდა სსიპ კოლეჯ „სპექტრსა“ და **შპს „ევრომასტერს“** შორის. პარტნიორობის შედეგად დაიწყო პროექტის განხორციელება სამშენებლო მიმართულებით, რომლის მიზანიცაა კოლეჯის განვითრების ხელშეწყობა, დუალური პროფესიული განათლების განვითარებისა და კოლეჯის სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების გზით კვალიფიკაციის ამაღლება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების დასაქმებას.

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა, **არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის** შედეგების, პროფესიული განათლების საფეხურზე აღიარების საშუალებას იძლევა. არაფორმალური განათლების აღიარების მიზანია, მსურველი პირისთვის, ფორმალური განათლების მიღმა მიღწეული განათლების აღიარება, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, პიროვნული განვითარების, სწავლის გაგრძელების ან/და კვალიფიკაციის მინიჭების ან/და დასაქმების/კარიერული ზრდის/თვითდასაქმების ხელშეწყობისთვის. რეგულაციის თანახმად, არაფორმალური განათლების აღიარებაზე უფლებამოსილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელებაზე უფლებამოსილი იურიდიული პირი, იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაცია დააკმაყოფილებს არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოსაპოვებლად დადგენილ მოთხოვნებს.

2021 წლის მდგომარეობით, არაფორმალური განათლების აღიარების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული აქვს **4 საგანმანათლებლო დაწესებულებას 8 სფეროში** - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „Nataly Academy“, შპს თეგეტა აკადემია, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია და შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების ფარგლებში და შესაბამისი ვადით. არაფორმალური განათლების აღიარების პროცესიის მხარდასაჭერად, სერტიფიცირებულია 51 კონსულტანტი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციებს უწევენ დაინტერესებულ პირებს.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC) პროექტის - “პროფესიული განათლებისა და ექსტენციის მოდერნიზება საქართველოს სოფლის მეურნეობაში” - ფარგლებში მეწარმეობრივი კულტურის დასანერგად, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის მიერ, 2021 წელს, კოლეჯებში იბერიასა და მოდუსში, განხორციელდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა კოლეჯების მხარდაჭერას ორგანიზაციული კულტურის ტრანსფორმაციისა და სტრუქტურული ცვლილებების პროცესში, რომლებიც მიმართულნი არიან შიდა-ინსტიტუციური მეწარმეობის დამკვიდრებისაკენ. შემუშავდა სახელმძღვანელო: „შიდა-ინსტიტუციური მეწარმეობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ორგანიზაციული შეფასების მეთოდოლოგიური პრინციპები“ (Methodological principles of entrepreneurship benchmarking in VET institutions).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამა „მაშავის“ მხარდაჭერით, პროფესიულ კოლეჯში „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ განხორციელდა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა სამეწარმეო და ტექნოლოგიური განათლების განვითარების ხელშეწყობასა და პროფესიულ სტუდენტებში შემოქმედებითი აზროვნების გაძლიერებას. პროექტის ფარგლებში, პროფესიული სტუდენტების მიერ, სამეწარმეო განათლების კონტექსტში შეიქმნა სიმულაციური თამაშები და განხორციელდა ჰაკათონის ორგანიზება, ასევე, სამეწარმეო და ციფრული კომპეტენციების მიმართულებით, ჩატარდა ერთთვიანი ტრენინგი. ჰაკათონში სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისაგან შემდგარი ცხრა გუნდი მონაწილეობდა.

მოქალაქეთა მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. ბოლო წლების განმავლობაში შეინიშნება სამოქალაქო აქტიურობისა და ჩართულობის ხარისხის შემცირება, რაც განსაკუთრებულად მტკივნეულია საქართველოს მსგავსი, განვითარებადი დემოკრატიისათვის. სამოქალაქო ცხოვრებაში მონაწილეობა შედარებით დაბალია არა ურბანულ დასახლებებში, რაც იწვევს მმართველობის სისტემების არაეფექტურობას და მოქალაქეებზე ორიენტირებული სერვისების არარსებობას. ინფორმირებული, ეფექტური და პასუხისმგებლიანი მოქალაქის ჩამოყალიბება ადამიანური კაპიტალის განვითარების საფუძველს წარმოადგენს და განათლების სისტემის ამოცანაა სწორედ ასეთი თაობების აღზრდა. საქართველოში ზოგადი განათლების საფეხურზე დაწყებული სამოქალაქო განათლება პროფესიული განათლების საფეხურზე გრძელდება და სავალდებულო კომპეტენციების ჩამონათვალში ხვდება. 2015 წლიდან, სამოქალაქო განათლების მოდული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. 2020 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES) ინიციატივით დაიწყო არსებული საგანმანათლებლო მოდულის შეფასება. გამოვლინდა გარკვეული ნაკლოვანებები და სამინისტროს გადაწყვეტილებით, ორგანიზაციამ ფართო კონსულტაციების საფუძველზე, ახალი მოდულის შემუშავების პროცესს გაუწია კოორდინაცია. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, შემუშავდა და დამტკიცდა ახალი 3 კრედიტიანი მოდული. მოდული აგებულია ისე, რომ დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეობისა და დემოკრატიული ღირებულებების სწავლება სრულ შესაბამისობაში იყოს, როგორც ზოგადად განათლების მიზნებთან, ასევე პროფესიული სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებთან. პროფესიული განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაცია რამდენიმე ასპექტს მოიცავს: საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დანერგვა, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება პოლიტიკის შემუშავების, რეგულაციების დადგენისა თუ სხვადასხვა მიდგომებისა და მეთოდოლოგიების მიმართულებით. ინტერნაციონალიზაციის პროცესი უკავშირდება არაერთი ინოვაციური მიდგომის დანერგვას, სამინისტრო აქტიურად იყენებს იმ საერთაშორისო ინსტრუმენტებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ევროპის მასშტაბით, ესენია: საერთაშორისო პარტნიორობის პლატფორმები, ტექნიკური დახმარების პროექტები, სტუდენტთა და მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამები/სქემები და სხვ. ინტერნაციონალიზაციის მიზანია საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და ადგილობრივი სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის გაზრდა, როგორც ადგილობრივად, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

მიზნის მისაღწევად ბოლო წლების განმავლობაში არაერთი ფუნდამენტური ცვლილება განხორციელდა სისტემურ დონეზე. ახლადშექმნილი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო დაეფუძნა ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებსა და პრინციპებს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში გაცემული კვალიფიკაციების თავსებადობას და აღიარებას განათლების ევროპულ სივრცეში. ამასთან, საქართველოს ახალმა კანონმა პროფესიული განათლების შესახებ, შექმნა სამართლებრივი საფუძველი ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების განხორციელებისთვის, მათ შორის, საზღვარგარეთ არსებულ დაწესებულებებში.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების აუცილებელ პირობას პროფესიულ განათლებაში კრედიტების სისტემის თავსებადობა წარმოადგენს. სხვადასხვა უწყებების და პარტნიორების მხარდაჭერით, 2020 წლის დეკემბერში მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა "პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის დამტკიცების შესახებ" წესი. ამდენად, პროფესიული განათლება გადავიდა კრედიტების სისტემაზე, რომელიც ეფუძნება ევროპულ მექანიზმს - ECVET. აღნიშნული ინსტრუმენტით საქართველო შეძლებს გააძლიეროს მუშაობა უცხოელ პარტნიორებთან და უზრუნველყოს სტუდენტთა მობილობის მხარდაჭერა.

გაეროს განვითრების პროგრამის მხარდაჭერით მომზადდა და დასამტკიცებლად ინიცირდა გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესისა და პირობების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტები. აქტების ამოქმედება ხელს შეუწყობს გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების განხორციელებას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წლიდან საქართველოს მიეცა შესაძლებლობა Erasmus+-ში ჩაერთოს პროფესიული განათლების საფეხურზეც. Erasmus+ საქართველოს ეროვნულმა ოფისმა პროფესიული სასწავლებლებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის საინფორმაციო სემინარი ჩაატარა. სემინარზე განიხილეს ყველა ის შესაძლებლობა, რასაც Erasmus+ პროგრამა სთავაზობს ქართულ პროფესიულ სასწავლებლებს: ინსტიტუციური თანამშრომლობის პროექტები, პერსონალისა და სტუდენტების მობილობა, ინფორმაცია პროფესიული სწავლების წამყვანი ცენტრების შესახებ და ა.შ. სემინარზე, ასევე განიხილეს პროექტებში მონაწილეობის პირობები, მოთხოვნები და ვადები. ამდენად, საქართველოს აქვს შესაძლებლობა შევიდეს ევროპული პროფესიული განათლების სივრცეში 2022 წლიდან.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით რამდენიმე საინტერესო პრაქტიკულ ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი. სამინისტროს, გაეროს განვითარების პროგრამის და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მხარდაჭერით, სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით დაიწყო პროექტის - "პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო პრაქტიკის ინიციატივა საქართველოსა და გერმანიას/ბრიტანეთს შორის აგრარული მიმართულებით", განხორციელება. პროქტის ფარგლებში 2020 წელს სოფლის მეურნეობის მიმართულებით, პროფესიული და უმაღლესი განათლების სტუდენტებმა გერმანიაში ხუთთვიანი ანაზღაურებადი პრაქტიკა გაიარეს. წარმატებულ კურსდამთავრებულებს გერმანული სერტიფიკატები გადაეცათ. 2021 წელს ნიდერლანდების სამეფოში მხარდაჭერილი იყო სოფლის მეურნეობის მიმართულების მასწავლებელთა და სტუდენტთა ტრენინგი. აღსანიშნავია, რომ

ინიციატივის ფარგლებში 2021 წელს განხორციელდა ფართო საკონსულტაციო ონლაინ ფორმატის შეხვედრები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებთან და მასწავლებლებთან.

ასევე, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ტურიზმის სექტორში მიღწეული წარმატება ინტერნაციონალიზაციის კუთხით. 2021 წელს საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მთის კურორტების განვითარების სააგენტოსთან ერთად „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის“ დამფუძნებელია, სამთო გამყოლთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის წევრი (IFMGA) გახდა. საერთაშორისო აღიარება მოიპოვა სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის სამთო გამყოლის სადიპლომო პროგრამამ.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, ასევე აღსანიშნავია ევროპის განათლების ფონდის (ETF) ახალი ინიციატივები, კერძოდ:
J პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 15 დაწესებულება ჩაერთო თვითშეფასების ინსტრუმენტის (SELFIE) პილოტირებაში დუალური პროგრამების ფარგლებში. SELFIE ევროკომისიის მიერ შექმნილი ელექტრონული თვითშეფასების კითხვარია, რომელიც აფასებს, რამდენად იყენებენ საგანმანათლებლო დაწესებულებები (სკოლები და კოლეჯები) ციფრულ ტექნოლოგიებს სწავლა-სწავლების პროცესში. პროფესიული განათლების საფეხურზე საქართველოსთან ერთად SELFIE-ს ინსტრუმენტის პილოტირებაში ჩაერთო გერმანია, საფრანგეთი, პოლონეთი, უნგრეთი, სერბეთი, მონტენეგრო და თურქეთი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 6 დაწესებულება ჩაერთო ევროპის განათლების ფონდის (ETF) - Network for Excellence (ENE)-ის ქსელში (https://www.etf.europa.eu/en/projects-activities/projects/network-excellence). ინიციატივის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო ქსელის ჩამოყალიბება, რომლის წევრებსაც ექნებათ აქტიური კომუნიკაცია და ერთმანეთს გაუზიარებენ საკუთარ გამოცდილებასა და ცოდნას. ყოველივე ეს კი, ხელს შეუწყობს ახალი პარტნიორობის ჩამოყალიბებას, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, ახალი იდეების შექმნასა და განხორციელებას. 2020 წელს ორგანიზაციის მიერ ჩატარდა კვლევა, რომელმაც შეისწავლა ექსელენს ცენტრების (შერჩეული კოლეჯების) ავტონომია და საჯარო-კერძო პარტნიორობაში ჩართულობა. 2020 წლის ბოლოს ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე “ETF Network for Excellence (ENE) launch conference - “Centres of Vocational Excellence as engines for VET development”, განხილული იყო კვლევის შედეგები და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. ინიციატივაში ჩართული დაწესებულებები შემდეგი მიმართულებების ფარგლებში მონაწილეობენ: სოციალური ინკლუზია და თანასწორობა, მწვანე სკოლა, სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარება. სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარების ინიციატივის ფარგლებში 2021 წელს ჩატარდა სასწავლო ვიზიტი ფინეთში. გარდა გამოცდილების გაზიარებისა და ფინური მოდელის გაცნობისა, ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა ETF-ს მიერ შემუშავებული კერძო-საჯარო პარტნიორობისა და ავტონომიურობის შეფასების დოკუმენტის ვალიდაცია. 2021 წელს ასევე, პირველი გახსნითი შეხვედრა გაიმართა ENE ინიციატივის GRETA - Greening Responses to Excellence

through Thematic Actions-ის ფარგლებში. ონლაინ შეხვედრაზე განხორციელდა ინიციატივაში ჩართული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება „going green" თემატისკასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, პროფესიული განათლების რეფორმის პროცესი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მნიშვნელოვანი მხარდაჭერით ხორციელდება:

ევროკავშირი საქართველოს პროფესიული განათლების სისტემას ბოლო ათწლეულია აქტიურად უჭერს მხარს. მისი პროგრამის მასშტაბი რეფორმის მიმდინარეობის პროცესში კიდევ უფრო გაიზარდა და მიმდინარე პროგრამამ მოიცვა, როგორც განათლების/უნარების განვითარების სისტემა, ასევე დასაქმების სექტორი. საბიუჯეტო და ტექნიკური დახმარების პროექტებისა და საგრანტო კომპონენტის ამოქმედებით, საქართველო დამატებით რესურსებს იღებს სისტემების მოდერნიზაციისთვის, რაც ჯამში შეადგენს 48 მლნ ევროს 5 წლის განმავლობაში.

ასევე, პროექტის ფარგლებში, 2020 წელს დასრულდა 9 საგრანტო პროექტის შერჩევა, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს განათლებისა და დასაქმების სფეროს ახალი ქმედითი მექანიზმების შექმნაში, მოსახლეობის დასაქმების უნარიანობის ასამაღლებლად. 2021 წელს სამინისტროს შესაბამისი სამსახურები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას საგრანტო პროექტებით დაგეგმილი აქტივობების კოორდინაციაში და ამავდროულად ჩართული იყვნენ პროექტების მონიტორინგში.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით, ასევე განხორციელდა პროფესიული განათლების გეოგრაფიული დაფარვის არეალის შეფასება და მომზადდა ანალიზის დოკუმენტი, რაც გახდა საფუძველი, ახალი განსავითარებელი ლოკაციების შესახებ გადაწვეტილების მიღებისა. ასევე, პროექტი ფასილიტაციას უწევს პროფესიული განათლების ახალი სექტორული სტრატეგიის შემუშავების პროცესს, რომელიც 2022-2027 წლებს ფარავს.

კიდევ უფრო გაძლიერდა გერმანიის მთავრობის მხარდაჭერა, „გერმანიის საერთაშორისო განვითარების საზოგადოების-GIZ" პროგრამის ახალმა ორწლიანმა ფაზამ, კვლავ გაითვალისწინა შერჩეულ სექტორებში დუალური პროფესიული პროგრამების დანერგვაში სახელმწიფოს და კერძო სექტორის მხარდაჭერა, კოლეჯებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, დარგობრივი ასოციაციების გაძლიერება, კვალიფიკაციების გადახედვაში დახმარება, პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე ზრუნვა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებისა და პედაგოგების შესაძლებლობების გაძლიერება.

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მხარდაჭერითა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩართულობით დაიწყო პროექტის „Skills 4 Georgia - უნარები საქართველოსთვის" განხორციელება. პროექტის აღმასრულებელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროექტის განმახორციელებელია საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო. პროექტი ითვალისწინებს თვისებრივად განსხვავებული საგანმანათლებლო ცენტრის (ე.წ. Center of Excellence) დაფუძნებას და განვითარებას,

ახალ საგანმანათლებლო ცენტრს ექნება ჰაბის ფუნქცია და განვითარებაში დაეხმარება არსებულ პროფესიული სასწავლებლებს.

შვეიცარიის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, გაეროს განვითარების პროგრამა, პროფესიული განათლების რეფორმის მნიშნელოვანი მხარდამჭერია. ისეთი საკვანძო საკითხები, როგორებიცაა: ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრაცია, სამეწარმეო სწავლების გაუმჯობესება, კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება, სასწავლებლების ინსტიტუციური გაძლიერება, ხარისხის უზრუნველყოფა, ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარება სწორედ, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მიმდინარეობდა.

2021 წელს გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, HR პროფესიონალთა ასოციაციის, საერთაშორისო ციფრული ინსტიტუტის (International Digital Institute, IDI) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობით, ასევე დაიწყო ორი ახალი პროექტის განხორციელება. პირველი პროექტი, რომელიც HR პროფესიონალთა ასოციაციის მიერ ხორციელდება, ითვალისწინებდა ისეთი დოკუმენტების შემუშავებას, რომლებიც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ორგანიზაციული და HR სისტემების გაძლიერებაში დაეხმარება.

2020 წელს წარმატებით დასრულდა მოლაპარაკებები აზიის განვითარების ბანკსა და საქართველოს მთავრობას შორის 70 მილიონი აშშ დოლარის სასესხო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, რომლის ძირითადი მონაწილე მხარეა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, კერძოდ კი პროფესიული განათლების სისტემა. აზიის განვითარების ბანკის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის გუნდთან თანამშრომლობით, შეიქმნა საბიუჯეტო დახმარებისა და სექტორული დახმარების პროგრამები, 2020 წლის დეკემბერში, ხელი მოეწერა შესაბამის ხელშეკრულებას. მასშტაბური დახმარების მიზანია პროფესიული განათლების პროვაიდერების დივერსიფიცირება და საჯარო სკოლების შესაძლებლობების გაძლიერება რეგიონებში პროფესიული პროგრამების განხორციელების მიზნით, ასევე ორი საგანმანათლებლო ჰაბის განვითარება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში და პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციისა და ინკლუზიურობის ხელშეწყობა.

2021 წელს საქართველოში ადამიანური კაპიტალისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ახალი ხუთწლიანი პროგრამის - „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ - განხორციელება დაიწყო. პროგრამის ბიუჯეტი 24 მილიონი დოლარია და ის დამსაქმებლების და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის სტიმულირებას, ასევე კერძო სექტორთან თანამშრომლობით, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და დასაქმების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

<u>ინდიკატორი:</u>

1.<u>პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის ზრდა</u>

2020 წლის მონაცემებით, პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენდა 49%, რაც შედარებით ნაკლებია წინა წლებთან მიმართებაში. 2019 წელს ეს მონაცემი იყო 62%, ხოლო 2018 წელს 60%.

2.<u>დუალური პროგრამების რაოდენობის ზრდა</u>

საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, რომლებმაც კალენდარული წლების მიხედვით დაიწყეს დუალური პროფესიული პროგრამები:

პროგრამის დაწყების წელი	**პროგრამების რაოდენობა**
2019	**30**
2020	24
2021	45

<u>სტრატეგიული ამოცანა:</u> მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

<u>ამოცანის შესრულების ანგარიში:</u>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანების შესაბამისად დამტკიცდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტები. აღსანიშნავია, რომ ახალმა სტანდარტებმა პროფესიულ განათლებაში სწავლების ახალი სტანდარტების დამკვიდრებას უნდა შეუწყოს ხელი, რაც თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოში არ გულისხმობს მხოლოდ პროგრამისა თუ მატერიალური ან ადამიანური რესურსის ხელმისაწვდომობას, არამედ ის უფრო ფართო კონტექსტში აფასებს საგანმანათლებლო ინსტიტუციაში, ფორმალური განათლების ფარგლებში სტუდენტისათვის შეთავაზებული სერვისების რელევანტურობას, ხარისხსა და ხელმისაწვდომობას. ახალი სტანდარტები საგანმანათლებლო პროცესის ყველა შემადგენელ ნაწილს ერთიანი, მწყობრი მექანიზმის ჭრილში აფასებს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დაინტერესებული მხარეების სრული ჩართულობის უზრუნველყოფას საგანმანათლებლო პროცესში. აფასებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემების არსებობას, რაც დაწესებულებებს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს და ამზადებს საფუძველს მათი ავტონომიურობის გაზრდისათვის. ახალი მიდგომა ინსტიტუციის წინაშე აყენებს მისი მუდმივი განვითარებისათვის ხედვის არსებობის აუცილებლობას და საშუალებას აძლევს სასწავლებელს იფიქროს განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლაზე. ეს ყოველივე კი დივერსიფიცირებული შეფასების სისტემით მიიღწევა, რომელსაც ნაწილობრივ მხარდამჭერი

ფუნქციაც ახასიათებს. სწორედ ეს მიდგომა გახდა საფუძველი ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შემუშავებისა. მისი მომზადების პროცესი წარიმართა ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. სასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომი იყო სხვადასხვა ტიპის ტექნიკური დახმარების ინიციატივები, მათ შორის აღსანიშნავია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ინტერვენციები: ავტორიზაციის ექსპერტთა პროფილების შექმნა, შერჩევის მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების შემუშავება, ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სქემისა და მეთოდოლოგიის განვითარება, ექსპერტთა სერტიფიცირების კონცეფციის შექმნა, სერტიფიცირების ტრენინგ პროგრამის მომზადება, გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში გამოყენებული ფორმების რევიზია და მთლიანი პროცესის მხარდაჭერა. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სასწავლებლების მხარდასაჭერად, სიმულაციური ვიზიტების სახით. განხორციელებული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, რომელიც ასახავდა ახალი სტანდარტების დასანერგად დაწესებულებების შესაძლებლობების საჭიროებებს სისტემურ და ინდივიდუალურ დონეზე, ასევე დაწესებულებების კმაყოფილების კვლევის საფუძველზე, რომელიც ასახავდა მიწოდებული მხარდამჭერი სერვისების მიმართულებით შედეგებს, 2020-2021 წლებში მომზადდა გზამკვლევები -სტანდარტების განმარტებები, მტკიცებულებათა გზამკვლევი, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო. ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, საინფორმაციო სემინარები, ასევე ტრენინგები დაწესებულებების ხარისხის სამსახურებისთვის, რომლებსაც მთლიანობაში დაესწრო 90 ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების 300-მდე წარმომადგენელი.

ავტორიზაციის ახალი სტანდარტებით დაწესებულებების შეფასების ახალ მიდგომებში ოთხ დღიანი ტრენინგი გაიარა ავტორიზაციის 113-მა ექსპერტმა. მომზადებულია გზამკვლევი პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის თემაზე, რომელიც წარმოადგენს დამხმარე მასალას უშუალოდ პროცესის დროს. ჩატარდა დაწესებულებების წარმომადგენლების ტრენინგები შეფასების სისტემის ვერიფიკაციასა და განმავითარებელი შეფასებების განხორციელებაში. მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით, 2020 წელს 85-მა დაწესებულებამ ცენტრში წარადგინა თვითშეფასების ანგარიშები, რომელთა ანალიზის შედეგად იდენტიფიცირდა სისტემური ხასიათის გამოწვევები და დაიგეგმა შემდგომი მხარდამჭერი ღონისძიებები. პროცესი ნაწილობრივ QMS სისტემის დახმარებით განხორციელდა, რომელიც მართვის საინფორმაციო სისტემის ინტეგრირებულ კომპონენტს წარმოადგენს და პროცესების სრულ ავტომატიზაციას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს უკვე დასრულდა QMS - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ავტომატიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა და დატრენინგდნენ დაწესებულებების მომხმარებლები, რაც უზრუნველყოფს დაწესებულებების თვითშეფასების პროცესის სრულს ავტომატიზაციას.

2021 წლიდან ცენტრის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, დაიწყო პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების სერტიფიცირება. სერტიფიკატი 5 წლის ვადით 47-მა სპეციალისტმა მოიპოვა. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტების ახალ კორპუსში პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების

კვოტით წარმოდგენილნი არიან სწორედ სერტიფიცირებული სპეციალისტები. 2021 წელს ცენტრმა ექსპერტთა კორპუსი გააძლიერა დამატებით 29 დარგობრივი კომპეტენციის მქონე ექსპერტით. ამჟამად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა კორპუსი შედგება 45 პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტისა და 140 დარგის ექსპერტისგან.

ასევე, 2020-2021 წლებში ორჯერ ჩაუტარდა ტრენინგი ავტორიზაციის საბჭოს, რომლის მიზანი იყო ახალი სტანდარტების გაცნობა და საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერება. 2020 წლიდან დაწესებულების მიერ პროგრამების ავტორიზაციისათვის გაკეთებული განაცხადები მთლიანად ახალი სტანდარტების საფუძველზე ფასდება. ახალი სტანდარტების შესაბამისად, 2020 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა 23-მა (20 სახელმწიფო, 3 კერძო) საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოიპოვა 135 ახალი პროგრამის განხორციელების უფლება. ხოლო 2021 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა 25-მა (19 სახელმწიფო, 6 კერძო) საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოიპოვა 107 ახალი პროგრამის განხორციელების უფლება. ასევე, ახალი სტანდარტების შესაბამისად ინსტიტუციური ავტორიზაცია 2021 წელს გაირა 6-მა საგანმანათლებლო დაწესებულებამ (4 საჯარო და 2 კერძო).

განათლებისა და მეცნიერები სამინისტრომ გააგრძელა იმ რეგულაციებისა და ახალი მექანიზმების იმპლემენტაციის პროცესი, რომლებიც ახალი კანონის შესაბამისად მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპის უზრუნველყოფისათვის, აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. სისტემაში საგანმანათლებლო ჩიხის დაძლევის მიზნით შექმნილი ახალი მიდგომა, მისი პრაქტიკული დანერგვისათვის მოითხოვს ყველა ჩართული მხარის კონსოლიდაციას და პროცესების თანმიმდევრულ დაგეგმარებას.

იმისათვის, რომ საგანმანათლებლო სერვისი ყოფილიყო შესაბამისი ხარისხის, სწორად ორგანიზებული და შედეგიანი, დაიგეგმა და ჩატარდა რიგი ღონისძიებები. ხარისხის უზრუნველყოფის არსებულ ჩარჩოში მოხდა ინტეგრირებული პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინება და შეიქმნა ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი მექანიზმები. 2021 წლის ივლისში ძალაში შევიდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი.

ბუნებრივია, უდიდესი ყურადღება დაეთმო პედაგოგების შერჩევას და მათ გადამზადებას, ვინაიდან საკითხი ეხებოდა ახალ ინიციატივას, ის მოითხოვდა მასწავლებლების უნარების და კომპეტენციების განვითარებას. ტრენინგები ხელმისაწვდომი იყო ასევე კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის და მისი მიზანს ინტეგრირებული პროგრამების ადმინისტრირების საკითხების სპეციფიკის გაცნობა წარმოადგენდა.

პროფესიულ განათლებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ასევე პროფესიული განათლების საფეხურზე ინკლუზიურობის პრინციპების პრაქტიკული

განხორციელების მიზნით, შემუშავდა წესი „პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიკაციისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების შესახებ“ რომლის დამტკიცებაც დაგეგმილია 2022 წელს.

- ასევე, 2021 წელს დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დანერგვისა და პროცესების ადმინისტრირების მიზნით, წარიმართა შესაბამისი სამუშაოები პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (E-vet.emis.ge) და სარეგისტრაციო სისტემაში (vet.emis.ge), როგორც აპლიკანტთა პირველადი ჩარიცხვის, ასევე დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით.
- Evet -ში ჩაშენდა ელექტრონული ანკეტა კითხვარის შევსებისა და მიღების გამოცხადების ფუნქციონალი.
- უზრუნველყოფილ იქნა Vet.emis.ge - აპლიკანტთა ონლაინ რეგისტრაციისთვის საჭირო ღონისძიებები.
- 2021 წლის მიღების ფარგლებში, სოფლის მეურნეობის მიმართულების პროგრამებისთვის, შერჩევის მეთოდად განისაზღვრა „პრაქტიკული სამუშაო შემთხვევების ანალიზი“. მართვის საინფორმაციო სისტემამ აღნიშნული მეთოდით შერჩევის ჩატარება უზრუნველყო ონლაინ ტესტირების სისტემის testing.emis.ge-ის გამოყენებით.
- შერჩევის ერთ-ერთ მეთოდად განსაზღვრული იყო ასევე, მოტივაციური გასაუბრება. რისთვისაც სარეგისტრაციო სისტემაში (vet.emis.ge) შეიქმნა ახალი ფუნქციონალი. ამ შერჩევის მეთოდისთვის დადგენილი კრიტერიუმებისა და კოეფიციენტების შესაბამისად, სისტემის მიერ განხორციელდა საბოლოო შედეგის ავტომატური გამოთვლა.
- Vet.emis.ge-ზე შეიქმნა შეფასების /ტესტირების განრიგისა და შედეგების ასახვისთვის საჭირო შესაბამისი ფუნქციონალი. ჩარიცხვის პროცედურების უზრუნველსაყოფად, წარიმართა შესაბამისი სამუშაოები რეიტინგული სიებისა და საბოლოო შედეგების ფორმირებისთვის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული შერჩევის მეთოდისთვის დადგენილი კრიტერიუმებისა და კოეფიციენტების შესაბამისად.

ზრდასრულთა განათლების სისტემა: ცნობილია, რომ განათლების მიღება და უნარების გაუმჯობესება მთელი ცხოვრების მანძილზე, ადამიანს სძენს მეტ თვითდაჯერებულობას და დადებითად აისახება ცხოვრების ხარისხზე. ადამიანის ბუნებრივი უნარი აღმოაჩინოს, შეიმეცნოს და განვითარდეს, მოითხოვს ისეთი შესაძლებლობების შექმნას, რაც წაახალისებს და განვითარების მუდმივ ციკლში დააბრუნებს ინდივიდს. შესაბამისად, განვითარებული ქვეყნები კვალიფიციური სამუშაო ძალის ფორმირების მიზნით, განსაკუთრებულად დიდ ყურადღებას უთმობენ ისეთი სისტემების, სერვისების შექმნას, სადაც ადამიანების აღნიშნული ინტერესები და მისწრაფებები ადვილად კმაყოფილდება. მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპი მხოლოდ ფორმალური განათლების სისტემის ფარგლებში არ რეალიზდება. ამ შეთხვევაში თანაბრად მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობაც. შრომის ბაზრის მოთხოვნების და პერსონალური ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, ეს ორი სისტემა ქმნის საგანმანათლებლო სერვისებს, რომელთა მთავარი ამოცანაა, იყოს ხარისხიანი და ყველასათვის ხელმისაწვდომი.

2020-2021 წლებში სამინისტროს კოორდინაციით, გაგრძელდა ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარების პროცესი, რაც გულისხმობს მრავალფეროვანი პროგრამების დანერგვას,

დაფინანსების უზრუნველყოფას, სერვისების პოპულარიზაციასა და ახალი მოქნილი პროცედურების შექმნას. მიუხედავად პანდემიის გამო შეფერხებული პროცესებისა, სისტემის დანერგვიდან დღემდე, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება მოპოვებული/დადასტურებული აქვს 77 იურიდიულ პირს 349 პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე. აქედან, 60 საგანმანათლებლო ტიპის მქონე დაწესებულებაა (სახელმწიფო საგანმანათლებლო 35, კერძო საგანმანათლებლო 25), ხოლო 17 არასაგანმანათლებლო (სახელმწიფო არასაგანმანათლებლო 1, კერძო არასაგანმანათლებლო 16) ჯამურად, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხულია დაახლოებით 7000 მსმენელი. სისტემის დანერგვიდან დღემდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დააფინანსა 40 იურიდიული პირის (33 სახელმწიფო საგანმანათლებლო, 1 სახელმწიფო არასაგანმანათლებლო; 2 კერძო საგანმანათლებლო, 4 კერძო არასაგანმანათლებლო) 237 პროგრამა, რომელზეც ჩარიცხულია 3500-ზე მეტი მსმენელი. მომზადებული კადრები არქიტექტურისა და მშენებლობის, ბიზნესისა და ადმინისტრირების, ინჟინერიისა და საინჟინრო საქმის, მეღვინეობის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების, მეთევზეობის, მეტყევეობის, პერსონალური მომსახურებების, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის მომსახურების, წარმოებისა და გადამუშავებისა და ხელოვნების სფეროსთვის სპეციფიურ უნარებს დაეუფლნენ.

2021 წელს ასევე GIZ-ის მხარდაჭერით მომზადდა პროფესიული მომზადების პროგრამა - „მსუბუქი ავტომობილების დიაგნოსტირება“, ასევე GIZ-თან, საქართველოს ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციასთან და კომპანია „ნოვა“-სთან ერთობლივი თანამშრომლობით 2 ახალი პროფესიული გადამზადების პროგრამა - „სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაცია“ და „ხიდურა ამწის ოპერირება“. გარდა ამისა, GIZ-თან აქტიური პარტნიორობით შემუშავებულია და პროფესიული მომზადების პროგრამა - „ალუმინის და მეტალო-პლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“, რომლის განხორციელება დაგეგმილია შპს „დიო“-სთან ერთად მათ საწარმოო ბაზაზე.

ზრდასრულთა განათლების სისტემის დანერგვის შემდეგ, 2020 წლიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება–გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“ გახდა ფორმალური განათლების ფარგლებში პროფესიული მომზადება/გადამზადების სისტემის ნაწილი. შესაბამისად, 2020-2021 წლებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება/გადამზადება განხორციელდა ფორმალური პროგრამების ფარგლებში.

პროფესიული მომზადება-გადამზადების კურსების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დასანერგად, ასევე პროვაიდერთა შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ წარმატებით განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერილი 2 წლიანი საგრანტო პროექტი. პროგრამის ფარგლებში 2020 წელს განხორციელდა აქტივობები პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს, ცენტრის თანამშრომლებისა და პროფესიული მომზადების/გადამზადების ექსპერტთა კორპუსის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით,

შემუშავდა სახელმძღვანელო პროფესიული მომზადება/გადამზადების ექსპერტთა კორპუსისათვის, ჩატარდა 4 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50 პროვაიდერის 100-ზე მეტმა პირმა.

საქართველოში ზრდასრულთა ფორმალური განათლების სისტემის განვითარებისა და ხელშეწყობის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაცია (DVV International), რომელთა მხარდაჭერით ზრდასრულთა განათლების კოორდინატორთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით 2021 წელს 2 ტრენინგი განხორციელდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და DVV International-ის ფინანსური მხარდაჭერით, 2021 წლის დეკემბერში პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა პირველად ჩატარდა საქართველოში. იგი წარმოადგენს სამიზნე ჯგუფის ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ რეტროსპექტულ ხედვას, ასევე შედეგების შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც მოიცავს იმ მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი ცვლილებების (პოზიტიური ან ნეგატიური; დაგეგმილი ან დაუგეგმავი) სისტემატურ ანალიზს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში დასაქმების კუთხით. კვლევა გვაძლევს ინფორმაციას, თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა). მიღებული მონაცემები მოიცავს, როგორც კურსდამთავრებულთა შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას, ასევე მათ აღქმებს და შეფასებებს.

მიღებული შედეგების თანახმად, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 76.4%-ს. მიმართულებების მიხედვით დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი განათლების, ინჟინერია, წარმოება და მშენებლობის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების მიმართულებების კურსდამთავრებულებს შორის გამოვლინდა. კურსდამთავრებულთა შორის თვითდასაქმების მაჩვენებელი 16.9%-ია.

პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარების ახალი მოდელი: პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების მთავარი პირობა, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების მოდიფიცირების პარალელურად, კვალიფიციურ მასწავლებელთა კორპუსია. ბრიტანეთის კარგი მმართველობის ფონდისა და მსოფლიო ბანკის პროექტის „პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება“ ფარგლებში 2020-2021 წლებში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა, ისეთ საკვანძო საკითხებზე როგორიცაა: პროფესიული განვითარების ახალი მოდელი, მასწავლებლის სტანდარტი, ანაზღაურების ახალი სქემა და სხვ.

პროფესიული განვითარების ახალი მოდელის შემუშავების პარალელურად, 2020 წელს განხორციელდა მასწავლებელთა შესაძლებლობების განვითარება. მეწარმეობის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის დაიწყო პედაგოგების კომპეტენციების გაძლიერება და ახალი მოდულის გამოყენებით გადამზადებული მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 374 მასწავლებელს.

2020-2021 წლებში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა პროფესიული კვალიფიკაციების განახლების მიმართულებით. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, გაეროს საგრანტო პროექტისა და სამინისტროს ერთობლივი მუშაობით, მომზადდა „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესი“, ასევე GIZ-ის მხარდაჭერით დასრულდა მუშაობა კვალიფიკაციების განვითარების ახალი მეთოდოლოგიაზე, რომელიც აისახება ზემოხსენებულ წესში და რომელიც დამტკიცდება 2022 წელს.

ინფრასტრუქტურული პროექტები: პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, რეგიონული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროვაიდერების არსებობას და მრავალფეროვანი პროგრამების ხელმისაწვდომობას ისეთ დიდ მუნიციპალიტეტებში, სადაც მაღალია მოსახლეობის რიცხოვნობა და დასაქმების პოტენციალი. სწორედ აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში წარმატებით გაგრძელდა ინფრასტრუქტურული პროექტები ახალ ლოკაციებზე, ისევე როგორც არსებული შენობების სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია და სახელოსნოების მშენებლობა. ინტენსიური მუშაობის შედეგად დასრულდა შიდა ქართლის რეგიონში, კასპის მუნიციპალიტეტში 200 სტუდენტზე გათვლილი მულტიფუნქციური კოლეჯის მშენებლობა, რომელიც აღიჭურვა ინვენტარით. კოლეჯმა 2021 წელს გაიარა ავტორიზაცია და ჩაერთო 2021 წლის მიღებაში.

2021 წლიდან პროფესიული განათლების სისტემაში ამოქმედდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის ერთიანი წესი, რომლის თანახმად, 2021 წელს პირველად, ერთიანი მიღების ფარგლებში, გახდა შესაძლებელი პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა არა მხოლოდ საჯარო, არამედ ყველა კერძო დაწესებულებაში. ამდენად, ყველა ავტორიზებული, მათ შორის, კერძო დაწესებულება სტუდენტებს მხოლოდ ერთიანი მიღების ფარგლებში, საერთო პლატფორმის მეშვეობით იღებს. აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი მექანიზმები, რაც, პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, სტუდენტთა შერჩევა-შეფასების მიმართულებით გაცილებით მოქნილ მიდგომებს ითვალისწინებს - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, პარტნიორ ორგანიზაციებთან, მათ შორის დამსაქმებლებთან ერთად, თავად უზრუნველყოფენ სტუდენტთა შერჩევის პროცესის ორგანიზებას. ხოლო, უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველებმა გაიარეს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირება.

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, 2020 წელს საქართველოს მთავრობის ინიციატივა, პროფესიული სტუდენტების სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, შეიძლება უპრეცედენტოდ ჩაითვალოს. საქართველოს პარლამენტის მიერ მხარდაჭერილი ცვლილება საქართველოს კანონში „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ ითვალისწინებს პროფესიული სასწავლებლების სტუდენტების სავალდებულო სამხედრო სამსახურის ერთჯერადად, სწავლის პროცესში, გადავადებას. ამ დისკრიმინაციის აღმოფხვრა, უკვე 2020 წელს ჩარიცხულ ახალგაზრდებს შესაძლებლობას მისცემს სასურველ პროგრამაზე სწავლა დაასრულონ, კონკრეტული საქმის

სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ, შესაბამისი კვალიფიკაცია მიიღონ და სწორედ ამის შემდეგ დაიწყონ სავალდებულო სამხედრო სამსახური.

დისტანციური სწავლების ხელშეწყობა: 2020 წელს COVID 19 პანდემიით გამოწვეულმა რეალობამ, საგანმანათლებლო სისტემაში, განათლების ყველა საფეხურზე, მათ შორის პროფესიული განათლების სფეროშიც, დღის წესრიგში დააყენა დისტანციურად საგანმანათლებლო სერვისებით, სტუდენტთა უზრუნველყოფის საკითხი. პროფესიული განათლების სპეციფიკიდან გამომდინარე, ცხადია, სირთულეები შეიქმნა პრაქტიკული სწავლების ნაწილში, რაც შეადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 50%-ზე მეტს. შესაბამისად, გარდა იმისა, რომ ონლაინ რეჟიმში სწავლებისათვის აუცილებელია შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფა, როგორც მასწავლებლების, ასევე სტუდენტებისთვის, აგრეთვე არანაკლებ მნიშვნელოვანია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირება სწავლების დისტანციური მეთოდისთვის. გამოწვევის საპასუხოდ, სამინისტრომ დაგეგმა და განახორციელა რიგი ღონისძიებები, რომელთა მიზანი იყო სასწავლებლების მხარდაჭერა, როგორც ტექნიკურ, ორგანიზაციულ ნაწილში, ასევე შინაარსობრივი კუთხით. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ, ყველა ავტორიზებული პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული მასწავლებლებისა და პროფესიულ სტუდენტებისთვის, შეიქმნა ანგარიშები Microsoft 365 Teams-ით დისტანციური სწავლების უზრუნველყოფისთვის და ხორციელდება ამ პროცესის საინფორმაციო და ტექნიკური მხარდაჭერა.

2020 წელს დასრულდა 2 პროფესიული კოლეჯის შენობის მშენებლობა, 2021 წელს მიმდინარეობს 5 პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა. მიმდინარეობს სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის პროფესიული განყოფილების სასწავლო კორპუსის და სახელოსნოების სრული რეაბილიტაცია.

2020 წელს დასრულდა 2 კოლეჯის: სსიპ-კოლეჯი "ახალი ტალღა"-ს და სსიპ-კოლეჯი „იბერია“-ს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2021 წელს განხორციელდა სსიპ კოლეჯი „აისი“-ს კაჭრეთის ტერიტორიაზე სასწავლო სახელოსნოსთვის დაბალი ძაბვის ელექტრო ქსელის მოსაწყობად საჭირო კაბელის შესყიდვისა და თანმდევი სამონტაჟო სამუშაოები, სახელოსნოები.

2020 წელს დასრულდა 2 ლოკაციაზე სხვადასხვა მოდულის სახელოსნოების მშენებლობა.

2021 წელს დასრულდა 8 ლოკაციაზე სხვადასხვა მოდულის სახელოსნოების მშენებლობა.

<u>ინდიკატორი:</u>

<u>1: პროფესიული განათლებიდან განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებლის ზრდა</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომლებმაც გააგრძელეს სწავლა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (კურსდამთავრებულთა კვლევა)

წელი	**ჩარიცხულების რაოდენობა**
2018	8%
2019	7%
2020	4.4%

2: ზრდასრულთა განათლების პროგრამებში მონაწილეობის მაჩვენებლის ზრდა

პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებში ჩართული მსმენელების რაოდენობა. წლების მიხედვით

ჩარიცხვის წელი	**სტუდენტთა რაოდენობა**
2019	**443**
2020	2031
2021	4000

სტრატეგიული ამოცანა: პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მიმზიდველობის გაზრდა

ამოცანის შესრულების ანგარიში:

პროფესიული განათლების იმიჯის გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდშიც პრიორიტეტულ საკითხთა ჩამონათვალში დარჩა. პანდემიით გამოწვეული გარემოებების გათვალისწინებით, აღნიშნული ამოცანის შესრულება კიდევ უფრო გართულდა, ვინაიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამიზნე ჯგუფი - სკოლის მოსწავლეები, რომლებიც სკოლაში პრაქტიკული მოსინჯვით იღებდნენ ინფორმაციას პროფესიების შესახებ, გადავიდნენ სახლიდან დისტანციურ ან/და შერეულ სწავლებაზე. „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების“ პროგრამის მასშტაბის გაზრდა 2020-2021 წლებში, ცხადია, შეუძლებელი გახდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ აზიის განვითარების ბანკთან თანამშრომლობით, შეფასდა და შეიქმნა 20-ზე მეტი სამიზნე სკოლის სია, სადაც დაგეგმილია პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის, შესაბამისი რესურსების მობილიზება 2022 წლიდან.

„სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა“ წარმოადგენს კარიერის მართვის სერვისის ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტს, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია

პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე ახალგაზრდებში, ასევე ხელი შეუწყო სკოლისა და კოლეჯის თანამშრომლობის გაძლიერებას. აღსანიშნავია, რომ პროგრამამ 2018 წლიდან დღემდე, 15 000 მოსწავლე მოიცვა, განავითარა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გაზარდა სექტორის შესახებ ცნობიერება, როგორც მოსწავლეებში, ასევე მათ მშობლებში. მიუხედავად პროგრამის ეფექტურობისა, მთლიანად განათლების სისტემაში დღემდე ფრაგმენტულია კარიერის მართვის სერვისების დანერგვის საკითხი.

სამინისტრომ კერძო სექტორთან აქტიური დიალოგის შენარჩუნების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, ცალკეულ ბიზნეს გაერთიანებებთან და დარგობრივ ასოციაციებთან ჩაატარა ონლაინ შეხვედრები სახელწოდებებით - "პროფესიული განათლება ბიზნესისთვის კოვიდ-19-ს შემდეგ" და "პროფესიული განათლება ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის". ინტენსიური შეხვედრების მიზანი იყო საჯარო-კერძო სექტორებს შორის დიალოგი და აქტიური დისკუსია პანდემიით გამოწვეული პრობლემების იდენტიფიცირებისა და პროფესიული განათლების კონტექსტში, მათი შესაძლო გადაჭრის გზების შეთავაზების კუთხით.

2020 წლის ნოემბერში ევროპის განათლების ფონდმა (ETF), პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით, ჩაატარა ევროპის უნარების კვირეული-2020 (European Skills Week- 2020). COVID-19 პანდემიის გამო ღონისძიებები გაიმართა ონლაინ. კონფერენციაში, სამუშაო ჯგუფებსა თუ სემინარებში, მონაწილეები ჩართულნი იყვნენ ონლაინ პლატფორმის მეშვეობით. უნარების ევროპული კვირეულის გაგრძელება და წლის შეჯამება იყო საქართველოში დეკემბრის დასაწყისში, გამართული ონლაინ მასშტაბური ღონისძიება, რომელიც სამინისტროს და მისი პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობით გაიმართა. პროფესიული განათლების კვირეული (Skills Week Georgia) ოთხი დღის მანძილზე, ისეთ აქტუალურ თემებს მიეძღვნა, როგორებიცაა: პანდემია და მისი გავლენა პროფესიულ განათლებაზე, გამოწვევები, გადაჭრის გზები, მასწავლებელთა შესაძლებლობები, კერძო სექტორი და უნარებზე მოთხოვნა პანდემიის პირობებში, საერთაშორისო მხარდაჭერა და სხვ.

2021 წელს სამშენებლო და ტურიზმის მიმართულებით კოლეჯ „ახალი ტალღისა" და „ბლექსის" დუალური პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულებისა და მათი დამსაქმებლების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. ასევე კოლეჯ „სპექტრში" გაიმართა საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორუმი, რომელსაც კოლეჯის პარტნიორი კომპანიები ესწრებოდნენ.

ასევე, 2021 წელს, სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა პროფესიული განათლების მიმართულებით ჩართულ ბიზნეს სექტორთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის როლი. პროფესიული პროგრამების განხორციელებაში ჩართულმა კერძო კომპანიებმა შეხვედრის მონაწილეებს თავიანთი საქმიანობის შედეგები და წარმატებული მაგალითები გააცნეს.

მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოდელის შექმნის გარდა, დასრულდა პროფესიული განათლების საინფორმაციო ვებ პორტალის შექმნის პროცესი. სპეციალურად შექმნილმა ტექნიკურმა ჯგუფმა, განათლების მართვის საინფორმაციო

სისტემასთან თანამშრომლობით და სამინისტროს ჩართულობით, დაასრულა მუშაობა ვებგვერდის ახალი ვერსიის განვითარებაზე. აღნიშნული კომპონენტი, გარდა პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობისა, მიზნად ისახავს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების მხარდაჭერას.

2021 წლის ნოემბერში, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მხარდაჭერით, გაიმართა პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს რიგით მეოთხე დაჯილდოება. კონკურსი ჩატარდა ხუთ სხვადასხვა კატეგორიაში - პროფესიული განათლების სტუდენტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, საგანმანათლებლო პროგრამა, მომზადების/გადამზადების პროგრამა და წლის ბიზნეს პარტნიორი. „პროფესიული განვითარების ეროვნული ჯილდოს“ მთავარი მიზანია, პროფესიული განათლების პოპულარიზება, ქვეყანაში პროფესიული პროგრამების, მასწავლებლების, სტუდენტებისა და ბიზნეს პარტნიორების წარმატების ისტორიების წარმოჩენა.

ასევე, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, პროფესიული განათლების შესაძლებლობებისა და სხვადასხვა პროფესიების შესახებ სკოლის მოსწავლეთა ინფორმირების მიზნით, სკოლებში სახალისო და, ამავდროულად, შემეცნებითი ონლაინ ღონისძიებები გაიმართა. აქტივობებში ჩართული იყო 40 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების 800 მოსწავლე, რომლებიც სხვადასხვა პროფესიების სპეციფიკას, კოლეჯების სასწავლო პროცესსა და კომპანიების მუშაობის პრინციპებს გაეცნენ. მოზარდებს მათთვის საინტერესო პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიღებისა და ამ პროფესიით მომუშავე სპეციალისტებთან შეხვედრის შესაძლებლობა მიეცათ.

პროფესიული განათლების პოპულარიზაციას და პროფესიული კვალიფიკაციების გაძლიერებას ემსახურებოდა მედიისა და ტელე ხელოვნების პროფესიული კოლეჯისა და კოლეჯი „იკაროსის“ ერთობლივად ორგანიზებული კულინარიული კონკურსი. კონკურსში მონაწილეობა მიიღო საქართველოში კულინარიის მიმართულებით არსებულმა 10-მდე პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ.

<u>ინდიკატორი:</u>

1. საზოგადოების ცნობიერების დონის ზრდა პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით

პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევის (2015 წ) თანახმად, გამოკითხულთა 72% აღნიშნავს, რომ მოსახლეობის დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ იცვლება დადებითად. როგორც ზემოთ აღინიშნა, 2022 წელს ამ მიმართულებით ჩატარდება ახალი კვლევა.

3. უმაღლესი განათლება

<u>სტრატეგიული ამოცანა:</u> **უმაღლესი განათლების სისტემის შემდგომი მოდერნიზაცია, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და ხარისხის ამაღლება**

<u>ამოცანის შესრულების ანგარიში:</u>

უმაღლესი განათლებისა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით არაერთი ღონისძიება განხორციელდა. გაგრძელდა ერთობლივი პროგრამების ხელშეწყობა. 2021 წ. ოქტომბერში გაიმართა ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის კიდევ ერთი ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამის ოფიციალური გახსნა. საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა და ფრანგულმა ინსტიტუტმა სუპაგრო მონპელიემ ხელი მოაწერეს ერთობლივ ორმაგ სამაგისტრო პროგრამას მეღვინეობა-მევენახეობაში ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ფარგლებში. ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ეს ახალი პროგრამა ხელს შეუწყობს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებების განვითარებას მეღვინეობის სფეროში, რომელიც ქართულ ეკონომიკასა და იდენტობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

„ვისწავლოთ საქართველოში" პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ABET აკრედიტებული STEM საბაკალავრო პროგრამები, რაც გაზრდის საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის საერთაშორისო დონეზე სანდოობასა და მიმზიდველობას.

აღსანიშნავია მეგა-პროექტის – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის განვითარება. 2021 წელს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტების მეორე ნაკადი ჩაირიცხა. უნივერსიტეტი ახალგაზრდებს დასავლური სტანდარტების საგანმანათლებლო სივრცეს და სასწავლო პროგრამებს, დარგის წამყვან ქართველ და უცხოელ პროფესორებს, უნიკალურ ინფრასტრუქტურას სთავაზობს. აღნიშნულის აღიარებაა უნივერსიტეტის რეიტინგი. ფუნქციონირების მეორე წელს, უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების ერთიან ეროვნულ გამოცდებში საშუალო საკონკურსო ქულის მიხედვით, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი რეიტინგით უკვე ნომერ პირველი უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში. ეს მნიშნელოვანი აღიარებაა.

უნივერსიტეტი 2021 წელს წარსდგა ამერიკის რადიაციული ონკოლოგიის წლიურ შეხვედრაზე, სადაც მიღწეულ იქნა შეთანხმება KIU-ს პროტონული თერაპიის ცენტრის თანამშრომლობის თაობაზე სამედიცინო აპარატურის მწარმოებელ, დარგის წამყვან კომპანიებთან, როგორც დიაგნოსტიკის ასევე მკურნალობის მიმართულებით.

სამეცნიერო თანამშრომლობის მხრივ ადრონული თერაპიის ცენტრი იწყებს საერთო პროექტების დაგეგმვას მოლეკულური მედიცინის ინსტიტუტთან ბოსტონში. შედგა საინტერესო შეხვედრები ჰარვარდის მედიცინის სკოლის წარმომადგენლებთან, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს უნივერსიტეტის განვითარების პროექტს და მოგვცეს მნიშვნელოვანი რეკომენდაციები უნივერსიტეტში სამედიცინო განათლების დამატებასთან დაკავშირებით.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და კომპანია IBA-ს შორის კონტაქტის ფარგლებში ბელგიაში მიმდინარეობს უნივერსიტეტისათვის განკუთვნილი ორი ციკლოტრონის ტიპის ამაჩქარებლის წარმოება.

უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამატებასა და საერთაშორისო პარტნიორობის გაღრმავებაზე. მიმდინარეობს მოლაპარაკებები მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან.

გაგრძელდა სხვადასხვა სახელმწიფოსთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეებისთვის აკადემიური მობილობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება (ERASMUS+, Fulbright, DAAD და განათლების საერთაშორისო ცენტრის სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში). პანდემიის მიუხედავად, 130-ზე მეტი სტიპენდია გაიცა საზღვარგარეთ სწავლის მსურველი ახალგაზრდებისთვისაც.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, საქართველოს მთავრობის ფინანსური ძალისხმევით, პირველად ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში, ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრში ქართველოლოგიის პროგრამა ამოქმედდა. ქართველოლოგიის პროგრამა შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან: (1) კვლევა და აკადემიური გაცვლები; (2) სწავლება და (3) საკომუნიკაციო აქტივობები. ქართველოლოგიის პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს კვლევებს, სამეცნიერო და აკადემიურ გაცვლებს. ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, ასევე ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელებას. პროგრამის ფარგლებში, ქართველი და ამერიკელი პროფესორ-მასწავლებლები აშშ.-ს და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებსა თუ არქივებში კვლევითი და კოლაბორაციული საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებისათვის მიიღებენ ფინანსურ მხარდაჭერას.

უმაღლესი განათლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ხარისხის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციაა. შემუშავდა კლასტერული აკრედიტაციის კონცეფცია, აკრედიტაციის სტანდარტები, პროცედურები და კლასტერულ აკრედიტაციაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა. ევროკავშირის დაფინანსებული დაძმობილების პროექტის (TWINNING) მხარდაჭერით, ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსა (EKKA) და გერმანიის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (AQAS) თანამშრომლობით, კლასტერული აკრედიტაციის პილოტირება სამ უნივერსიტეტში

განხორციელდა: ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პილოტირებაში ჩართულები იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ექსპერტები გერმანიიდან, ესტონეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან.

სადოქტორო პროგრამების სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების მიზნით, შემუშავდა სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ჩარჩო დოკუმენტი, რომელმაც გაითვალისწინა დამატებითი მოთხოვნები კვლევითი კომპონენტის ორგანიზების კუთხით, დაზუსტდა და დაიხვეწა სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვასთან დაკავშირებული პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტი დაეფუძნა ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტებს, როგორიცაა: ზალცბურგი II რეკომენდაციები, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის რეკომენდაციები, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის, დიდი ბრიტანეთის, ირლანდიის, გერმანიისა და ესტონეთის სტანდარტები და სხვა.

განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრთა პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევა და PLA ღონისძიებები. გამართულ სესიებში ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ ესტონური ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს EKKA-ს, ევროპის სტუდენტთა ასოციაციის ESU-ს, ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრის EQAR-ის, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის ENQA-ს და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) წარმომდგენლები.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსების განვითარებისა და სრულყოფის მიზნით, გამოცხადდა ახალი კონკურსები ექსპერტების შერჩევისთვის. ასევე, დაიწყო აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის ეტაპობრივი ატესტაციის პროცესი. ცენტრის საერთაშორისო ექსპერტთა ბაზის სრულყოფის მიზნით, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის ENQA-ს და ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის EUA-ს ვებგვერდებზე განთავსდა ცენტრის განცხადებები ექსპერტების შერჩევისთვის.

დაიწყო მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის განახლება, რომელიც ითვალისწინებს თემატური კვლევის შედეგებს, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) და სამედიცინო სფეროს საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების რეკომენდაციებს.

<u>ინდიკატორი</u>

<u>1.უცხოენოვანი აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა</u>

საფეხური	**პროგრამები**
ბაკალავრიატი	59
დოქტორანტურა	14
ერთსაფეხურიანი სამედიცინო	29
მაგისტრატურა	34
მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	1

2.<u>ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ჩართული არიან სწავლებასა და კვლევაში</u>

ის წელი	ულები
2017	43989
2018	44007
2019	43095
2020	45676
2021	46861

<u>**სტრატეგიული ამოცანა:**</u> **ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა**

<u>**ამოცანის შესრულების ანგარიში:**</u>

გაგრძელდა სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამები. 2020-2021 სასწავლო წლის სწავლის საფასურით დაფინანსდა აგრეთვე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები 2355 სტუდენტი. ბიუჯეტმა შეადგინა 4,380,087.50 ლარი.
სამინისტროს სოციალური პროგრამების ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტი მოიპოვა 2021-2022 სასწავლო წელს 1420 სტუდენტმა, ხოლო სასწავლო სამაგისტრო გრანტი 106 სტუდენტმა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მიხედვით. სახელმწიფო პროგრამების ბიუჯეტმა შეადგინა 2 725 000 ლარი.
„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სახელმწიფო სტიპენდიით, თვეში 150 ლარის ოდენობით, უზრუნველყოფილი იქნა 16 სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 3025 სტუდენტი, ხოლო 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში - 11 სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 3029 სტუდენტი. ასევე, დიმიტრი გულიას და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიით, თვეში 300 ლარის ოდენობით, 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში უზრუნველყოფილია 6 სტუდენტი. ხოლო 2021-2022 სასწავლო

წლის შემოდგომის სემესტრში უზრუნველყოფილია 5 სტუდენტი პროგრამის ჯამურმა ბიუჯეტმა შეადგინა 4,604,700.0 ლარი.

ინდიკატორი:

1.მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა უმაღლეს განათლებაში

სტუდენტთა მონაცემთა ბაზებში შესაბამისი მონაცემები ასახული არ არის. სამინისტრო ფლობს ინფორმაციას მხოლოდ სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სტუდენტების შესახებ, კერძოდ 2020 წელს სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა 1436 სტუდენტი, 2021 წელს- 1420 სტუდენტი.

რაც შეეხება სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების შესახებ სტატისტიკას შესაბამისი მონაცემები დაცული არ არის, თუმცა სამინისტროს გააჩნია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მოწოდებული მონაცემები.

გასათვალისწინებელია, რომ მონაცემები მოწოდებულ იქნა 36 უსდ-ს მიერ, რომელთაგან 26-მა მიუთითა, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში სწავლობდნენ შშმ სტუდენტები - სულ 260 სტუდენტი.

2009 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, სოციალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა 421 შშმ სტუდენტი. 2019 წლიდან 1 აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირი.

2.სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ დაფინანსების სხვადასხვა შესაძლებლობით

2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, სახელმწიფო საგრანტო და სხვა ტიპის პროგრამული დაფინანსებით, ისარგებლა ჯამში 57046 სტუდენტმა, ხოლო 2021 წლის 1/15 ნოემბრის მდგომარეობით - 56619 სტუდენტმა.

5. მეცნიერება, ტექნოლოგია და ინოვაცია

<u>სტრატეგიული ამოცანა:</u> მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში გამორჩეული ხარისხის მისაღწევად საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) ეკო-სისტემის განვითარება.

<u>ამოცანის შესრულების ანგარიში:</u>

ფონდი „ქართუ"-ს დაფინანსებით მიმდინარეობს სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში ადრონული თერაპიის ცენტრის ჩამოყალიბების პროცესი. ცენტრი საქართველოში მეცნიერების განვითარების კუთხით უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს. ცენტრში განთავსდება ორი ციკლოტრონი, რომელთა დამზადება მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან კომპანიაში (IBA) მიმდინარეობს. ერთი ციკლოტრონი მოხმარდება სიმსივნის მკურნალობას, მეორე კი განკუთვნილი იქნება სამეცნიერო-კვლევითი პროცესისთვის სამედიცინო და ბირთვულ ფიზიკაში.

SARS-CoV-2 ვირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული პანდემიის პირობებში ბიოსამედიცინო მეცნიერებების, კონკრეტულად კი - იმუნოლოგიის და მიკრობიოლოგიის სფეროში, პანდემიის ეფექტური მართვის ხელშეწყობისათვის ამოქმედდა ქვეპროგრამა „ბიოსამედიცინო მეცნიერების მიმართულებით ინტერდისციპლინური სასწავლო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერა". აღნიშნული ქვ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსებით მოხდება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე SARS-CoV-2 ვირუსის მიერ გამოწვეული COVID-19 პანდემიის დიაგნოსტიკის, მონიტორინგისა და მსგავსი ეპიდემიოლოგიური გამოწვევების მართვისთვის საჭირო ინტერდისციპლინური სწავლების, კვლევისა და პროფესიული განვითარების საჭირო უნარების განვითარების მიზნებისათვის მაღალტექნოლოგიური, თანამედროვე კვლევითი აპარატურის შესყიდვა და მაღალკვალიფიციური, ლაბორატორიის ამოქმედება. აღნიშნული სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების სტუდენტებისათვის თანამედროვე ლაბორატორიული უნარ-ჩვევების გაღრმავებას და, მეორე მხრივ, მოქმედი აკადემიური პერსონალისა და პოტენციურად ახალი კადრების შესაბამისი პროფესიული მიმართულებით განვითარებას.

2021 წლიდან ამოქმედდა სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომლის მიზანია ზემოაღნიშნული უნივერსიტეტების დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების აღჭურვა თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი აპარატურით, სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამებით, კომპიუტერული ტექნიკით, საჭირო მასალებით, სათანადო ლიტერატურის შეძენის და არსებული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ფუნქციური გაუმჯობესების ან/და სათადარიგო ნაწილების შესყიდვისათვის, აუცილებელი სახსრებით უზრუნველყოფა.

2021 წლიდან ამოქმედდა ქვეპროგრამა „ღია მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა“, რომლის მიზანია სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, მათ შორის სსიპ - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტეგრირებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პროდუქტიულობისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაცის ხელმისაწვდომობის მიზნით ბოლო 20 წლის განმავლობაში, ადგილობრივი თუ საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული გრანტების ფარგლებში განხორციელებული პროექტების, გამოცემული პუბლიკაციების და არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნა და ამ ბაზის ღიაობის უზრუნველყოფა.

ინდიკატორი:

1.შიდა, სექტორებს შორის და ინტერდისციპლინარული ერთობლივი პროექტებისა და პროგრამების რაოდენობა

მიმდინარეობს სტრატეგიული ამოცანის შესრულების პროცესი.

სტრატეგიული ამოცანა: ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) როლის, სტატუსისა და ღირებულების გაძლიერება და მისი, როგორც ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, ეროვნული პრიორიტეტის პოზიციონირება.

ამოცანის შესრულების ანგარიში:

ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) როლის, სტატუსისა და ღირებულების გაძლიერებისა და მოსახლეობაში ცნობადობის ამაღლების მიზნებიდან გამომდინარე 2021 წლიდან მნიშვნელოვანი დივერსიფიკაცია განიცადა პროგრამის „მეცნიერების პოპულარიზაცია“ განხორციელების მიმართულებებმა. კერძოდ:

1. საფუძველი ჩაეყარა ყოველწლიურ ეროვნულ სამეცნიერო ფორუმს, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე სამეცნიერო პროცესებისა და აქტუალური სამეცნიერო თემების შეჯამებას ისახავს მიზნად.

2. პირველად განხორციელდა კონკურსები ქართული ენის პოპულარიზაციის მიმართულებით - კონკურსი „ანიდან ჰოემდე“ - საზღვარგარეთ მცხოვრები მოსწავლეებისთვის ქართულენოვანი სტატიებისა და ვიდეო რგოლების კონკურსი ქართული ანბანის თემაზე. კონკურსი ჩატარდა 2021 წლის ნოემბერ-დეკემბერში და მიზნად ისახავდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ მოსწავლე-ახალგაზრდებში ქართული ენისა და ანბანის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და მის პოპულარიზაციას, ქართული ენის ცოდნის განმტკიცებას. 14 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ

ტრენინგი ქართული ანბანის წარმოშობის თეორიებისა და ისტორიის თემაზე უცხოეთის ქართული დიასპორის მოსწავლეებისთვის.

3. 2021 წლის 14 აპრილს მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამის ფარგლებში დაიდო მემორანდუმი ვიკიპედიის მომხმარებელთა ქართულ ჯგუფს შორის, რომელიც ქართულ ვიკიპედიაში საქართველოს მეცნიერების შესახებ ცნობიერების ამაღლებას ემსახურება. მემორანდუმის საფუძველზე წლის განმავლობაში გამოცხადდა კონკურსი „ქართველოლოგია ვიკიპედიაში“. კონკურსი რამდენიმე ნომინაციისგან შედგებოდა და ქართველოლოგიის დარგებისა და მათი მიღწევების, ქართველოლოგ მეცნიერთა და ქართულ ხელნაწერთა შესახებ საუკეთესო სტატიების გამოვლენას ითვალისწინებდა. კონკურსის ფარგლებში შეიქმნა და ქართულ ვიკიპედიაში განთავსდა 76 სტატია ქართველოლოგიის თემაზე.

4. პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა ვიდეო პროექტი „საქართველოს მეცნიერთა მატიანე“, რომელიც ღვაწლმოსილ მეცნიერთა შესახებს ცნობიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად. პროექტის ფარგლებში მომზადდა ვიდეო რგოლები მეცნიერთა, მათ შორის - ქართველოლოგ მეცნიერთა შესახებ.

<u>ინდიკატორი:</u>

<u>1.ახალგაზრდა მკვლევრების რაოდენობა</u>

2.ა) კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებით ჩატარებული ერთი ინტერდისციპლინური სამეცნიერო ფორუმი;

3.ბ) კონკურსებში ჩართული 100-მდე მონაწილე;

4.გ) ქართველოლოგიის თემაზე ვიკიპედიაში განთავსებულ 76 სტატია;

5.დ) პროექტის „საქართველოს მეცნიერთა მატიანე“ ფარგლებში მომზადებული 30-მდე ვიდეორგოლი.

<u>სტრატეგიული ამოცანა:</u> საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციების (STI) სისტემის ინტერნაციონალიზაცია და დაფინანსების რესურსების დივერსიფიცირება

<u>ამოცანის შესრულების ანგარიში:</u>

2021 წლის 7 დეკემბერს ხელი მოეწერა ევროკავშირის ჩარჩო პროგრამაში „ჰორიზონტი ევროპა“ საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებით საერთაშორისო შეთანხმებას, რომლის შედეგად საქართველო ასოცირებული ქვეყანაა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამასთან "ჰორიზონტი ევროპა", რამაც უფრო ხელმისაწვდომი გახადა საქართველოს წარმომადგენლებისთვის პროგრამის კონკურსებში და სხვა აქტივობებში მონაწილეობა. კონკურსებში მონაწილეობისას ქართველ მეცნიერებს იგივე უფლებები აქვთ, რაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს. შეთანხმების საფუძველზე საქართველოს უნივერსიტეტებსა

და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შეეძლებათ უხელმძღვანელონ მსხვილ საერთაშორისო სამეცნიერო კონსორციუმებს, ევროპელ კოლეგებთან თანამშრომლობით შეიმუშაონ და განახორციელონ საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები. პროგრამასთან "ჰორიზონტი ევროპა" საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ.

ამასთანავე, გადახდილია პროგრამაში „ჰორიზონტი ევროპა" საქართველოს მონაწილეობის 2021 წლის საწევრო გადასახადის 1'759'677.23 ევროს (ერთი მილიონ შვიდას ორმოცდაცხრამეტი ათას ექვსას სამოცდაჩვიდმეტი ევრო და 23 ევროცენტის).

სამინისტროსთან ამოქმედდა პროგრამის „ჰორიზონტი ევროპა" ოფისი. ასევე, აღნიშნულ პროგრამაში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობისა და შესაბამისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნებისათვის ათ სსიპ - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაიხსნა Horizon Europe-ის საგრანტო ოფისები. Horizon Europe-ის საუნივერსიტეტო საგრანტო ოფისების ფუნქცია იქნება არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელება ევროკავშირის კონკურსების შესახებ, არამედ ქართველ მკვლევართა ჯგუფების დახმარება კონკურენტუნარიანი საპროექტო განაცხადების მომზადებასა და შემდგომში მის მართვაში.

2022 წლისთვის ზემოაღნიშნული მიზნების უზრუნველსაყოფად, პროგრამის „საერთაშორისო პროგრამებში ქართველ მეცნიერთა ჩართულობის ხელშეწყობა - „ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამაში „ჰორიზონტი ევროპა" საქართველოს მეცნიერთა ჩართულობის ხელშეწყობა" (პროგრამული კოდი - 32 05 01 03) გათვალისწინებულია 1,006,200.00 ლარი.

აქვე, აღსანიშნავია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული კვლევითი ინსტიტუტების მიერ განხორციელებული საქმიანობა. სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში განხორციელებული სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები, სამეცნიერო მივლინებები, გამოცემები-პუბლიკაციები, მოხსენებები, საგანმანათლებლო პროექტები, გამოფენა-პრეზენტაციები და სხვა ღონისძიებები ხელს უწყობს აღნიშნული ამოცანების შესრულებას. ამგვარ ღონისძიებებზე ხორციელდება: ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების შედეგების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა, საკვანძო პრობლემურ საკითხებზე ფართო სამეცნიერო დისკუსიების ორგანიზება, ცენტრის და ზოგადად საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების უცხოელ მეცნიერებთან საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე კონტაქტების დამყარება და სამეცნიერო ერთობლივი პროექტების განხორციელება, გამოცდილების გაზიარება, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული რესურსების გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამებში, მასალის პოპულარიზაცია, შემეცნებით-საგანმანათლებლო და საგამოფენო პროგრამების განხორციელება.

მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს ცენტრის კოორდინაციით ჩატარებული რამდენიმე ღონისძიება:

- 2020 წელს - გაიმართა ვიდეო-კონფერენცია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და კელნის უნივერსიტეტის რესტავრაცია-კონსერვაციის ინსტიტუტის თანამშრომელთა მონაწილეობით. კონფერენცია ეხებოდა ერთობლივ პროექტებს. პროექტი, რომელიც

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება, ითვალისწინებს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კალის ლექციონარის კოდიკოლოგიურ შესწავლასა და რესტავრაციას.

- 2021 წლის 24-25 ივნისს გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - **„კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე: საქართველო და საერთაშორისო გამოცდილება“.** კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი; კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. პარტნიორები: ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2020:

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი - 2020“ ხორციელდება ევროპის მკვლევართა ღამის პროექტის “CAPTAIN - მეცნიერება კაპიტანია” ფარგლებში. პროექტს „მეცნიერება კაპიტანია“ დაფინანსება მიღებული აქვს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი 2020“ გრანტით.

- 27 ნოემბერი - Zoom-ის პლატფორმაზე გაიმართა პანელური დისკუსია - ვახუშტი ბაგრატიონის „მსოფლიოს გეოგრაფია“. შეხვედრა განხორციელდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ორგანიზებული „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2020“-ის ფარგლებში. პარტნიორები: ფონდი „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“, სახალისო მეცნიერების მუზეუმი „ექსპერიმენტორიუმი“.
- 28 ნოემბერი - ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა ონლაინექსკურსიას -„ამბავი ქიმიის ქმნისა“. ღონისძიების მონაწილეები გაეცნენ ქიმიის, ფიზიკის, არითმეტიკის, პლანიმეტრიისა თუ გეომეტრიის უძველეს ხელნაწერებს. ლექციას კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამოფენო დარბაზიდან უძღვებოდნენ ნესტან ბაგაური და მანანა ღვინერია (საგამოფენო და საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილება). ონლაინექსკურსია განხორციელდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ასევე რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით; პარტნიორები: ფონდი „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ და სახალისო მეცნიერების მუზეუმი „ექსპერიმენტორიუმი“.

საგანმანათლებლო პროგრამები, გამოფენები:

- 2020 წლის 17 თებერვალი - გამოფენას „აფხაზეთი - ხელნაწერები საუბრობენ დაფარულზე“ უმასპინძლა საქართველოს საელჩომ ნიდერლანდების სამეფოში. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 1300 წელს მოქვის მონასტერში გადაწერილი ოქრომელნით შემკული უნიკალური ოთხთავი (მულაჟი) და საარქივო მასალები. ღონისძების ორგანიზატორები: არასამთავრობო ორგანიზაცია, ფონდი „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ (საქართველო); ორგანიზაცია „ქართული კულტურის ცენტრი ნიდერლანდებში“ (ნიდერლანდების სამეფო); კომპანია TIKA TOURS GEORGIA (საქართველო). პროექტის პარტნიორები: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა; იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო; საქართველოს საპატრიარქოს ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქია; კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- 2020 წლის აპრილი - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ბარსელონას „წმიდა ნინოს“ სახელობის ტაძართან არსებული „წმიდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის“ თანამშრომლობით განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა საინტერესო კალიგრაფიული ნიმუშები შექმნეს. მათ მიერ შექმნილი ალბომი შესაძლებლობას გვაძლევს გავეცნოთ ესპანეთში მცხოვრები ბავშვების მიერ იზოლაციის რთულ დღეებში ქართულ ენაზე შესრულებულ ტექსტებს.
- 2020 წლის აპრილი-მაისი - კალიგრაფიის ონლაინ გაკვეთილები. ნიდერლანდების სამეფოში არსებული „ქართული კულტურის ცენტრისა“ და საქართველოში მოქმედი ფონდის - „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ - ინიციატივით, უცხოეთსა და საქართველოში მყოფი მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის შეიქმნა ონლაინ შემეცნებითი კურსები - „კალიგრაფიის ონლაინ გაკვეთილები“. აღნიშნული პროექტი ინიცირებულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან და გაერთიანება „რუსთაველ კალიგრაფებთან“ პარტნიორობის ფარგლებში. იმის გარდა, რომ კალიგრაფიის ონლაინ-გაკვეთილები მიზნად ისახავს ქართული ენისა და დამწერლობის პოპულარიზებას, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობაა. კალიგრაფიის პირველი ონლაინ გაკვეთილი 2 მაისს შედგა „ზუმის“ პლატფორმაზე, რომელსაც, როგორც ევროპაში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ ჩიკაგოში მყოფი ქართველები ესწრებოდნენ. კალიგრაფიის ონლაინ გაკვეთილებმა ევროპაში, ამერიკასა და ოკუპირებულ აფხაზეთში მყოფი ქართველები გააერთიანა.
- 2020 წლის 2-3 ოქტომბერი - ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში 2020 წლის 2 და 3 ოქტომბერს აღინიშნა „ევროპის მემკვიდრეობის დღეები“. პროგრამაში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიც ჩაერთო კომპლექსური პროექტით „საქართველოს ევროპული ისტორიის ფურცლები“. ცენტრის მიერ დაგეგმილი ღონისძიება რამდენიმე კომპონენტისაგან შედგებოდა: 2 ოქტომბერს ჩატარდა ინტერაქტივი - მიხაი ზიჩის „ვეფხისტყაოსანი“ ჩემი ფერებით, რომელშიც ქართულ-გერმანული სკოლა „სხივის“ II კლასის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა. ბავშვებს

ჩაუტარდათ მოკლე ლექცია ხელნაწერებისა და ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციების შესახებ, ასევე გააფერადეს მიხაი ზიჩის ილუსტრაციების ორიგინალების მიხედვით მომზადებული კონტურები. ონლაინ გამოფენა: „საქართველოს ევროპული ისტორიის ფურცლები“, რომელიც დაათვალიერეს „ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციას“ წევრებმა და მათმა მოსწავლეებმა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო უნიკალური ხელნაწერების ორიგინალები. 3 ოქტომბერს კი ჩატარდა ონლაინექსკურსია, რომელშიც 20-მდე ქვეყნის (კანადა, აშშ, გერმანია, საფრანგეთი, კვიპროსი, ჰოლანდია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, საბერძნეთი, რუსეთის ფედერაცია და სხვ.) ემიგრანტი ახალგაზრდა, მათი მშობლები და საკვირაო სკოლების მასწავლებლები იყვნენ ჩართულები. ექსკურსია განხორციელდა ფონდის - „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ - მხარდაჭერით. ამავე დღეს „წმიდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის“ მოსწავლეებისათვის ჩატარდა კიდევ ერთი ონლაინექსკურსია, სადაც პატარებმა მოისმინეს ქრისტეს შობამდე III საუკუნეში შექმნილი ჰომეროსის ნაწარმოებების პაპირუსზე შექმნილი ფრაგმენტების ისტორია, ქართველებისა და ჯვაროსნების თანამშრომლობისა და კულტურული ურთიერთობის საკითხები და სხვა.

- 2020 წლის 30 ოქტომბერი - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ფონდის - „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ - თანამშრომლობით იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 180 წლის საიუბილეოდ განხორციელდა პროექტი „ქართული დიასპორები სტუმრად იაკობთან“. ონლაინ შეხვედრის ფარგლებში 75-მა მსმენელმა, მსოფლიოს 15 ქვეყნაში **(თურქეთი, ბელგია, ნიდერლანდების სამეფო, ირლანდია, საბერძნეთი, შვეიცარია, გერმანია, ინგლისი, ამერიკა, საფრანგეთი, უკრაინა, რუსეთი, იტალია, პორტუგალია, ბელარუსი)** მცხოვრებმა ემიგრანტებმა იაკობი გაიცნეს, როგორც უდიდესი ქველმოქმედი, დიასპორებზე და სტუდენტებზე მზრუნველი, საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენებით დაინტერესებული ადამიანი. შეხვედრის ფარგლებში მოეწყო ონლაინ ექსკურსია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, რომელსაც უძღვებოდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამოფენო და საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების ხელმძღვანელი - ნესტან ბაგაური. ონლაინ ექსკურსია ჩატარდა, ასევე ვარიანში იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:

- 2020 წელს - რუმინული აკადემიის სამხრეთ-დასავლეთ ევროპის კვლევების ინსტიტუტსა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ორგანიზაციები მიზნად ისახავენ ითანამშრომლონ კვლევითი და საგანმანათლებლო მიმართულებებით, რაც გულისხმობს: მეცნიერების მოკლევადიან მივლინებას ლექციების ჩატარების მიზნით, თანამშრომლობას სამეცნიერო პროექტების ფარგლებში, ერთობლივი ტრენინგების, ვორქშოფებისა და კონფერენციების განხორციელებას, ინსტიტუციებს შორის ისეთი

პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციების გაცვლას, რომელიც შეესაბამება ჩვენი დაწესებულებების კვლევით-სამეცნიერო ინტერესებს.

- 2021 წელს სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ კვლევათა ინსტიტუტში (ქ. ერევანი) გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია „აღმოსავლეთმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“, რომელიც მიეძღვნა ინსტიტუტის დაარსებიდან 50 წლისთავს. საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში სომხეთის აღმოსავლურ კვლევათა ინსტიტუტსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს მომავალ სამეცნიერო თანამშრომლობას, მათ შორის, ინფორმაციისა და პროფესიული გამოცდილების გაცვლა-გაზიარებას ისტორიულ-ფილოლოგიური და აღმოსავლეთმცოდნეობითი კვლევების სფეროში.
- 2021 წელს - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ათონის მემკვიდრეობის საერთაშორისო ინსტიტუტს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობის გაღრმავებას, პროფესიული გამოცდილების გაზიარებას და ინფორმაციის ურთიერთგაცვლას ათონის მემკვიდრეობის შესწავლა-კვლევის სფეროში, აგრეთვე ერთობლივი შეხვედრების, კონფერენციების და სემინარების ჩატარებას, ექსპერტების და მეცნიერების გაცვლას, ათონზე მოღვაწე ქართველი და უკრაინელი ბერების შესახებ დოკუმენტური მასალის მოძიებას და სხვ.

<u>ინდიკატორი:</u>

1.<u>STI დაფინანსების ზრდა საერთაშორისო და კერძო წყაროებიდან</u>

ქართველ მეცნიერებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ 95.5 მილიარდი ევროს ბიუჯეტის მქონე კვლევისა და ინოვაციის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსებში.

სამოქმედო გეგმის შესრულება[1]

ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება
<u>სტრატეგიული მიზანი:</u> მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლისთვის მომზადების უზრუნველყოფა
სტრატეგიული ამოცანა 1: სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მაღალი ხარისხის, ინკლუზიური და თანაბრად ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა.
ამოცანა 1: სტანდარტების, პროგრამების და რესურსების შემუშავება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისა და სასკოლო მზაობის უზრუნველყოფის მიზნით
აქტივობა: 1.1 "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების" გაუმჯობესებისა და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტის, მათ შორის, სასკოლო მზაობის სტანდარტის დანერგვის მონიტორინგის შედეგების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება მუნიციპალიტეტებისათვის.
მოსალოდნელი შედეგი: 1.1.1. მონიტორინგის შედეგად მიღებული რეკომენდაციები განხილულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

[1] შესრულების სტატუსად მითითებულია, პროგრესის შესაბამისად, ქვემოთ მოცემული სტატუსებიდან ერთ-ერთი:

სტატუსი	პროგრესის შესაბამისად
არ დაწყებულა	0%
მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	1%-50%
მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	51%-99%
განხორციელდა	100%
განხორციელდა დაგვიანებით	100%
გაუქმებულია	0%-99%
შეჩერებულია	0%-99%

1.1.2. ინდივიდუალური ანგარიშები მიწოდებულია იმ 15 სკოლამდელი დაწესებულებისთვის, რომელშიც ჩატარდა მონიტორინგი; 1.1.3. ზოგადი რეკომენდაციები გაგზავნილია ყველა ადგილობრივი თვითმმართველობისთვის
პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: აქტივობა ითვალისწინებდა სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვებას. მიმდინარე პანდემიის გამო საბავშვო ბაღების ფუნქციონირება უმეტესად შეჩერებული იყო. მცირე პერიოდში ფუნქციონირებისას კი მკაცრად შეზღუდული იყო უცხო პირთა შესვლა შენობაში, მით უფრო, სააღმზრდელო ჯგუფში. აღნიშნულის საკომპენსაციოდ, 11 საპილოტე მუნიციპალიტეტის გაერთიანების მეთოდისტებისა და რესურსცენტრის ადრეული განათლების სპეციალისტებისთვის ერთობლივად, მათ შორის, პოზიტიური თანამშრომლობის ფასილიტაციის მიზნით, ჩატარდა დისტანციური ტრენინგი შემდეგ თემებზე: ხარისხის სტანდარტის მონიტორინგი, საბავშვო ბაღებში ქოუჩინგის პრინციპები და მეთოდოლოგია. აღნიშნულ თემატიკაზე ჩატარდა მხარდამჭერი შეხვედრები ადგილზე და კონსულტაცია გაეწიათ დისტანციურად. მიწოდებული ცოდნის მდგრადობისა და უკუკავშირისთვის დაიგეგმა 4 მხარდამჭერი შეხვედრა.
შესრულების სტატუსი: შეჩერებულია
აქტივობა 1.2: ქვეყანაში არსებული სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური და საგანანმანათლებლო რესურსების იდენტიფიცირება, "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებთან" შესაბამისობის დადგენა და ჩამონათვალის მომზადება.
მოსალოდნელი შედეგი 1.2.1. იდენტიფიცირებული რესურსები განთავსდება ელექტრონული ბიბლიოთეკის პორტალზე http://el.ge/
პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: მონტესორის საერთაშორისო ცენტრთან თანამშრომლობით შესწავლილ იქნა მონტესორის მეთოდოლოგიის ანალიზი, ჩატარდა ონლაინ პრეზენტაცია თემაზე - ,რა არის მონტესორი?,, საბავშვო ბაგა-ბაღების აღმზრდელებისა და მეთოდისტებისთვის. ელექტრონული ბიბლიოთეკის პორტალზე http://el.ge/ მეთოდოლოგიის განთავსება ვერ მოხერხდა, ვინაიდან იგი წარმოადგენს ლიცენზიანტის საავტორო უფლებას.
შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა
აქტივობა 1.3: "ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტების" დანერგვის ხელშეწყობისთვის მეთოდოლოგიური რესურსებისა და საგანანმანათლებლო მასალის მომზადება.

მოსალოდნელი შედეგი 1.3.1: მომზადებულია 2-დან 5 წლამდე ასაკობრივი და შერეული ჯგუფებისთვის აღმზრდელ-პედაგოგის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო და აქტივობების კრებული; **1.3.2. მომზადებულია ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმის დანერგვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.**
პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: სსიპ ილიას უნივერსიტეტთან ერთად შექმნილი „მეთოდური და პრაქტიკული სახელმძღვანელოები: 2-5 წლის ასაკობრივი და შერეული ჯგუფებისთვის“ და პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2 წლიდან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკის პორტალზე http://el.ge/.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 1.4: ინკლუზიური და სამოქალაქო განათლების პრინციპებზე დაფუძნებული პროგრამების შემუშავება და შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალის მომზადება
მოსალოდნელი შედეგი 1.4.1: განისაზღვრა სასკოლო მზაობის პროგრამისთვის ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო მასალა
პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: შემუშავდა და გამოიცა ორი ბროშურა: (1) სკოლამდელი განათლების მნიშვნელობა, მართვის პრინციპები და რეფორმის პრიორიტეტული მიმართულებით; (2) ინკლუზიური სკოლამდელი განათლების მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე. განახლდა მუნიციპალიტეტის/საბავშვო ბაღების გაერთიანების/სააგენტოს წარმომადგენელთა არსებული 3 დღიანი ტრენინგ-მოდული და მოერგო დისტანციური შეხვედრის ფორმატს. აღნიშნული ტრენინგ-მოდული მოიცავს შემდეგ თემებს: (1) მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართვა; (2) მონიტორინგი და შეფასება; (3) აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტისა და ხარისხის სტანდარტის დანერგვის მხარდაჭერა; (4) ინკლუზიური სკოლამდელი განათლების მხარდაჭერა; (5) სკოლამდელი განათლება საგანგებო სიტუაციებში. აღნიშნული ტრენინგ-მოდული მოიცავს ინსტრუქციებს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო მასალების ნუსხის შესადგენად ბაღის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე.
შესრულების სტატუსი: განხორციელდა
აქტივობა 1.5: "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების" პილოტირება ქ. თბილისის 1 (ერთ)ბაგა-ბაღში
მოსალოდნელი შედეგი 1.5.1: სტანდარტის პილოტირება განხორციელდა თბილისის 1 ბაგა-ბაღის სასკოლო მზაობის ჯგუფებში.

1.5.2. განახლებულია სასკოლო მზაობის პროგრამის ტრენინგ მოდული და შემუშავებულია სუპერვიზიის პროცესის სარეკომენდაციო გეგმა.

1.5.3. TPDC: გადამზადებულია სკოლამდელი დაწესებულებების 40 თანამშრომელი, გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე ჩატარებულია თითოეულ ბაღში საგანმანათლებლო პერსონალის ადგილზე კონსულტირება, თითოეულ ბაღში 11 კონსულტაცია.

1.5.4. მომზადებულია 2019 წელს განხორციელებული ინტერვენციის ანგარიში. მიღებულ შედეგზე დაყრდნობით შემუშავებულია ტრენინგ მოდული ,,სოციალური და ემოციური უნარების სწავლება'', ონლაინ ფორმატის გათვალისწინებით გადამზადებულია სკოლამდელი დაწესებულებების 27 თანამშრომელი.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:

1.5.1: სტანდარტის პილოტირება განხორციელდა ქ. თბილისის 2 ბაგა-ბაღის სასკოლო მზაობის ჯგუფებში.

1.5.2. საბაზო სიტუაციის შეფასების შედეგების შედეგად 2019 წელს განახლდა სასკოლო მზაობის პროგრამის ტრენინგ მოდული, თითოეული სკოლამდელი დაწესებულებისთვის შემუშავდა სუპერვიზიის პროცესის სარეკომენდაციო გეგმა.

1.5.3. თითოეულ სკოლამდელ დაწესებულებაში ჩატარდა 11 კონსულტაცია. შეფასდა ინტერვენციის შედეგი.

1.5.4. მიღებულ შედეგზე დაყრდნობით შემუშავდა ტრენინგ მოდული ,,სოციალური და ემოციური უნარების სწავლება'', ონლაინ ფორმატის გათვალისწინებით გადამზადდა სკოლამდელი დაწესებულებების 27 თანამშრომელი. მოხდა განხორციელებული ინტერვენციის ანგარიშის წარდგენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს, პროექტში ჩართული ბაღების წარმომადგენლებისთვის და შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდაციების მიწოდება.

2021 წელს გაეროს ბავშვთა ფონდსა (unicef) და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობს ხარისხის სტანდარტების დანერგვის პილოტირება აჭარის 8 საბავშვო ბაღში, ტრენინგისა და ქოუჩინგის გზით. ჩატარდა აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდული სამიზნე ბაღების თანამშრომელებთან (საგანმანათლებლო პერსონალი და ადმინისტრაცია) გადამზადდა 165 პირი, ჩატარდა ადრეული ინკლუზიური განათლებისა და ტრანზიციის საკითხებზე ტრენინგი სამიზნე ბაღების თანამშრომელებთან (საგანმანათლებლო პერსონალი და ადმინისტრაცია). გადამზადდა 80 პირი. მიმდინარებს უწყვეტი ქოუჩინგი პრაქტიკაში. მიმდინარეობს თანამშრომლობა სამიზნე მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანებისა და სააგენტოს თანამშრომლებთან, არსებული საჭიროებების უზრუნველყოფის მიზნით.

შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%

აქტივობა 1.6: ბავშვის უფლებათა კოდექსის იმპლემენტაციის მიზნით ძალადობასთან დაკავშირებული საინფორმაციო რესურსის მომზადება და მუნიციპალიტეტებისთვის მიწოდება
მოსალოდნელი შედეგი: 1.6.1. მომზადებულია საინფორმაციო რესურსი ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხებზე საკანონმდებლო რეგულაციებთან დაკავშირებით; 1.6.2. მოძიებულია მეთოდოლოგიური რესურსები და მიწოდებულია მუნიციპალიტეტებისათვის.
პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: სამინისტროს მიერ შემუშავებულია ბავშვთა მიმართ დისკრიმინაციისა და ძალადობის პრევენციისთვის სარეკომენდაციო რესურსი, რომლის მიზანია სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში მონაწილე პირთა ცნობიერების ამაღლება და თითოეული საბავშვო ბაღის მიერ ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა. ბავშვის უფლებებისა და ბავშვზე ძალადობის შესახებ საკითხებს ეთმობა დიდი ყურადღება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ პედაგოგ-აღმზრდელთა ტრენინგ მოდულში, რომლის მიხედვითაც გადამზადება გაიარა 400-ზე მეტმა პირმა, რომლებსაც ძალადობის შემთხვევათა გამოვლენის ფაქტზე სათანადო რეაგირებისა (რეფერირება) და თავიდან აცილების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ.
შესრულების სტატუსი: განხორციელდა
აქტივობა 1.7: მშობელთა ინფორმირებულობის ხელშეწყობა სკოლამდელი განათლების შესახებ
მოსალოდნელი შედეგი 1.7.1: ხელმისაწვდომია გზამკვლევი "რჩევები და რეკომენდაციები ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის მშობლებს".
პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: შემუშავდა გზამკვლევი „რჩევები 6 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებს“, რომლებიც სკოლამდელი ასაკის ბავშვის მშობელთათვისაა განკუთვნილი და მოიცავს ინფორმაციას ადრეული განვითარების კანონზომიერებაზე, ოჯახისა და სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პერსონალის ბავშვთან მუშაობის კულტურაზე, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების გამომუშავების მნიშვნელობაზე. https://bit.ly/3GF9JUB
შესრულების სტატუსი: განხორციელდა
ამოცანა 2: სკოლამდელი განათლების პერსონალის მომზადება/გადამზადების პროგრამების განვითარების მხარდაჭერა და განხორციელება
აქტივობა: 2.1 აღმზრდელ-პედაგოგის და აღმზრდელის პროფესიების განვითარების სისტემის შექმნა

მოსალოდნელი შედეგი 2.1.1: შემუშავებულია შესაბამისი სამოქმედო გეგმა; 2.1.2 შემუშავებულია (მომზადებულია დასამტკიცებლად) „ადრეული (სკოლამდელი) განათლების“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი". 2.1.3 TPDC: შემუშავებულია აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების დოკუმენტის სამუშაო ვერსია.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: **2.1.2.** ბაღების აღმზრდელთათვის პროფესიული განვითარების სისტემის შემუშავება დაგეგმილია პროექტის ,,ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხი - საქართველო I2Q (IBRD) ფარგლებში.
შესრულების სტატუსი: მიმდინარე
აქტივობა 2.2: სკოლამდელი განათლების სისტემის კვალიფიციური კადრების მომზადების ხელშეწყობა
მოსალოდნელი შედეგი: 2.2.1. განახლებულია: ,,აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდული''; ,,აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდულის ტრენერთა ტრენინგი’’; 2.2.2. ტრენერები გადამზადებულები არიან ,,აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდულით'' .
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: 2.8.1 2020 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N68/ნ ბრძანებით დამტკიცდა „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდულის’’ განახლებული ვერსია. სადაც ტრენინგ მოდულის ხელმისაწვდომობის ზრდისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განისაზღვრა ტრენინგ მოდულის მიწოდების მსურველი ორგანიზაციების შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები. შეიქმნა ,,აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგის ტრენინგ მოდული’’. 2.8.2 აღნიშნული ტრენინგ მოდულის მე-4 მუხლის მიხედვით შეირჩა ტრენინგ მოდულის მიმწოდებელი 8 ორგანიზაცია და მომზადდა 27 ტრენერი.
შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%
აქტივობა: 2.3 საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ზრდა
მოსალოდნელი შედეგი: საგანმანათლებლო რესურსცენტრების სკოლამდელი განათლების სპეციალისტები გადამზადებულები არიან ტრენინგ მოდულით ,,ადრეული განათლების

საფუძვლები.'' ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები თემაზე: ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა; რთული ქცევის მართვა; ტრანზიცია და მისი მნიშვნელობა სკოლამდელი განათლების სპეციალისტებისთვის; ვებინარი - "რა არის მონტესორი?
პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: 2020 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარდა ტრენინგ მოდული, ადრეული განათლების საფუძვლები'' (29 საკონტაქტო საათი, 21 არასაკონტაქტო საათი), 2021 წელს, სოციალურ-ემოციური უნარების სწავლების ხელშეწყობა.'' (30 საკონტაქტო, 20 არასაკონტაქტო საათი).
შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა 51%-99%
ამოცანა 3: კომპაქტური განსახლების რეგიონების სკოლამდელ დაწესებულებებში ბილინგვური განათლების დანერგვა
აქტივობა: 3.1 სახელმწიფო ენისა და მშობლიური ენის წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით, ბილინგვური სკოლამდელი განათლების მოდელის პილოტირებისთვის საბავშვო ბაღების და კოორდინატორების შერჩევა
მოსალოდნელი შედეგი: 3.1.1.შექმნილია ქოუჩინგის მექანიზმები ბილინგვური საგანმანთლებლო პროცესისა და მრავალენოვანი გარემოს ეფექტიანი მართვის, განვითარებაზე ორიენტირებული, თანამშრომლობითი სასწავლო გარემოს შექმნის და ლიდერობის კულტურის დამკვიდრების ხელშესაწყობად.
პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დაიწყო მუშაობა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ დაწესებულებებში სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის მიმართულებით ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით, რაც საშუალებას მისცემს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ყველა ბავშვს გაიუმჯობესოს სასკოლო მზაობა, შეისწავლოს სრულფასოვნად მშობლიური და სახელმწიფო ენები, ასევე განივითაროს ყველა ის უნარი, რომელიც საჭიროა თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირებისთვის. საპილოტე პროცესში სულ ჩართულია 9 სკოლამდელი დაწესებულება, 16 ორენოვანი დამხმარე აღმზრდელი და 5 სკოლამდელი დაწესებულების კურიკულუმის დანერგვის ასისტენტი.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა: 3.2 მეთოდური და სასწავლო რესურსების შერჩევა და შესაბამისი რესურსების შექმნა და კადრების მომზადება-გადამზადება
მოსალოდნელი შედეგი: 3.2.1. მომზადებულია სკოლამდელი ბილინგვური განათლების საპილოტე პროგრამები და განხორციელებულია პილოტი
პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება: ჩატარდა 2 დისტანციური და 2 პირისპირ სამუშაო შეხვედრები 6 წლამდე ასაკის ბავშვის მშობლებთან (მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან მათი საჭიროებების უკეთ განსაზღვრის მიზნით). ბილინგვური სკოლამდელი კურიკულუმის დანერგვის მიზნით, მომზადდა გზამკვლევები 3-5 წლის ასაკისა და სასკოლო მზაობის ჯგუფებისთვის. მიმდინარეობს პილოტი 9 სკოლამდელ დაწესებულებაში. მიმდინარე პანდემიის გამო პილოტირების პროცესი მნიშვნელოვნად შეფერხდა.
შესრულების სტატუსი: მეტწილად შესრულდა

ზოგადი განათლება
<u>სტრატეგიული მიზანი:</u> მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით მაღალი ხარისხის ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო შედეგების უზრუნველყოფა.
სტრატეგიული ამოცანა 1: მაღალი ხარისხის ზოგადი განათლების თანაბარი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
ამოცანა 1: ხარისხიან განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა
აქტივობა 1.1 თბილისისა და აჭარის რეგიონის მოსწავლეების ტრანსპორტირების განხორციელება.
მოსალოდნელი შედეგი: 1.1.1. საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, თბილისსა და აჭარის რეგიონში 200-მდე საჯარო სკოლის 14000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია უფასო ტრანსპორტით.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: თბილისის რეგიონის 28 საჯარო სკოლის (მათ შორის 5 სსსმ და შშმ) 7121 (მათ შორის 320 სსსმ და შშმ) მოსწავლე უზრუნველყოფილია უფასო ტრანსპორტით.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა
აქტივობა 1.2: ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შედეგი: 1.2.1. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები 840-მდე პედაგოგი და 260-მდე ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებით ამავე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეების ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისთვის.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
შესრულება: საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ 870 მასწავლებელსა და 240 ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს გაეწია ფინანსური დახმარება. „გალის რაიონის პედაგოგების გადამზადების და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისთვის მომზადების“ ქვეპროგრამის ფარგლებში გადამზადდა 46 პედაგოგი, რომელთაც ეროვნული გამოცდებისათვის მოამზადეს 440 აბიტურიენტი. გალის რაიონის პედაგოგების გადამზადება და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისთვის მომზადება განმახორციელებელი - სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. 2019 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება 784 (31,12.2018) დანართი 6, პროგრამული კოდი 32 02 13, ქვეპროგრამის მიზნების შესასრულებლად ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: 1. ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელი საზღვრების სკოლებში ეროვნული გამოცდებისათვის ჩამოყალიბდა მოსამზადებელი ცენტრები, რომელთა მუშაობაშიც 2019 წელს ჩართული იყო სხვადასხვა საგნის 45 პედაგოგი. ამ პედაგოგებს „გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების ქვეპროგრამის“ ფარგლებში შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალისტებმა ჩაუტარეს ტრენინგები, ასევე გადაეცათ დამხმარე ლიტერატურა. 2. ოკუპირებული გალის რაიონის აბიტურიენტები „სკოლის შემდგომი განათლების“ პროგრამის ფარგლებში, ი. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-სა და ზუგდიდში მესხიას სახ. უნივერსიტეტში ემზადებოდა. 3. 2020 წელს გალის რაიონის პედაგოგების გადამზადების და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისთვის მომზადების ქვეპროგრამა გალის რესურსცენტრის საშუალებით დისტანციურად განხორციელდა. COVID 19 პანდემიასთან დაკავშირებული შეფერხებების გამო 01.06.2021 დან 01.07.2021 მდე გახანგრძლივდა. მონაწილეობა მიიღო 45 პედაგოგმა. შეფასებისა

და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალისტებმა ინდივიდუალურად დისტანციურად ჩაუტარეს ტრენინგები. პედაგოგებს გადაეცათ დამხმარე ლიტერატურა; 4. 2021 წელს „ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის N1246234 ბრძანებაში ცვლილებით გალის რაიონის პედაგოგების გადამზადების და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისთვის მომზადების ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი 32 02 12), გალის რესურსცენტრის საშუალებით დისტანციურად განხორციელდა. მონაწილეობა მიიღო 46 პედაგოგმა. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალისტებმა ცენტრალიზებულად დისტანციურად ჩაუტარეს ტრენინგები. პედაგოგებს გადაეცათ დამხმარე ლიტერატურა. 5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები აბიტურიენტები, მათ მიერვე შერჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე 2021 წელსაც ჩაირიცხებიან და სახელმწიფო მათ სწავლის საფასურს გრანტის მაქსიმალური ოდენობით დააფინანსებს. 6. მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესით აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხებიან და სწავლის საფასური დაუფინანსდებათ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს, რომლებიც ვერ დარეგისტრირდნენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ან აღნიშნულ გამოცდებზე, დარეგისტრირების მიუხედავად, ვერ მოიპოვებენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლებას. (წყარო).
შესრულების სტატუსი: შესრულებულია
აქტივობა 1.3: მაღალმთიანი სოფლების სკოლა-პანსიონების დაფინანსება.
მოსალოდნელი შედეგი: 1.3.1. 30-მდე ბენეფიციარი უზრუნველყოფილია პანსიონური მომსახურებით დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს, სოფელ მაღაროსკარის და სოფელ შატილის სკოლა-პანსიონებში.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: „ზოგად განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროსკარის, სოფელ, ბარისახოსა და სოფელ შატილის საჯარო სკოლა-პანსიონების 21 ბენეფიციარს გაეწია სრული მომსახურება. სამივე სკოლა-პანსიონის ბენეფიციარი მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობით. პანსიონებს შექმნილი აქვთ ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული სადღეღამისო მომსახურების პირობები, აღჭურვილნი არიან საგანმანათლებლო საჭიროებებით, საკვებით, საჭირო მედიკამენტებით.
შესრულების სტატუსი: შესრულებულია
აქტივობა 1.4: სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

მოსალოდნელი შედეგი: 1.4.1. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებსა და მიგრაციის ცენტრში განთავსებულ არასრულწლოვნებს მიეწოდებათ ზოგადი განათლების მომსახურება;
1.4.2. თავშესაფრის მაძიებელი, ლტოლვილი და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე არასრულწლოვნებისთვის ხელმისაწვდომია ქართული ენის შემსწავლელი კურსები.

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:

ზოგად განათლებას იღებდა დაახლოებით 100 ბრალდებული-მსჯავრდებული მოსწავლე. აქედან N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესში ჩართული იყო 38 მსჯავრდებული პირი, ხოლო ქ. თბილისის N8 და ქუთაისის N2 პენიტენციურ დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესში ჩართული იყო დაახლოებით 62 ბრალდებული/მსჯავრდებული პირი, აქედან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული იყო 16 ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლე. ექსტერნატის ფორმით გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 42-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა მოსწავლემ, გამოცდები დაძლია 28 პირმა, პროგრამის სხვადასხვა კლასისა და საფეხურის დონეზე. 14 პირი მონაწილეობდა ერთიან ეროვნულ გამოცდებში და მათგან 11-მა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება, აქედან ერთმა სახელმწიფო გრანტიც.

საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი, საერთაშორისო დაცვის მქონე და შსს მიგრაციის დეპარტამენტში მოთავსებულ არასრულწლოვანთა ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში 2020-2021 წლებში სულ ჩაერთო 55 ბენეფიციარი (საჯარო სკოლებში ქართული ენის შემსწავლელ კურსზე 2020 წელი - 17 ბენეფიციარი, 2021 წელი - 30 ბენეფიციარი, მიგრაციის ცენტრში - 8 ბენეფიციარი). 2020 წელს ჩართული იყო ორი სსიპ ქალაქ თბილისის N81 საჯარო სკოლა და სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ თბილისის N23 საჯარო სკოლა, ხოლო 2021 წელს დაემატა სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N2 საჯარო სკოლა და ბენეფიციარის არ ყოფნის გამო ხელშეკრულება გაუქმდა სსიპ ქალაქ თბილისის N81 საჯარო სკოლასთან. ამ ეტაპზე სწავლას სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ თბილისის N23 და სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N2 საჯარო სკოლებში აგრძელებს 2021 წლის სექტემბერში ჩარიცხული 25 მსმენელი, ხოლო 2022 წლის იანვარში ჩარიცხული 2 ბენეფიციარი. 2021 წლის 20 ნოემბრიდან შსს მიგრაციის ცენტრში არ იმყოფებოდა არასრულწლოვანი და სასწავლო პროცესი ამ ეტაპზე შეჩერებულია. ქვეპროგრამის ფარგლებში ქართული ენის სწავლება მიმდინარეობდა დისტანციური/ელექტრონული ფორმატით. ქვეპროგრამის მონიტორინგი ზოგადი განათლების სამმართველოს მხრიდან ხორციელდებოდა შესაბამისი ელ-პროგრამების მეშვეობით გაკვეთილებზე პერიოდული დასწრებით. 2020-2021 წლებში გამოცდები წარმატებით ჩააბარა 26-მა ბენეფიციარმა, არ გამოცხადდა შვიდი მოსწავლე.

შესრულების სტატუსი: შესრულებულია

ამოცანა 2: ინკლუზიური განათლების მიღების დაფარვის გაზრდა და საჭიროებებზე მორგებული პროგრამების დანერგვა
აქტივობა: 2.1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა
მოსალოდნელი შედეგი 2.1.1. უზრუნველყოფილია სკოლებში დასაქმებული მასწავლებლებისა და სპეცმასწავლებლებისთვის ინკლუზიური განათლების მიმართულებით არსებული პროფესიული განვითარების პროგრამები; 2.1.2. შექმნილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის საჭირო სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტისთვის შესაბამისი ინფორმაციული/სასერტიფიკატო პროგრამები; 2.1.3. შექმნილია: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის სხვადასხვა მეთოდოლოგიური და სასწავლო რესურსი, მათ შორის, განმავითარებელი აქტივობების კრებული; მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებზე დაფუძნებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გზამკვლევი.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: 2.1.1 ,,ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში განათლების ხელმისაწვდომობისა და თანაბარი შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობის მიზნით სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინფორმაციულ - სასერტიფიკატო პროგრამები covid-19 პანდემიით გამოწვეული რეგულაციებიდან გამომდინარე 2020 წელს განხორციელდა შემდეგნაირად: ,,სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების შესავალი კურსი'' -დისტანციურად გაიარა საქართველო სხვადსხვა რაიონის 400-მდე სპეციალურმა მასწავლებელმა. სსსმ მოსწავლეთა სპეციალურ მასწავლებლებისთვის, საგნის მასწავლებლებისთვის და ინკლუზიური განათლების დამხმარე სპეციალისტებისათვის მომზადდა და ჩატარდა ვებინარები უნივერსალური სასწავლო დიზაინი, პოზიტიური მხარდამჭერი სისტემა, რთული ქცევის მართვის პროცესები საგანმანათლებო სისტემაში, რთული ქცევის მართვის პრინციპები სწავლა-სწავლების პროცესში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მნიშვნელობა და გამოყენება სასწავლო პროცესში, სწავლის სირთულეების მართვა სკოლის სივრცეში, და ვარაუდი სსსმ მოსწავლეთა საჭიროების შესახებ. ინდივიდუალური კონსულტირების ფარგლებში კონსულტირება გაეწია 6 სსსმ მოსწავლეს. პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის ,,მაკ ჯორჯიასთან“ თანამშრომლობით დაიგეგმა დისტანციურ რეჟიმში ტრენინგ მოდულები ,,ქცევის მართვა", "განვითარების დარღვევები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები“, რომელიც წარმატებით გაიარა-400 -მდე საგნის მასწავლებელმა. ,,სოციალური მუშაობის სერტიფიცირების“ კურსი დისტანციურად გაირა და 300-მა სოციალურმა მუშაკმა. ინდივიდუალური ასისტენტის მომზადება გაიარა - 200 მდე ინდივიდუალურმა ასისტენტმა.

2021 წელს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები:

700-მდე სპეციალურ მასწავლებელს გავლილი აქვს სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების შესავალი კურსი". ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სხვადსხვა 2000-მდე მასწავლებელს გავლილი აქვს ცენტრის მიერ შეთავაზებული ტრენინგები ინკლუზიური განათლების მიმართულებით; 295 სოციალურ მუშაკს გავლილი აქვს სოციალური მუშაობის სერტიფიცირების კურსი; 170 ინდივიდუალურ ასისტენტს გავლილი აქვს ,,ინდივიდუალური ასისტენტის მომზადების" ტრენინგი. ,,მშობლების მხარდაჭერის სერვისის" ფარგლებში შემუშავებულია 8 ვიდეო რესურსი და ჩატარებულია 10 სამუშაო შეხვედრა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომლებისთვის ინკლუზიური განათლების მიმართულებით ,,ადრეული ინკლუზიური განათლება სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომლებისათვის" გავლილი აქვს 220 აღმზრდელს;

2.1.2 ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მომზადდა და დამტკიცდა სპეციალურ მასწავლებელთა ელექტრონულ პროფესიული საქაღალდის წარმოებისათვის განკუთვნილი პორტფოლიოს კომპონენტები.

ინკლუზიური განათლების დამხმარე სპეციალისტებისათვის-ინდივიდუალური ასისტენტებისთვის შემუშავდა-,,ინდივიდუალური ასისტენტის მომზადების ტრენინგ-პროგრამა".

2021 წელს ,, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში შემუშავდა შემდეგი ტრენინგ-მოდულები: ,,პრაქტიკოსი სპეციალური მასწავლებლის ტრენინგი ინკლუზიურ განათლებაში", ,,ინკლუზიური განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ჩართული უფროსი მასწავლებლებისათვის" და ,,ინკლუზიური განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ჩართული წამყვანი მასწავლებლებისათვის". სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ფარგლებში შემუშავდა სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოს გზამკვლევი.

შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

აქტივობა: 2.2 სკოლის მოსწავლეთა უფასო სახელმძღვანელოებითა და სხვა საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა

მოსალოდნელი შედეგი: 2.2.1. საქართველოს საჯარო სკოლების I-XII კლასის მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან უფასო სახელმძღვანელოებით;

2.2.2. უსინათლო და მცირემხედველი მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან ბრაილის შრიფტით და რელიეფური ნახატებით დაბეჭდილი სახელმძღვანელოებით;

2.2.3. უსინათლო და მცირემხედველი IV-VIII კლასის მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან აუდიო სახელმძღვანელოებით.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
შესრულება: გრიფირებული სახელმძღვანელოები გადაეცა პროგრამის ბრძანებით განსაზღვრულ ყველა ბენეფიციარს. დამატებითი რესურსის სახით, უსინათლო ბავშვთა სკოლას გადაეცა ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი, რელიეფური ნახატით დაბეჭდილი დამხმარე სასწავლო მასალა და IV-VIII კლასის გრიფირებული სახელმძღვანელოების აუდიო ვერსიები.
შესრულების სტატუსი: განხორციელდა 100%
აქტივობა: 2.3 საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შემუშავება/სრულყოფა
მოსალოდნელი შედეგი: 2.3.1. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულია ცვლილებები სპეციალური მასწავლებლისათვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაზუსტების მიზნით; 2.3.2. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულია ცვლილება, სპეციალური მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის შესაქმნელად საკანონმდებლო საფუძვლის უზრუნველყოფისათვის; 2.3.3. დამტკიცებულია სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, სპეციალური მასწავლებლის შესაბამისი სტატუსის დანამატის განსაზღვრის წესი, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში შემუშავებულია რეგულაციები და სტანდარტები.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: აღნიშნული მიმართულებებით კანონში ცვლილებები არ განხორციელებულა.
შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა
აქტივობა: 2.4 ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარება
მოსალოდნელი შედეგი: 2.4.1. დაზუსტებულია ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სსსმ მოსწავლეების პირად ბარათში ასასახი ინფორმაციის ველები; 2.4.2. საჯარო სკოლებისათვის შემუშავებულია შესაბამისი ინსტრუქციები
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
შესრულება: ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) დამატებული იქნა სსსმ მოსწავლეების პირად ბარათში შესაბამისი ველები.
შესრულების სტატუსი: შესრულდა

აქტივობა: 2.5 ინტეგრირებული კლასებისა და ინტეგრირებული კლასების სპეციალისტების პროფესიული განვითარება

მოსალოდნელი შედეგი: 2.5.1. ექსპერტების მიერ განხორციელებულია ინტეგრირებული კლასების ფუნქციონირების სუპერვიზია და შემუშავებულია რეკომენდაციები;
2.5.2. ინტეგრირებული კლასების სპეციალისტები გადამზადებული არიან სსსმ მოსწავლეების სექსუალური ქცევის მართვის სტრატეგიებში, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე, განხორციელებულია მათი პროფესიული ზრდა იდენტიფიცირებული მიმართულებების გათვალისწინებით.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:
2020 წლიდან ინტეგრირებული კლასების ექსპერტების მიერ ხორციელდება ინტეგრირებული კლასების სუპერვიზია, სპეციალისტების, სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მშობლების კონსულტაცია, სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების მიმართულებით რეკომენდაციების გაცემა. განხორციელდა ინტეგრირებული კლასების სპეციალისტების გადამზადება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სექსუალური ქცევის მართვის მიმართულებით, რთული ქცევის მართვის მიმართულებით, ასევე შეფასების ინსტრუმენტი ABLLS-R გამოყენების მიმართულებით.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

აქტივობა: 2.6 მულტი დისციპლინური გუნდების განვითარება

მოსალოდნელი შედეგი: 2.6.1. მულტი დისციპლინური გუნდის წევრები გადამზადებული არიან: ტრენინგის ჩატარების, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის საინფორმაციო კამპანიის წარმოების ტექნიკებში.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:
2020 წელს პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროექტი **„Friendly school - ისინი ჩვენს შორის არიან"**, რომლის ფარგლებშიც მოხდა სამინისტროს მულტი დისციპლინური გუნდის წევრების პროფესიული გაძლიერება ინკლუზიური განათლების მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მიმართულებით. პროექტის ფარგლებში მულტი დისციპლინური გუნდის წევრების მიერ სკოლების სპეციალისტებსა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებისთვის, ასევე ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა/ტრენინგი ინკლუზიური განათლების აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.
2021 წელს ჩატარდა ვორქშოპი მულტი დისციპლინური გუნდის წევრებისათვის, რომლის მიზანიც იყო 6 თვიდან 6 წლამდე ბავშვის განვითარების მდგომარეობის შესაფასებელი ტესტის გამოყენებასა და შეფასების პროცედურის წარმართვაში მულტი დისციპლინური გუნდის წევრების პროფესიული გაძლიერება.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

აქტივობა: 2.7 ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.
მოსალოდნელი შედეგი: 2.7.1. დასრულდა 5 სკოლის მშენებლობა, მიმდინარეობს 7 სკოლის მშენებლობა; 2.7.2. დასრულდა 5 სკოლის სრული რეაბილიტაცია და 80-ზე მეტი სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, მიმდინარეობს 50 სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო მოსწავლეთა საჭიროების შესაბამისი ფიზიკური გარემოს მოწყობის გათვალისწინებით (შენობის კონსტრუქციული მდგომარეობიდან გამომდინარე).
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
შესრულება: მოსალოდნელი შედეგი: 2.7.1. 2020 წელს დასრულდა 9 სრულად ადაპტირებული სკოლის მშენებლობა: 1. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლა 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა 3. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის საჯარო სკოლა 4. კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლა (მეორე კორპუსი) 5. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა 6. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლა 7. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლა 8. სსიპ - ვლადიმირ კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის ბათუმის ფილიალი 9. მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ წვირმის საჯარო სკოლა 2021 წელს დასრულდა სსიპ-მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ წვირმის საჯარო სკოლის 60 მოსწავლეზე გათვლილი შენობის მშენებლობა. მიმდინარეობს 5 სკოლის მშენებლობა: 1. ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის დიდი დიღმის ფილიალის 350 მოსწავლეზე გათვლილი შენობის პროექტირება/მშენებლობა, ასევე გარე სპორტული მოედნის და ორი შიდა სპორტული დარბაზის მოწყობა. 2. ქალაქ თბილისის №86 საჯარო სკოლის 650 მოსწავლეზე გათვლილი შენობის პროექტირება/მშენებლობა, ასევე ღია და დახურული გარე სპორტული მოედანი და სპორტული დარბაზის მოწყობა. 3 .ქალაქ თბილისის №138 საჯარო სკოლის 650 მოსწავლეზე გათვლილი შენობის პროექტირება/მშენებლობა, ასევე გარე სპორტული მოედანი და სპორტული დარბაზის მოწყობა. აღნიშნული სკოლის მშენებლობაზე კომპანიას შეუწყდა ხელშეკრულება და გამოცხადდა ახალი ტენდერი ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტენდერი. 4. ქალაქ ტყიბულის №7 საჯარო სკოლის 650 მოსწავლეზე გათვლილი შენობის მშენებლობის დასრულება.

5. მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის 60 მოსწავლეზე გათვლილი შენობის მშენებლობა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ძველი შენობის დემონტაჟი, რის შემდგომაც დაიწყება ახალი სკოლის მშენებლობა.

1.7.2. 2020 წელს დასრულდა 7 სკოლის სრული რეაბილიტაცია ადაპტირებული გარემოს გათვალისწინებით:
1. ქალაქ ოზურგეთის N 1 საჯარო სკოლა (მესამე კორპუსი)
2. ქალაქ თბილისის N90 საჯარო სკოლა
3. ქალაქ ზესტაფონის N 1 საჯარო სკოლა
4. ქალაქ თბილისის N 118 საჯარო სკოლა
5. ქალაქ თბილისის N 172 საჯარო სკოლა
6. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლა
7. მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლა
2021 წელს დასრულდა 3 სკოლის სრული რეაბილიტაცია:
1. ქალაქ თბილისის №74 საჯარო სკოლის შენობის შიდა სრული რეაბილიტაცია, მათ შორის, სპორტული დარბაზის მოწყობა
2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულიშკარის საჯარო სკოლა
3. ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლა

მიმდინარეობს 4 სკოლის სრული რეაბილიტაცია და 3 სკოლის სრული რეაბილიტაციისთვის მიმდინარეობს ტენდერი;
1. ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლა
2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლა
3. ქალაქ თბილისის №147 საჯარო სკოლა
4. ქალაქ თბილისის №102 საჯარო სკოლა
1. ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლა - უსინათლო მოსწავლეებისთვის, მათ გარემოზე მორგებით, კეთდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობის რესტავრაცია/სრული რეაბილიტაცია
2. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლა
3. ქალაქ თბილისის № 171 საჯარო სკოლა
2020 წელს დასრულდა 127-ზე მეტი სკოლის და 2021 წელს 100-ზე მეტი სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო მოსწავლეთა საჭიროების შესაბამისი ფიზიკური გარემოს მოწყობის გათვალისწინებით (შენობის კონსტრუქციული მდგომარეობიდან გამომდინარე).

შესრულების სტატუსი: განხორციელდა 100%

აქტივობა: 2.8 სპეციალური საგანმანათლებლო სერვისის შექმნა - (ხიდი ანუ ტრანზიტული პროგრამების) უწყვეტი განხორციელება, სკოლის მიღმა დარჩენილი ან დარჩენის მაღალი რისკის მქონე მოზარდების ფორმალურ განათლებაში ინტეგრაცია-რეინტეგრაციისთვის

მოსალოდნელი შედეგი: 2.8.1. უზრუნველყოფილია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 6 დღის ცენტრის ყველა (120-150) ბენეფიციარის უწყვეტი მომსახურება განახლებული პროგრამის მიხედვით.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: 2.8.3 განხორციელდა სპეციალური საგანმანათლებლო სერვისი - ხიდი, ანუ ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა სკოლის მიღმა დარჩენილი ან დარჩენის მაღალი რისკის მქონე მოზარდების ფორმალურ განათლებაში ინტეგრაცია-რეინტეგრაციისთვის. ბენეფიციარები იყვნენ ქვეყანაში არსებული სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან არსებულ მიუსაფარი ბავშვების ყველა დღის ცენტრში მყოფი ბავშვები (ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი, ქ. რუსთავი). პროგრამაში საანგარიშო პერიოდისთვის ჩართული იყო 80 -150 მდე მოზარდი;
შესრულების სტატუსი: განხორციელდა
აქტივობა: 2.9 სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების გამოვლენა
მოსალოდნელი შედეგი: 2.9.1. დამტკიცებულია სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა; 2.9.2. მიმდინარეობს პროგრამაში ჩართულ უწყებებს შორის მონაცემთა გაცვლა და სკოლის მიღმა დარჩენილი 6-დან 16 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვების კატეგორიებად დაჯგუფება, ფაქტობრივი მისამართების დადგენა; 2.9.3. დაგეგმილია ზოგად განათლებაში ინტეგრაციის/რეინტეგრაციის ღონისძიებები; 2.9.4. განხორციელებულია ღონისძიებები სკოლის მიტოვების რისკების ადრეული გამოვლინებისთვის.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: 2.9.1. 2020 წლიდან პირველად დაიწყო საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 10 სექტემბერის N573 დადგენილებით დამტკიცებული ,,სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელება. 2.9.2. პროცესი მასშტაბური და მრავალმხრივი აღმოჩნდა. მონაცემების დამუშავება ჯერ ისევ მიმდინარეობს. პროგრამაში ჩართულ უწყებებს შორის ინფორმაციის მიმოცვლის შედეგად გამოიკვეთა 10 404 სასკოლო ასაკის არასრულწლოვნის მონაცემი, რომელიც არასდროს ფიქსირდებოდა მოსწავლის სტატუსით. 2021 წლის ბოლოსთვის არსებული ინფორმაციით დამუშავებულია 5 973 პირის მონაცემი, რომელთაგან 1 681 უკვე ჩაირიცხა სკოლაში, ხოლო 608 არის სკოლის მიღმა და მათი სკოლის მიღმა დარჩენის მიზეზები სხვადასხვაა: მძიმე და მრავლობითი დარღვევები, განვითარების გლობალური შეფერხება, პალიატიურ ზრუნვაში ყოფნა, თემის კულტურული თავისებურებები, ოჯახების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, მეურვის არარსებობა და სხვა. ზრუნვის სააგენტოსთან ერთად მუშაობა მიმდინარეობს 87 შემთხვევაზე ზემოაღნიშნული 608-დან, სადაც ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და არ არის შემაფერხებელი ფაქტორი სკოლაში რეგისტრაციისთვის.

მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვის უფლებათა სამსახურებში ამ ეტაპზეც მიმდინარეობს 4 431 ბავშვის მონაცემების დამუშავება, რომელთაგან 2 620 არის დევნილის სტატუსის მქონე.

2.9.3. სკოლის მიღმა დაჩენილი ბავშვების აღმოჩენის შემთხვევაში განხორციელებულია მათი ზოგად განათლებაში ინტეგრაციის/რეინტეგრაციის ღონისძიებები (1681 ბავშვი ჩაირიცხა სკოლაში);

2.9.4. მოსწავლეთა სკოლის მიღმა დარჩენის პრევენციის მიზნით სასწავლო პროცესში ჩართულობის მონიტორინგის მექანიზმი ამოქმედდა. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №11/ნ ბრძანებით დაწესდა რეგულაციები, რომლებიც სკოლებს ავალდებულებს სასწავლო წლის განმავლობაში ზედიზედ 45 სასწავლო დღის განმავლობაში მოსწავლის სკოლაში ან დისტანციური, სრულად ელექტრონული ფორმით ჩატარებულ გაკვეთილებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ეფექტური რეაგირება მოახდინოს. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს განათლების სისტემას, უზრუნველყოს თითოეული მოზარდის განათლების ფუნდამენტური უფლების დაცვა. პირველ ეტაპზე, მოსწავლის სკოლაში/დისტანციური ელექტრონული ფორმით ჩატარებულ გაკვეთილზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ყოველდღიური მონიტორინგის საფუძველზე, არაუგვიანეს მე-10 დღეს, კლასის დამრიგებელი ვალდებულია სკოლის ადმინისტრაციას წარუდგინოს წერილობითი ანგარიში. დოკუმენტში გაწერილი უნდა იყოს მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელთან მუშაობის 10-დღიანი ანგარიში (გაცდენის მიზეზის დადგენა, მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის აღწერა და სხვ.). იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური პრობლემების გამო მოსწავლეს არ აქვს წვდომა „ტელესკოლასა“ და ონლაინ სწავლებაზე, მასწავლებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მასთან კომუნიკაცია ნებისმიერი, მათ შორის სატელეფონო ფორმით. ხოლო მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია, ითანამშრომლოს სკოლასთან. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, მოსწავლე დისტანციური სწავლების დროს ინტერნეტსა თუ კომპიუტერულ აღჭურვილობაზე ხელმიუწვდომლობის გამო სტატუსის შეჩერებისგან დაცულია.

ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ კი, პროცესში კლასის დამრიგებელთან ერთად, განათლების სისტემის სოციალური მუშაკები ჩაერთვებიან, რომლებსაც აქვთ ვალდებულება, ინფორმაციის მიღებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში განახორციელონ ოჯახში ვიზიტი. განათლების სოციალური მუშაკები მოზარდის სასწავლო პროცესში დაბრუნების მიზნით იმუშავებენ მოსწავლესთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან.

განათლების სისტემა ყველა კანონიერ ბერკეტს გამოიყენებს მოზარდის სასწავლო პროცესში ჩასართავად. იმ შემთხვევაში, თუ აღწერილი ეტაპების გავლის შემდეგ, 45-ე დღეს მოსწავლე სკოლაში მაინც არ გამოცხადდა, მას მოსწავლის სტატუსი უჩერდება, თუმცა, სტატუსის აღდგენა ნებისმიერ დროს შესაძლებელია მშობლის განაცხადების საფუძველზე, სკოლის ადმინისტრაციისთვის მიმართვისთანავე.

შესრულების სტატუსი: შესრულებულია
ამოცანა 3: განათლების უზრუნველყოფის მოდელების მრავალმხრივი განვითარება
აქტივობა: 3.1 დისტანციური სწავლების ხელშეწყობა
მოსალოდნელი შედეგი: 3.1.1. განსაზღვრულია დისტანციური სწავლების მოდელები და შემუშავებული შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები; 3.1.2. განსაზღვრულია დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიისა და სარეკომენდაციო სასწავლო რესურსები;. 3.1.3. დანერგილია დისტანციური სწავლების ტექნიკური მხარდაჭერა: Microsoft Office 365 TEAMS.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
შესრულება: დისტანციური სწავლების მიზნით შექმნილია არაერთი ელექტრონული პლატფორმა და ელექტრონული სასწავლო რესურსი. დისტანციურ სწავლებაში სწავლების რამდენიმე მოდელი მოიაზრება: სრულად ელექტრონული სინქრონული, სრულად ელექტრონული ასინქრონული და ჰიბრიდული. მასწავლებლებისათვის შეიქმნა რეკომენდაციები სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით, კერძოდ: ყველა საგანში მომზადდა გზამკვლევები, რომლებშიც წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების ნიმუშები თავისი განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმებით. "კოალიცია - განათლება ყველასთვის" - თანამშრომლობით მომზადდა კომპლექსური დავალებების ბანკი (300-ზე მეტი დავალება) თავისი აქტივობებითა და რესურსებით სხვადასხვა საგანში. ეს არის გამზადებული სასწავლო რესურსები, რომელთა მოდიფიცირება პედაგოგს შეუძლია საკუთარი კლასის საჭიროებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, ამავე ორგანიზაციამ ჩაატარა კვლევა მასწავლებლებს შორის კომპლექსური დავალებების გამოყენებისა და ეფექტიანობის გაგების მიზნით, რამაც დადებითი შედეგები აჩვენა. რეკომენდაციები საფუძვლად დაედო გზამკვლევების შემდგომ დახვეწას. სსიპ -განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და კომპანია Microsoft-ის თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ასევე მის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და საჯარო სკოლები სრულად იყვნენ უზრუნველყოფილი Microsoft 365-ის სერვისებით, ასევე შეიქმნა Office 365-ის მომხმარებლები ყველა მასწავლებლისა და მოსწავლისათვის (დაახლოებით, 600 000-ზე მეტი მომხმარებელი). Teams-სა და Office 365-ს ყოველდღიურად ათეულობით ათასი ახალი მომხმარებელი ემატება, დღეისათვის სერვისებით სარგებლობს 450 000-ზე მეტი ადამიანი; reset.emis.ge, სადაც უსაფრთხოდ არის შესაძლებელი Office 365-ის საკუთარი ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მიღება.
შესრულების სტატუსი: შესრულებულია

სტრატეგიული ამოცანა 2: განათლების ხარისხის გაუმჯობესება სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების გაზრდის, მოსწავლეებში სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარებისა და უკეთესი აკადემიური შედეგების მიღწევისათვის
ამოცანა 1: ეროვნული სასწავლო გეგმის მოდერნიზება
აქტივობა: 1.1 დაწყებითი საფეხურის სასწავლო გეგმის დანერგვა არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე
მოსალოდნელი შედეგი: 1.1.1. ნათარგმნი სახელმძღვანელოები დაბეჭდილია აზერბაიჯანულ/სომხურ/რუსულ ენებზე და მიეწოდათ შესაბამის სკოლებს; 1.1.2. 4 საპილოტე სკოლაში დაწყებულია ბილინგვური განათლების დანერგვა: შექმნილია გზამკვლევები ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების საგნებისთვის, გადამზადებულია ორენოვანი სპეციალისტები, 130 არაქართულენოვანი მასწავლებელი Teams -ის პროგრამაში.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: **1.1.1** Ø ითარგმნა აზერბაიჯანულ/სომხურ/რუსულ ენებზე, დაბეჭდილია და მიეწოდათ შესაბამის სკოლებს უმაღლესი რეიტინგის მქონე I - VII კლასების სახელმძღვანელოები ყველა საგანში, მშობლიური ენისა და ლიტერატურის გამოკლებით; Ø ნათარგმნია VIII კლასის სახელმძღვანელოები, რომლებიც სკოლებს მიეწოდებათ 2022 წლის სექტემბერში; **1.1.2** 25 არაქართულენოვან სკოლაში დაწყებულია ბილინგვური განათლების მოდელის დანერგვა: Ø შექმნილია ენისა და საგნის ინტეგრირებული რესურსები საგნებში: ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება, ხელოვნება, ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) Ø მშობლიურ ენებზე ნათარგმნია ესგ-ს პრინციპებზე დაფუძნებული რესურსები საგნებში: ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება, ხელოვნება Ø გადამზადებულია 60-მდე დამხმარე, ორენოვანი მასწავლებელი და 6 დაწყებითი საფეხურის ორენოვანი ქოუჩი/ექსპერტი, 6 ქართული ენის ქოუჩი/ექსპერტი, 25 ბილინგვური სწავლების კოორდინატორი Ø Teams-ის საბაზისო ფუნქციების გამოყენებაში გადამზადებულია 200-მდე მასწავლებელი.

უკვე დაბეჭდილი და დარიგებულია I-VII კლასის ეროვნული უმცირესობების ენებზე (აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე) ნათარგმნი გრიფირებული სახელმძღვანელოები. მიეწოდათ შესაბამის სკოლებს;
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა: 1.2 საბაზო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა
მოსალოდნელი შედეგი: 1.2.1.დაწყებულია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა; 1.2.2. საჯარო სკოლის 1-8 კლასების მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან განახლებული გრიფირებული სახელმძღვანელოებით. 1.2.3. ქართულენოვანი საჯარო სკოლის მე-9 კლასების მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან განახლებული გრიფირებული სახელმძღვანელოებით.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
შესრულება: 2020 წელს განხორციელდა საბაზო საფეხურის VII კლასის ზოგიერთი საგნის და VIII კლასის სახელმძღვანელოების გრიფირება, ხოლო 2020 წლის 20 ოქტომბრის N1013153 ბრძანებით გამოცხადდა გრიფირება ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნის, საბაზო საფეხურის VII და VIII კლასების ზოგიერთი საგნებისა და IX კლასის საგნების სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე. 2021 წლის თებერვალში განხორციელდა გრიფირების განაცხადებისა და მაკეტების მიღება და მათი შემოწმება. ამ სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების რეცენზირებისა და გრიფის მინიჭების პროცესი დასრულდა 2021 წლის 18 ივნისს. შედეგად, წარმოდგენილი სახელმძღვანელოების უმრავლესობას მიენიჭა გრიფი და სასწავლო პროცესში დაინერგა 2021-2022 სასწავლო წლიდან. გარკვეული კლასების სასკოლო სახელმძღვანელოებმა ვერ დააკმაყოფილეს მოთხოვნები და არ მიენიჭათ გრიფი. აქედან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 26 ოქტომბრის N1142933 ბრძანებით გრიფირება გამოცხადდა შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) IX კლ; 2. აფხაზური ენა და ლიტერატურა VII, VIII, IX კლ; 3. მეორე უცხოური ენა - რუსული IX კლ; 4. ფიზიკური აღზრდა და სპორტი IX კლ; 5. მშობლიური ენა და ლიტერატურა (რუსული) VII, VIII, IX კლ; 6. მშობლიური ენა და ლიტერატურა (სომხური) VII, VIII, IX კლ; 7. მშობლიური ენა და ლიტერატურა (აზერბაიჯანული) VII, VIII, IX კლ. ამ სახელმძღვანელოებზე გრიფირების განაცხადების მიღება იწარმოებს 2022 წლის 14-20 თებერვლის ჩათვლით. და გრიფის მინიჭების შემთხვევაში დაინერგება 2022-2023 სასწავლო წლიდან. ქართულენოვანი საჯარო სკოლების 1-9 კლასების მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან განახლებული გრიფირებული სახელმძღვანელოებით, გარდა ზემოხსენებული საგნებისა.

არაქართულენოვანი საჯარო სკოლების 1-7 კლასების მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან განახლებული გრიფირებული და თარგმნილი სახელმძღვანელოებით, გარდა ზემოხსენებული საგნებისა. რაც შეეხება მე-8 კლასის გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ისინი თარგმნილია და დაინერგება 2022-2023 სასწავლო წლიდან არაქართულენოვან საჯარო სკოლებში. 1.2.2. საჯარო სკოლის 1-8 კლასების მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან განახლებული გრიფირებული სახელმძღვანელოებით. 1.2.3. ქართულენოვანი საჯარო სკოლის მე-9 კლასების მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან განახლებული გრიფირებული სახელმძღვანელოებით.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა: 1.3 სასწავლო გეგმების შემუშავება განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის
მოსალოდნელი შედეგი: 1.3.1. რესურს-სკოლების (მძიმე და ღრმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეების) და ინტეგრირებული კლასის მასწავლებლები და სპეც. მასწავლებლები გადამზადებულნი არიან ალტერნატიული სასწავლო გეგმის დანერგვისთვის მძიმე, ღრმა და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის; 1.3.2. დამტკიცებულია სენსორული სასწავლო გეგმა; 1.3.3. დამტკიცებულია გაფართოებული სასწავლო გეგემა; 1.3.4. მომზადდა შეკუმშული კურიკულუმი სავალდებულო ზოგადი განათლების მიღმა დარჩენილი ან დარჩენის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის და დაიწყო მისი პილოტირება.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: 1.3.4. გაეროს ბავშვთა ფონდისა და ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შეიქმნა დაწევისა და დაჩქარებული სწავლების პროგრამა წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების მიმართულებით, სასწავლო რესურსები, სკოლის ადმინისტრატორთა და მასწავლებელთა ტრენინგ-მოდულები, შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტები. განხორციელდა შემუშავებული საგანმანათლებლო რესურსების პილოტირება.
შესრულების სტატუსი: შესრულებულია
ამოცანა 2: ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება და გამრავალფეროვნება
აქტივობა: 2.1 ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირება.

მოსალოდნელი შედეგი: 2.1.1. მიმდინარეობს IX კლასის და ზოგიერთი I-VIII კლასების სახელმძღვანელოების გრიფირება;
2.1.2. დასრულდა VIII კლასის და ზოგიერთი I-VII კლასების სახელმძღვანელოების გრიფირება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

შესრულება:

2020 წელს განხორციელდა საბაზო საფეხურის VII კლასის ზოგიერთი საგნის და VIII კლასის სახელმძღვანელოების გრიფირება და გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები დაინერგა 2020-2021 სასწავლო წლიდან, ხოლო 2020 წლის შემოდგომაზე გრიფირების წესში განხორციელდა სათანადო ცვლილებები, დამტკიცდა გრიფირების პროცესთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და 2020 წლის 20 ოქტომბრის N1013153 ბრძანებით გამოცხადდა გრიფირება ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნის, საბაზო საფეხურის VII და VIII კლასების ზოგიერთი საგნებისა და IX კლასის საგნების სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე. 2021 წლის თებერვალში განხორციელდა გრიფირების განაცხადებისა და მაკეტების მიღება და მათი შემოწმება. ამ სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების რეცენზირებისა და გრიფის მინიჭების პროცესი დასრულდა 2021 წლის 18 ივნისს. შედეგად წარმოდგენილი სახელმძღვანელოების უმრავლესობას მიენიჭა გრიფი და სასწავლო პროცესში დაინერგა 2021-2022 სასწავლო წლიდან. გარკვეული კლასების სასკოლო სახელმძღვანელოებმა ვერ დააკმაყოფილეს მოთხოვნები და არ მიენიჭათ გრიფი. აქედან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 26 ოქტომბრის N1142933 ბრძანებით გრიფირება გამოცხადდა შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) IX კლ;
2. აფხაზური ენა და ლიტერატურა VII, VIII, IX კლ;
3. მეორე უცხოური ენა - რუსული IX კლ;
4. ფიზიკური აღზრდა და სპორტი IX კლ;
5. მშობლიური ენა და ლიტერატურა (რუსული) VII, VIII, IX კლ;
6. მშობლიური ენა და ლიტერატურა (სომხური) VII, VIII, IX კლ;
7. მშობლიური ენა და ლიტერატურა (აზერბაიჯანული) VII, VIII, IX კლ.

ამ სახელმძღვანელოებზე გრიფირების განაცხადების მიღება იწარმოებს 2022 წლის 14-20 თებერვლის ჩათვლით. და გრიფის მინიჭების შემთხვევაში დაინერგება 2022-2023 სასწავლო წლიდან.

შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

აქტივობა 2.2: სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარება - სკოლების აღჭურვა ტექნოლოგიებით, სასწავლო ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკების განვითარება

მოსალოდნელი შედეგი: 2.2.1. 56 საჯარო სკოლას გადაეცა პროექტორი და 7 საჯარო სკოლას პორტაბელური კომპიუტერი.
2.2.2. შეკუმშული კურიკულუმის საპილოტე 15 საჯარო სკოლას გადაეცა 75 პორტაბელური კომპიუტერი, 15 პრინტერი, 15 პროექტორი და 15 პროექტორის ეკრანი

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

შესრულება:

2.2.1 2020 წელს 56 საჯარო სკოლას გადაეცა პროექტორი და 7 საჯარო სკოლას პორტაბელური კომპიუტერი.

2021 წელს 182 საჯარო სკოლას გადაეცა 507 პროექტორი.

შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%

ამოცანა 3: სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება

აქტივობა: 3.1 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის გაუმჯობესება სწავლების ხარისხის შესაბამისობის თვალსაზრისით.

მოსალოდნელი შედეგი: 3.1.1.განსაზღვრულია და გადამუშავებულია სქემის განხორციელების ხელშემწყობი რესურსების თემატიკა და შინაარსი;

3.1.2. მომზადებულია მასწავლებლებისთვის სქემით გათვალისწინებული სტატუსების მისანიჭებლად საჭირო დოკუმენტაცია და სტატისტიკური მონაცემები;

3.1.3. დაგეგმილია და განხორციელებულია სტატუსის ცვლილებისათვის საჭირო პროცესები/აქტივობები;

3.1.4. სტატუსის ცვლილებაზე წარდგენილ მასწავლებლებისთვის მინიჭებული სტატუსების შესაბამისობა დადგენილია;

3.1.5. ამოქმედებულია მაძიებლობის პროგრამა.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:

3.1.1.

2020-2021 წლებში მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ეფექტური განხორციელების მიზნით მომზადდა საკანონმდებლო აქტებში შესატანი ცვლილებების პაკეტები (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მასწავლებელთა პროფესიული და კარიერული წინსვლის სქემა, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი);

3.1.2.

- 2021 დამუშავდა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები და მომზადდა დაახლოებით 2250-ამდე პრაქტიკოსი მასწავლებლის ბაზა უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად;
- სტატუსის ცვლილებისათვის მომზადდა 4058 მასწავლებლის ბაზა, რომლებმაც 2020 – 2021 წელს წარმატებით გაიარეს გარე დაკვირვების პროცესი;
- 2020 წელს მომზადდა უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად 415 მასწავლებლობის მაძიებლის ბაზა, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს პროგრამა;

- 2021 წელს მომზადდა უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად 390 მასწავლებლობის მაძიებლის ბაზა, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს პროგრამა;
- 2020-2021 წლებში დამუშავდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან შემოსული კორესპონდენციები და მომზადდა დაახლოებით 2000 პირის ბაზა მასწავლებლებისათვის სტატუსების მისანიჭებლად;
- მომზადდა ბაზა 1700 პრაქტიკოსი მასწავლებლის, რომლებმაც უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად დამატებით გაიარეს 5 კრედიტიანი ტრენინგები;
- მომზადდა ბაზა 8397 პრაქტიკოსი და 14 წამყვანი მასწავლებლისათვის, რომლებიც სტატუსის ცვლილებისათვის წარდგენილნი იყვნენ სკოლებიდან.

3.1.3

- 2020 წელს მასწავლებელთა მაძიებლობის პროგრამაში ჩაერთო 450 მასწავლებელი, ხოლო წარმატებით დაასრულა 415 მაძიებელმა მასწავლებელმა. მათ წარმატებით დაასრულეს მაძიებლობის პროგრამაში შემავალო ორივე კურსი: აკადემიური და პედაგოგიური პრაქტიკის კურსი.
- 2021 წელს მასწავლებელთა მაძიებლობის პროგრამაში ჩაერთო 482 მასწავლებელი, ხოლო 708 მაძიებელმა მასწავლებელმა წარმატებით დაასრულეს მაძიებლობის პროგრამაში შემავალო ორივე კურსი: აკადემიური და პედაგოგიური პრაქტიკის კურსი.
- 2020 წელს გარე დაკვირვების პროგრამა წარმატებით გაიარა 4013-მა უფროსმა მასწავლებელმა;
- შეფასდა 1009 მასწავლებლის მიერ განხორციელებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა.
- 2021 წელს გარე დაკვირვების პროგრამა წარმატებით გაიარა 45-მა უფროსმა მასწავლებელმა. 2021 წელს სქემაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად ინერგება მასწავლებელთა გარე შეფასების სრულიად ახალი სისტემა - კომპლექსური შეფასება, რომელიც მოიცავს: წამყვანი/მენტორი მასწავლებლის გამოცდის ჩაბარებას, მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე დასწრებას, მისი პროფესიული საქაღალდის შესწავლას (სადაც ატვირთული უნდა იყოს მასწავლებლის სტანდარტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია) და სასკოლო საზოგადების (დირექტორი, კოლეგები, მშობლები, მოსწავლე) ინტერვიურებას. მასწავლებლის შეფასებას განახორციელებს 2 შემფასებელი. მასწავლებლის შეფასება ხდება მრავალმხრივი, რაც ხელს შეუწყობს, როგორც გარე დაკვირვების პროცესის გამჭვირვალეობას და შეფასების ვალიდურობის და სანდოობის ზრდას, ასევე მასწავლებლების კვალიფიციურობის ზრდას. ცენტრი კომპლექსური შეფასების განხორციელებას დაიწყებს 2022 წლიდან, მას შემდეგ რაც გამოცდების ეროვნული ცენტრი ჩაატარებს წამყვანი/მენტორი მასწავლებლის გამოცდას.

3.1.4.

- 2020 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მიხედვით სტატუსი შეიცვალა 15.720 მასწავლებელმა - მენტორი 14, წამყვანი 5005, უფროსი 10701. სტატუსი მოიპოვა 1887 სპეციალურმა მასწავლებელმა 1875 სპეციალური პრაქტიკოსი მასწავლებელი და 12 სპეციალური უფროსი მასწავლებელი.
- 2021 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მიხედვით საანგარიშო პერიოდში სტატუსი შეიცვალა 3461 მასწავლებელმა - 86 წამყვანი და 3375 უფროსი. ასევე 1016 სპეციალურმა მასწავლებელმა მოიპოვა სტატუსი, 45 პრაქტიკოსმა და 971 უფროსი სპეციალური მასწავლებლის სტატუსი.

3.1.5

- 2020 წელს მასწავლებელთა მაძიებლობის პროგრამაში ჩაერთო 450 მასწავლებელი, ხოლო პროგრამა წარმატებით დაასრულა 415 მაძიებელმა მასწავლებელმა და მიენიჭათ უფროსი მასწავლებლის სტატუსი.
- 2021 წელს მასწავლებელთა მაძიებლობის პროგრამაში ჩაერთო 482 მასწავლებელი, ხოლო პროგრამა წარმატებით დაასრულა 708 მაძიებელმა მასწავლებელმა და 390 მასწავლებელს მიენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა 100%

აქტივობა: 3.2 კონკურსებისა და ოლიმპიადების მრავალმხრივი განვითარება

მოსალოდნელი შედეგი: 3.2.1. კონკურსები და ოლიმპიადები დივერსიფიცირებულია (5 თემატური კონკურსი, 13 საგანში ეროვნული ოლიმპიადა, 5 საგანში საერთაშორისო ოლიმპიადა, ევროპის ინფორმატიკის მე-4 ახალგაზრდული ოლიმპიადა საქართველოში).

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:

2020 წელს კოვიდპანდემიის პირობებში ჩატარდა მხოლოდ 2019-2020 სასწავლო წლის ეროვნული ოლიმპიადის პირველი-ორი ტური. ასევე პანდემიის პირობებში, 4 საგანში (ქიმია, ინფორმატიკა, მათემატიკა, ქიმია) დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა მსოფლიო ოლიმპიადები, რომელშიც მოპოვებულ იქნა 3 ოქროს, 3 ვერცხლის, 3 ბრინჯაოს მედალი და ერთი საპატიო სიგელი.

დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა „ევროპის ინფორმატიკის მე-4 ახალგაზრდული ოლიმპიადა საქართველოში“ მოპოვებულ იქნა 1 ოქროს, 1 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი.

2022-2021 სასწავლო წლის ეროვნულ ოლიმპიადებში მონაწილეობა მიიღო 17344 მოსწავლემ (41811 საგანი) გამოვლინდა 121 გამარჯვებული მოსწავლე (128 საგანი).

დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა მსოფლიოს ოლიმპიადები 4 საგანში (ფიზიკა, ქიმია, ინფორმატიკა, მათემატიკა) გამოვლინდა 1 ვერცხლის, 11 ბრინჯაოს მედალი და სამი საპატიო სიგელი.

მოსწავლეებისთვის ჩატარდა 3 სასკოლო თემატური კონკურსი.

შესრულების სტატუსი: შესრულებულია
აქტივობა: 3.3 დისტანციური სწავლების ხელშეწყობა
მოსალოდნელი შედეგი: 3.3.1. საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობით მომზადდა პროექტი ტელესკოლა და მიმდინარეობს უწყვეტი ტრანსლირება: ტელეგაკვეთილები, შემეცნებითი საგანმანათლებლო ფილმები და გადაცემები; 3.3.2. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში დიდ ქალაქებში - თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ზუგდიდსა და გორში - სკოლის შენობაში მიმდინარე დასწრებით სასწავლო პროცესის პირობებში, ძირითადი საგაკვეთილო პროცესისგან განსხვავებულ დროს მოსწავლეთა ნაწილისთვის სწავლების დისტანციურად განხორციელების ხელშეწყობა.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
შესრულება: „ტელესკოლა“ ქვეპროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობით მომზადდა ყველა საგნის (კლასების მიხედვით) ტელეგაკვეთილები, შემეცნებითი საგანმანათლებლო ფილმები, სხვადასხვა შინაარსის გადაცემები, რომლებიც უწყვეტ რეჟიმში გადაიცემოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის საშუალებით. „COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში საჯარო სკოლების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით ძირითადი საგაკვეთილო პროცესისგან განსხვავებულ დროს, დისტანციური სწავლებით ისარგებლა 800 საჯარო სკოლის მოსწავლემ და მასში ჩართული იყო 20700-მდე პედაგოგი. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ შექმნა პლატფორმა- online.emis.ge, სადაც მშობელი არეგისტრირებს მოსწავლეს ონლაინ სწავლების ტიპზე. ასევე სისტემა eSchool-ში შეიქმნა შესაბამისი მოდულები, რათა სკოლებისთვის უფრო მარტივი ყოფილიყო მოსწავლეების ონლაინ სწავლებაზე დარეგისტრირების/ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ინფორმაციის მიღება.
შესრულების სტატუსი: შესრულებულია
აქტივობა: 3.4 "ახალი სკოლის მოდელის" დანერგვა საჯარო სკოლებში
მოსალოდნელი შედეგი: 3.4.1. 366 საჯარო სკოლაში დანერგილია კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმი, სკოლის მართვის ეფექტიანი პრაქტიკა, ციფრული ტექნოლოგიები სწავლა-სწავლების პროცესში, წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობის შეფასების სისტემა; 3.4.2. შექმნილია რეგიონული საკონსულტაციო გუნდები "ახალი სკოლის მოდელის" დანერგვისა და სკოლების მუდმივი კონსულტირებისთვის
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; სსიპ განათლების მართვის

საინფორმაციო სისტემა; სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
შესრულება: 3.4.1. 600 საჯარო სკოლაში დანერგილია კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმი, სკოლის მართვის ეფექტიანი პრაქტიკა, ციფრული ტექნოლოგიები სწავლა-სწავლების პროცესში, წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასების სისტემა; 3.4.2. "ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში შექმნილია რეგიონული საკონსულტაციო გუნდები, რომლებიც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მიზნით საკონსულტაციო შეხვედრებს სთავაზობენ საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო სკოლას; 3.4.3. მომზადდა და საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო სკოლას დაეგზავნა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მხარდამჭერი დოკუმენტების პაკეტი შემდეგი შემადგენლობით: (1) ეროვნული სასწავლო გეგმის თეორიული საფუძვლები; (2) საგნობრივი გზამკვლევები სასკოლო სასწავლო გეგმის ასაგებად; (3) განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები; (4) კომპლექსური დავალებების ნიმუშები; (5) დაწყებითი და საბაზო საფეხურის გრიფირებულ სახელმძღვანელოებზე დაფუძნებული ვიდეო-გზამკვლევები. ერთიან საგანმანათლებლო ელექტრონულ პორტალზე (EL.GE) პარტნიორის სახით წარმოდგენილია 35 ორგანიზაცია, რაც საერთო ჯამში საიტზე 23 000 რესურსს შეადგენს; ყოველთვიურად პორტალს დაახლოებით 90 000 მომხმარებელი იყენებს. პორტალი EL.GE ჩაშენდა MS Teams-ში, რაც საშუალებას იძლევა, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს პირდაპირ ჰქონდეთ წვდომა საიტზე განთავსებულ რესურსებზე.
შესრულების სტატუსი: შესრულებულია
აქტივობა: 3.5 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის ფორმირება, განვითარება და სრულყოფა
მოსალოდნელი შედეგი: 3.5.1. განხორციელებულია ექსპერტთა ინფორმირება ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნების და პროცედურების შესახებ; 3.5.2. ორგანიზებულია სამუშაო შეხვედრები ექსპერტთა კორპუსის წევრებისთვის, მათ მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ უკუკავშირის მიწოდების მიზნით; 3.5.3. განახლებულია ავტორიზაციის დასკვნის და სკოლის თვითშეფასების ფორმები ახალი სტანდარტების შესაბამისად.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: **3.5.1.** 2021 წელს შემუშავდა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების ახალი კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის განახლებულ სტანდარტებსა და პროცედურებს. კონცეფცია გაზიარდა საინფორმაციო-სადისკუსიო ტიპის დისტანციური შეხვედრების ფორმატში დაინტერესებულ პირთა ფართო წრისთვის, მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრებისთვის.
ამასთან, ინიცირება მოხდა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების განხორციელების თაობაზე, მათ შორის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონში, რომელიც აზუსტებს განახლებული სტანდარტების სახელწოდებებს. კანონში ცვლილების განხორციელება იგეგმება 2022 წელს, რომლის შემდეგაც შესაბამისი ცვლილებები აისახება ავტორიზაციის დებულებაში. ცვლილებების თაობაზე განხორციელდება ექსპერტთა ინფორმირება. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთა სერტიფიცირების პროცესი, რომლის ფარგლებშიც ხდება განახლებული სტანდარტების პროექტის დეტალურად წარდგენა და განხილვა ტრენინგების ფორმატში.

შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

3.5.2. ჩატარდა სამუშაო შეხვედრები ექსპერტთა კორპუსის წევრებთან მათი საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით უკუკავშირის მიწოდების მიზნით. ასევე ინდივიდუალურად მიეწოდათ ექსპერტთა ჯგუფებს უკუკავშირები კონკრეტული ადმინისტრაციული წარმოებების ფარგლებში.

შესრულების სტატუსი: შესრულდა

3.5.3. გამომდინარე იქიდან, რომ ახალი სტანდარტების დამტკიცება დაგეგმილია 2022 წელს, აღნიშნული აქტივობაც გადანაცვლებულია 2022 წლის სამოქმედო გეგმაში (მე-4 კვარტალი).

შესრულების სტატუსი: არ შესრულებულა

შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

აქტივობა: 3.6 საზღვარგარეთ აღიარებული საერთაშორისო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საქართველოში აღიარება

მოსალოდნელი შედეგი: 3.6.1. საზღვარგარეთ აღიარებული საერთაშორისო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები;
3.6.2. საზღვარგარეთ აღიარებული საერთაშორისო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტთა კორპუსი

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

შესრულება:

3.6.1. 2021 წლის მდგომარეობით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და ოთხ უფლებამოსილ ინსტიტუტს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აღიარების თაობაზე (ჯამში ოთხმა პროგრამამ მოიპოვა საქართველოში აღიარება). ამასთან, 1 პროგრამასთან მიმართებით შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება პროგრამის აღიარების თაობაზე, რადგანაც შესაბამისობაში არ იყო დადგენილ სტანდარტის მოთხოვნებთან და კრიტერიუმებთან. ასევე განხორციელდა პროგრამის აღიარების თაობაზე უფლებამოსილ ინსტიტუტთან დადებული ხელშეკრულებების ანალიზი და მომზადდა ხელშეკრულებებში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტები. მხარეებთან მოლაპარაკებების საფუძველზე 2 ხელშეკრულებაში განხორციელდა ცვლილება.
ევროკავშირის ,,TWINNING" პროექტის მხარდაჭერით მომზადდა თემატური ანალიზი - ,,საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების საქართველოში აღიარებასთან დაკავშირებული არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები".

შესრულების სტატუსი: შესრულდა

3.6.2. არ განხორციელებულა და მოცემულ ეტაპზე არ იგეგმება ცალკე ექსპერტთა კორპუსის ფორმირება საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების აღიარების ადმინისტრაციული წარმოებების ფარგლებში შეფასებებისთვის.

შესრულების სტატუსი: გაუქმებულია

შესრულების სტატუსი: შესრულდა

აქტივობა: 3.7 პროგრამების აღიარების წესთან მიმართებით საკანონმდებლო ცვლილების პროექტის შემუშავება და ინიცირება

მოსალოდნელი შედეგი: 3.7.1. შემუშავებულია საკანონმდებლო ცვლილების პროექტი პროგრამების აღიარების წესთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს პროგრამების აღიარების განახლებულ პროცედურასა და სტანდარტებს და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან;
3.7.1. ინიცირებულია საკანონმდებლო ცვლილების პროექტი.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

შესრულება:
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ინიცირებულ იქნა ცვლილებების პროექტი ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს ასევე საზღვარგარეთ აღიარებული პროგრამების საქართველოში აღიარების რეგულირების საკითხებსაც. კერძოდ, კანონში ცვლილებით იქმნება სამართლებრივი საფუძველი ხელშეკრულების გაფორმების წესის, პირობებისა და საფასურის მარეგულირებელი აქტის დამტკიცების. ცვლილების პროექტის მიხედვით აღნიშნული სამართლებრივი აქტი უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს კანონში შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 6 თვის ვადაში. აღნიშნული ვადების დაცვით მოხდება ცენტრის მიერ

დოკუმენტის დასამტკიცებლად ინიცირება. ეს უკანასკნელი აქტივობა გათვალისწინებულია ცენტრის 2022 წლის სამოქმედო გეგმაში.
შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა
ამოცანა 4: ეროვნული და საერთაშორისო შეფასებების გამოყენებით სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება
აქტივობა: 4.1 ეფექტური მექანიზმის შექმნა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საერთაშორისო შეფასების შედეგების ასახვის მიზნით
მოსალოდნელი შედეგი: 4.1.1. მექანიზმი შემუშავებულია
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: 2021 წელს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა **PISA 2022**-საცდელი ტესტირება და ამჟამად მიმდინარეობს PISA-ს ძირითადი ტესტირებისთვის მზადება. იხილეთ დეტალები: 1. 2021 წელს: ❱ დასრულდა საპილოტე კვლევის საველე სამუშაოები; ❱ შეგროვებული მონაცემები აისახა გაერთიანებულ ბაზაში; ❱ ერთიანი ბაზა გაეგზავნა OECD-ის კონტრაქტორს მონაცემთა მენეჯმენტისა და ფსიქომეტრიის მიმართულებაში; ❱ მივიღეთ საპილოტე კვლევის საბოლოო მონაცემები; ❱ დავიწყეთ ძირითადი კვლევის მოსამზადებელი სამუშაოები; ❱ აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე ადაპტირდა კოგნიტური ინსტრუმენტები; ❱ აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე ითარგმნა და ადაპტირდა კითხვარები; ❱ კონტრაქტორებთან ერთად დაიწყო ძირითადი კვლევის შერჩევაზე მუშაობა; 2021 წელს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა **PIRLS 2021**-ის ძირითადი კვლევა, მონაცემები ერთიანი ბაზის სახით გადაიგზავნა IEA–სთან ვერიფიკაციის მიზნით. ველოდებით დამატებით ინსტრუქციებს ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისაგან. დეტალები იხილეთ ქვემოთ: 2021 წელს: ❱ ძირითადი კვლევისათვის შერჩეულ სკოლებში, შეირჩა კლასები და კვლევაში მონაწილე მოსწავლეები, მათი მშობლები, სკოლის დირექტორები და მასწავლებლები; ❱ ითარგმნა კვლევის ინსტრუმენტები, სახელმძღვანელოები და გაიმართა სპეციალური პროგრამა რომელშიც შევიყვანეთ მონაცემები;

- ნაცვლად 2021 წლის გაზაფხულისა, პანდემიური მძიმე სურათის გათვალისწინებით, საერთაშორისო კონსორციუმთან შეთანხმებით ველი ჩატარდა შემოდგომაზე;
- აგვისტო-სექტემბრის თვეში განხორციელდა კვლევაში მონაწილე სკოლების შერჩევა და სკოლებთან კომუნიკაცია;
- ოქტომბრის თვეში ჩატარდა ტესტირების ჩამტარებელთა და სკოლის კოორდინატორების ტრეინინგები;
- ნოემბერში ჩატარდა ტესტირების გასწორების ტრენერთა ტრეინინგები;
- PIRLS-ის საველე სამუშაოების წინა ეტაპზე განხორციელდა ხარისხის მონიტორების ნომინირება და მონაცემები გადაეგზავნება კონტრაქტორებს;
- დეკემბერში დასრულდა სკოლებიდან მიღებული მოსწავლეების მონაცემების სპეციალურ პროგრამაში ასახვა;
- დეკემბრის თვეში დასრულდა მონაცემების წმენდა და ამჟამად კონტრაქტორებთან ერთად დაიწყება ბაზის წმენდითი სამუშაოები.
- 2022 წლის თებერვლის თვეში ველოდებით დამატებით ინსტრუქციებს წმენდით სამუშაოებთან დაკავშირებით;
- კვლევის ბოლო ეტაპზე კონსორციუმი მოგვაწვდის გაწმენდილ მონაცემთა ბაზას ეროვნული ანგარიშის მოსამზადებლად.

2021 წელს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა დაიწყო **TIMSS 2023**-ის საცდელი კვლევისათვის მომზადება. კვლევა პირველად ჩატარდება მთლიანად ელექტრონული ფორმატით. ამჟამად IEA–სთან ერთად მიმდინარეობს კვლევის ელექტრონული ვერსიების მომზადება. ეტაპობრივად ვიღებთ შესასრულებელ სამუშაოებს ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისაგან. დეტალები იხილეთ ქვემოთ:

2021 წელს:

- დავიწყეთ საცდელი კვლევის მოსამზადებელი სამუშაოები, შევარჩიეთ სკოლის კოორდინატორები, რომლებიც დაგვეხმარებიან კვლევის ჩატარებაში;
- ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნა და ადაპტირდა კოგნიტური ინსტრუმენტები და ტესტური დავალებები;
- სპეციალურ პროგრამაში შევიდა კვლევის მასალების ნათარგმნი ვერსიები და ამჟამად მიმდინარეობს კვლევის ტესტური დავალებების ვერიფიკაცია;
- კონტრაქტორებთან გაიგზავნა კვლევის შერჩევის ჩარჩო და დასრულდა კვლევის შერჩევაზე მუშაობა;
- განხორციელდა საცდელი კვლევისათვის სკოლების შერჩევა და დავიწყეთ სკოლებთან კომუნიკაცია TIMSS-ის საველე სამუშაოებთან დაკავშირებით;
- სკოლებმა მოგვაწოდეს ინფორმაცია შერჩეული კლასებში (მე-4 და მე-8) მოსწავლეთა რაოდენობისა და ამ კლასების მასწავლებლების შესახებ. ამჟამად შერჩევის საერთაშორისო პროცედურის გათვალისწინებით მიმდინარეობს სიების დაზუსტება და 2022 წლის იანვარში დასრულდება შერჩევაზე მუშაობა.

ცენტრში პერიოდულად იმართებოდა და სამომავლოდაც იგეგმება სამუშაო შეხვედრები კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფების მონაწილეობით. ცენტრის ექსპერტები დარგის სპეციალისტებსა და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელ პირებს აცნობდნენ კვლევის შედეგებსა და ძირითად გამოწვევებს.

ინფორმაცია ვრცელდებოდა, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა 100%

აქტივობა: 4.2 ეროვნული შეფასებების შედეგების გათვალისწინების მექანიზმების შექმნა სასწავლო პროგრამის განვითარების პროცესში

მოსალოდნელი შედეგი: 4.2.1. მექანიზმი შემუშავებულია

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:

2020-2021 წწ. პერიოდში სახელმწიფო შეფასება არ ჩატარებულა. რაც შეეხება წინა წლებში განხორციელებულ სახელმწიფო შეფასებას, ინფორმაცია გაზიარებულია დარგის ექსპერტებთან და ხელმისაწვდომია ცენტრის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

შესრულების სტატუსი: შეჩერებულია

სტრატეგიული ამოცანა 3: საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება

ამოცანა 1: საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა

აქტივობა: 1.1 ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მიზნით დახურული და ღია სპორტული მოედნების მოწყობა/რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შედეგი: 1.1.1. მოწყობილია/რეაბილიტირებულია 13 სკოლის სპორტული დარბაზი და 17 სკოლის სპორტული მოედანი.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:

1.1.1. მოწყობილია/რეაბილიტირებულია 13 სკოლის სპორტული დარბაზი და 17 სკოლის სპორტული მოედანი.

შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%

აქტივობა: 1.2 სკოლების უზრუნველყოფა ICT ტექნოლოგიებითა და მაღალი სისწრაფის ინტერნეტით.

მოსალოდნელი შედეგი: 1.2.1. დამატებით 150 სკოლაში შეტანილია კომპიუტერები და პროექტორები;

1.2.2. დამატებით 121 სკოლაში განხორციელებულია ცენტრალიზებული Wi-Fi-ის ინსტალაცია;
1.2.3. 1400 სკოლას მიეწოდება ოპტიკური ინტერნეტი.
ESIDA:
2021 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით 1405 წერტილი (სკოლები, მათი დამატებითი შენობები და რეს.ცენტრები) უზრუნველყოფილია ოპტიკურ ბოჭკოვანი კავშირით.
1.2.4. 165 საჯარო სკოლის I-IV კლასები აღჭურვილია პროექტორებით, ნოუთბუქებით პედაგოგებისათვის.
1.2.5. განახლებულია კომპიუტერული ლაბორატორიები, შემოღებულია კომპიუტერების შესანახი/დამტენი/ მობილური კარადები;
1.2.6. 386 სკოლაში მოქმედებს უსადენო WIFI ქსელი.
1.2.7. საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო სკოლაში მოქმედებს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ კავშირი.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა,
სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

შესრულება:
1.2.4. 165 საჯარო სკოლის I-IV კლასები აღჭურვილია პროექტორებით, ნოუთბუქებით პედაგოგებისათვის.
1.2.5. განახლებულია კომპიუტერული ლაბორატორიები, შემოღებულია კომპიუტერების შესანახი/დამტენი/ მობილური კარადები;
1.2.6 საქართველოს მასშტაბით 385 საჯარო სკოლა და მათ შორის 16 დამატებითი შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალიზებული უკაბელო ქსელით.

1.2.7 - საქართველოს მასშტაბით ყველა აქტიური საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირით. აქედან წერტილების 64% უზრუნველყოფილია 50 მბ/წ ოპტიკური კავშირით, ხოლო დანარჩენი 5-10 მბ/წ რადიო კავშირით.

შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%

აქტივობა: 1.3 სკოლების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და დადგენილ სტანდარტებთან მიახლოება

მოსალოდნელი შედეგი: 1.3.1. ყველა საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია სანიტარიულ-ჰიგიენური საშუალებებით და საინფორმაციო პოსტერებით.
1.3.2. საჯარო სკოლაში რეაბილიტაცია ჩაუტარდა სველი წერტილებსა და წყალგაყვანილობას;
1.3.3. სკოლებში მოეწყო სველი წერტილები.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

შესრულება:
ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) უზრუნველყოფილი იქნა COVID 19-ის მონიტორინგის მოდულის იმპლემენტაცია

შესრულების სტატუსი: შესრულდა

ამოცანა 2: სკოლებში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა
აქტივობა: 2.1 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ ხარისხიანი მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა
მოსალოდნელი შედეგი: 2.1.1. სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური შესულია 130 ახალ საჯარო სკოლაში; 2.1.2. მოდიფიცირებულია პორტალი www.befriend.mes.gov.ge საბოლოო სახით და ბენეფიციარებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ ონლაინ კონსულტაცია; 2.1.3. განახლებული სასწავლო მოდულით გადამზადებულია 730 მოქმედი მანდატური; 2.1.4. საქართველოს იმ საჯარო სკოლებში, სადაც არ არის წარმოდგენილი მანდატურის სამსახური, გადამზადებულები არიან უფლებამოსილი პირები შესაბამისი ტრენინგ მოდულით.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
შესრულება: სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, ქვეყნის მასშტაბით, 607 საჯარო სკოლაშია წარმოდგენილი. 2020 წლის განმავლობაში მანდატურის სამსახური დამატებით უნდა შესულიყო დამატებით 130 საჯარო სკოლაში, თუმცა გაფართოების პროცესი, Covid-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების გამო, შეფერხდა და 2020 წელს მანდატურის სამსახური დამატებით მხოლოდ 18 საჯარო სკოლაში იქნა წარმოდგენილი. 2022 წლის განმავლობაში მანდატურის სამსახური გააგრძელებს გაფართოების პროცესს და დამატებით 112 საჯარო სკოლას მოიცავს. 2021 წლის ოქტომბრიდან ამოქმედდა ახალი ვებ-გვერდი befriend.mes.gov.ge, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, სრული კონფიდენციალურობის დაცვით, ონლაინ ჩათის საშუალებით, მიიღოს კვალიფიციური ფსიქოლოგიური კონსულტაცია. ონლაინ კონსულტირების წესსა და პროცედურას ,,სატელეფონო და ონლაინ კონსულტაციის მეშვეობით ფსიქო სოციალური მომსახურების სტანდარტისა და შეტყობინების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ მანდატურის სამსახურის უფროსის 2021 წლის 8 სექტემბრის N2741 ბრძანება არეგულირებს. ახალი ონლაინ პლატფორმის მიზანია, ასევე ხელი შეუწყოს სხვადასხვა აქტუალურ თემაზე საზოგადოების, განსაკუთრებით - მოზარდების ცნობიერების ამაღლებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. შსს-ს აკადემიასთან თანამშრომლობით, ელექტრონული სატრენინგო პორტალის მეშვეობით 2020-2021 წლებში განახლებული სასწავლო პროგრამით გადამზადდა 803 მოქმედი მანდატური. მანდატურებმა ბავშვისა და მოზარდის განვითარების ფსიქოლოგიური ასპექტები, კონფლიქტების მართვის, პრევენციისა და რეაგირების მექანიზმები, შშმ პირებთან კომუნიკაციის თავისებურებები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები განახლებული სასწავლო მოდულების მიხედვით შეისწავლეს.

ფსიქო სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ სპეციალურად შექმნილი ტრენინგ-მოდულით, იმ საჯარო სკოლებისათვის, სადაც არ არის წარმოდგენილი მანდატურის სამსახური, ხორციელდება სკოლის უფლებამოსილი პირების გადამზადება. 2020-2021 წლებში გადამზადდა 337 უფლებამოსილი პირი.

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა 51%-99%

აქტივობა: 2.3 სასკოლო მედიაციის კონცეფციის შემუშავება და დანერგვა

მოსალოდნელი შედეგი: 2.3.1. შემუშავებულია სასკოლო მედიაციის კონცეფცია, გადამზადებული არიან მედიატორები, დაწყებულია ეტაპობრივი დანერგვა სკოლებში

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

შესრულება:

2020 წლიდან, მანდატურის სამსახურმა სასკოლო მედიაციის უპრეცედენტო პროექტი აამოქმედა. პილოტირების დაწყების მიზნით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ ექსპერტებთან და შედეგად შემუშავდა სასკოლო მედიაციის კონცეფცია. მედიატორებად გადამზადდა მანდატურის სამსახურის 12 თანამშრომელი .

საწყის ეტაპზე სასკოლო მედიაციის განხორციელება საპილოტედ შერჩეულ საქართველოს 29 საჯარო სკოლაში დაიწყო, მათ შორის, აჭარის, იმერეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის რეგიონებსა და თბილისში.

შესრულების სტატუსი: მეტწილად შესრულდა

აქტივობა: 2.4 ძალადობისა და ნივთიერებათა ავად მოხმარების პრევენციისა და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების საპილოტე პროგრამის განხორციელება

მოსალოდნელი შედეგი: 2.4.1.პროექტი განხორციელდა 11 საჯარო სკოლაში

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

შესრულება:

არააკადემიური ვალდებულებების აღსრულებისათვის სკოლის გაძლიერებისა და სასკოლო კლიმატის გაუმჯობესების მიზნით 2019-2021 წლებში ფსიქო სოციალური მომსახურების ცენტრმა საპილოტედ შერჩეულ 11 საჯარო სკოლაში განახორციელა ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ბულინგის, ნივთიერებების ავად მოხმარების პრევენციის და აღდგენითი პროცესების დანერგვის მხარდამჭერი პროექტი.

ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ბულინგის პრევენციის პროექტის შეფასების მიზნით 2021 წლის დეკემბერში მოწვეული მკვლევარის მიერ დაიწყო პილოტირების შედეგების პოსტ-კვლევა, (პროცესს წინ უძღვოდა პრე-კვლევა). ამ მიზნით განხორციელდა ჩაღრმავებული ინტერვიუები სკოლის დირექტორებთან; ჩატარდა ფოკუს ჯგუფები: მოსწავლეებთან, მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან, მანდატურებთან და პროცესში ჩართულ სპეციალისტებთან. დაიწყო მოსწავლეების მიერ მათთვის სპეციალურად მომზადებული კითხვარების შევსება. შედეგების კვლევის პროცესი 2022 წლის დასაწყისში დასრულდება.

2021 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა ტიპის საინტერვენციო, საინფორმაციო, საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო: 29 342 მოსწავლემ; 8 057 მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა; 2 549 მასწავლებელმა და 211 ადმინისტრაციის წარმომადგენელმა.
აღდგენითი მიდგომა სკოლებს სთავაზობს ახლებურ ხედვას, რომელიც ორიენტირებულია არა დასჯაზე/სახდელზე, არამედ ურთიერთობების აღდგენაზე, საჭიროებების მიგნებასა და გააზრებაზე, ურთიერთპატივისცემის დანერგვასა და მეგობრული გარემოს შექმნაზე. აღნიშნული პირდაპირ უკავშირდება უკეთესად სწავლებისა და სწავლის პროცესებს და ასევე, ხელს უწყობს სასკოლო სივრცეში კონფლიქტებისა და გამოწვევების შემცირებას.
სწორედ ამ მიზნით, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა შეიმუშავა სკოლებში აღდგენითი მიდგომების დანერგვის გზამკვლევი. საპილოტე სკოლებში დაიწყო აღდგენითი პროცესების დანერგვა და წარმატებული გამოცდილების გაზიარება.

2020-2021 წლებში მანდატურის სამსახურის მიერ საპილოტე სკოლებში გაგრძელდა ნივთიერებათა ავად მოხმარების პრევენციის პროგრამა 13 წლამდე ასაკის მოსწავლეებისთვის, მტკიცებულებითი მეთოდის (EU DAP Unplugged Program) გამოყენებით. პროგრამა სრულად ჩატარდა საქართველოს 4 საჯარო სკოლის 4 კლასში. მითითებულ კლასებში, ჩატარდა პროგრამით გათვალისწინებული სესიების რაოდენობა სრულად (თითო კლასში ჩატარდა 12 სესია). ერთი საჯარო სკოლის ორ კლასში, მოსწავლეთა დასწრებისათვის სხვადასხვა ხელისშემშლელი ფაქტორის გამო, ვერ მოხერხდა პროგრამის სრულად ჩატარება და ჩატარდა 8 და 9 სესია. ჯამში პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 65 სესია.

2020-2021 წლებში, „სკოლის პერსონალისათვის და მოსწავლეებისათვის მისაწოდებელი ნარკოპრევენციის პროგრამა (13 წელს ზემოთ მოზარდებისათვის)“ სრულად ჩატარდა საქართველოს 8 საჯარო სკოლის 9 კლასში. მითითებულ კლასებში, ჩატარდა პროგრამით გათვალისწინებული სესიების რაოდენობა სრულად (თითო კლასში ჩატარდა 11 სესია). ერთი საჯარო სკოლის ერთ-ერთ კლასში, მოსწავლეთა დასწრებისათვის სხვადასხვა ხელისშემშლელი ფაქტორის გამო, ვერ მოხერხდა პროგრამის სრულად ჩატარება და ჩატარდა 10 სესია. ჯამში პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა 109 სესია.

შესრულების სტატუსი: მეტწილად შესრულდა

აქტივობა: 2.5 სკოლებში სოციალური მუშაობის კომპონენტის გაძლიერება

მოსალოდნელი შედეგი: 2.5.1. გადამზადებულია მანდატურის სამსახურის ყველა სოციალური მუშაკი;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

შესრულება:
საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს, თბილისსა და რეგიონებში, ახალი სოციალური მუშაკები დაემატნენ და მათი რაოდენობა 40-მდე გაიზარდა. სოციალური მუშაობის კომპონენტით, მანდატურის სამსახური შევიდა 36 საჯარო სკოლაში (თბილისი,

მცხეთა, თელავი, რუსთავი, გორი, ახალციხე, ამბროლაური, იმერეთი, ფოთი, ბათუმი, ხელვაჩაური).

სკოლებში განაწილებამდე, სოციალურმა მუშაკებმა ინტენსიური გადამზადების საორიენტაციო პროგრამა გაიარეს. სასწავლო წლის დაწყებამდე, ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი განგრძობით განათლებაში (ფსიქო სოციალური მომსახურების ცენტრის ადამიანური, ინტელექტუალური რესურსებისა და გარე რესურსების მობილიზებით), რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მათი პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავებას, ასევე მომსახურების ერთიანი, ეფექტიანი მიდგომის გაუმჯობესებას.

ცენტრში დასაქმებული ახალი სოციალური მუშაკები გაეცნენ სოციალური მუშაობის მეთოდს - AERO (რეცეპტი ბედნიერი ბალანსირებული ცხოვრებისათვის), რაც აუმჯობესებს სპეციალისტსა და მომსახურების მიმღებს შორის ეფექტურ კომუნიკაციას და პრობლემაზე/საჭიროებებზე მორგებული მომსახურების მიწოდებას.

10 სოციალური მუშაკი, სოციალურ მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის მიერ, გადამზადდა შემდეგ თემებზე: შრომით კოდექსში შესული უახლესი ცვლილებები; დისკრიმინაცია სამუშაო ადგილას; სოციალური მუშაობის შესახებ კანონი და მისი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები; გაფიცვა და კოლექტიური ხელშეკრულებები.

ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც მანდატურის სამსახური სოციალური მუშაობის კომპონენტით შევიდა, სკოლაში სოციალური მუშაობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაიმართა შეხვედრები, როგორც სკოლის ადმინისტრაციასა და პერსონალთან, ასევე მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან.

მოსწავლის მოწყვლადობის იდენტიფიცირების ინსტრუმენტის გამოყენებით, კლასის დამრიგებლების მონაწილეობით, სოციალური მუშაკების მიერ განხორციელდა მოწყვლადობის განმსაზღვრელი ინდიკატორების შესახებ კითხვარების შევსება. შედეგად, ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა იმ მოსწავლეთა იდენტიფიცირება, რომლებიც გარკვეული ტიპის მხარდამჭერი მომსახურების მიღებას საჭიროებდნენ. 2021 წლის მაისიდან წლის ბოლომდე, სოციალური მუშაკების მიერ გამოიკვეთა და ინდივიდუალური მუშაობა დაიწყო 333 მოსწავლესთან.

მოსწავლის სტატუსის შეჩერების მიმართულებით, 2021 წლის აპრილიდან წლის ბოლომდე, სოციალურმა მუშაკებმა, თბილისსა და რეგიონებში, რეაგირება მოახდინეს 140 მომართვაზე. შესწავლილი შემთხვევებიდან 66 შემთხვევაში ბავშვი სასწავლო პროცესს დაუბრუნდა; 38 შემთხვევაში მომზადდა დასკვნა სტატუსის შეჩერების თაობაზე; ხოლო დანარჩენ 36 შემთხვევაში, დაიწყო მომსახურების ინდივიდუალური გეგმის განხორციელების პროცესი, აქედან 12 შემთხვევაში მოხდა სხვა შესაბამისი უწყების ჩართვა.

სოციალური მუშაკების მიერ განხორციელებული სამუშაოების შედეგად, სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო, საინფორმაციო, სადისკუსიო, შემეცნებით თუ საინტერვენციო აქტივობებში ჩაერთო: 30 704 მოსწავლე; 4 015 მასწავლებელი; 7 952 მშობელი და 571 ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

შესრულების სტატუსი: მეტწილად შესრულდა

სტრატეგიული ამოცანა 4: სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მოტივაციის და ეფექტურობის გაზრდა
ამოცანა 1: მასწავლებლებისთვის უწყვეტი განათლების შესაძლებლობების გარემოს შექმნა და მოტივაციის ზრდა
აქტივობა 1.1 მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის შესაბამისი რესურსების უზრუნველყოფა
მოსალოდნელი შედეგი: 1.1.1. მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომია ბეჭდური და ონლაინ მრავალფეროვანი რესურსები; 1.1.2. ონლაინ გაზეთში "mastsavlebeli.ge" ჩამოტვირთვების რაოდენობა გაზრდილია 0.10%-ით. 1.1.3. გამოცემულია მასწავლებლის ბიბლიოთეკის სერიის სამი წიგნი, სკოლის ადმინისტრაციისათვის ყოველკვარტალური ჟურნალი "სკოლის მართვა". 1.1.4. განათლების მეცნიერების მხარდაჭერისთვის, რეცენზირებული სტატიები ქვეყნდება პორტალზე jes.org.ge
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: 1.1.1 მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის იქმნება, ყველა სკოლას ხელმისაწვდომია ელექტრონულად ყველა დაინტერესებული პირისთვის, საჭიროებებზე მორგებული ჟურნალი „მასწავლებელი“ (6 ნომერი და ერთი სპეცნომერი); გამოიცა ჟურნალ „სკოლის მართვის“ 2021 წლის ოთხი კვარტალური ნომერი. ჟურნალი წაკითხვისა და ჩამოტვირთვის შესაძლებლობით გამოქვეყნდა ინტერნეტ გაზეთ „mastsavlebeli.ge “- ზე (2020-2021წ.წ.); 1.1.2. ინტერნეტ გაზეთ "mastsavlebeli.ge"-ზე 2021 წლის მონაცემებით გამოქვეყნებულია 889 საგანმანათლებლო რესურსი (სტატია). https://analytics.google.com მონაცემებით ინტერნეტ გაზეთ „mastsavlebeli.ge“-ს 2020 წელს ჰყავდა უნიკალური 2,563,363 მომხმარებელი, 2021 ჰყავს - 2,835,471. ვებგვერდიდან წაკითხული და ჩამოწერილი სტატიების რაოდენობამ შეადგინა 8,461,102 2020 წელს, ხოლო 2021 წელს - 10,184,223; 1.1.3 გამოიცა -„თანამედროვე სკოლის მართვა“ და „ინტეგრირებული გაკვეთილები“. წიგნები, წაკითხვისა და ჩამოტვირთვის შესაძლებლობით გამოქვეყნდა ინტერნეტ გაზეთ „mastsavlebeli.ge “- ზე (2020-2021წ.წ.) ; 1.1.4 მასწავლებლების და განათლების სპეციალისტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით 2021 წელს სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი jes.org.ge-ზე რეცეზენტების რეკომენდაციით გამოქვეყნდა 10 სამეცნიერო სტატია (2020-2021წ.წ.);
შესრულების სტატუსი: განხორციელდა 100%
აქტივობა: 1.2 ეროვნულ უმცირესობათა ენოვანი სკოლების (სადაც არ ხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროექტები)

მასწავლებელთა, სკოლის ადმინისტრაციის და, ასევე მშობელთა მხარდაჭერა სახელმწიფო ენის შესწავლის მიზნით.
მოსალოდნელი შედეგი: 1.2.1. სახელმწიფო ენის კურსები ხელმისაწვდომია, როგორც მასწავლებლების და დირექტორებისთვის, ასევე მშობლებისათვის (900 პირი).
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა
შესრულება: სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ახორციელებს სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამას ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის, მათ შორის სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და მოსწავლეთა მშობლებისათვის სკოლის დაქვემდებარებაში არსებულ 11 რეგიონულ სასწავლო ცენტრსა და სხვადასხვა ლოკაციებზე განთავსებულ მობილურ ჯგუფებში. სწავლება ხორციელდება, როგორც დასწრებით, ასევე დისტანციურ რეჟიმში. 2021 წელს პროგრამით ისარგებლა 3919-მა ბენეფიციარმა, მათ შორის, არაქართულენოვანი საჯარო სკოლების სხვადასხვა საგნის 1659-მა მასწავლებელმა და 480-მა მოსწავლის მშობელმა.
შესრულების სტატუსი: განხორციელდა 100%
ამოცანა 2: მასწავლებელთა მოზიდვის, შენარჩუნებისა და მოტივაციის პროცესების მხარდაჭერა.
აქტივობა: 2.1 მასწავლებლების დაქირავება/გათავისუფლების ეფექტური პროცესის მხარდაჭერა. მაძიებლობის პროგრამის განხორციელება
მოსალოდნელი შედეგი: 2.1.1.ეფექტური მექანიზმის pedagogi.ge მართვა; 2.1.2. მაძიებლობის პროგრამის განხორციელება და მონიტორინგი; 2.1.3. დამწყები მასწავლებლებისათვის მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: **2.1.1.** 2020 წელს pedagogi.ge საიტზე გამოქვეყნდა მასწავლებლის 8492, ხოლო სპეციალური მასწავლებლის 394 ვაკანსია. 2021 წელს pedagogi.ge საიტზე გამოქვეყნდა მასწავლებლის 11912 ვაკანსია, ხოლო სპეციალური მასწავლებლის 451 ვაკანსია. **2.1.2.** J 2021 წელს მომზადდა მასწავლებლობის მაძიებლის წესში შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომელიც დამტკიცდა 2022 წლის იანვარში. J 2020 წელს მასწავლებელთა მაძიებლობის პროგრამაში ჩაერთო 450 მასწავლებელი, ხოლო პროგრამა წარმატებით დაასრულა 415 მაძიებელმა მასწავლებელმა და მიენიჭათ უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

) 2021 წელს მასწავლებელთა მაძიებლობის პროგრამაში ჩაერთო 482 მასწავლებელი, ხოლო პროგრამა წარმატებით დაასრულა 708 მაძიებელმა მასწავლებელმა და 390 მაძიებელს მიენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

2.1.3.

პრაქტიკულ საქმიანობას ფასილიტაციას უწევს ტუტორი და სკოლის დირექტორი, ასევე პროგრამა შედგება ორი კურსისგან: ა) აკადემიური კურსი; ბ) პედაგოგიური პრაქტიკის კურსი. მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამის აკადემიური კურსი ითვალისწინებს მაძიებლისთვის თეორიული ცოდნის გაღრმავებას, ხოლო პედაგოგიური პრაქტიკის კურსი მოიცავს მაძიებლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური პრაქტიკის გავლას.

2020 წელს მასწავლებელთა მაძიებლობის პროგრამაში ჩაერთო 450 მასწავლებელი და პროგრამა წარმატებით გაიარა 415 -მა.
2021 წელს 482 მასწავლებელი. დამწყები მასწავლებლების მხარდასაჭერად პროგრამის ფარგლებში მასწავლებელი და პროგრამა წარმატებით გაიარა 708-მ.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა 100%

სტრატეგიული ამოცანა 5: ზოგადი განათლების ყველა დონეზე ეფექტური მართვის სისტემის განვითარება

ამოცანა 1. სკოლების ავტორიზაციის მექანიზმისა და შიდა ხარისხის მართვის სისტემის შექმნა

აქტივობა: 1.1 ელექტრონული ჟურნალის დანერგვა ყველა საჯარო სკოლაში

მოსალოდნელი შედეგი: 1.1.1. ელ. ჟურნალის წარმოება ყველა საჯარო სკოლისთვის სავალდებულოა. აღიშნული პორტალის დასანერგად ჩატარებულია ვებინარები, როგორც მასწავლებლებისთვის, ისე დირექტორებისთვის.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

შესრულება:

ელ. ჟურნალის წარმოება ყველა საჯარო სკოლისთვის სავალდებულოა. აღიშნული პლატფორმის დასანერგად მუდმივად იქმნება ინსტრუქციები და ტარდება ვებინარები, როგორც მასწავლებლებისთვის, ისე დირექტორებისთვისა და მშობლებისთვის. ვებინარებს საერთო ჯამში დაესწრო 3000-მდე პირი. ვებინარების ჩანაწერები განთავსებულია პორტალზე El.GE

შესრულების სტატუსი: შესრულდა

აქტივობა 1.2 ციფრული არქივის დანერგვა და განვითარება

მოსალოდნელი შედეგი: 1.2.1. მოქმედი და საქმიანობა შეწყვეტილი ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სპეციალური აპლიკაციის მეშვეობით
პასუხიმგებელი უწყება: სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
შესრულება: შექმნილი და დანერგილია ციფრული არქივის სპეციალური პლატფორმა, სადაც ასახულია ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსისა და მათი კავშირების შესახებ. მიმდინარეობს მუშაობა პლატფორმის განვითარებისა და მოქმედი და საქმიანობაშეწყვეტილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ სრული ინფორმაციის ასახვის მიზნით.
შესრულების სტატუსი: მიმდინარე
აქტივობა: 1.3 მონაცემთა მოგროვებისა და ანალიზის უწყვეტი გაუმჯობესების პრაქტიკის განვითარება
მოსალოდნელი შედეგი: 1.3.1. მოქმედებს მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ანგარიშგების სისტემა; 1.3.2. დაიწყო გეოანალიტიკური სისტემის დანერგვა.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
შესრულება: განათლების სისტემაში სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ხელშეწყობისათვის დაინერგა და მოქმედებს მონაცემთა ანგარიშგებისა და ვიზუალიზაციის სისტემა - QlickSense, რაც უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სრულ, მათ შორის, დისტანციური სწავლების და, ასევე პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამების ანალიტიკურ მონაცემებს. განათლების სისტემაში ანალიტიკური კომპონენტის გაძლიერების მიზნით დაინერგა სივრცითი ანალიზის კომპლექსური ინსტრუმენტები და საფუძველი ჩაეყარა განათლების სისტემის ერთიანი გეო საინფორმაციო სისტემის (GIS) ფორმირებას. განხორციელდა სკოლების მეფინგი (mapping) და შეიქმნა თემატური რუკები, უზრუნველყოფილია სივრცითი და ინფრასტრუქტურული გადაწყვეტილებების ინფორმაციული მხარდაჭერა და მოდელირება. სისტემა ხელს უწყობს დისტანციური სწავლების მიმდინარეობისა და ხარისხიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ანალიზის პროცესს.
შესრულების სტატუსი: მიმდინარე
აქტივობა: 1.4 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციის სტანდარტებთან და პროცედურებთან დაკავშირებით მხარდამჭერი ღონისძიებების უზრუნველყოფა

მოსალოდნელი შედეგი: 1.4.2. შემუშავებულია ტრენინგ მოდულები ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციის სტანდარტებთან და პროცედურებთან დაკავშირებით;
1.4.3. ჩატარებულია ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სტანდარტებთან და პროცედურებთან დაკავშირებით;
1.4.4. ჩატარებულია საკონსულტაციო შეხვედრები ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

შესრულება:
ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტების ფარგლებში გაძლიერდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობები ტრენინგების/თემატური საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების გზით. 120 სკოლის წარმომადგენლისთვის, რომლებსაც რეავტორიზაცია უწევთ 2022 წელს და ექსპერტთა კორპუსის წევრებისთვის ჩატარდა შემდეგი თემატური შეხვედრები: მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის საკითხები; მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და ადამიანური რესურსის სტანდარტის მოთხოვნები; ავტორიზაციის სტანდარტები და პროცედურები; თვითშეფასების ფორმა და პროცესი. ასევე აქტიურ რეჟიმში ტარდებოდა ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები სკოლებთან (რე)ავტორიზაციის აქტუალურ საკითხებზე.
აქვე დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების პროექტთან დაკავშირებით შემუშავდა ტრენინგ მოდულები ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური თვითშეფასების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში.

შესრულების სტატუსი: შესრულდა

სტრატეგიული ამოცანა 1: პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სისტემის ინტერნაციონალიზაცია

ამოცანა 1: საჯარო-კერძო პარტნიორობის გაძლიერება

აქტივობა 1.1: პროფესიული განათლების სისტემის მართვის ახალი მოდელის ჩამოყალიბება

მოსალოდნელი შედეგი 1.1.1: 2020 - კერძო სექტორთან შეთანხმების საფუძველზე ჩამოყალიბებულია პროფესიული განათლების სისტემის მართვის ახალი ხედვა და სამოქმედო გეგმა;
1.1.2. 2021 - ამოქმედებულია მართვის ახალი მოდელი.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:
ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომლის საფუძველზეც 2021 წელს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ და საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტრომ ერთობლივად დააფუძნეს „პროფესიული უნარების სააგენტო“. მთავარი პრინციპი, რომელიც პროფესიული განათლების მართვისა და განვითარების პროცესს წარმართავს, არის თანამონაწილეობა - ქვეყნის ადამიანური კაპიტალის განვითარების აქსელერაცია საჯარო და კერძო სექტორების ერთობლივი ძალისხმევითა და პასუხიმგებლობების გაზიარების გზით. სააგენტო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს დარგობრივი უნარების ორგანიზაციების განვითარების მიმართულებით, რომელთა ამოცანაა პროფესიული კვალიფიკაციების განვითარება, პოპულარიზაცია, ხარისხის გაუმჯობესება, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვა და საგანმანათლებლო სერვისების განვითარება. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ფორმატის და ფუნქციის მქონე გაერთიანებები განსაკუთრებულ როლს შეასრულებენ დარგობრივი ცოდნის აკუმულირების საკითხში, რაც ამჟამად ფრაგმენტული და არა ინსტიტუციონალიზებულია. დარგობრივი უნარების ორგანიზაციების გაძლიერებისა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მხარდასაჭერად შემუშავდა კერძო სექტორთან თანამშრომლობის სისტემატიზაციის მოდელი და რეგულაციათა პაკეტი, რომელიც 2022 წლიდან დაინერგება. აზიის განვითარების პროგრამის ფარგლებში დაწყებულია უკვე არსებული დარგობრივი უნარების ორგანიზაციების (დუო) გამოცდილების ანალიზი და დუო-ების ადვოკატირებისა და წახალისებისთვის საჭირო სიტუაციური ანალიზი, შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით.
შესრულების სტატუსი: განხორციელდა
აქტივობა 1.2: სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების/დუალური მიდგომის განხორციელებისათვის მარეგულირებელი აქტების ინიცირება
მოსალოდნელი შედეგი 1.2.1. მარეგულირებელი აქტი წარდგენილია დასამტკიცებლად; 1.2.2. აქტის შესაბამისი ცვლილებები გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
შესრულება: „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების-GIZ“ და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით შემუშავდა პროფესიული პროგრამების სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესი და პირობები. შემუშავებული რეგულაციით, მკაფიოდ განისაზღვრა სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში ჩართული უწყებების (კოლეჯი, კომპანია) როლი და პასუხისმგებლობა, სტუდენტთა უფლებები, ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები და სხვ. ასევე, ფართო კონსულტაციების საფუძველზე, დასრულდა „სასწავლო საწარმოს სტატუსის მოპოვების წესისა და პირობების“ შესახებ მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავება. აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტები ინიცირებულია დასამტკიცებლად. მარეგულირებელი აქტების ამოქმედების შემდეგ განხორციელება შესაბამისი ცვლილებები პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

აქტივობა 1.3: სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების/დუალური პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა

მოსალოდნელი შედეგი: არანაკლებ 5 %-ით გაზრდილია დუალური პროგრამების რაოდენობა.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

შესრულება: 2019 წლის ბოლოს პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში ფიქსირდებოდა 49 დუალური პროგრამა; 2020 წელს დაემატა 13 დუალური პროგრამა; 2021 წელს დაემატა 5 დუალური პროგრამა; 2020 წლის დასაწყისიდან 2021 წლის ბოლომდე ფიქსირდება დუალური პროგრამების 36.7%-იანი ზრდა.

დუალურ პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობა

ჩარიცხვის წელი	სტუდენტთა რაოდენობა
2020	389
2021	395

შესრულების სტატუსი: შესრულდა

აქტივობა 1.4: საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში ახალი ინიციატივების განხორციელება

მოსალოდნელი შედეგი: საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში, ყოველწლიურად განხორციელებულია სულ მცირე 1 ახალი ინიციატივა.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:

საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტთან პარტნიორობით დაიწყო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გასტრონომიული აკადემიის განვითარება გურჯაანში. განვითარებაში ჩართულია მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებული სასწავლებელი, ბასკეთის კულინარიის ცენტრი.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

ამოცანა 2. საქართველოში არსებული პროფესიული კვალიფიკაციების ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობის, აღიარებისა და მობილობის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა

აქტივობა 2.1: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესაბამისობა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ჩარჩოსთან (EQAVET)

მოსალოდნელი შედეგი 2.1.1: შემუშავებულია ავტორიზაციის სტანდარტებისა და ინდიკატორების პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (EQAVET) ინდიკატორებთან შესაბამისობის ანალიტიკური დოკუმენტი; 2.1.2: EQAVET-ის ინდიკატორების შესაბამისად შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შეფასების მეთოდოლოგია.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: 2.1.1: შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებისა და ინდიკატორების პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (EQAVET) ინდიკატორებთან შესაბამისობის ანალიტიკური დოკუმენტი; 2.1.2: EQAVET-ის ინდიკატორების შესაბამისად შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შეფასების მეთოდოლოგია. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის — EQAVETის ინდიკატორების შესაბამისად შემუშავდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შეფასების მეთოდოლოგია, საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო სტანდარტების პროფესიული განათლების ხარისხის სისტემური ანალიზის განხორციელებას, რაც 2022 წლიდან დაიწყება.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 2.2: პროფესიულ განათლებაში კრედიტების სისტემის განვითარება
მოსალოდნელი შედეგი: 2.2.1. პროფესიული კრედიტის დაანგარიშების წესი შემუშავებულია და წარდგენილია დასამტკიცებლად
პასუხიმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N120/ნ ბრძანებით დამტკიცდა წესი „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის დამტკიცების შესახებ“
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 2.3: ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების განხორციელებისათვის შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შემუშავება/დამტკიცება
მოსალოდნელი შედეგი: დამტკიცებულია შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
შესრულება: გაეროს განვითრების პროგრამის მხარდაჭერით მომზადდა ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და

განხორციელების წესი და პირობები, აგრეთვე გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების წესი და პირობები. აღნიშნული დოკუმენტები ინიცირებულია დასამტკიცებლად.
შესრულების სტატუსი: განხორციელდა
აქტივობა 2.4: საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების განხორციელება
მოსალოდნელი შედეგი: 2.4.1 საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული პროექტების/ინიციატივების რაოდენობა.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 6 დაწესებულება ჩაერთო ევროპის განათლების ფონდის (ETF) - Network for Excellence (ENE)-ის ქსელში (https://www.etf.europa.eu/en/projects-activities/projects/network-excellence). ინიციატივის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო ქსელის ჩამოყალიბება, რომლის წევრებსაც ექნებათ აქტიური კომუნიკაცია და ერთმანეთს გაუზიარებენ საკუთარ გამოცდილებასა და ცოდნას. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს ახალი პარტნიორობის ჩამოყალიბებას, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, ახალი იდეების შექმნასა და განხორციელებას. ინიციატივაში დაწესებულებები ჩართულები არიან შემდეგი მიმართულებების ფარგლებში: სოციალური ინკლუზია და თანასწორობა და სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარება. ასევე, პროექტის ფარგლებში ჩატარდა სასწავლო ვიზიტები დეპარტამენტისა და კოლეჯების მონაწილეობით. შეიქმნა Erasmus+ პროგრამის პროფესიული განათლების საფეხურზე ამოქმედების შესაძლებლობა და დაიწყო ამ მიმართულებით დაწესებულებების განვითარების მხარდაჭერა. ადგილობრივი ოფისის მიერ გაიმართა ონლაინ საინფორმაციო სემინარი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისათვის. აღნიშნულის საფუძველზე წახალისდება გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების განხორციელება უცხოურ სასწავლებლებთან ერთად. საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მთის კურორტების განვითარების სააგენტოსთან ერთად „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის“ დამფუძნებელია, სამთო გამყოლთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის წევრი (IFMGA) გახდა. საერთაშორისო აღიარება მოიპოვა სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის სამთო გამყოლის სადიპლომო პროგრამამ. სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დიპლომირებულმა 30-მა სამთო გამყოლმა კი საერთაშორისო სამთო გამყოლის სტატუსი მიიღო. 2021 წელს გაცვლითი საერთაშორისო პრაქტიკა გაეროს პროექტის - „პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია“ - ფარგლებში განხორციელდა. გაცვლითი პრაქტიკის მიზანია სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში ჩართულ სხვადასხვა ქვეყნის ფერმერებს, კომპანიებს, კოოპერატივებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება და გაძლიერება. საერთაშორისო პრაქტიკა, სახელმწიფო და კერძო

საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით, AgrarKontakte International-ისა (AKI) და IDLG-ის (საერთაშორისო და დისტანციური განათლება საქართველოში) ორგანიზებით განხორციელდა. 2021 წელს განხორციელდა სტუდენტთა ვიზიტი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. 2019 წლიდან სამინისტრო კოორდინაციას უწევდა ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარების პროცესს, რაც გულისხმობს მრავალფეროვანი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების დანერგვის მხარდაჭერას და დაფინანსების უზრუნველყოფას. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ხაზგასასმელია შპს ,,საირმის ტურიზმისა და გასტრონომიის აკადემიის'' პროფესიული გადამზადების პროგრამა „სასტუმროს ოთახების მართვა'', რომელიც შემუშავებულია შვეიცარული მასპინძლობის სკოლის გამოცდილების გათვალისწინებით, რაც ხაზს უსვამს პროგრამის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას და მაღალ ხარისხს. პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი, რაც მნიშვნელოვნად ეხმიანება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტს განათლების ინტერნაციონალიზაციის შესახებ.
შესრულების სტატუსი: განხორციელდა
ამოცანა 3: შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების განვითარება
აქტივობა 3.1: პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის ინიცირება
მოსალოდნელი შედეგი: 3.1.1. ინიცირებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესი.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: წესის პროექტი ინიცირებულ იქნა 2020 წლის 31 აგვისტოს (N749590). 2020 წლის 9 დეკემბერს მიღებული იქნა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის კომენტარები (№1178015), რაზეც წერილობითი პასუხი გაიგზავნა 2020 წლის 30 დეკემბერს (N1243175). როგორც დოკუმენტბრუნვის სისტემიდან ირკვევა, მიღებული პროექტი სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტს უნდა შეეთანხმებინა სამინისტროს უმაღლესი განათლების დეპარტამენტთან.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 3.2: პროფესიული კვალიფიკაციების ფორმირება/განახლება დამსაქმებელთა მონაწილეობით / ინიცირებით

მოსალოდნელი შედეგი: 3.2.1. განახლებულია არანაკლებ 5 საგანმანათლებლო სტანდარტი ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული კვალიფიკაციების ფორმირების ახალი მეთოდოლოგია არ იქნა დამტკიცებული, ვერ განხორციელდა საგანმანათლებლო სტანდარტების განახლება ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად, თუმცა არსებული მეთოდოლოგიის ფარგლებში 2020 წელს ცვლილება შევიდა 10 პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში და დამტკიცდა 4 დამოუკიდებელი მოდული, ხოლო 2021 წელს ცვლილებები შევიდა და განვითარდა 21 პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი და დამტკიცდა 1 დამოუკიდებელი მოდული.
შესრულების სტატუსი: არ შესრულდა
ამოცანა 4. ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების განვითარება და დანერგვა;
აქტივობა 4.1: ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების განახლება და ახალი, შედეგზე ორიენტირებული შეფასების დანერგვა
მოსალოდნელი შედეგი: 4.1.1. განახლებულია ავტორიზაციის დებულება; 4.1.2. ჩატარებულია ტრენინგები/საინფორმაციო შეხვედრები დაწესებულებებთან ავტორიზაციის განახლებულ სტანდარტებთან დაკავშირებით; 4.1.3. გაძლიერებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი; 4.1.4. შემუშავებულია პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგია; 4.1.5. განხორციელებულია არანაკლებ 8 დაწესებულების განმავითარებელი შეფასება; 4.1.6. გაძლიერებულია ავტორიზაციის საბჭოს შესაძლებლობები არგუმენტირებული გადაწყვეტილებების მიღებაში და შემუშავებულია საბჭოების საქმიანობის შეფასების კონცეფცია; 4.1.7. განახლებულია ავტორიზაციის პროცესში გამოყენებული ფორმები.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: 4.1.1. ავტორიზაციის განახლებული დებულება და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ახალი სტანდარტები ძალაში შევიდა 2020 წლის თებერვალს; 4.1.2. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, რომელიც ასახავდა ახალი

სტანდარტების დასანერგად, დაწესებულებების შესაძლებლობების საჭიროებებს სისტემურ და ინდივიდუალურ დონეზე, ასევე დაწესებულებების კმაყოფილების კვლევის საფუძველზე, რომელიც ასახავდა მიწოდებული მხარდამჭერი სერვისების მიმართულებით შედეგებს, 2020-2021 წლებში მომზადდა გზამკვლევები, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, საინფორმაციო სემინარები, ასევე ტრენინგები დაწესებულებების ხარისხის სამსახურებისთვის, რომლებსაც მთლიანობაში დაესწრო 90 ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების 300-მდე წარმომადგენელი;

4.1.3. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ 2021 წელს ორ ეტაპად განხორციელდა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების სერტიფიცირება. სერტიფიკატი 47 სპეციალისტმა მოიპოვა. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტების ახალ კორპუსში (შემდგომში - ექსპერტთა კორპუსი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების კვოტით წარმოდგენილი არიან სწორედ სერტიფიცირებული სპეციალისტები. 2021 წელს ცენტრმა ექსპერტთა კორპუსი გააძლიერა დამატებით 29 დარგობრივი კომპეტენციის მქონე ექსპერტით, რომლებიც შეირჩა კონკურსის გზით. ამჟამად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა კორპუსი შედგება 45 პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტისა და 140 დარგის ექსპერტისგან;

4.1.4. შემუშავებულია პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგია, - მეთოდოლოგიური გზამკვლევები განთავსებულია ბმულზე:
https://eqe.ge/ka/page/static/479/gzamkvlevebi

4.1.5. განხორციელებულია 7 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების განმავითარებელი შეფასება/სიმულაციური მონიტორინგი, შედეგები მოსმენილ იქნა სამუშაო შეხვედრებზე და დაეგზავნათ დაწესებულებებს;

4.1.6. 2020-2021 წლებში ორჯერ ჩატარდა 4-4 დღიანი პსდ ავტორიზაციის საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგები; შემუშავდა და პსდ ავტორიზაციის საბჭოს მაგალითზე დაპილოტდა საბჭოების საქმიანობის შეფასების მეთოდოლოგია, პილოტირების ანგარიში წარედგინა დირექტორს 2021 წლის დეკემბერში.
4.1.7. 2020 წლის გაზაფხულზე განახლდა და, მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოებების ანალიზის შედეგად, ამ ეტაპზეც მიმდინარეობს ავტორიზაციის პროცესში გამოყენებული ფორმების გადახედვა.

შესრულების სტატუსი: შესრულდა

აქტივობა 4.2: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების სერტიფიცირება
მოსალოდნელი შედეგი: 4.2.1. გაზრდილია პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სერტიფიცირებული სპეციალისტების რაოდენობა და შექმნილია სერტიფიცირებულ სპეციალისტთა ბაზა;
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: 4.2.1. „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის №408413 ბრძანების შესაბამისად, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა სერტიფიცირების წესით შერჩევის მიზნით, ცენტრის დირექტორის 2020 წლის 1 ივლისის №547166 ბრძანებით (ცვლილება №1094507 13/11/2020) გამოცხადდა კონკურსი და საკონკურსო კომისიის 2021 წლის 1 აპრილის №4 საოქმო გადაწყვეტილებით 40 კანდიდატს, ვინც წარმატებით დაძლია კონკურსის ეტაპები, 5 წლის ვადით მიენიჭათ პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის სერტიფიკატი. დამატებით, ცენტრის დირექტორის 2021 წლის 26 ივლისის №740867 ბრძანებით გამოცხადდა ახალი კონკურსი პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების სერტიფიცირების წესით შერჩევის მიზნით. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 1 ნოემბრის №1163217 ბრძანებით კიდევ 7 კანდიდატს 5 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის სერტიფიკატი. შექმნილია სერტიფიცირებულ სპეციალისტთა ბაზა. სერტიფიცირებული სპეციალისტების რიცხობრივმა ზრდამ შეადგინა 17%.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 4.3: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშების წარდგენის ელექტრონული სისტემის (QMS სისტემაში) განვითარება
მოსალოდნელი შედეგი: 4.3.1. QMS სისტემაში შემუშავებულია თვითშეფასების ანგარიშების ელექტრონულად წარმოდგენის მოდული, ჩატარებულია ტრენინგები;
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
შესრულება: შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშების წარდგენის ელექტრონული სისტემა. ჩატარებულია ტრენინგები. მიმდინარეობს სისტემის განვითარება ხარისხის ცენტრის მოთხოვნების შესაბამისად.

შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 4.4: პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების განვითარება
მოსალოდნელი შედეგი: 4.4.1. შემუშავებულია შეფასების ინსტრუმენტების შექმნის სისტემატიზებული მიდგომა; 4.4.2 კვალიფიკაციების ნაწილისათვის არსებობს ცენტრალიზებულად შექმნილი შეფასების ინსტრუმენტები.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: 4.4.1. მსოფლიო ბანკის პროექტთან თანამშრომლობით შემუშავდა შეფასების ინსტრუმენტების შექმნის მეთოდოლოგია; 4.4.2. შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე ცენტრის კოორდინაციით დამუშავდა შეფასების ინსტრუმენტები 10 კვალიფიკაციისთვის, რომლებიც განთავსებულია შემდეგ ბმულზე: https://vet.ge/ge/resources/evaluation-tools
შესრულების სტატუსი: შესრულდა
სტრატეგიული ამოცანა 2. სტრატეგიული ამოცანა: მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
ამოცანა 2.1: პროფესიული განათლების დაკავშირება განათლების სხვა საფეხურებთან და საგანმანათლებლო ჩიხების აღმოფხვრა
აქტივობა 2.1: ინტეგრირებული პროგრამების დანერგვისათვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება
მოსალოდნელი შედეგი: 2.1.1. დასრულებულია მოსამზადებელი სამუშაოები (მასწავლებელთა შერჩევა, სასწავლო გეგმების შემუშავება, ავტორიზაცია, დანერგვის კონცეფცია და სხვ.) ინტეგრირებული პროგრამების დანერგვის დასაწყებად.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; საგანმანათლებლო დაწესებულებები
შესრულება: საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა რიგი ღონისძიებები - მასწავლებელთა შერჩევა, სასწავლო გეგმების შემუშავება, ავტორიზაცია, დანერგვის კონცეფცია და სხვა. რომელთა შედეგად, 2021 წლის მდგომარეობით 30-ზე მეტი დასახელების საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, ინტეგრირდა ზოგადი განათლების სწავლის შედეგები. ინტეგრირებულ პროგრამებზე 28 საგანმანათლებლო

დაწესებულებამ (22 საჯარო და 6 კერძო) გაიარა ავტორიზაცია და 2020 წელს ჩაირიცხა 500 მდე საბაზო განათლების მქონე სტუდენტი, ხოლო 2021 წელს ინტეგრირებულ პროგრამებზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა 800-მდე გაიზარდა.
შესრულების სტატუსი: განხორციელდა
აქტივობა 2.2: ინტეგრირებული პროგრამების დანერგვა და დანერგვის მხარდაჭერა
მოსალოდნელი შედეგი: 2.2.1. სულ მცირე 15 კოლეჯში ხორციელდება ინტეგრირებული პროგრამები; 2.2.2.დანერგვის გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს კონსულტირების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი; 2.2.3. მხარდაჭერილია მასწავლებელთა შერჩევის პროცესი; 2.2.4. შემუშავებულია სწავლის შედეგების დადასტურების წესი.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; საგანმანათლებლო დაწესებულებები
შესრულება: 2.2.1. 2020-2021 წლებში სისტემაში დანერგილია 70 ინტეგრირებული პროგრამა სულ 26 დაწესებულებაში, მათ შორის, სახელმწიფო -22 და კერძო - 4. დანერგვას წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაოები (მასწავლებელთა შერჩევა, სასწავლო გეგმების შემუშავება, ავტორიზაცია, დანერგვის კონცეფცია, სწავლის შედეგების შეფასების კანონქვემდებარე აქტი და სხვ.).
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 2.3: მოკლე ციკლის პროგრამების მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრა
მოსალოდნელი შედეგი: 2.3.1. შემუშავებულია მოკლე ციკლის პროგრამების მარეგულირებელი ჩარჩო და მეთოდოლოგია; 2.3.2.განსაზღვრულია მოკლე ციკლის პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების მიდგომა.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
შესრულება: ბრიტანეთის საბჭოს კარგი მმართველობის ფონდის (GGF) დაფინანსებით განხორციელდა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ტექნიკურ დახმარებას „მოკლე ციკლის“ პროგრამების დანერგვაში. პროექტის ფარგლებში მომზადდა შესაბამისი კონცეფცია, სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია და „ასოცირებული ხარისხის“ კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამების განხორციელების სარეკომენდაციო მიდგომები და მეთოდოლოგია. რეფორმის შემდგომ ეტაპზე დაგეგმილია პროფესიული განათლების დაკავშირება უმაღლეს განათლებასთან ე.წ. „მოკლე ციკლის“ პროგრამების ფორმირების გზით და პროფესიული განათლების საფეხურზე მიღებული კრედიტების უმაღლესი განათლების საფეხურზე აღიარების შესაძლებლობის შექმნა. ამ მიმართულებით სამუშაოები გაგრძელდება 2022 წელს.

შესრულების სტატუსი: მეტწილად განხორციელდა

ამოცანა 2.2: სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების, მათ შორის, ზრდასრულთა საჭიროებების შესაბამისი, მოქნილი სასწავლო პროგრამების, მოდელებისა და სერვისების შექმნა

აქტივობა 2.1: პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელება და ხარისხის უზრუნველყოფა

მოსალოდნელი შედეგი: 2.1.1. 50-მდე იურიდიული პირის მიერ შეთავაზებულია პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები სახელმწიფო დაფინანსებით;

2.1.2. არანაკლებ 30 პროვაიდერისათვის ჩატარებულია ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფაში;

2.1.3. განხორციელებულია 50-მდე განმავითარებელი მონიტორინგის ვიზიტი პროგრამების მიმდინარეობაზე, მიცემულია უკუკავშირი.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; საგანმანათლებლო დაწესებულებები

შესრულება:

2.1.1. 2021 წლის ბოლოსთვის პროფესიული განათლების სისტემა 345 მომზადება/გადამზადების პროგრამას სთავაზობს დაინტერესებულ პირებს. პროგრამები ხორციელდება 80 იურიდიული პირი/საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

2.1.3. აღნიშნული დაწესებულებების (80 იურიდიული პირი/დაწესებულება) წარმომადგენლებისთვის შეთავაზებული იქნა ტრენინგები შემდეგ საკითხებზე: სწავლებისა და შეფასების მეთოდები, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა, საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების ინფორმირების საკითხები, მსმენელების შერჩევის პროცედურები, შრომის ბაზრის ანალიზი/კვლევა, ელექტრონულ სისტემაში მონაცემთა ასახვის საკითხები, სერტიფიკატისა და მისი დანართის გაცემის საკითხები, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. ტრენინგებს ესწრებოდა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების 100 - მდე წარმომადგენელი.

2.1.4. 2020 წელს განხორციელებულია 30 განმავითარებელი მონიტორინგის ვიზიტი პროგრამების მიმდინარეობაზე, მიცემულია უკუკავშირი.

შესრულების სტატუსი: შესრულდა

აქტივობა 2.2: სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების (შშმ/სსსმ, დევნილები, სოც. დაუცველები და სხვ.) საჭიროებებზე ფოკუსირებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და დამატებითი სერვისების უზრუნველყოფა

მოსალოდნელი შედეგი: 2.2.1. სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის უზრუნველყოფილია დამატებითი სერვისები, საჭიროებების შესაბამისად (საგანმანათლებლო რესურსები, სპეც მასწავლებლები, სტუდენტური საცხოვრებლები).
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საგანმანათლებლო დაწესებულებები
შესრულება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში ინკლუზიური განათლების დანერგვა 2013 წლიდან დაიწყო. სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 2013 წლიდან შემუშავდა პროფესიული ტესტირების ალტერნატიული მიდგომა. სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად განსაზღვრულია სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერა, როგორიცაა: ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, სასწავლო პროცესის ასისტენტის, ინდივიდუალური ასისტენტის, ჟესტური ენის თარჯიმნის, ორიენტაციისა და მობილობის სპეციალისტის მომსახურება, ადაპტირებული სასწავლო მასალა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ტრანსპორტირება და სხვა. 2017 წლიდან სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტები სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილნი არიან კვარტალურ ვაუჩერზე დამატებითი დაფინასებით 1000.0 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა პროფესიული განათლების პროცესში სსსმ და შშმ სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურების უზრუნველსაყოფად გამოიყენება. პროფესიულ საგანმანთლებლო დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილები; ხოლო 4 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ფიზიკური გარემო მორგებულია უნივერსალური დიზაინის პრინციპების მიხედვით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების განათლების მხარდასაჭერად, შეიქმნა საგანმანათლებლო რესურსები, როგორიცაა ქართული ჟესტური ენის ელექტრონული ბანკი (რომელიც სპეციალურ ვებ გვერდზეა განთავსებული) და აღნიშნული ბანკის სატელეფონო აპლიკაცია, მომზადდა პროფესიული სახელმძღვანელოების აუდიო ვერსიები, პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული გზამკვლევები. მოხდა დამხმარე ტექნიკური მოწყობილობების შეძენა (პორტაბელური ვიდეო გამადიდებლები, ბრაილ დისპლეიები). რეგულარულად ხდება ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში ჩართული მასწავლებლებისა და სპეციალისტების პროფესიული გაძლიერება. პროფესიული განათლების საფეხურზე ინკლუზიური განათლების დანერგვის შედეგად, პროფესიულ განათლებაში ჩაერთო 1000-ზე მეტი შშმ/სსსმ პირი. 2021 წელს ჩაირიცხა 200- მდე სსსმ პირი. 2021 წელს, „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - “ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობა პროფესიული განათლების საფეხურზე“ - ფარგლებში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე ჟესტური ენის თარჯიმნებისთვის შემუშავდა და ჩატარდა პროფესიული განვითარების ტრენინგი, რომელიც უშუალოდ საგანმანათლებლო თარჯიმნისთვის მნიშვნელოვანი კომპეტენციების გაძლიერებაზე იყო ორიენტირებული.

აღნიშნულ ტრენინგს მთლიანობაში დაესწრო 18 ჟესტური ენის თარჯიმანი თბილისის და რეგიონების 7 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

შემუშავდა ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების წესი და მომზადდა პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიკაციისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების პროექტი. აღნიშნულმა დოკუმენტმა არაერთი განხილვა გაიარა და დაკორექტირდა სხვადასხვა უწყების, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით. ამჟამად ბრძანების პროექტი წარდგენილია სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში მისი დამტკიცებისთვის საჭირო პროცედურების განსახორციელებლად.

ასევე აღსანიშნავია, რომ დევნილთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა პროფესიულ განათლებაში ჩართვის მხარდასაჭერად პროფესიული განათლების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, როგორც სისტემურ, ასევე ლოკალურ დონეზე. 2021 წლიდან ამოქმედდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის ერთიანი წესი, რომლის თანახმად, 2021 წელს პირველად, ერთიანი მიღების ფარგლებში გახდა შესაძლებელი პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა არა მხოლოდ საჯარო, არამედ ყველა კერძო დაწესებულებაში. აღნიშნული წესის შესაბამისად 2021 წლის ტესტირებიდან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც დარეგისტრირდნენ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ტესტირებისთვის დადგენილ ვადაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პირობებში ვერ ახერხებენ ტესტირებაზე გამოცხადებას შემდეგი მიზეზის გამო, იმყოფება: ა) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ტერიტორიებზე; ბ) საკარანტინო სივრცეში/თვითიზოლაციაში; გ) საკარანტინო ზონაში; დ) ქვეყნის ფარგლებს გარეთ. აღნიშნული წესის შესაბამისად, მიმდინარე წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა სამი პირი, რომლებიც ზემოაღნიშნული მიზეზით გათავისუფლდნენ პროფესიული ტესტირებიდან.

ასევე უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება შესაძლოა მიენიჭოთ: უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის, ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის, ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს, საქართველოს მოქალაქეებს და პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო

პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და, რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2021 წლიდან დაიწყო მუშაობა პროფესიული განათლების მხარდასაჭერად პროფესიულ სტუდენტთა სოციალური სერვისების განვითარების მიმართულებით. აღნიშნული სერვისების მიმღებ ბენეფიციართა შორის გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფები. 2020 წელს განხორციელდა სიტუაციური ანალიზი და მომზადდა სოციალური პაკეტები მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების პროფესიული განათლების ხელშესაწყობად. მხარდამჭერის სერვისების ამოქმედება დაგეგმილია 2022 წლიდან პროფესიული უნარების სააგენტოს კოორდინაციით.

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, სამინისტროს მხრიდან ასევე მხარდაჭერილია პროფესიულ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში განთავსება, მიმდინარე ეტაპზე ფუნქციონირებს 5 საერთო საცხოვრებელი შემდეგ დაწესებულებებში:

1. სსიპ კოლეჯი „აისი“ - გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ კაჭრეთი;
2. სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“ - ქ. ქობულეთი;
3. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“ - ქ. ზესტაფონი;
4. ზუგდიდის შოთა მესხიას სასწავლო უნივერსიტეტი - ქ. ზუგდიდი;
5. სსიპ კოლეჯი „იბერია“ - ქუთაისი

ასევე დაგეგმილია საერთო საცხოვრებლის განვითარება ქ. თბილისში, კოლეჯის „სპექტრი“-ს ბაზაზე.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

აქტივობა 2.3: სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა

მოსალოდნელი შედეგი: 2.3.1. შემუშავებულია და დამტკიცებულია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რეგულაცია.

პასუხისმგებელი უწყება: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; საგანმანათლებლო დაწესებულებები; სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

შესრულება:

მომზადებულია სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების მოდულის შემუშავებისა და განხორციელების წესის პროექტი და პროგრამაზე ჩარიცხვის წესის სამუშაო ვერსია. 2022 წელს მოხდება რეგულაციების წარდგენა დასამტკიცებლად.

პროფესიული პროგრამების ქართული ენის მოდულის სტუდენტების რაოდენობა. მოდულის ტიპისა და მოდულის სწავლების დაწყების წლების მიხედვით:

წელი	**ქართული ენა A2**	**ქართული ენა B1**	**სულ**
2020	1554	133	1687

2021	1534	659	2193
სულ	**4116**	**1624**	**5740**

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

ამოცანა 3. ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების ეფექტური მექანიზმების შექმნა და განვითარება

აქტივობა 3.1: ფორმალურ განათლებაში მიღწული სწავლის შედეგების პროფესიული განათლების მიზნებისთვის აღიარების შესაძლებლობის შექმნა

მოსალოდნელი შედეგი: 3.1.1. 2020 - შემუშავებულია და წარდგენილია დასამტკიცებლად ფორმალურ განათლებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი;
3.1.2. 2021 - პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაძლებელია სწავლის შედეგების აღიარების აღრიცხვა.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

შესრულება:
2020 წლის დეკემბერში დამტკიცა ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი, ფორმალური განათლების ფარგლებში აღიარებული შედეგების სისტემაში ასახვის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია ტექნიკური დავალება, მიმდინარეობს პროგრამული უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი სამუშაოები.

შესრულების სტატუსი: მეტწილად განხორციელებულია

აქტივობა 3.2: არაფორმალური განათლების აღიარების მხარდაჭერა

მოსალოდნელი შედეგი: 3.2.1. გაზრდილია არაფორმალური განათლების აღიარების სერტიფიცირებული კონსულტანტების რაოდენობა;
3.2.2. შემუშავებულია პროფესიულ განათლებაში არაფორმალური განათლების აღიარების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;

შესრულება:
3.2.1. 2020 წელს პროფესიული განათლების სივრცეში ფიქსირდებოდა არაფორმალური განათლების აღიარების 9 სერტიფიცირებული კონსულტანტი. 2021 წელს ცენტრის დირექტორის ბრძანებით გამოცხადდა კონსულტანტთა შესარჩევი კონკურსი, დამატებით შეირჩა 42 კონსულტანტი. 2021 წლის ბოლოსთვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულია 51 სერტიფიცირებული კონსულტანტი.

3.2.2. შემუშავდა პროფესიულ განათლებაში არაფორმალური განათლების აღიარების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია. 2021 წელს დამატებით ორმა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოიპოვა არაფორმალური განათლების აღიარების უფლება. ამჟამად არაფორმალური განათლების აღიარების უფლება აქვს 4 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას: შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი NATALY ACADEMY; შპს - თეგეტა აკადემია; შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია; შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA.
არაფორმალური განათლების აღიარების სერვისი ხელმისაწვდომია 8 სფეროში:

- ბიზნესი და ადმინისტრირება
- ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები
- პერსონალური მომსახურებები
- ინჟინერია და საინჟინრო საქმე
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები
- განათლება
- ჯანდაცვა
- არქიტექტურა და მშენებლობა.

შესრულების სტატუსი: შესრულდა

აქტივობა 3.3 არაფორმალური განათლების აღიარების ელექტრონული სისტემის შემუშავება და დანერგვა

მოსალოდნელი შედეგი: 3.3.1. შექმნილია და ამოქმედებულია შესაბამისი ელექტრონული პლატფორმა.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;

შესრულება:
არაფორმალური განათლების აღიარების სერვისის ელექტრონული ფორმით უზრუნველყოფის მიზნით სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას დაემატა ახალი კომპონენტი, რომელიც მხარს დაუჭერს შემდეგი პროცესების ელექტრონულად წარმართვას: უფლების მოპოვების მიზნით განაცხადის წარდგენა; უფლების მოპოვების დადასტურება; განათლების აღიარების მსურველთა რეგისტრაცია; კონსულტირება; არაფორმალური განთლების აღიარება და შესაბამისი დოკუმენტის გაცემის. სისტემაში ჩაშენდა ასევე კონსულტანტების რეესტრი.

ელექტრონული სისტემის მეშვეობით (E-vet, QMS) არაფორმალური განათლების აღიარების უფლება მიენიჭა 4 დაწესებულებას. არაფორმალური განათლების აღიარების მსურველთათვის 2021 წელს, განაცხადების მიღება გამოაცხადა ორმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ (შპს თეგეტა აკადემია, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali academy). საანგარიშო პერიოდში

ლოგისტიკის მიმართულებით არაფორმალურად მიღებული განათლება უღიარდა ერთ მაძიებელს.

შესრულების სტატუსი: შესრულდა

ამოცანა 4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთიანი, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, მოქნილი ქსელის შექმნა

აქტივობა 4.1: არსებული საჭიროებების კვლევა და პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის განვითარების ხედვის ჩამოყალიბება

მოსალოდნელი შედეგი: 4.1.1.ჩატარებულია კვლევა, შემუშავებულია განვითარების კონცეფცია და სამოქმედო გეგმა.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით განხორციელდა პროფესიული განათლების გეოგრაფიული დაფარვის არეალის შეფასება და ანალიზი, რის საფუძველზეც გამოიკვეთა ახალი განსავითარებელი ლოკაციების შესახებ ინფორმაცია. ასევე 2021 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე განისაზღვრა კრიტერიუმები, რომლის შესაბამისადაც მოხდება ახალი კოლეჯების დაფუძნება. პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის განვითარების ხედვა, ასევე აისახა პროფესიული განათლების ახალი სტრატეგიის სამუშაო ვერსიაში, რომელიც დამტკიცდება 2022 წელს. ამასთან, აზიის განვითრების პროგრამის ფარგლებში დაიწყო მუშაობა უნარების ჰაბების კონცეფციაზე, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების უნარების ჰაბებად ტრანსფორმაციის ხედვას გაითვალისწინებს.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

აქტივობა 4.2 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული დაფარვის გაუმჯობესება

მოსალოდნელი შედეგი: 4.2.1. გაზრდილია პროფესიული განათლების პროვაიდერთა რაოდენობა - მინიმუმ 3 ახალი დაწესებულება.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

შესრულება:

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და პროფესიული განათლების გეოგრაფიული ქსელის გაფართოების მიზნით 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტები/მსმენელები პირველად მიიღეს ახლად განვითარებულმა კოლეჯებმა/ფილიალებმა კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა საერთაშორისო დონის პროფესიული კოლეჯების პროექტებზე, როგორებიცაა თელავის ღვინის სკოლა და დუშეთის ტურიზმის სკოლა, სადაც საქართველოს მოქალაქეებთან ერთად უცხოელი სტუდენტებიც ისწავლიან. აღნიშნული პროექტებისთვის გერმანიის

მთავრობის მხარდაჭერით გათვალისწინებულია 24 მლნ. ევროს ოდენობის გრანტი და მიმდინარეობს პროექტების დამუშავება. ასევე, დაწყებულია მუშაობა თბილისში ტრანსპორტის/ლოგისტიკისა და სამშენებლო მიმართულების ცენტრის განვითარების მიმართულებით. გარდა აღნიშნულისა, 2021 წელს დაიწყო სამუშაოები გურჯაანში გასტრონომიული აკადემიის დაფუძნების მიზნით. კოლეჯი, საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტთან პარტნიორობით, ვითარდება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სასწავლებელთან, ბასკეთის კულინარიის ცენტრთან ერთად. გარდა ამისა, დაწყებულია და 2022 წელს დასრულდება პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების განვითარება ახალ ლოკაციებზე ბორჯებში, წყალტუბოში, ლანჩხუთში და ხაშურში. ასევე 2022 წლისთვის დაიგეგმა ახალი კოლეჯების განვითარება წალენჯიხასა და ყვარელში.
შესრულების სტატუსი: განხორციელდა
აქტივობა 4.3: არსებული ან/და ახალი კოლეჯების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება/მოწყობა ახალი მოდულური პროგრამების შესაბამისად
მოსალოდნელი შედეგი: 4.3.1. მინიმუმ 10 კოლეჯში გაუმჯობესებულია პრაქტიკული სწავლებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა (სახელოსნოები, აღჭურვა).
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო; საგანმანათლებლო დაწესებულებები
შესრულება: 2020 წელს დასრულდა 2 პროფესიული კოლეჯის შენობის მშენებლობა 1. ქალაქ კასპის პროფესიული კოლეჯი 2. პროფესიული კოლეჯი ,,მოდუსი''-ს ქალაქ მარნეულის პროფესიული განყოფილება 2021 წელს მიმდინარეობს 5 პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა: 1. წყალტუბოს პროფესიული სასწავლებლის 100 სტუდენტზე გათვლილი სასწავლო კორპუსის მშენებლობა და სპორტული დარბაზის მოწყობა 2. ხაშურის პროფესიული სასწავლებლის 200 სტუდენტზე გათვლილი სასწავლო კორპუსის მშენებლობა და გარე სპორტული მოედნის მოწყობა, ასევე სამშენებლო, სოფლის მეურნეობის ტექნიკის, ელექტრომექანიკის, სატყეო საქმის და მეფუტკრეობის სახელოსნოების ფართების მოწყობა 3. ბორჯომის პროფესიული კოლეჯის 250 სტუდენტზე გათვლილი სასწავლო კორპუსის მშენებლობა და სპორტული დარბაზის მოწყობა 4. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 200 სტუდენტზე გათვლილი ახალი სასწავლო შენობის სამშენებლო სამუშაოები სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ახალქალაქის პროფესიული განყოფილების, სასწავლო კორპუსის და სახელოსნოებში

ნაწილობრივი რეაბილიტაცია

2020 წელს დასრულდა 2 კოლეჯის: სსიპ-კოლეჯი "ახალი ტალღა"-ს და სსიპ-კოლეჯი „იბერია“-ს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2021 წელს განხორციელდა სსიპ კოლეჯი „აისი“-ს კაჭრეთის ტერიტორიაზე სასწავლო სახელოსნოსთვის დაბალი ძაბვის ელექტრო ქსელის მოსაწყობად საჭირო კაბელის შესყიდვისა და თანმდევი სამონტაჟო სამუშაოები, სახელოსნოები

2020 წელს დასრულდა 2 ლოკაციაზე სხვადასხვა მოდულის სახელოსნოების მშენებლობა:

1.სსიპ კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ ავტო სახელოსნოს მშენებლობა.
2.სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“-(შედუღების, ხის მხატვრული დამუშავების, ავტომობილის შეკეთება, სავალი ნაწილი-c გარემო, იატაკის და ფილის სამუშაოების სახელოსნოები)

2021 წელს დასრულდა 8 ლოკაციაზე სხვადასხვა მოდულის სახელოსნოების მშენებლობა

1. სსიპ კოლეჯი "აისი" ალვანის ფილიალი - სახელოსნოს მშენებლობა (1. კერამიკის სახელოსნო, 2. ფილამწყობი)
2. სსიპ კოლეჯი "აისი" კაჭრეთის ფილიალი - სახელოსნოს მშენებლობა (1. ავტომობილის შეკეთების)
3. სსიპ-კოლეჯი "ახალი ტალღა"- სახელოსნოების მშენებლობა (1. შედუღების,2. ხის მხატვრული დამუშავების, 3. ავტო ძრავისა და 4. ავტო სავალის შეკეთების სახელოსნოს მშენებლობა)
4. სსიპ კოლეჯი „ლაკადა“- სახელოსნოების მშენებლობა (1. იატაკისა და ფილის და 2. კედლის დაფარვის სამღებრო სამუშაოებისთვის განკუთვნილი სახელოსნო)
5. სსიპ-კოლეჯი ,,ფაზისი"- სახელოსნოების მშენებლობა (1. ავტომობილის ძრავის შეკეთების, 2. ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება, 3. შედუღების სახელოსნო)
6. სსიპ კოლეჯი "ერქვანი"- სახელოსნოების მშენებლობა (1. შემდუღებლის სახელოსნო, 2. ხის მხატვრული დამუშავების სახელოსნო, 3. მეფუტკრეობის სახელოსნო, 4. მეღვინეობის სახელოსნო, 5. თაბაშირ მუყაოს კონსტრუქციის მემონტაჟის სახელოსნო)
7. კასპის პროფესიული კოლეჯი - სახელოსნოების მშენებლობა (1. შედუღების სახელოსნო, 2. სამღებრო სახელოსნო, 3. ელექტრობის სახელოსნო)
8. სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ ფოცხოეწერის კორპუსი - სახელოსნოების მშენებლობა (1. სადურგლო სახელოსნო)

2021 წელს მიმდინარეობს სიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი"- სახელოსნოს მშენებლობა (ქ. თბილისში დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა-ში მდებარე ავტოსახელოსნოსა და საწყობის რეკონსტრუქციის მიშენება)

შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%
აქტივობა 4.4: სკოლებში პროფესიული განათლების დანერგვის ხელშეწყობა
მოსალოდნელი შედეგი: 4.4.1. დაწყებულია მუშაობა ფორმალური პროფესიული მომზადების/გადამზადების ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობის შექმნისთვის სულ მცირე 3 საჯარო სკოლაში.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საგანმანათლებლო დაწესებულებები
შესრულება: 2020 წელს წარმატებით დასრულდა მოლაპარაკებები აზიის განვითარების ბანკსა და საქართველოს მთავრობას შორის 70 მილიონი აშშ დოლარის სასესხო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, რომლის ძირითადი მონაწილე მხარეა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, კერძოდ კი პროფესიული განათლების სისტემა. აზიის განვითარების ბანკის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის გუნდთან თანამშრომლობით შეიქმნა საბიუჯეტო დახმარებისა და სექტორული დახმარების პროგრამები და 2020 წლის დეკემბერში ხელი მოეწერა შესაბამის ხელშეკრულებას. მასშტაბური დახმარების მიზანია პროფესიული განათლების პროვაიდერების დივერსიფიცირება და საჯარო სკოლების შესაძლებლობების გაძლიერება რეგიონებში პროფესიული პროგრამების განხორციელების მიზნით, ასევე ორი საგანმანათლებლო ჰაბის განვითარება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციისა და ინკლუზიურობის ხელშეწყობა. 2021 წელს პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები, დასრულდა სკოლების შერჩევა და განისაზღვრა ის პროგრამები, რომელთა დანერგვასაც შეეწყობა ხელი შერჩეულ 20 სკოლაში. ასევე გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შეირჩა 10 სამიზნე სკოლა, დაგეგმილია აღნიშნული სკოლების შესაძლებლობების გაძლიერება პროფესიული განათლების კომპონენტის განვითარების მიზნით.
შესრულების სტატუსი: განხორციელდა
აქტივობა 4.5: ექსელენს ცენტრის განვითარებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება
მოსალოდნელი შედეგი: 4.5.1. მომზადებულია ექსელენს-ცენტრის კონცეფცია; 4.5.2. შერჩეულია შესაბამისი საკონსულტაციო ჯგუფი; 4.5.3. მომზადებულია შესაბამისი სამოქმედო გეგმა და დაწყებულია პროექტირების სამუშაოები
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
შესრულება: გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მხარდაჭერითა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩართულობით დაიწყო პროექტის „Skills 4 Georgia - უნარები

საქართველოსთვის“ განხორციელება. პროექტის აღმასრულებელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროექტის განმახორციელებელია საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო. პროექტი ითვალისწინებს თვისებრივად განსხვავებული საგანმანათლებლო ცენტრის (ე.წ. Center of Excellence) დაფუძნებას და განვითარებას, ახალ საგანმანათლებლო ცენტრს ექნება ჰაბის ფუნქცია და განვითარებაში დაეხმარება არსებულ პროფესიულ სასწავლებლებს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია პარტნიორი სასწავლებლების აღჭურვა და მათი შესაძლებლობების გაძლიერება მასწავლებლების ტრენინგის, გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო სერტიფიცირების კურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. მომზადდა ექსელენს ცენტრის კონცეფცია, რაც ასახულია ყველა შესაბამის ხელშეკრულებაში, რომელიც საფუძვლად დაედო საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის შერჩევის მიზნით მომზადებული სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავებას. აღნიშნული კომპანია ტექნიკურ დახმარებას გაუწევს პროექტს. მისი საქმიანობის ფარგლებში დაგეგმილია ინსტიტუციური განვითარების საკითხებზე მუშაობა, ასევე შენობა-ნაგებობის თანამედროვე დიზაინის მომზადება სამშენებლო მომსახურებისა და აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით. ამ ეტაპზე დასრულებულია საერთაშორისო ორეტაპიანი ტენდერი საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის შერჩევის მიზნით და შერჩეულ კომპანიასთან გაფორმებულია კონტრაქტი (2021 წლის დეკემბერი). დაწყებულია დეტალური სამოქმედო გეგმის მომზადება. საპროექტო და სხვა სამუშაოები განხორციელდება 2022 წელს. 2020 წლის დასაწყისიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ბანკთან განაახლა მოლაპარაკებები, თელავის უნივერსიტეტის ბაზაზე მეღვინეობის ინსტიტუტის და დაბა დუშეთში ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ჩამოყალიბებაში დახმარების მიღების თაობაზე. ამჟამად, გერმანული მხარის ჩართულობით ორივე პროექტის შესახებ განხორციელდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის პირველი ეტაპი და დაწყებულია მეორე ეტაპის სამუშაოები. გერმანია-საქართველოს ორმხრივი მოლაპარაკების ფარგლებში შეთანხმებულია აღნიშნული პროექტების განხორციელების მიზნით საგრანტო დაფინანსების გამოყოფა 24 მილიონი ევროს ოდენობით. მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია 2022 წელს.
შესრულების სტატუსი: განხორციელდა
აქტივობა 4.6: პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავება და დამტკიცება, შესაბამისი ცვლილებების ასახვა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
მოსალოდნელი შედეგი: 4.6.1. დაფინანსების ახალი რეგულაცია შემუშავებულია და წარდგენილია დასამტკიცებლად; 4.6.3. დამტკიცებული რეგულაციის შესაბამისად, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შემუშავებულია დაფინანსების დაანგარიშების ახალი ალგორითმი.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

შესრულება:

2018 წლიდან საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმას ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ბრიტანეთის საელჩოს, კარგი მმართველობის ფონდი (GGF). მხარდაჭერის ფარგლებში ერთ-ერთი მიმართულება იყო დაფინანსების ახალი მოდელის განსაზღვრა. მსოფლიო ბანკის პროექტის საშუალებით, მონაწილე მხარეების ჩართულობით 2020 წლის დასაწყისში პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი მიდგომის დანერგვის მიზნით სამინისტროს წარედგინა შესაბამისი რეკომენდაციები. ხოლო ამ მიმართულებით 2021 წელს მხარდაჭერა ეთხოვა GIZ კონკრეტული მოდელის შემუშავებისა და მექანიზმების უზრუნველყოფის ჩამოყალიბების მიზნით. გამოიკვეთა შესაბამისი ჯგუფი, რომელიც 2022 წლის მეორე კვარტალში დაასრულებს მუშაობას დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავებაზე.

ასევე დღის წესრიგში დგას მომზადება-გადამზადების პროგრამების სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმის გაუმჯობესება. სწორედ ამიტომ გერმანული პარტნიორი ორგანიზაცია DVV-ს მხარდაჭერით მუშავდება დაფინანსების ახალი მიდგომა, რომელმაც უფრო მოქნილი უნდა გახადოს არსებული სქემა. დაფინანსების ახალი მოდელი, ასევე გაითვალისწინებს მომზადება-გადამზადების პროგრამების დაფინანსების ახალ მიდგომებსაც. დაფინანსების ახალი მოდელის ამოქმედების შემდგომ განხორციელდება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაფინანსების დაანგარიშების ახალი ალგორითმის შემუშავება.

შესრულების სტატუსი: მეტწილად განხორციელდა

აქტივობა 4.7: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი აქტის შემუშავება

მოსალოდნელი შედეგი: 4.7.1. რეგულაცია შემუშავებულია და წარდგენილია დასამტკიცებლად.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:

ძალაში შევიდა "სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის/გაწეული ანაზღაურებადი მომსახურების ღირებულების განსაზღვრის, აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის განკარგვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება, რაც საგანმანათლებლო დაწესებულებებს მისცემს ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობას, რომლის შედეგად მიღებული შემოსავალი განაპირობებს საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსურ მდგრადობას, სასწავლო პროცესის განვითარებას, სასწავლო პროცესის დასაფინანსებლად დამატებითი სახსრების მოპოვებასა და შექმნილი პროდუქციის/გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. 2022 წლიდან დაიწყება რეგულაციის დანერგვისათვის მოსამზადებელი სამუშაოები და კოლეჯების კონსულტირება.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

აქტივობა 4.8: სტუდენტთა ჩარიცხვის ახალი მოდელის შემუშავება და დამტკიცება

მოსალოდნელი შედეგი: 4.8.1. ჩარიცხვის ახალი მოდელი შემუშავებულია და წარდგენილია დასამტკიცებლად;
4.8.2. დამტკიცებული რეგულაცია გათვალისწინებულია შესაბამის მართვის სისტემებში

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

შესრულება:
2021 წლიდან პროფესიული განათლების სისტემაში ამოქმედდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის ერთიანი წესი, რომლის თანახმად, 2021 წელს პირველად, ერთიანი მიღების ფარგლებში გახდა შესაძლებელი პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა არა მხოლოდ საჯარო, არამედ ყველა კერძო დაწესებულებაში. ამდენად, ყველა ავტორიზებული, მათ შორის, კერძო დაწესებულება სტუდენტებს მხოლოდ ერთიანი მიღების ფარგლებში, საერთო პლატფორმის მეშვეობით იღებს. აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი მექანიზმები, რაც პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, სტუდენტთა შერჩევა-შეფასების მიმართულებით გაცილებით მოქნილ მიდგომებს გვთავაზობს - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, პარტნიორ ორგანიზაციებთან, მათ შორის დამსაქმებლებთან ერთად, თავად უზრუნველყოფენ სტუდენტთა შერჩევის პროცესის ორგანიზებას. ხოლო უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველებმა გაიარეს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირება. ახალ რეგულაციასთან თანხვედრაშია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და ამ მიზნით სისტემაში შემუშავდა არაერთი ახალი მოდული. ამასთან, ჩარიცხვის ახალი წესი მნიშვნელოვანი სიახლე და გამოწვევა იყო, როგორც ზოგადად პროფესიული განათლებისთვის, ასევე თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის. შესაბამისად, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტმა აიღო პასუხისმგებლობა გაეძლიერებინა პსდ-ების შესაძლებლობები ჩარიცხვის ახალი წესთან და შერჩევის მეთოდებთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხებზე პსდ-ების შესაძლებლობების გაძლიერება განგრძობითი პროცესი იყო და ტრენინგების, სამუშაო შეხვედრებისა და საკონსულტაციო აქტივობების ჩათვლით გრძელდებოდა 2021 წლის გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

ამოცანა 5. პროფესიული განათლების ფარგლებში საკვანძო კომპეტენციების განვითარება

აქტივობა 5.1: მეწარმეობის კომპონენტის გაძლიერება პროფესიულ განათლებაში

მოსალოდნელი შედეგი:
5.1.1. დამტკიცებულია მეწარმეობის განახლებული მოდული და დაწყებულია დანერგვა;

5.1.2. შემუშავებულია პროფესიულ სასწავლებლებში მეწარმეობრივი კულტურის დანერგვის მეთოდოლოგია და პილოტირებულია მინ. 2 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; საგანმანათლებლო დაწესებულებები
შესრულება: 5.1.1. შეფერხდა პროფესიული კვალიფიკაციების ფორმირების განახლებული მეთოდოლოგიის დამტკიცება, რომელსაც უნდა დაეფარა მიდგომები ზოგად სავალდებულო მოდულებთან დაკავშირებით. 2021 წელს კი პროფესიული კვალიფიკაციების ფორმირება გავიდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მანდატიდან. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე მეწარმეობის ახალი მოდული არ დამტკიცებულა.
შესრულების სტატუსი: არ შესრულდა/შეჩერდა
აქტივობა 5.2: საკვანძო კომპეტენციების განმავითარებელი ზოგადი სავალდებულო მოდულების განახლება
მოსალოდნელი შედეგი: 5.2.1. ზოგადი სავალდებულო მოდულები განახლებულია ევროკავშირის 8 საკვანძო კომპეტენციის შესახებ რეკომენდაციის გათვალისწინებით; 5.2.2. განახლებულია სამოქალაქო განათლების მოდული; 5.2.3. გადამზადებული მინ. 50 მასწავლებელი.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: შემუშავდა პროფესიული კვალიფიკაციების განვითრების ახალი მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისადაც 2022 წლიდან დაიწყება საკვანძო კომპეტენციების განახლება. 2020 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES) ინიციატივით დაიწყო არსებული სამოქალაქო განათლების მოდულის შეფასება. გამოვლინდა გარკვეული ნაკლოვანებები და სამინისტროს გადაწყვეტილებით ორგანიზაციამ ფართო კონსულტაციების საფუძველზე ახალი მოდულის შემუშავების პროცესს გაუწია კოორდინაცია. შედეგად, 2021 წელს შემუშავდა და დამტკიცდა განახლებული 3 კრედიტიანი მოდული. ასევე შემუშავდა მასწავლებლის გზამკვლევი და სტუდენტის სახელმძღვანელო და განხორციელდა სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ტრენინგების ციკლი (გადამზადდა 107 სამოქალაქო განათლების პედაგოგი).
შესრულების სტატუსი: განხორციელდა
ამოცანა 6: მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოება
აქტივობა 6.1: პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eVet) განვითარება
მოსალოდნელი შედეგი: 6.1.1. 2020 - ამოქმედებულია პროფესიული განათლების მართვის ახალი სისტემა;

6.1.2. 2020-2021 - საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად შექმნილია დამატებითი პროგრამული მოდულები.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:

შექმნილი და დანერგილია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (e-vet.emis.ge). სისტემაში ჩართულია ყველა ავტორიზებული პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება. სისტემა მოყვანილია შესაბამისობაში არსებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ დანერგვისა და პროცესების ადმინისტრირების მიზნით წარიმართა შესაბამისი სამუშაოები პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (E-vet.emis.ge) და სარეგისტრაციო სისტემაში (vet.emis.ge), როგორც აპლიკანტთა პირველადი ჩარიცხვის, ასევე დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით.

შესრულების სტატუსი: შესრულდა

აქტივობა 6.2: პროფესიული განათლების ელექტრონული ჟურნალის შემუშავება და დანერგვა

მოსალოდნელი შედეგი: 6.2.1. 2020 - განხორციელებულია მოსამზადებელი სამუშაოები, შემუშავებულია ელექტრონული პლატფორმა;

6.2.2. 2021 - დანერგილია პროფესიული განათლების ელექტრონული ჟურნალი, ჩართულია ყველა საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

შესრულება:

დასრულდა პროფესიული განათლების ელექტრონული ჟურნალის შემუშავება. მიმდინარეობს აღმოჩენილი ხარვეზების შესაბამისად მისი განვითარება და დანერგვის პროცესი.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

აქტივობა 6.3: პროფესიულ განათლებაში კვლევების განხორციელება

მოსალოდნელი შედეგი: 6.3.1. ჩატარებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების კურსდამთავრებულთა ყოველწლიური კვლევა, ხელმისაწვდომია კვლევის ანგარიში, შესაბამისი ელექტრონული კითხვარი ინტეგრირებულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

6.3.2. 2021 - ჩატარებულია დამსაქმებელთა კვლევა, ხელმისაწვდომია შესაბამისი კვლევის ანგარიში.

6.3.3. 2021- ჩატარებულია პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა, ხელმისაწვდომია შესაბამისი კვლევის ანგარიში.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

შესრულება:

2021 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა 2020 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში. 2020 წლის კვლევის შედეგებით დასაქმებულია კურსდამთავრებულთა 49%. ასევე დაიწყო მუშაობა 2021 წლის კურსდამთავრებულთა კვლევაზე. გაეროს განვითრების პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა კურსდამთავრებულთა კვლევის ინსტრუმენტის განახლება და დაიწყო შესაბამისი მეთოდოლოგიის განახლება. განახლებული ინსტრუმენტი ინტეგრირდა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. 2022 წლის პირველ კვარტალში განხორციელდება კომპანიის შერჩევა, რომლიც უზრუნველყოფს კვლევის ჩატარებას. შედეგები ხელმისაწვდომი იქნება 2022 წლის ბოლოს.

გაეროს განვითრების მხარდაჭერით 2021 წელს დასრულდა დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის განახლება, ასევე შემუშავდა მეთოდოლოგია და განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები კომპანიის შერჩევის მიზნით, რომელიც ორგანიზებას გაუწევს კვლევის განხორცილებას 2022 წელს.

ევროკავშირის საგრანტო პროექტის - „დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის“ - ფარგლებში საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ მომზადდა ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის ინსტრუმენტი რაოდენობრივი კვლევისთვის, შრომის ბაზრის კვლევის ინსტრუმენტები თვისებრივი კვლევისთვის, კვლევის ადმინისტრირების სახელმძღვანელო და ტრენინგ მოდული. აღნიშნული ინსტრუმენტები გამოყენებული იქნება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ადგილობრივი შრომის ბაზრის შესწავლის მიზნით. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შერჩეული საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაწილეთა ტრენინგი. პროექტის ფარგლებში მომზადებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულებებისთვის.

2021 წლის დეკემბერში პროფესიული მომზადება და პროფესიული გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა პირველად ჩატარდა საქართველოში. კვლევა სხვადასხვა წლის კოჰორტას მოიცავდა, კერძოდ, სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა ყველა კურსდამთავრებული, რომელიც 2019 წლის მაისიდან 2021 წლის ივნისის პერიოდში ჩაირიცხა და, რომელმაც ისწავლა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე. მიღებული შედეგების თანახმად, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 76.4%-ს.

შესრულების სტატუსი: შესრულდა

აქტივობა 6.4: რეფორმის სტრატეგიის მიმდინარეობის მონიტორინგი/ შეფასება

მოსალოდნელი შედეგი: 6.4.1. გამოქვეყნებულია ანგარიში.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:

EFT-ის ექპერტების მიერ განხორციელდა პროფესიული განათლების 2013-2020 წლების სტრატეგიის შეფასება და გამოიკვეთა შესაბამისი რეკომენდაციები. ასევე მომზადდა პროფესიული განათლების რეფორმის 2020 წლის ანგარიში რომელიც გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. 2022 წლის პირველ კვარტალში განხორციელდება 2021 წლის ანგარიშის გამოქვეყნება.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

აქტივობა 6.5: პროფესიული განათლების ახალი სტრატეგიის შემუშავება

მოსალოდნელი შედეგი: 6.5.1. ინიცირებულია 2021-2026 წლების სტრატეგია.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:

2021 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა პროფესიული განათლების ახალ სტრატეგიაზე. სტრატეგია შემუშავებულია დაინტერესებულ მხარეებთან ფართო კონსულტაციის საფუძველზე. სტრატეგიის მომზადების საწყის ეტაპზე 2020 წლის ბოლოს ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მუშაობა 2021 წლის იანვრიდან დაიწყო. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა დაინტერესებული მხარეების 20 წევრი - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მისი სააგენტოების, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ახალგაზრდობის სააგენტოს, საერთაშორისო ორგანიზაციების, დამსაქმებლების, სავაჭრო-სამრეწველო პალატის, პარლამენტის კომიტეტების (განათლებისა და მეცნიერების, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა) წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ჩატარდა 23 შეხვედრა. სტრატეგიის შემუშავების საწყის ეტაპზე ჩატარდა სიტუაციის ანალიზი, სიღრმისეული სამაგიდე კვლევა, გაანალიზდა არსებული კვლევები, ანგარიშები და სტატისტიკური მონაცემები; ამავე ეტაპზე რვა ფოკუს ჯგუფი ჩატარდა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებთან, რომელშიც 40-ზე მეტი პირი მონაწილეობდა. ასევე განხორციელდა სტრატეგიის საჯარო განხილვები.

საქართველოს პროფესიული განათლების 2022-2027 წლების სტრატეგიის მიზანია ყველა ადამიანისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების საპასუხოდ. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის შემუშავების საფუძველია პროფესიული განათლების 2018 წლის კანონი, რომლის თანახმადაც საქართველოს მთავრობა სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიას. სტრატეგია მოიცავს 2022-2027 წლებს, ხოლო სამოქმედო გეგმა 2022-2024 წლებს. სტრატეგიის დასამტკიცებლად ინიცირება გათვალისწინებულია 2022 წლის პირველ კვარტალში.

შესრულების სტატუსი: მეტწილად განხორციელდა

სტრატეგიული ამოცანა 3: პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მიმზიდველობის გაზრდა

ამოცანა 1. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის განვითარება

აქტივობა 1.1 პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ერთიანი მოდელის ჩამოყალიბება

მოსალოდნელი შედეგი: 1.1.1.შემუშავებულია ფორმალური განათლების ფარგლებში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სტრატეგია (2020-2025) და სამოქმედო გეგმა.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

შესრულება:

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში შემუშავდა განათლების სფეროში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარების 2022-2026 წლების სტრატეგია. სტრატეგია უზრუნველყოფს ფორმალური განათლების სფეროში კარიერის მართვის ინკლუზიური პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც მიმართული იქნება ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე, საკუთარი შესაძლებლობის სრულად რეალიზების თანაბარი შესაძლებლობის შექმნაზე. 2021 წლის დამტკიცების მიზნით დაინიცირდა სტრატეგიის პროექტი.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

აქტივობა 1.2: სკოლებში პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა

მოსალოდნელი შედეგი: 1.2.1. მიმდინარეობს მხარდამჭერი ღონისძიებები სკოლის მოსწავლეების პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო და სასერტიფიკატო კურსების განვითარების მიზნით.

1.2.2. პროფესიული განათლების საფეხურზე დანერგილია ღია კარის დღეების ეფექტური სისტემა სკოლის მოსწავლეებისთვის.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

შესრულება:

პანდემიით გამოწვეული გარემოებების გათვალისწინებით, სკოლებში პროფესიული უნარების განვითრების აქტივობების განხორციელება გართულდა, ვინაიდან სკოლის მოსწავლეები, რომლებიც სკოლაში პრაქტიკული მოსინჯვით იღებდნენ ინფორმაციას პროფესიების შესახებ, 2020-2021 წლებში შერეული ფორმატით ეუფლებოდნენ საგანმანთლებლო პროცესს. რიგ შემთხვევაში მოხდა სახლიდან დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა. „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების“ პროგრამის მასშტაბის გაზრდა 2020-2021 წლებში, ცხადია, შეუძლებელი გახდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ 2020 და 2021 წლების მიღების ფარგლებში კოლეჯების მიერ აქტიურად იგეგმებოდა და ხორციელდებოდა ღია კარის დღეები სხვადასხვა ონლაინ პლატფორმების გამოყენების გზით.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა
აქტივობა 1.3: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა
მოსალოდნელი შედეგი: 1.3.1. შექმნილია 10 ვიდეო რგოლი; 1.3.2. სსსმ/შშმ პირებისთვის შექმნილია პროფესიული ინტერესების საკვლევი ინსტრუმენტი; მომზადებულია ინსტრუმენტის სულ მცირე 25 ნაბეჭდი ვერსია; 1.3.3. ინსტრუმენტის გამოყენებაში დატრენინგებულია სულ მცირე 25 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სპეციალისტი.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: 2020 წელს სფეროს ექსპერტების მიერ შემუშავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პროფესიული ინტერესების განსაზღვრის მეთოდოლოგია, პროფესიული ინტერესების საკვლევი ინსტრუმენტი, ინსტრუმენტის გამოყენებისთვის საჭირო ფორმა, ინსტრუმენტის ადმინისტრირების გზამკვლევი და ინსტრუმენტისთვის ვიზუალური მასალის (პროფესიების/პროფესიული პროგრამების ამსახველი ბარათები) მომზადების მეთოდოლოგია. ამასთანავე, მომზადდა თბილისისა და საქართველოს მასშტაბით 2020 წლისთვის არსებული სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ამსახველი რუკები. 2021 წელს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელე ხელოვნების კოლეჯთან თანამშრომლობით, პროფესიული ინტერესების საკვლევი ინსტრუმენტისთვის მომზადდა ვიზუალური მასალა: 100 განსხვავებული შინაარსის ფოტო ბარათი (ავთენტური/ორიგინალური ლოკალური თემატიკის), რომელთაგანაც 9 ასახავს ცალკეულ ფართო პროფესიულ სფეროს და 91 ასახავს კონკრეტულ პროფესიას/პროფესიულ პროგრამას. მომზადებულია ბარათების 20 სრული კომპლექტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის გადასაცემად. აღნიშნული ბარათების კომპლექტები გადაეცემა იმ 20 დაწესებულებას, რომლებშიც ყველაზე მაღალია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართვიანობა და, რომელთაც ჰყავთ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სხვა დაწესებულებებს ინსტრუმენტი გადაეცემათ ელექტრონული სახით. 2022 წლის დასაწყისში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების (სულ მცირე 25 დაწესებულება) ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებსა და კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სპეციალისტებს ჩაუტარდებათ ინსტრუმენტის გამოყენების ტრენინგი. ამასთანავე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პროფესიული ორიენტაციის ხელშესაწყობად, მომზადდა 10 ვიდეო რგოლი,

რომელთაგანაც 9 გამიზნულია ცალკეულ ფართო პროფესიულ სფეროს გასაცნობად, ხოლო 1 ვიდეო რგოლი წარმოადგენს ინფორმაციულ რგოლს ზოგადად, პროფესიული განათლების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პროფესიული განათლების სისტემაში არსებული სხვადასხვა მხარდაჭერის თაობაზე. ვიდეო რგოლები ეფუძნება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს და ითვალისწინებს ინფორმაციის მარტივად გადმოცემას და ჟესტურ ენოვან თარგმანს, სხვადასხვა საჭიროებების მქონე პირებისთვის ინფორმაციის მაქსიმალურად ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ვიდეო რგოლები ხელმისაწვდომი იქნება, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის, ასევე სხვა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.
შესრულების სტატუსი: განხორციელდა
ამოცანა 2.2. საკომუნიკაციო სტრატეგიის განხორციელება
აქტივობა 2.1: სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისათვის საინფორმაციო კამპანიების წარმოება
მოსალოდნელი შედეგი: 2.1.1. განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
შესრულება: პროფესიული განათლების იმიჯის გაუმჯობესება 2020-2021 წლების პრიორიტეტულ საკითხთა ჩამონათვალში დარჩა. პანდემიით გამოწვეული გარემოებების გათვალისწინებით, აღნიშნული ამოცანის შესრულება კიდევ უფრო გართულდა. აღსანიშნავია, რომ აზიის განვითარების პროგრამის მხარდაჭერით 2021 წლის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაიწყო მუშაობა პროფესიული განათლების საკომუნიკაციო სტრატეგიაზე, რომლის სამუშაო ვერსია უკვე მომზადებულია. მიმდინარეობს მუშაობა სტრატეგიის სამოქმედო გეგმაზე, რომლის განხორციელებასაც 2022 წლიდან აქტიურად გაუწევს პროფესიული უნარების სააგენტო. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ყოველწლიურად ატარებენ ღია კარის დღეებს, რის ფარგლებშიც გეგმავენ ვიზიტებს საჯარო სკოლებში და სხვადასხვა უწყებებში, ასევე გეგმავენ ვიზიტებს უშუალოდ დაწესებულებაში. აღსანიშნავია, რომ 2020-2021 წლებში COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ღია კარის დღეები ჩაატარეს დისტანციურ რეჟიმში. ასვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტმა 2020 წელს ცალკეულ ბიზნეს გაერთიანებებთან და დარგობრივ ასოციაციებთან ჩაატარა ონლაინ შეხვედრები სახელწოდებებით -"პროფესიული განათლება ბიზნესისთვის კოვიდ-19-ს შემდეგ" და "პროფესიული განათლება ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის". ორგანიზებული შეხვედრების ფარგლებში, პროფესიული განათლების კონტექსტში, გაკეთდა საჯარო-კერძო პარტნიორობის ცალკეული მოდელების შესახებ პრეზენტაციები, შეფასდა უკვე შემდგარი თანამშრომლობის შედეგები და ახალ პოტენციურ პარტნიორებთან კომუნიკაციით დაიგეგმა შემდგომი ნაბიჯები. დიალოგი შედგა ორგანიზაციების 500-მდე წარმომადგენლის მონაწილეობით.

2020 წელის დეკემბერში ჩატარდა პროფესიული განათლების კვირეული (Skills Week Georgia), რომელიც ისეთ აქტუალურ თემებს მიეძღვნა, როგორებიცაა: პანდემია და მისი გავლენა პროფესიულ განათლებაზე, გამოწვევები, გადაჭრის გზები, მასწავლებელთა შესაძლებლობები, კერძო სექტორი და უნარებზე მოთხოვნა პანდემიის პირობებში, საერთაშორისო მხარდაჭერა და სხვ. აღსანიშნავია, რომ ღონისძიებას ყოველდღიურად 100-ზე მეტი დაინტერესებული პირი ესწრებოდა ონლაინ; ასევე ხელმისაწვდომი იყო Facebook Live -გადაცემა. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ნოემბრის მეორე ნახევარი სრულად დაეთმო საქართველოს პროფესიული განათლების სტრატეგიისა და სტრატეგიის სამოქმედო გეგმის პროექტების პირველადი ვერსიების საჯარო განხილვებს, გარდა სისტემაში ჩართული ორგანიზაციებისა განხორციელდა ფართომასშტაბიანი ონლაინ განხილვა, სადაც ნებისმიერ დაინტერსებულ მოქალაქეს შეეძლო მონაწილეობა.
შესრულების სტატუსი: განხორციელდა
აქტივობა 2.2 2.2: პროფესიული განათლების საინფორმაციო პორტალის განვითარება
მოსალოდნელი შედეგი: 2.2.1. შექმნილია პროფესიული განათლების ახალი ვებ-პორტალი.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
შესრულება: მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში შეიქმნა პროფესიული განათლების საინფორმაციო ვებ პორტალი. სპეციალურად შექმნილმა ტექნიკურმა ჯგუფმა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან თანამშრომლობით, ასევე დეპარტამენტის ჩართულობით იმუშავა www.vet.ge ვებ გვერდის ახალი ვერსიის განვითარებაზე. აღნიშნული კომპონენტი გარდა პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობისა, მიზნად ისახავს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების მხარდაჭერას. შეიქმნა ვებ პორტალის დიზაინი, სფეროს ანალიზისათვის აუცილებელი პროფესიული განათლების ინდიკატორების დამუშავება, EMIS მონაცემთა ახალი ბაზის ანალიზი და მოხდა ბაზის განახლება დადგენილი ინდიკატორების შესაბამისად; დამუშავდა პორტალის შინაარსი ციფრული მარკეტინგისა და პროფესიული განათლების სპეციფიკის ჭრილში. იხ. პორტალის ბმული - https://vet.ge/ge
შესრულების სტატუსი: შესრულდა

<u>**უმაღლესი განათლება**</u>
სტრატეგიული ამოცანა 1. უმაღლესი განათლების სისტემის შემდგომი მოდერნიზაცია, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და ხარისხის ამაღლება

ამოცანა 1: სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება უმაღლესი განათლების სისტემაში.
აქტივობა 1.1: საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამების შექმნა და განხორციელება
მოსალოდნელი შედეგი: 1.1.1. საერთაშორისო მობილობაში მონაწილე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა; 1.1.2. ტრენინგებში, სამუშაო შეხვედრებში, კონფერენციებში მონაწილე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: 2020 წლის დასაწყისში განხორციელდა საუნივერსიტეტო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული „ტრენინგის პროგრამა - „Doctorate Lab მომავალი დოქტორანტებისათვის“ მეორე ეტაპი. შედგა იტალიის უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებების, კერძოდ, მოდენას, აქვილას, ბოლონიის, პიემონტეს უნივერსიტეტების, მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის, მილანის ბიკოჩას უნივერსიტეტის, ასევე სიენასა და სასარის უნივერსიტეტების წარმომადგენელთა ვიზიტი საქართველოში. წყარო: https://iec.gov.ge/news/shekhvedra-italiis-universitetebis-tsarmomadgenlebtan https://www.youtube.com/channel/UCqTYp1P_-ncb1ZFrBF_ISQw. ამავე წელს დაგეგმილი იყო უნგრეთის უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა ვიზიტი, რაც ახალი კორონა ვირუსით (Covid – 19) გამოწვეული პანდემიის პირობებში ვერ განხორციელდა. 2021 წელს ახალი კორონა ვირუსით (Covid – 19) გამოწვეული პანდემიის პირობებში აქტივობა არ იქნა დაგეგმილი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური პერსონალი აქტიურად განაგრძობდა ტრენინგებში, სამუშაო შეხვედრებსა და კონფერენციებში მონაწილეობას, როგორც დასწრებული ფორმით, ასევე ონლაინ პლატფორმების მეშვეობით
შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა
აქტივობა 1.2: სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირება, მათ შორის, განსაზღვრულ სასწავლო დარგებში
მოსალოდნელი შედეგი: 1.2.1. საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესებში ჩართული დაბრუნებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: ცენტრის კურსდამთავრებულთა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირება ხდება კარიერული ფორუმის საშუალებით, რომელიც ტარდება ყოველწლიურად ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაციის მიერ ცენტრის მხარდაჭერით. 2020-2021 წლებში ახალი კორონა ვირუსით (Covid – 19) გამოწვეული პანდემიის პირობებში აღნიშნული აქტივობა არ ჩატარებულია. თუმცა,

აღნიშნული აქტივობისგან დამოუკიდებლად, კურსდამთავრებულები, საკუთარი ძალისხმევით, საქმდებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა
ამოცანა 2: საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაცია
აქტივობა 2.1: სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობის და უცხოეთში სწავლის ხელშეწყობის პროგრამების განხორციელება
მოსალოდნელი შედეგი: 2.1.1. საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილე და უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მიზნით დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა.
პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: განათლების ინტერნაციონალიზაციის მიზნით სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი, კონკურსის წესით, ყოველწლიურად ამტკიცებს და ახორციელებს სხვადასხვა საერთაშორისო სასტიპენდიო პროგრამებს: • 2020 წელს სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში. 2020-2021 სასწავლო წლის პროგრამით საფრანგეთში შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მიზნით დაფინანსდა საქართველოს 13 მოქალაქე. დაფინანსებამ ჯამში შეადგინა 367 481,92 ლარი; ხოლო 2021 წლისათვის საფრანგეთში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მიზნით, ამავე პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა საქართველოს 13 მოქალაქე. დაფინანსებამ ჯამში შეადგინა 346 739,95 ლარი; • 2020 წელს, „საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის“ ფარგლებში, რომელიც გულისხმობს არაუმეტეს 3 თვის ხანგრძლივობის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაზე სწავლას, 2020 სასწავლო წელს დაფინანსდა საქართველოს 5 მოქალაქე. დაფინანსებამ ჯამში შეადგინა 75 837,98 ლარი. 2021 წელს ამავე პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიპოვა საქართველოს 3 მოქალაქემ. დაფინანსების ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 29 401,76 ლარი. • 2020 წელს, საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამების 2020-2021 ფარგლებში საზღვარგარეთ სამაგისტრო საფეხურზე სწავლის მიზნით დაფინანსდა საქართველოს 13 მოქალაქე, ხოლო მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე დაფინანსება გაუგრძელა ამავე პროგრამის ფარგლებში გასულ წელს 1 წელზე მეტი ხანგრძლივობის პროგრამაზე დაფინანსებულ 11 სტიპენდიატს. დაფინანსებამ ჯამში შეადგინა 918 562,09 ლარი. 2021 წელს ამავე პროგრამის ფარგლებში 2021-2022 სასწავლო წლისათვის გამოცხადებულ კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა საქართველოს 24 მოქალაქე, ხოლო მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე დაფინანსება გაუგრძელა გასულ წელს 1 წელზე მეტი ხანგრძლივობის პროგრამაზე დაფინანსებულ 4 სტიპენდიატს. დაფინანსებამ ჯამში შეადგინა 2 012 300,93 ლარი. • 2020 წელს, „საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები 2020-2021“ პროგრამის ფარგლებში საზღვარგარეთ სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მიზნით, დაფინანსდა საქართველოს 4 მოქალაქე, ხოლო მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე დაფინანსება გაუგრძელა

გასულ წელს 1 წელზე მეტი ხანგრძლივობის პროგრამაზე დაფინანსებულ 6 სტიპენდიატს. დაფინანსებამ ჯამში შეადგინა 122 732,40 ლარი. 2021 წელს, „საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები 2021-2022“ პროგრამის ფარგლებში საზღვარგარეთ სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მიზნით, დაფინანსდა საქართველოს 7 მოქალაქე, ხოლო მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე დაფინანსება გაუგრძელა გასულ წელს 1 წელზე მეტი ხანგრძლივობის პროგრამაზე დაფინანსებულ 4 სტიპენდიატს. დაფინანსებამ ჯამში შეადგინა 480 242, 88 ლარი.

• 2020 წელს, „საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამები 2020-2021 სასწავლო წლისათვის“ პროგრამის ფარგლებში, სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის მიზნით დაფინანსდა საქართველოს 3 მოქალაქე, ხოლო მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე დაფინანსება გაუგრძელა გასულ წელს 1 წელზე მეტი ხანგრძლივობის პროგრამაზე დაფინანსებულ 4 სტიპენდიატს. დაფინანსებამ სულ შეადგინა 122 409,64 ლარი. 2021 წელს „საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამების 2021-2022“ პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა საქართველოს 5 მოქალაქე, ხოლო მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე დაფინანსება გაუგრძელა გასულ წელს 1 წელზე მეტი ხანგრძლივობის პროგრამაზე დაფინანსებულ 1 სტიპენდიატს. დაფინანსებამ სულ შეადგინა 314 339,53 ლარი.

• 2020 წელს, სასტიპენდიო პროგრამები უნგრეთში „Stipendium Hungaricum“ 2020-2021 ფარგლებში უნგრეთის მთავრობის მიერ დაფინანსდა 39 ქართველი სტუდენტი უნგრეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად. 2021 წელს სასტიპენდიო პროგრამები უნგრეთში „Stipendium Hungaricum“ 2020-2021 ფარგლებში უნგრეთის მთავრობის მიერ დაფინანსდა 49 ქართველი სტუდენტი უნგრეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, ინტეგრირებული მაგისტრატურა (OTM) და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად.

• 2020 წელს, პროგრამის „ სტიპენდია უნგრელი სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის“ - 2020 ფარგლებში შეირჩა უნგრეთის 3 მოქალაქე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ კურსებზე დასასწრებად. შერჩეული სტუდენტები ვერ ჩამოვიდნენ ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გამოწვეული პანდემიის პირობებში. 2021 წელს წარმოდგენილი ხარვეზიანი განაცხადების საფუძველზე არ იქნა შერჩეული არცერთი სტიპენდიატი.

• 2018 წელს, სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრსა და იტალიის უნივერსიტეტების რექტორთა საბჭოს (CRUI) შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც გულისხმობს ქართველი სტუდენტების თანადაფინანსებას იტალიაში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლის მიზნით. აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე ხორციელდება სასტიპენდიო პროგრამა „აკადემიური პროგრამები იტალიაში“ იტალიის საელჩოსთან და ცენტრის პარტნიორ იტალიის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით.

2020 წელს, „აკადემიური პროგრამები იტალიაში 2020-2021“ პროგრამის ფარგლებში, იტალიაში სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის მიზნით დაფინანსდა საქართველოს 5 მოქალაქე, ხოლო მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე დაფინანსება გაუგრძელა გასულ წელს 1 წელზე მეტი ხანგრძლივობის პროგრამაზე დაფინანსებულ 2 სტიპენდიატს. დაფინანსებამ სულ

შეადგინა 87 938,78 ლარი. 2021 წელს, „აკადემიური პროგრამები იტალიაში 2020-2021“ პროგრამის ფარგლებში, იტალიაში სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის მიზნით დაფინანსდა საქართველოს 5 მოქალაქე, ხოლო მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე დაფინანსება გაუგრძელა გასულ წელს 1 წელზე მეტი ხანგრძლივობის პროგრამაზე დაფინანსებულ 5 სტიპენდიატს. დაფინანსებამ სულ შეადგინა 217 424,96 ლარი.

• 2018 წელს სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრს, ააიპ - ათასწლეულის ფონდი და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდს შორის 2018 წლის 4 მაისს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის საფუძველზე ხორციელდება სასტიპენდიო პროგრამა „აკადემიური პროგრამები სან - დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში,“ რომელიც გულისხმობს საქართველოს მოქალაქეების დაფინანსებას სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ქიმიისა და ბიოქიმიის მიმართულების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლის მიზნით.

2020 წელს, „აკადემიური პროგრამები სან - დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020-2021“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა საქართველოს 2 მოქალაქე, ხოლო მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე დაფინანსება გაუგრძელა გასულ წელს 1 წელზე მეტი ხანგრძლივობის პროგრამაზე დაფინანსებულ 1 სტიპენდიატს. დაფინანსებამ სულ შეადგინა 92 346,00 ლარი. 2021 წელს ამავე პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა საქართველოს 1 მოქალაქე, ხოლო მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე დაფინანსება გაუგრძელა გასულ წელს 1 წელზე მეტი ხანგრძლივობის პროგრამაზე დაფინანსებულ 3 სტიპენდიატს. დაფინანსებამ სულ შეადგინა 46 618,50 ლარი.

• 2020 წელს საქართველოს აშშ-ს მთავრობებს შორის 2016 წელს გაფორმებული განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის საფუძველზე, 2020-2021 სასწავლო წლისათვის აშშ-ს წამყვან უნივერსიტეტებში სამაგისტრო საფეხურზე სწავლის მიზნით დაფინანსდა საქართველოს 4 მოქალაქე, ხოლო დაფინანსება გაუგრძელა გასულ წელს 1 წელზე მეტი ხანგრძლივობის პროგრამაზე დაფინანსებულ 2 სტიპენდიატს. დაფინანსებამ ჯამში შეადგინა 643 620,00 ლარი. 2021 წელს ამავე პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა საქართველოს 4 მოქალაქე, ხოლო დაფინანსება გაუგრძელა გასულ წელს 1 წელზე მეტი ხანგრძლივობის პროგრამაზე დაფინანსებულ 3 სტიპენდიატს. დაფინანსებამ ჯამში შეადგინა 620 040,00 ლარი. საქართველოს მთავრობის მხრიდან პროგრამის თანადაფინანსებას და კონკურსანტთა შერჩევის პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი, ცენტრსა და IIE -ის შორის 2016 წლის 13 დეკემბერს გაფორმებული გრანტის ადმინისტრირების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე.

• 2020 წელს მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში 4 პროექტი (განხორციელდა 2021 წლის განმავლობაში): 1. კვლევითი პროექტი - „კონცენტრაციების კონტროლი საქართველოში: სამართლებრივი და ეკონომიკური კრიტერიუმების გავლენა კონკურენციასა და მომხმარებლების კეთილდღეობაზე,“ 2. საერთაშორისო პლატფორმა GiveInternet.org-ის განვითარება; 3. „ციფრული ოაზისები“ - ახალი მედია გამოფენა და მედია ხელოვნების ლაბორატორია, 4. განათლების ლაბორატორია (Edu Lab). გამოყოფილი ბიუჯეტი - 150 000 ლარი.

2021 წელს მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში 5 პროექტი: 1. Timbral music - ქართული ხალხური საკრავებისა და მრავალხმიანობის აუდიო სეემპლების ბიბლიოთეკა კომპოზიტორებისთვის და მუსიკოსებისთვის, 2. ცვლილებების სადგური, 3. კვლევის განვითარების პროცესის მონიტორინგისა და მხარდამჭერი მექანიზმების გაძლიერება რეგიონულ უნივერსიტეტებში. 4. პირველი ვებ-პორტალი საქართველოს მყინვარების შესახებ, 5. კავკასიური აბრეშუმის წრე: მუზეუმი და განათლება. გამოყოფილი ბიუჯეტი - 150 000 ლარი.

შესრულების სტატუსი: შესრულდა 95%

აქტივობა 2.2: საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი აკადემიური პროგრამების განვითარება

მოსალოდნელი შედეგი: 2.2.1. საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად შემუშავებული ერთობლივი აკადემიური პროგრამების გაზრდილი რაოდენობა.

პასუხისმგებელი უწყება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:

2021 წ. ოქტომბერში გაიმართა ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის კიდევ ერთი ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამის ოფიციალური გახსნა. საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა და ფრანგულმა ინსტიტუტმა სუპაგრო მონპელიემ ხელი მოაწერეს ერთობლივ ორმაგ სამაგისტრო პროგრამას მეღვინეობა-მევენახეობაში ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ფარგლებში. ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ეს ახალი პროგრამა ხელს შეუწყობს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებების განვითარებას მეღვინეობის სფეროში, რომელიც ქართულ ეკონომიკასა და იდენტობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

„ვისწავლოთ საქართველოში" პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ABET აკრედიტებული STEM საბაკალავრო პროგრამები, რაც გაზრდის საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის საერთაშორისო დონეზე სანდოობასა და მიმზიდველობას.

აღსანიშნავია მეგა-პროექტის – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის განვითარება. 2021 წელს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტების მეორე ნაკადი ჩაირიცხა. უნივერსიტეტი ახალგაზრდებს დასავლური სტანდარტების საგანმანათლებლო სივრცეს და სასწავლო პროგრამებს, დარგის წამყვან ქართველ და უცხოელ პროფესორებს, უნიკალურ ინფრასტრუქტურას სთავაზობს.

2017 წლიდან ერთობლივი აკრედიტებული პროგრამების წილი 0,7%დან გაიზარდა 1,2 %-მდე.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

აქტივობა: 2.3: სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციასთან (WFME) თანამშრომლობის გაღრმავება და სამედიცინო პროგრამებისა და სამედიცინო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი სასწავლებლების საერთაშორისო ავტორიზაცია და აკრედიტაცია

მოსალოდნელი შედეგი: 2.3.1. დაგეგმილი და განხორციელებულია ღონისძიებები სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლების მონაწილეობით.

2.3.2. განახლებული და გადამზადებულია სამედიცინო სფეროს მიმართულებით ცენტრის ექსპერტთა კორპუსი.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: 2.3.1. 2021 წლის განმავლობაში ცენტრმა განახორციელა სააკრედიტაციო შეფასება დიპლომირებული მედიკოსის 16 ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასა და 8 საავტორიზაციო შეფასება ისეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც მედიცინის პროგრამას ახორციელებენ. თითოეულ მათგანში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ექსპერტები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობაც სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ იყო რეკომენდირებული, მათი კომპეტენციისა და WFME-სთან თანამშრომლობის გამოცდილებიდან გამომდინარე. 2.3.2. წლის განმავლობაში ცენტრმა მნიშვნელოვნად გაზარდა ექსპერტთა რაოდენობა მედიცინის მიმართულებით, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. 2021 წლის გაზაფხულზე ცენტრმა განახორციელა გაფართოებული სამუშაო შეხვედრები/ტრენინგების სესიები, რომლებშიც მონაწილეობდნენ, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ექსპერტები სხვადასხვა ქვეყნებიდან. ტრენინგები შეეხო როგორც აკრედიტაციის პროცესისა და სტანდარტების საკითხებს, ისე უშუალოდ სამედიცინო განათლებას და უახლოეს მომავალში დაგეგმილ ცვლილებებს.
შესრულების სტატუსი: შესრულდა-2.3.1; მეტწილად შესრულდა-2.3.2
აქტივობა 2.4: ENQA-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებების მომზადება
მოსალოდნელი შედეგი: 2.4.1. ENQA-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით მოხდება სამუშაო ჯგუფის ფორმირება და სამოქმედო გეგმის შედგენა; 2.4.2. შემუშავებული და ინიცირებული იქნება საკანონმდებლო აქტები და კანონქვემდებარე აქტებში შესატანი ცვლილებები; 2.4.3. ENQA-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების თაობაზე ცენტრის მიერ მომზადებულია თვითშეფასების ანგარიში.
პასუხიმგებელი უწყება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: 2.4.1 ENQA-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით მოხდა სამუშაო ჯგუფის ფორმირება და სამოქმედო გეგმის შედგენა; სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და შესასრულებელი სამუშაოების მახასიათებლები განისაზღვრა ცენტრის დირექტორის ბრძანებებით, კერძოდ, №76139, 24/01/2020 ბრძანების შესაბამისად შედგენილ სამუშაო ჯგუფს დაევალა ENQA-ს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ წინადადებების მომზადება და ცენტრის დირექტორისთვის სამუშაო დოკუმენტის წარდგენა, ხოლო №1219786, 22/12/2020 ბრძანებით შედგენილ სამუშაო ჯგუფს

დაევალა ENQA-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე ცენტრის თვითშეფასების პროცესის განხორციელება.

2.4.2 ცენტრში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ და ინიცირებულ იქნა საკანონმდებლო აქტები და კანონქვემდებარე აქტებში შესატანი შემდეგი ცვლილებები (ავტორიზაციისა და აკრედიაციის დებულების ფარგლები);
ცვლილებები ძირითადად შეეხო აკრედიტაციის/ავტორიზაციის დებულების შემდეგ საკითხებს:

- აკრედიტაციის დებულებაში გაჩნდა პირდაპირი ვალდებულება, რომლის თანახმადაც უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან/დაწესებულებებთან ერთად განსახორციელებელი ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) მიერ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის თაობაზე შემუშავებული მიდგომები. აღნიშნული მიდგომები, მათ შორის, გულისხმობს იმას, რომ მსგავსი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში ექსპერტად მოწვეული უნდა იქნეს საერთაშორისო ექსპერტი.
- ENQA-ს რეკომენდაციების შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით დეტალურად გაიწერა უცხოური ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარება. კერძოდ, პროცედურების ნაწილში გაიმიჯნა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (ENQA) წევრი სააგენტოს, ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოქმედი ორგანიზაციისა და სხვა ნებისმიერი ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარების პროცედურა.
- ENQA-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით ცვლილებები ეხება საბჭოების საქმიანობის წესსა და უფლებამოსილების ვადას.

კერძოდ, გაიზარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრების, აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრების და სააპელაციო საბჭოს უფლებამოსილების ვადა ერთი წლიდან ორ წლამდე.

- ცვლილებების ფარგლებში დაკონკრეტდა ჩანაწერი ავტორიზაციის, აკრედიტაციის და სააპელაციო საბჭოების წევრების ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით. კერძოდ, საბჭოების წევრებს ექნებათ ვალდებულება, საკითხის განხილვის დაწყებამდე, განაცხადონ დაწესებულებასთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ. საბჭოს წევრი, ასევე არ იქნება უფლებამოსილი, რომ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინოს დაინტერესებული მხარის - საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიცია.
- მოქმედი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებები არ ადგენდა არანაკლებ 3 წელიწადში ცენტრში წარმოსადგენი თვითშეფასების ანგარიშის შეფასების პროცედურას. შესაბამისად, ავტორიზაციის/აკრედიტაციის დებულებებში ცვლილებებით დეტალურად განისაზღვრა თვითშეფასების ანგარიშის წარდგენისა და შეფასების პროცესები, ასევე დადგინდა, თუ რა შემთხვევაში არ ექნება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ვალდებულება, რომ ცენტრს წარუდგინოს თვითშეფასების ანგარიში.

- ავტორიზაციის დებულებაში გაიწერა ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების 1 წლიანი ანგარიშის ცენტრში წარმოდგენისა და განხილვის პროცედურა.
- ENQA-ს რეკომენდაციებისა და არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, არსებითად შეიცვალა დებულების 31-ე მუხლი და ავტორიზაციის დებულების 88-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს აკრედიტაციის/ავტორიზაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით. წარმოდგენილი ცვლილებებით გაიმიჯნა გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების პროცედურა, დაზუსტდა თითოეულ შემთხვევაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების შემადგენლობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.
- განისაზღვრა აკრედიტაციის/ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის წესი, რომლის თანახმადაც საგანმანათლებლო დაწესებულება ან/და სააკრედიტაციო პროცესში მონაწილე სხვა დაინტერესებული მხარე უფლებამოსილი იქნება ცენტრში აკრედიტაციის/ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით, აღნიშნული პროცესის მიმდინარეობისას, ან პროცესის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წარადგინოს საჩივარი, თუკი ცენტრის თანამშრომლის/თანამშრომლების, ან/და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის/წევრების მიერ დაირღვევა აკრედიტაციის/ავტორიზაციის დებულებით, ან/და ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ,,ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსით“ დადგენილი მოთხოვნები.
- ავტორიზაციის დებულებაში გაჩნდა ჩანაწერი, რომ ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში იურიდიული პირი უფლებამოსილია ცენტრს საავტორიზაციო განაცხადი წარუდგინოს ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 წლის შემდეგ.
- ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მათ შორის, იმ დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ მედიცინის ერთსაფეხურიანი განათლების პროგრამებს, ავტორიზაციის ვადა გაუხანგრძლივდათ 2021 წლის 1 ივლისამდე. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებსაც აკრედიტაციის ვადა ეწურებოდათ 2020 წლის განმავლობაში, აკრედიტაციის ვადები გაუხანგრძლივდათ 2021 წლის 1 ივლისამდე.
- გაიზარდა საკოორდინაციო საბჭოს როლი ცენტრის მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მინისტრის მიერ ცენტრის დირექტორის დანიშვნისა და გათავისუფლების პროცედურაში, ავტორიზაციის, აკრედიტაციის, სააპელაციო საბჭოების ფორმირების პროცესში, ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს როლის წარმოჩენა იყო ასევე ცვლილებების განხორციელების ფარგლებში.

2.4.2 ENQA-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების თაობაზე ცენტრის მიერ მომზადებულია თვითშეფასების ანგარიში.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2021 წლის აპრილში წარმატებით გაიარა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მონიტორინგის ჯგუფის შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში გადამოწმდა ცენტრის

მიერ ENQA-ს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების შესრულება, რაც ცენტრის 2019 წლის გარე შეფასების ანგარიშში იყო ასახული. მონიტორინგის ჯგუფის შეფასებით, ცენტრმა ENQA-ს რეკომენდაციები შეასრულა. ამავე ექსპერტების მიერ, ასევე დადებითად შეფასდა ცენტრის სამომავლო ხედვა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების კიდევ უფრო მეტად დახვეწასა და განვითარებასთან დაკავშირებით.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 2.5: ბოლონიის მოთხოვნების გათვალისწინებით ევროპის უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტებთან დაკავშირებული ვალდებულებების განხორციელების შესახებ ევროპული გამოცდილების საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაზიარება
მოსალოდნელი შედეგი: 2.5.1. ევროპული პროექტის მიკროკრედიტების (MICROBOL) შესახებ ინფორმაცია გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და მიღებულია მათი უკუკავშირი პროექტით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: 2.5.1. 2020 წელს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი შერჩეულ იქნა ბოლონიის პროცესის იმპლემენტაციის ჯგუფის (BICG) ხარისხის უზრუნველყოფის თემატური საექსპერტო ჯგუფის (TPG on QA) ფარგლებში ინიცირებულ პროექტში - Microbol project, რომელიც ხორციელდება ისეთი ორგანიზაციების მიერ, როგორებიცაა: უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია (ENQA), უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრი (EQAR), ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA), აკადემიური მობილობისა და შესაბამისობის საინფორმაციო ცენტრი (CIMEA), ფლამანდრიის (ბელგია) განათლებისა და მომზადების სამინისტრო და ფინეთის განათლების და კულტურის სამინისტრო. ცენტრის 2021 წლის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელზეც მოწვეული იყო ყველა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ფლამანდრიის (ბელგია) მთავრობის განათლებისა და ტრენინგის სამინისტროს მრჩეველმა უმაღლესი განათლების პოლიტიკის საკითხებში წარადგინა მოხსენება „MICROBOL: მიკროკრედიტები და მათი კავშირი ბოლონიის პროცესის ძირითად ვალდებულებებთან ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ქვეყნებში“ და კონფერენციაზე დამსწრე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს მიაწოდა ინფორმაცია მიკროკრედიტების, ევროპის უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტებთან დაკავშირებული ვალდებულებებისა და ამ მიმართულებით ევროპული გამოცდილების შესახებ. 2021 წლის სექტემბერში ცენტრმა ჩაატარა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა მიკროკრედიტების დანერგვასთან დაკავშირებით მიზნობრივი აუდიტორიის კოლექტიური მოლოდინებისა და განწყობის შეფასებას, ასევე არსებული პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მოგროვებას. კითხვარი გაგზავნილი იქნა ყველა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან (სულ 64). კვლევაში მონაწილეობა მიიღო 42%-მა (27 დაწესებულება).

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობამ საჭიროდ მიიჩნია მიკროკრედიტების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა, პროგრამის მოცულობის გასაზომად უპირატესობა მიანიჭა ECTS კრედიტების გამოყენებას (ნაცვლად საათებისა) და ამ პროცესში მნიშვნელოვნად ჩათვალა ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენება, გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა კი დააფიქსირა მცირეკრედიტიანი პროგრამების ჩარჩოში ასახვის აუცილებლობა. კვლევის შედეგად ასევე დაიდენტიფიცირდა მიკრობოლების ფორმალიზების პროცესთან დაკავშირებული გამოწვევები.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 2.6: PROFFORMANCE პროექტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა
მოსალოდნელი შედეგი: 2.6.1 განხორციელებულია ბენჩმარქინგის კითხვარის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის პროცესის მხარდაჭერა; 2.6.2. ორგანიზებულია PLA აქტივობა საქართველოში; 2.6.3. შემუშავებულია აკადემიური პერსონალის შეფასების ინსტრუმენტი და წახალისების სისტემის კონცეპტუალური ჩარჩო დოკუმენტი.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: ცენტრის ორგანიზებით პროფორმანს პროექტის მე-3 PLA აქტივობა გაიმართა 2021 წლის 27 მაისსა და 7 ივნისს; ცენტრისა და მონაწილე მხარეების/ექსპერტების/სპიკერების საორგანიზაციო და შემაჯამებელი შეხვედრები ჩატარდა 22 აპრილს და 26 მაისს, 20, 25 მაისს და 4 ივნისს; PLA3-ის ძირითადი მიზანი იყო პროფესორთა/ლექტორთა/აკადემიური პერსონალის შეფასების მექანიზმის (3D matrix) შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, სტუდენტების უკუკავშირის გათვალისწინება, მეთოდოლოგიური და ტექნიკური მხარდაჭერის მიღება შეფასების მექანიზმის დასახვეწად; კოორდინირების მიზნების გათვალისწინებით ცენტრმა უზრუნველყო აგრეთვე ექსპერტების/სპიკერების/სტუდენტების მოძიება-შერჩევა-პროექტში ჩართვა; 2021 წლის შემოდგომაზე ცენტრი აქტიურ მოლაპარაკებებში იყო ჩართული უნგრულ TPF-თან, რომელიც პროექტის კოორდინატორია და მიღწეული იქნა შეთანხმება საპარტნიორო საბიუჯეტო რესურსების ცვლილების თაობაზე, რათა ცენტრმა უზრუნველყოს სპიკერების/ექსპერტების ანაზღაურება გაწეული სამუშაოსთვის; დაიწყო მუშაობა აღებული პასუხისმგებლობის ფარგლებში ექსპერტთა ასანაზღაურებლად შესაბამისი კონტრაქტების გაფორმების მიზნით; 2021 წლის ბოლო კვარტალში დაიწყო საქართველოში მოქმედი უსდ-ების ინფორმირება პროექტის ფარგლებში შემუშავებული აკადემიური/სასწავლო პერსონალის შეფასების კითხვარების პილოტირების პროცესსა და უსდ სასწავლო პერსონალის დაჯილდოების კონკურსში ჩართულობის გაზრდის მიზნით.
შესრულების სტატუსი: შესრულდა

აქტივობა 2.7: DEQAR CONNECT პროექტში მონაწილეობა და უმაღლესი განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში შედგენილი დასკვნებისა და გადაწყვეტილებების EQAR-ის ბაზაში (DEQAR) ავტომატური ასახვის სისტემის შემუშავება

მოსალოდნელი შედეგი: შექმნილია ელექტრონული სისტემა ან მოდული, რომელიც უზრუნველყოფს გარე ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში (ავტორიზაცია და აკრედიტაცია) დასკვნებისა და გადაწყვეტილებების ავტომატურ ასახვას EQAR-ის ბაზაში, DEQAR-ის ბაზის ცენტრის შიდა ინფორმაციულ სისტემასთან დაკავშირებით.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

შესრულება:

დასრულდა მუშაობა ცენტრის განახლებულ ვებგვერდზე (https://eqe.ge/ka/deqars) ინტეგრირებულ სისტემაზე, სადაც იტვირთება უმაღლესი განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფის ფარგლებში (ავტორიზაცია და აკრედიტაცია) შედგენილი დასკვნები და საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები 2021 წლის 15 თებერვლიდან. აღნიშნული ბაზა სინქრონიზებულია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების რეესტრის (EQAR) ბაზასთან და ავტომატურად გზავნის მონაცემებს. აღნიშნული პორტალის საშუალებით EQAR ბაზაში (https://www.eqar.eu/qa-results/search/by-institution/?query=&country=63;) უკვე გაგზავნილია 95 აკრედიტაციისა და უსდ-ს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება და წარმოების ფარგლებში ექსპერტების მიერ შედგენილი დასკვნები.

შესრულების სტატუსი: შესრულდა

ამოცანა 3. ეფექტური და ეფექტიანი დაფინანსების სისტემის შექმნა

აქტივობა: 3.1: საერთაშორისო პარტნიორებთან/ექსპერტებთან თანამშრომლობით დაფინანსების ეფექტური და ეფექტიანი მოდელის იდენტიფიცირება ადგილობრივ სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე დაყრდნობით

მოსალოდნელი შედეგი: 3.1.1. დაფინანსების ახალი მოდელის პილოტირების მიზნით შერჩეულია საერთაშორისო ექსპერტი.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:

გრძელდება მუშაობა უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალ მოდელზე. საკონსულტაციო მომსახურების 40-წლიანი გამოცდილების მქონე ბელგიურმა კომპანია IBF-მა წარმოადგინა ზოგადი ხედვა უმაღლესი განათლების დაფინანსების მიმართულებით რეფორმის შესახებ და გამოკვეთა შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელის დანერგვის უპირატესობები, მათ შორის, ფინანსური რესურსების ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული განაწილება, ანგარიშვალდებულება სახელმწიფოს მიმართ, გამჭვირვალობა და სოციალური პასუხისმგებლობა, უსდ-ების ინსტიტუციური გაძლიერება, სტრატეგიული განვითარება და სხვ.

შესრულების სტატუსი: მიმდინარე
ამოცანა 4. უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე ბიზნეს პროცესების ავტომატიზაცია
აქტივობა 4.1: მობილობის გზით საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების პროცესის ავტომატიზაცია
მოსალოდნელი შედეგი: 4.1.1. შექმნილი და დანერგილია მობილობის გზით საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადებისათვის ელექტრონული ანკეტა-კითხვარი.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
შესრულება: შექმნილი და დანერგილია მობილობის გზით საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადებისათვის სპეციალური ელექტრონული ანკეტა-კითხვარი. დაწესებულებებს ჩაუტარდათ ტრენინგი და მომზადდა სახელმძღვანელო ინსტრუქცია. აღნიშნული ანკეტა-კითხვარით მიღება გამოცხადდა ორი მობილობისა და ორი რიგგარეშე მობილობის ჩატარების უზრუნველსაყოფად.
შესრულების სტატუსი: დასრულებული
აქტივობა 4.2: საგრანტო და პროგრამული დაფინანსების გაანგარიშებისათვის ავტომატიზებული პროგრამა - Uni-Grants განვითარება
მოსალოდნელი შედეგი: 4.2.1. სისტემა Uni-Grants-ში დამატებულია სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტისა და სახელმწიფო პროგრამული დაფინანსებების გაანგარიშების ფუნქციონალი.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
შესრულება: შექმნილი და დანერგილია პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების გაანგარიშების ფუნქციონალი. ასევე განხორციელდა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაანგარიშების ფუნქციონალის შესაქმნელად საჭირო ბიზნეს-პროცესების აღწერა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. მიმდინარეობს პროგრამული უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით პროგრამულ უზრუნველყოფაზე მუშაობა, რომელიც დასრულდება 2022 წლის 1 აპრილისთვის.
შესრულების სტატუსი: მიმდინარე
აქტივობა 4.3: უმაღლესი განათლების (eUni) მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნა
მოსალოდნელი შედეგი: 4.3.1. უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (eUni) მზადაა პილოტირებისათვის.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
შესრულება: უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მოდულები: ელექტრონული ანკეტა-კითხვარები და უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდული დასრულებული და

დანერგილია. ამასთან დამტკიცდა "უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესი (მინისტრის 90/ნ ბრძანება), რომლითაც განისაზღვრა უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საკანონმდებლო ჩარჩო და 2022 წლის 31 დეკემბრამდე განისაზღვრა ელექტრონული სისტემის დასრულების ვადა.
შესრულების სტატუსი: მიმდინარე
აქტივობა: 4.4 ციფრული არქივის დანერგვა და განვითარება
მოსალოდნელი შედეგი: 4.4.1. მოქმედი და საქმიანობაშეწყვეტილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სპეციალური აპლიკაციის მეშვეობით.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
შესრულება: შექმნილი და დანერგილია ციფრული არქივის სპეციალური პლატფორმა, სადაც ასახულია ინფორმაცია 150-ზე მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსისა და მათი კავშირების შესახებ. მიმდინარეობს მუშაობა პლატფორმის განვითარებისა და მოქმედი და საქმიანობაშეწყვეტილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ სრული ინფორმაციის ასახვის მიზნით.
შესრულების სტატუსი: მიმდინარე
ამოცანა 5. შედეგზე დაფუძნებული და განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შექმნა
აქტივობა 5.1: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურების განვითარება
მოსალოდნელი შედეგი: 5.1.1. მომზადებულია ავტორიზაციის სტანდარტებსა და პროცედურებში ცვლილებების შეტანის პროექტი; 5.1.2. განხორციელებულია შეფასებების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი და შესატანი ცვლილებების პროექტი.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: 5.1.2. განხორციელებულია შეფასებების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი და შესატანი ცვლილებების პროექტი. ანალიზის შედეგაც ცენტრი შეთანხმდა, რომ უნდა გადაიხედოს ავტორიზაციის მე-3 და მე-6 სტანდარტები და დაიგეგმოს მათში ცვლილებების შეტანა. მხოლოდ განხორციელებულია შეფასებების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი, არ არის მომზადებული შესატანი ცვლილებების პროექტი. ცენტრი მუშაობდა კლასტერული აკრედიტაციის სტანდარტებზე და პროცედურებზე, ავტორიზაციის მე-3 და მე-6 სტანდარტების ცვლილებების პროექტის მომზადება ცენტრს დაგეგმილი აქვს 2022 წლისათვის..
შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული

აქტივობა 5.2: აკრედიტაციის მაძიებელი დაწესებულებების, ასევე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და მონიტორინგი ESG - 2015-თან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სტანდარტებითა და პროცედურებით
მოსალოდნელი შედეგი: 5.2.1. აკრედიტაციის მაძიებელი დაწესებულებები შეფასებულები არიან ESG-2015-თან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად; 5.2.2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის გზით შეფასდებიან ESG-2015-თან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: 5.2.1. აკრედიტაციის მაძიებელი დაწესებულებები შეფასებულები არიან ESG-2015-თან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად. განახლებული სტანდარტები დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის №09/ნ ბრძანებით - ვებგვერდი, 01/02/2018 წელი. შესაბამისად, მას შემდეგ განხორციელებული აკრედიტაციის შეფასების პროცესები მიმდინარეობს განახლებული, ESG-2015-თან თავსებადი აკრედიტაციის სტანდარტების პირობებში. 2021 წელს ცენტრმა განახორციელა 310-მდე სააკრედიტაციო წარმოება განახლებული სტანდარტების პირობებში. 5.2.2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის გზით შეფასდებიან ESG-2015-თან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად. მონიტორინგის პროცედურები განვითარდა ENQA-ს რეკომენდაციებისა და არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, არსებითად შეიცვალა დებულების 31-ე მუხლი. ცენტრმა მიმდინარე წელს განახორციელა 35-მდე საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის პროცესი.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 5.3: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების განვითარება
მოსალოდნელი შედეგი: 5.3.1. მომზადებულია აკრედიტაციის სტანდარტებსა და პროცედურებში ცვლილებების შეტანის პროექტი; 5.3.2. განხორციელებულია შეფასებების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი და მომზადებულია შესატანი ცვლილებების პროექტი.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

შესრულება:

5.3.1 მომზადდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების განახლებული პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია კლასტერული აკრედიტაციის სპეციფიკა, ასევე გასაუმჯობესებელი მხარეები, რომელიც გამოვლენილი იყო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შეფასების პროცესში. განახლებული პროექტის მიხედვით, შემუშავდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ცალკეული სტანდარტის სტრუქტურის ცვლილება. აღნიშნულმა მიდგომამ უზრუნველყო შინაარსობრივი ნიშნით კიდევ უფრო მსგავსი კომპონენტების გაერთიანება ერთი სტანდარტის ფარგლებში, რამაც ხელი შეუწყო აკრედიტაციის სხვადასხვა სტანდარტში თანაბარი რაოდენობის შეფასების კომპონენტების არსებობას და მათ თანმიმდევრულობას. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების პროექტში გათვალისწინებულია ელექტრონული/დისტანციური სწავლების თავისებურებები, რომლის შესაბამისადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სათანადო გარემოს და დისტანციურად/ელექტრონულად განხორციელებული პროცესების შეფასებისთვის შესაბამისი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არსებობა.

კლასტერული აკრედიტაციის სპეციფიკების გათვალისწინებით, ასევე მომზადდა აკრედიტაციის პროცედურების ცვლილებების პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია ინსტიტუციების უკუკავშირები.

5.3.2. განხორციელდა შეფასებების შედეგად გამოვლენილი პრაქტიკების ანალიზი. ეს გარემოებაც, ასევე დაედო საფუძვლად ცვლილებების პროექტის მომზადებას, რომელიც განხორციელდა ცენტრის მიერ აკრედიტაციის სტანდარტებსა და პროცედურებში.

შესრულების სტატუსი: შესრულდა

აქტივობა 5.4: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის სრულყოფა და განვითარება

მოსალოდნელი შედეგი: 5.4.1. ექსპერტთა პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგების დასაგეგმად შემუშავებულია კონკრეტული წინადადებები;

5.4.2. სტუდენტი ექსპერტებისთვის მათ პროფესიული განვითარებისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში მათი როლისა და ფუნქციის სწორად გააზრების მიზნით, დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა, ჩატარებულია ტრენინგები; განახლებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსები; მოძიებულია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საერთაშორისო ექსპერტები;

5.4.3. ხორციელდება ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის მუდმივი შეფასება და განხორციელებულია ატესტაცია;

5.4.4. განხორციელებულია შესაბამისი ღონისძიებები ექსპერტთა საქმიანობის შეფასების ანალიზისა და ატესტაციის შედეგების საფუძველზე.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: 5.4.1. ექსპერტთა პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგების დასაგეგმად შემუშავებულია კონკრეტული წინადადებები; სასარგებლო იყო ცენტრისათვის კვლევის ანგარიში, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“. კვლევა განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაციის საგრანტო პროგრამის ფარგლებში. კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წარმომადგენლები და ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების წევრები. კვლევის ანგარიშის შესაბამისად, გაანალიზდა ექპერტთა საჭიროებები და გაცემული იყო სასარგებლო რეკომენდაციები/რჩევები ექსპერტთა კორპუსის განვითარებისათვის, მათ შორის, თემატური ტრენინგების დაგეგმვისათვის. ცენტრმა დაგეგმა და ჩაატარა ბიზნესის ადმინისტრირების/მართვის სფეროს აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრებთან სამუშაო შეხვედრა EMBA პროგრამების თავისებურებების საერთაშორისო გამოცდილებების მიმოხილვის გაზიარებისათვის. შეხვედრას უძღვებოდნენ ცენტრის მიერ მოწვეული სფეროს ექსპერტები, რომლებმაც გააზიარეს საერთაშორისო პრაქტიკების მიმოხილვა. 5.4.2. სტუდენტი ექსპერტებისთვის მათ პროფესიული განვითარებისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში მათი როლისა და ფუნქციის სწორად გააზრების მიზნით, დაგეგმილი იყო სამუშაო შეხვედრა, ჩატარებულია ტრენინგები; პერმანენტულად, საჭიროებების მიხედვით მიმდინარეობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ადგილობრივი და საერთაშორისო კორპუსის შევსება. ექსპერტთა კორპუსის განვითარების მიზნით, გადაიდგა შესაბამისი ნაბიჯები, კერძოდ, ჩატარდა ჰუმანიტარული სფეროს ექსპერტების ატესტაცია და ატესტაციის შედეგად ფორმირდა ჰუმანიტარული სფეროს ექსპერტთა კორპუსი. ასევე, ამავე სფეროს ექსპერტების მოძიების მიზნით, გამოცხადდა კონკურსი. ასევე, გამოცხადდა კონკურსი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტების შესარჩევად; კონკურსის ეტაპების მიხედვით ჩატარდა ტრენინგები ექსპერტთა კანდიდატებთან. ჩატარდა სტუდენტი ექსპერტების შესარჩევი კონკურსი. აპლიკანტების მიერ კონკურსის ყველა ეტაპის გავლის გზით, ფორმირდა სტუდენტი ექსპერტების კორპუსი. 5.4.3. ხორციელდება ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის მუდმივი შეფასება და შესაბამისად, მუშავდება ექსპერტთა შეფასების ანგარიშები. განხორციელებულია ჰუმანიტარული სფეროების აკრედიტაციის ექსპერტთა ატესტაცია; (ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ატესტაცია განხორციელდა 2021 წელს და შესაბამისად, ფორმირდა ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი).

5.4.4. განხორციელებულია შესაბამისი ღონისძიებები ექსპერტთა საქმიანობის შეფასების ანალიზისა და ატესტაციის შედეგების საფუძველზე.

2021 წელს განხორციელებული ექსპერტთა საქმიანობის შეფასების ანალიზის საფუძველზე, დაიგეგმება ექსპერტთა განვითარებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები 2022 წელს. აკრედიტაციის ექსპერტთა ატესტაციის შედეგები ძალაში შევა 2022 წლიდან. ჩატარდება თემატური ვებინარები და სემინარები კლასტერული აკრედიტაციის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაკუთრებით, ჰუმანიტარული მიმართულებების კლასტერთან დაკავშირებით.

შესრულების სტატუსი: შესრულდა

აქტივობა 5.5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციის პროცესში ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა და მონიტორინგი

მოსალოდნელი შედეგი: 5.5.1. სრულყოფილია უსდ-ისთვის საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენის მიზნით ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემა (ტექნიკური ხარვეზების გამოსწორება და სისტემის სრულყოფა, სისტემაში შესაბამისი ინფორმაციის შეტანა და სხვა);

5.5.2. შემუშავებულია ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემის მართვისა და გამოყენების წესი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინა ცენტრის დირექტორს;

5.5.3. ელექტრონული სისტემის გამოყენების თაობაზე ყველა დაინტერესებული მხარისთვის (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ცენტრის თანამშრომლები, ექსპერტები, საბჭოს წევრები) ჩატარებულია ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები;

5.5.4. წარმოდგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საავტორიზაციო განაცხადები ხარისხის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემის მეშვეობით;

5.5.5. უსდ-ისთვის საკრედიტაციო განაცხადის წარმოდგენის მიზნით მოხდება ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემის შემუშავებისთვის საჭირო ტექნიკური დავალების მომზადება, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის წარდგენა და სისტემის აწყობაზე დაიწყება მუშაობა, გაიწერება სამოქმედო გეგმა.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

შესრულება:

2021 წლის მარტიდან განახლდა EMIS-ის მიერ შემუშავებული უსდ საავტორიზაციო მოდულის ტესტირების ფარგლებში, ცენტრის მხრიდან განახლებულმა სამუშაო ჯგუფმა შეაფასა მიღწეული პროგრესი, ხელახლა გაიარა მოდულის ფარგლებში პროგრამულად ჩაშენებული ყველა ეტაპი, რომელიც სრულად ფარავს საავტორიზაციო პროცესს; მუდმივი და ეტაპობრივი უკუკავშირის დამყარებით ტექნიკურ ჯგუფთან მუდმივი კონტაქტის ფორმატში ხელი შეუწყო მოდულის შემდგომ დახვეწას, იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოფხვრას, ტექნიკურ დახვეწას და დაინტერესებული მხარეების მხრიდან მექანიზმის კომფორტულად გამოყენებადობის უზრუნველყოფას; ტესტირების სრული ციკლის გავლის შემდგომ შედგა გაერთიანებული ფართო შეხვედრა ცენტრსა და EMIS-ის ტექნიკურ ჯგუფს შორის, სადაც შეჯამდა თანამშრომლობის შედეგები, ხოლო 2021 წლის ოქტომბრისთვის ცენტრმა ჯგუფისგან საბოლოოდ მიიღო მოდულის მართვის დამხმარე სახელმძღვანელო.

აქტივობა შესრულებულია ნაწილობრივ. არ არის წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საავტორიზაციო განაცხადები ხარისხის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემის მეშვეობით; ამასთან, ამ ეტაპზე არ არის ჩატარებული შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან.
შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა
აქტივობა 5.6 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან და პროცედურებთან დაკავშირებით საკონსულტაციო და სამუშაო შეხვედრების ჩატარება
მოსალოდნელი შედეგი: 5.6.1. ჩატარებულია საკონსულტაციო და სამუშაო შეხვედრები უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით; 5.6.2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები, სადაც განხილულ იქნა სტუდენტების როლი ინსტიტუციის შიდა ხარისხის პროცესების განვითარებაში.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: 5.6.1. ცენტრი პერმანენტულად გეგმავს საკონსულტაციო და სამუშაო შეხვედრებს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით; ცენტრი ღიაა საკონსულტაციო მომსახურებისთვის, ყოველი კვირის ოთხშაბათს, დაწესებულებებთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მიმდინარეობს დაწესებულებებთან სამუშაო და საკონსულტაციო შეხვედრები; 5.6.2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა თვითმმართველობის წარომადგენელთათვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, სადაც განხილული იყო სტუდენტების როლი ინსტიტუციის შიდა ხარისხის პროცესების განვითარებაში. ცენტრმა, ასევე შექმნა ფეისბუქის გვერდი სტუდენტები განათლებისთვის, რომელზეც ათავსებს სტუდენტთათვის საინტერესო საკითხებს.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 5.7: ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების, ასევე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შეფასება და მონიტორინგი ESG - 2015-თან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებითა და პროცედურებით
მოსალოდნელი შედეგი: 5.7.1. ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებები შეფასებულები არიან ESG-2015-თან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად; 5.7.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის გზით შეფასდებიან ESG-2015-თან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება:

5.7.1. ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებები შეფასებულები არიან ESG-2015-თან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად; განახლებული ავტორიზაციის სტანდარტები დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის №77/ნ ბრძანებით, ვებგვერდი, 08/05/2017 წელი. რაც ნიშნავს, რომ მას შემდეგ განხორციელებული ავტორიზაციის შეფასების პროცესები მიმდინარეობს განახლებული ESG-2015-თან თავსებადი ავტორიზაციის სტანდარტების პირობებში. 5.7.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის გზით შეფასდებიან ESG-2015-თან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად. მონიტორინგის პროცედურები განვითარდა ENQA-ს რეკომენდაციებისა და არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, არსებითად შეიცვალა ავტორიზაციის დებულების 88-ე მუხლი. ცენტრმა მიმდინარე წელს განახორციელა 10-მდე ინსტიტუციის მონიტორინგის პროცესი.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 5.8: უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება
მოსალოდნელი შედეგი: სტუდენტები და დამსაქმებელი ჩართული არიან აკრედიტაციის პროცესში.
პასუხისმგებელი უწყება: 5.8.1. ფორმირებულია სამუშაო ჯგუფი; 5.8.2. მომზადებულია დარგობრივი მახასიათებლები; 5.8.3. განხორციელებულია საბჭოს ფორმირება.
შესრულება: 2020-2021 წლებში დამტკიცდა უმაღლესი განათლების 13 დარგობრივი მახასიათებელი, მათ შორის, 2021 წელს კლასტერული აკრედიტაციის შესაბამისად, განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით, შემუშავდა და დამტკიცდა 5 მიმართულების (ისტორია, არქეოლოგია, ფილოსოფია, ენის დაუფლება, ქართული ფილოლოგია) დარგობრივი მახასიათებელი. მუშაობას აგრძელებს 1 უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭო (ჯანდაცვა). მუშაობას აგრძელებს 2 სამუშაო ჯგუფი (ჯანდაცვისა და ლექსიკოგრაფიის მიმართულებით). 2021 წელს ჩატარდა უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების 86 სხდომა.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
***აქტივობა* 5.9: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის ორგანოს - მრჩეველთა საბჭოს შექმნა**
მოსალოდნელი შედეგი: 5.9.1. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა შეესაბამება Twinning-ის პროექტის ფარგლებში შემუშავებულ კონცეფციას.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება:

Twinning-ის პროექტის ფარგლებში შემუშავებულ კონცეფციაზე დაყრდნობით ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით 2021 წელს შეიქმნა მრჩეველთა საბჭო. მიმდინარე წლის მაისში, საბჭოს წევრებისთვის ჩატარდა სამდღიანი საინფორმაციო სემინარი Twinning-ის საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, ასევე გაიმართა ორი სამუშაო შეხვედრა.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 5.10: ეროვნული კვალიფიკაციების სისტემის ანალიზის განხორციელება
მოსალოდნელი შედეგი: 5.10.1 ეროვნული კვალიფიკაციების ანალიზის დოკუმენტი შეთანხმებულია მრჩეველთა საბჭოსთან
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა და მრჩეველთა საბჭოსთან შეთანხმდა ეროვნული კვალიფიკაციების ანალიზის დოკუმენტი. ანალიზი განთავსებულია ცენტრის ვებგვერდზე.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 5.11: კვალიფიკაციების ჩარჩოს ელექტრონული პორტალისა და კვალიფიკაციების რეესტრის შექმნა
მოსალოდნელი შედეგი: 5.11.1. ემისის მონაცემთა ბაზების სრულყოფის მიზნით ემისისთვის მიწოდებულია ინფორმაცია "მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს (EQF-LLL)" შესახებ ევროსაბჭოს 2017 წლის 22 მაისის რეკომენდაციის მე-6 დანართით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: 2020 წელს Twinning-ის პროექტის ფარგლებში შემუშავდა კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის ტექნიკური მახასიათებლების დოკუმენტი, რომელშიც ჩართული იყვნენ ემისის თანამშრომლებიც. შემუშავებული საბოლოოდ დოკუმენტის პროექტი 2020 წელს გადაეგზავნა სსიპ განათლების საინფორმაციო სისტემას. 2021 წელს გაგრძელდა კომუნიკაცია მასთან რეესტრის შექმნასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ფონდების მოძიება.
შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა
აქტივობა 5.12: თვით სერტიფიცირების /რესერტიფიცირების სამოქმედო გეგმის შემუშავება
მოსალოდნელი შედეგი: 5.12.1.სამოქმედო გეგმა მომზადებულია "მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს (EQF-LLL)" შესახებ ევროსაბჭოს 2017 წლის 22 მაისის რეკომენდაციის მე-3 დანართით განსაზღვრული რეფერენსირების 10 კრიტერიუმის შესაბამისად.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება:

მომზადდა სამოქმედო გეგმა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს (EQF-LLL)" შესახებ ევროსაბჭოს 2017 წლის 22 მაისის რეკომენდაციის მე-3 დანართით განსაზღვრული რეფერენსირების 10 კრიტერიუმის შესაბამისად. გეგმა დაიყო სამ ძირითად ნაწილად: პირველი ნაწილი ასახავს რეფერენსირების დაწყებისთვის განსახორციელებელ წინამოსამზადებელ სამუშაოებს, მეორე ნაწილში აღწერილია უშუალოდ რეფერენსირების პროცესში განსახორციელებელი აქტივობები, ხოლო მესამე ნაწილში მოცემულია რეფერენსირების პროცესის გავლის შემდგომ შესასრულებელი ვალდებულებები. თითოეულ შესასრულებელ აქტივობას თან ახლავს რეფერენსირების შესაბამისი კრიტერიუმი.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 5.13 კლასტერული აკრედიტაციის გეგმის შესაბამისად დეტალური სწავლის სფეროს ანალიზი საერთაშორისო ჭრილში
მოსალოდნელი შედეგი: 5.13.1. კლასტერული აკრედიტაციის გეგმის მიხედვით დეტალური სწავლის სფეროს ანალიზი შესრულებულია „განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის“ და „განათლებისა და ტრენინგის სფეროების დეტალური აღწერის“ დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: მომზადდა 022 ჰუმანიტარული მეცნიერებები (ენის გარეშე) და 023 (ენები) ვიწრო სფეროებში შემავალი დეტალური სფეროების ანალიზი „განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის“ და „განათლებისა და ტრენინგის სფეროების დეტალური აღწერის“ დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა: 5.14: კლასტერული აკრედიტაციის გეგმის შესაბამისად უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება
მოსალოდნელი შედეგი: 5.14.1. შემუშავებულია უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი "უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის" შესაბამისად.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, უსდ-ები
შესრულება: 2021 წელს კლასტერული აკრედიტაციის გეგმის მიხედვით, განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და "უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის" შესაბამისად, შემუშავდა და დამტკიცდა 5 მიმართულების (ისტორია, არქეოლოგია, ფილოსოფია, ენის დაუფლება, ქართული ფილოლოგია) დარგობრივი მახასიათებელი.
შესრულების სტატუსი: შესრულდა

აქტივობა 5.15: საკვანძო კომპეტენციების განმავითარებელი ზოგადი სავალდებულო მოდულების განახლებულა
მოსალოდნელი შედეგი: 5.15.1. ზოგადი მოდულები განახლებულია "მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ" ევროკავშირისა და ევროსაბჭოს 2018 წლის 22 მაისის რეკომენდაციის შესაბამისად.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: განახლდა „სამოქალაქო განათლების მოდული“ "მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ" ევროკავშირისა და ევროსაბჭოს 2018 წლის 22 მაისის რეკომენდაციის შესაბამისად. სხვა ზოგადი მოდულების განახლება ვერ განხორციელდა, რადგან პროფესიული კვალიფიკაციების ფორმირება გავიდა ცენტრის მანდატიდან, ასევე შეფერხდა პროფესიული კვალიფიკაციების ფორმირების განახლებული მეთოდოლოგიის დამტკიცება, რომელსაც უნდა დაეფარა მიდგომები ზოგად სავალდებულო მოდულებთან დაკავშირებით.
შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა
აქტივობა 5.16: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების ინიცირება
მოსალოდნელი შედეგი: 5.16.1. კლასტერული აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების პროექტი შემუშავებულია, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: 5.16.1. მომზადდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების განახლებული პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია კლასტერული აკრედიტაციის სპეციფიკა, ასევე გასაუმჯობესებელი მხარეები, რომელიც გამოვლენილი იყო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შეფასების პროცესში. განახლებული პროექტი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. J განახლებული პროექტის მიხედვით, აკრედიტაციის სტანდარტებში განხორციელდა სპეციფიკური შეფასების კრიტერიუმებისა და ინდიკატორების გაწერა. J განხორციელდა აკრედიტაციის ცალკეული სტანდარტების სტრუქტურის ცვლილება. კერძოდ, სტანდარტის რიგი კომპონენტები გაერთიანდა სხვა სტანდარტის კომპონენტებთან. J სტანდარტების სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, რიგი კომპონენტების შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები, ჩამოყალიბდა უფრო ნათლად; J წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ელექტრონული/დისტანციური სწავლების თავისებურებები, რომლის შესაბამისადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სათანადო გარემოს და დისტანციურად/ელექტრონულად

განხორციელებული პროცესების შეფასებისთვის შესაბამისი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არსებობა; კიდევ უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდა სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და მათი პროფესიული განვითარების მექანიზმები.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 5.17: სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების მიზნით სტანდარტებისა და პროცედურების ინიცირება
მოსალოდნელი შედეგი: 5.17.1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სტანდარტებისა და პროცედურების პროექტი შემუშავებულია, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: 5.17.1. სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით შემუშავდა საფეხურის ჩარჩო/სტანდარტის დოკუმენტის პროექტი, რომელმაც გაითვალისწინა სადოქტორო პროგრამების ხარისხის შეფასებისათვის მნიშნველოვანი ყველა ძირითადი ასპექტი; განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი კომპონენტების განვითარება: პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის შინაარსი, სასწავლო კომპონენტის მიზნები, დისერტაციის დაცვის პროცედურები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების კვალიფიკაციის შესაფასებლად აუცილებელი მოთხოვნები, ასევე კვლევითი კომპონენტის ხარისხის უზრუნველყოფის კომპონენტები. განახლებული პროექტი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 5.18: მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის განახლება
მოსალოდნელი შედეგი: 5.18.1. დოკუმენტი ითვალისწინებს თემატური კვლევის შედეგებს, WFME-ის საერთაშორისო ექსპერტების უკუკავშირს და მის შემუშავებაში გათვალისწინებულია უკუკავშირი სხვა დაინტერესებული მხარეებისგან.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: შეიქმნა „მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი სამუშაო ჯგუფი“, რომელიც მუშაობს მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის განახლებაზე. ასევე მუშაობას აგრძელებს ჯანდაცვის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭო.
შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა
აქტივობა 5.19: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესებში QMS სისტემის დანერგვა

მოსალოდნელი შედეგი: 5.19.1 წლის მესამე კვარტლიდან ავტორიზაციის ყველა წარმოება განხორციელებულია QMS-ის საშუალებით და სისტემა მუშაობს მნიშვნელოვანი შეფერხებების გარეშე.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

შესრულება:

QMS სისტემის პერსონალის მოდულს ცენტრი იყენებს ავტორიზაციის პროცესების წარმოების დროს. სისტემა მოითხოვს განვითარებას ცალკეულ ჭრილში რეპორტების საჭიროებისამებრ წარმოდგენისათვის, ასევე პერსონალის ბაზაში ვალიდური, მუდმივად განახლებადი მონაცემების არსებობისათვის. ამ მიმართულებით საჭიროა განხორციელდეს EMIS - თან სამუშაო შეხვედრები.

შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

აქტივობა 5.20: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო განაცხადის წარმოდგენის მიზნით ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემის შემუშავებისთვის საჭირო ტექნიკური დავალების მომზადება EMIS-თან თანამშრომლობით

მოსალოდნელი შედეგი: 5.20.1. ტექნიკური დავალება ითვალისწინებს კლასტერული აკრედიტაციის სპეციფიკას / თანამშრომლობა EMIS-თან ტექნიკური დავალების განხორციელებაზე.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

შესრულება:

არ არის წარმოდგენილი ამ ეტაპზე, რადგან ჯერ უნდა დასრულდეს კანონმდებლობის ცვლილებასთან დაკავშრებით კლასტერუი აკრედიტაციის მიმართებით და შემდგომ, მოხდება შესაბამისი ტექნიკური დავალებების გაწერა.

შესრულების სტატუსი: არ შესრულდა

აქტივობა 5.21: თემატური ანალიზის განხორციელება სამედიცინო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით

მოსალოდნელი შედეგი: 5.21.1 ანალიტიკური დოკუმენტი ითვალისწინებს თვინინგის თემატური ანალიზის დოკუმენტში გაწერილ მეთოდოლოგიას და მოიცავს რეკომენდაციის ნაწილს მედიცინის პროგრამების ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების მიზნით;

5.21.2. თემატური ანალიზის შედეგების გაზიარება მომხდარია დაინტერესებულ მხარეებთან;

5.21.3. თემატური ანალიზის შედეგები გათვალისწინებულია მედიცინის დარგობრივი სტანდარტის განახლებაზე მუშაობის პროცესში

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

შესრულება:

5.21.1 საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის „ხარისხის უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება“-ს ფარგლებში, გერმანელი და ესტონელი კოლეგების მხარდაჭერით, ცენტრმა შეიმუშავა თემატური ანალიზის მეთოდოლოგია. 2021 წლის შუა ნაწილში ცენტრმა გამოაქვეყნა პირველი თემატური ანალიზი,

რომელიც ეხება სამედიცინო განათლების ხარისხის უზრუნველყოფას. ანალიზი შერეული მეთოდოლოგიით განხორციელდა და მოიცავდა, როგორც 2019-2020 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნების კონტენტ-ანალიზს სამედიცინო პროგრამებზე, ისე ფოკუს ჯგუფის ექსპერტებთან. ამასთან ერთად დამუშავდა სხვა მნიშვნელოვანი წყაროებიც. 5.21.2. თემატური ანალიზის შედეგების გაზიარება მოხდა დაინტერესებულ მხარეებთან; ანალიზი გამოქვეყნებულია ცენტრის ვებ-გვერდზე, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. 5.21.3. აღნიშნული შედეგების გათვალისწინებით მიმდინარეობს მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის განახლება.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 5.22: შერჩეულ სფეროებში აკრედიტაციის ექსპერტთა ატესტაცია
მოსალოდნელი შედეგი: 5.22.1. არანაკლებ ორი დარგის სფეროში დასრულებულია ატესტაციის პროცესი
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: ექსპერტთა კორპუსის განვითარების მიზნით გადაიდგა შესაბამისი ნაბიჯები, კერძოდ, ჩატარდა ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროების (7 დეტალური სფერო) ექსპერტების ატესტაცია და ატესტაციის შედეგად ფორმირდა ჰუმანიტარული სფეროს ექსპერტთა კორპუსი.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 5.23: თემატური ანალიზის განხორციელება სადოქტორო პროგრამების და კვლევის კომპონენტის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით
მოსალოდნელი შედეგი: 5.23.1 ანალიტიკური დოკუმენტი ითვალისწინებს თვინინგის თემატური ანალიზის დოკუმენტში გაწერილ მეთოდოლოგიას და მოიცავს რეკომენდაციის ნაწილს სადოქტორო პროგრამების ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების მიზნით; 5.23.2 თემატური ანალიზის შედეგების გაზიარება მომხდარია დაინტერესებულ მხარეებთან; 5.23.3 თემატური ანალიზის შედეგები გათვალისწინებულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სტანდარტებსა და პროცედურებზე მუშაობის პროცესში
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება არ არის წარმოდგენილი
შესრულების სტატუსი: არ შესრულდა
სტრატეგიული ამოცანა 2: მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ეფექტიანი შესაძლებლობების შექმნა
ამოცანა 1. დისტანციური განათლების აღიარება
აქტივობა 1.1: განათლების აღიარება)

მოსალოდნელი შედეგი: 1.1.1. მომზადებულია ინიცირება, რომელიც მოიცავს ცვლილებას, როგორც საკანონმდებლო, ასევე კანონქვემდებარე აქტში.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: განისაზღვრა ერთნაირი, სტანდარტული პროცედურები და კრიტერიუმები უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურისას, მიუხედავად სწავლების ფორმისა (დისტანციურად მიღებული განათლების აღიარება). მომზადებული ინიცირება მოიცავს ცვლილებას, როგორც საკანონმდებლო, ასევე კანონქვემდებარე აქტში.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 1.2: ნამდვილობის დადასტურების პროცესში, კვალიფიკაციების გათანაბრების საკითხის ნაწილში საკანონდებლო ინიციატივის მომზადება
მოსალოდნელი შედეგი: 1.2.1. ცვლილებების ინიცირების პროექტში იდენტიფიცირებული და ასახულია ყველა შეუსაბამობა.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: მომზადდა ნამდვილობის დადასტურების პროცესში, კვალიფიკაციების გათანაბრების საკითხის ნაწილში საკანონდებლო ინიციატივა, რომელშიც იდენტიფიცირებული და ასახულია ყველა შეუსაბამობა.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 1.3: საქართველოში მიღებული განათლების (ოკუპირებული და ლიცენზირებული) აღიარების პროცედურის გამარტივება და დაჩქარებული სერვისის შეთავაზების ინიცირება
მოსალოდნელი შედეგი: 1.3.1. მომზადებული ინიცირების პროექტი მოიცავს, როგორც პროცედურულ, ასევე საფასურთან დაკავშირებულ ცვლილებებს.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: მომზადდა ინიცირება საქართველოში მიღებული განათლების (ოკუპირებული და ლიცენზირებული) აღიარების პროცედურის გამარტივების და დაჩქარებული სერვისის შეთავაზების მიზნით. მომზადებული ინიცირების პროექტი მოიცავს, როგორც პროცედურულ, ასევე საფასურთან დაკავშირებულ ცვლილებებს.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 1.4: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დიპლომის გაცემის დაჩქარებული სერვისის შეთავაზების ინიცირება
მოსალოდნელი შედეგი: 1.4.1. მომზადებული ინიცირების პროექტი მოიცავს საფასურთან დაკავშირებულ ცვლილებებს.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება:

მომზადდა ინიცირების პროექტი ცენტრის მიერ დიპლომის გაცემის დაჩქარებული სერვისის შეთავაზების მიზნით. ინიცირების პროექტი მოიცავს საფასურთან დაკავშირებულ ცვლილებებს. მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, დიპლომის გაცემა ხორციელდება სათანადო განცხადების რეგისტრაციიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ხშირ შემთხვევაში განმცხადებლები ითხოვენ განცხადების განხილვას შემჭიდროვებულ ვადებში (აღნიშნულის თაობაზე უთითებენ, ან თავად განცხადებაში, ან უფრო ხშირად ცენტრს ატყობინებენ ცხელი ხაზის მეშვეობით), რათა დროულად მოხდეს დიპლომის გაცემა და მათი დროული წარდგენა დასაქმების, ან სწავლის გაგრძელების მიზნებისათვის უფლებამოსილ დაწესებულებებში. დაინტერესებულ პირთა აღნიშნული ლეგიტიმური ინტერესის გათვალისწინებით, შესაძლებელი ხდება წარმოდგენილი პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში, სახელმწიფოსა და საზოგადოების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინტერესებისათვის ზიანის მიუყენებლად, დაჩქარებული მომსახურების შეთავაზება, ვინაიდან პროცედურული თვალსაზრისით ცენტრს არ უწევს დამატებითი მოკვლევის განხორციელება (ინფორმაციის გამოთხოვა სხვა ადმინისტრაციული ორგანოდან) და გადაწყვეტილების მიღება დიპლომის დამზადებასთან დაკავშირებით, როგორც სამართლებრივი, ისე ტექნიკური თვალსაზრისით, დამოკიდებულია მხოლოდ ცენტრზე. ყოველივე ეს თავიდან აარიდებს სამინისტროს და, მათ შორის, ცენტრს, ცხელი ხაზის დატვირთვას დაჩქარებულად მომსახურების განხორციელების მოთხოვნებთან დაკავშირებით. განმცხადებელი თავიდანვე იქნება ინფორმირებული აღნიშნული შესაძლებლობების თაობაზე. ასევე თავიდან იქნება აცილებული თანამშრომელთა მიერ წინასწარ დაგეგმილი შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის ცვლილება, რაც თავისთავად დადებითად აისახება ზოგადად განცხადებებზე დროულად რეაგირების ვადა გადაცილების საფრთხის შემცირებაზე. ცხელი ხაზის დატვირთვის შემცირება, ასევე გამოათავისუფლებს დროს სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად.
შესრულების სტატუსი: შესრულდა
აქტივობა 1.5: აპოსტილი/ლეგალიზაციის დაჩქარებული სერვისის შეთავაზების ინიცირება
მოსალოდნელი შედეგი: მომზადებული ინიცირების პროექტი მოიცავს საჭირო ცვლილებებს, როგორც საკანონმდებლო, ასევე კანონქვემდებარე აქტში
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შესრულება: აპოსტილის/ლეგალიზაციის დაჩქარებული სერვისის შეთავაზების ინიცირების მიზნით მომზადდა პროექტი, რომელიც მოიცავს საჭირო ცვლილებებს როგორც საკანონმდებლო, ასევე კანონქვემდებარე აქტში. აპოსტილი/ლეგალიზაციის სერვისი გაიცემა სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით, ცენტრმა მათთან კომუნიკაციის საფუძველზე მოამზადა შესაბამისი ცვლილებების პროექტები, განმარტებითი ბარათები.
შესრულების სტატუსი: შესრულდა

სტრატეგიული ამოცანა 3: ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა
ამოცანა 1. ხარისხიანი ინკლუზიური უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა
აქტივობა 1.1: სტუდენტთა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების სახელმწიფო სასწავლო და სასწავლო სამაგისტრო გრანტებით დაფინანსება
მოსალოდნელი შედეგი: 1.1.1. დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა: ა) მაღალმთიანი რეგიონის სკოლის კურსდამთავრებული 200-მდე სტუდენტი; ბ) ოკუპირებული ტერიტორიებიდან 170-მდე სტუდენტი; გ) არაქართულენოვანი სკოლადამთავრებული 10-მდე სტუდენტი; დ) ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა, უგზოუკვლოდ დაკარგულთა, მკვეთრად გამოხატული შშმ ვეტერანები და მათი შვილები - 40-მდე სტუდენტი; ე) რეპატრიანტის სტატუსის მქონე - 5-მდე სტუდენტი; ვ) ობოლი (უდედმამო) - 50 -მდე სტუდენტი; ზ) მრავალშვილიანი ოჯახის წევრი - 100-მდე სტუდენტი; თ) შშმ პირები - 40-მდე სტუდენტი; ი) გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლის სკოლების კურსდამთავრებული - 50 -მდე სტუდენტი; კ) სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი - 16 სტუდენტი; ლ) სოციალურად დაუცველები (70000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით -500-მდე სტუდენტი; მ) აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე 5 სტუდენტი.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: 2020 და 2021 წელს სულ დაფინანსდა 3065 სტუდენტი აქედან: 2020 წელს სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა 1436 სტუდენტი, 2021 წელს- 1420 სტუდენტი ა) მაღალმთიანი რეგიონის სკოლადამთავრებული - 226-226 სტუდენტი; ბ) ოკუპირებული ტერიტორიებიდან -171-157 სტუდენტი; გ) არაქართულენოვანი სკოლადამთავრებული - 7-3 სტუდენტი; დ) ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა, უგზოუკვლოდ დაკარგულთა, მკვეთრად გამოხატული შშმ ვეტერანები და მათი შვილები - 6-44 სტუდენტი; ე) რეპატრიანტის სტატუსის მქონე 0 სტუდენტი; ვ) ობოლი (უდედმამო) -23-37 სტუდენტი; ზ) მრავალშვილიანი ოჯახის წევრი - 259 -257 სტუდენტი; თ) შშმ პირები - 53-52 სტუდენტი; ი) გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლის სკოლადამთავრებული - 50-50 სტუდენტი; კ) სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი - 21-30 სტუდენტი; ლ) სოციალურად დაუცველები (70000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით) -620 -564 სტუდენტი; მ) აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე 0 სტუდენტი. სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით 2020-2021 სასწავლო წელს დაფინანსდა 103 სტუდენტი; 2021-2022 სასწავლო წელს 106 სტუდენტი

ა) ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა, უგზოუკვლოდ დაკარგულთა, შვილები - 4 -4 სტუდენტი;
ბ) შშმ პირები - 12 -13 სტუდენტი;
გ) სოციალურად დაუცველები (70000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით) - 87 -89 სტუდენტი.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

აქტივობა 1.2: გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები დაზარალებული სტუდენტების დაფინანსება

მოსალოდნელი შედეგი: 1.2.1. დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა. დაფინანსდება 2000-ზე მეტი სტუდენტი

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:

2020 წელს 2019-2020 სასწავლო წლის სწავლის საფასურით პირველ სემესტრში დაფინანსდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები 2386 სტუდენტი, მეორე სემესტრში 2251 სტუდენტი;

2021 წელს 2020-2021 სასწავლო წლის სწავლის საფასურით პირველ სემესტრში დაფინანსდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები 1990 სტუდენტი, მეორე სემესტრში 2198 სტუდენტი.

შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%

აქტივობა 1.3: სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმატებული სტუდენტების სტიპენდიებით უზრუნველყოფა

მოსალოდნელი შედეგი: 1.3.1. სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნება 2020 წელს 2701-ზე მეტი სტუდენტი, 2021 წელს 3000-ზე მეტი სტუდენტი

1.3.2. დიმიტრი გულიას და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნება 6 სტუდენტი

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:

- 2020 წლის იანვრის და თებერვლის თვეებში სტიპენდიებით უზრუნველყოფილია 2987 სტუდენტი, 2020 წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებში სტიპენდიით უზრუნველყოფილია 2800 სტუდენტი. 2020 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის თვეებში - 3243 სტუდენტი;
- 2021 წლის იანვრის და თებერვლის თვეებში სტიპენდიით უზრუნველყოფილია 3243 სტუდენტი. 2021 წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებში სტიპენდიით უზრუნველყოფილია 3025 სტუდენტი. 2021 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში სტიპენდიით უზრუნველყოფილია 3029 სტუდენტი.
- დიმიტრი გულიას და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიით 2020 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებში უზრუნველყოფილია 4 სტუდენტი, ხოლო ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში - 6 სტუდენტი;

- დიმიტრი გულიას და კოსტა ხეთაგურავის სახელობის სტიპენდიით 2021 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებში უზრუნველყოფილია 6 სტუდენტი, ხოლო ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში - 5 სტუდენტი.
შესრულების სტატუსი: განხორციელდა
აქტივობა 1.4: მსჯავრდებულ პირთა უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობა
მოსალოდნელი შედეგი: 1.4.1. მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა, რომლებმაც ერთიანი ეროვნული გამოცდებით მოიპოვეს სწავლის უფლება უსდ-ებში. 1.4.2. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელებისთვის
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; სსიპ -განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
შესრულება: 2021 წლის სტატისტიკური მონაცემები შემდეგია: აბიტურიენტი: 15 სტუდენტთა საგრანტო კონკურსი: 5 საერთო სამაგისტრო გამოცდა: 4
შესრულების სტატუსი: მეტწილად განხორციელდა
აქტივობა 1.5: იმ პირთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსება, რომლებიც უმაღლეს განათლებას იღებდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე და სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში
მოსალოდნელი შედეგი: 1.5.1. დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: 2020 წელს სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა 6 სტუდენტი
შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%
ამოცანა 2. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისა და თანამემამულის სტატუსის მქონე პირების უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა
აქტივობა 2.1: ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისა და თანამემამულის სტატუსის მქონე პირების უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება

მოსალოდნელი შედეგი: 2.1.1. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს მიენიჭებათ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის უფლება და სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობით დაფინანსდება. 2.1.2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხვის უფლება მიენიჭა პირებს, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მიენიჭება დაფინანსება სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის ოდენობით . 2.1.3. დაფინანსება გამოეყოფა თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შესრულება: 2020 წელს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარის მომზადების ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხა და დაფინანსების უფლება მიენიჭა 391 ბაკალავრს; მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხა და დაფინანსების უფლება მიენიჭა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ 27 მაგისტრანტობის კანდიდატს (ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოცემული პროგრამის 2021 წლისათვის დამტკიცებასთან დაკავშირებული პროცედურები). 2020 წელს 50 უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომლებიც 2020 წელს დარეგისტრირდნენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, მაგრამ ახალი კორონა ვირუსის (Covid 19) პანდემიის პირობებში დაწესებული შეზღუდვების გამო ვერ შეძლეს გამოცდებში მონაწილეობა, მიენიჭა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვისა და დაფინანსების უფლება. 2021 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბაკალავრიატში ჩაირიცხა 269 პირი, მათ შორის, დაფინანსდა 260.
შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%

<u>**მეცნიერება, ტექნოლოგია და ინოვაცია**</u>
სტრატეგიული ამოცანა: 1 მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში გამორჩეული ხარისხის მისაღწევად საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) ეკო-სისტემის განვითარება.

ამოცანა 1: ინტელექტუალური საკუთრების უფლებების, ტექნოლოგიის ტრანსფერის, და მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სექტორში საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვის გასაძლიერებლად საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სისტემის მართვისთვის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა
აქტივობა 1.1: მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების ინიცირება.
მოსალოდნელი შედეგი: ცვლილება STI-ს მიმართულებით ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებით განხილულია შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან (სამინისტროები, სსიპ-ები და კვლევითი უნივერსიტეტები) და წარდგენილია პარლამენტში დასამტკიცებლად.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება: აღნიშნულ კანონში 2020 წლის ივლისში განხორციელდა ცვლილება: 1. 5[1] მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს. 2. 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. სახელმწიფო უწყებები ქმნიან მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების დარგობრივ ფონდებს, ხოლო ამ ფონდების დებულებებს ამტკიცებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო.“. ამის შემდეგ 2021 წლის მარტში კანონში შევიდა მორიგი ცვლილება: 1. 10[1] მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. დაწესებულების საქმიანობის წესი განისაზღვრება დაწესებულების წესდებით, რომელსაც ამტკიცებს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო. თუ დაწესებულების სახელმწიფო კონტროლს არ ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დაწესებულების წესდება მტკიცდება მასთან შეთანხმებით.“. 2. 15[1] მუხლის პირველი–მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ხარჯზე სამეცნიერო კვლევების საგრანტო სისტემით, კონკურსის წესით დასაფინანსებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანხმობით აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს და სხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს – სამეცნიერო ფონდებს (შემდგომ – სამეცნიერო ფონდი). 2. სამეცნიერო ფონდის საქმიანობის წესი და სტრუქტურა განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესდებით. სამეცნიერო ფონდის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით. 3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გაწეული მომსახურებისათვის შესაძლებელია დაწესდეს მომსახურების საფასური, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.“.

3. 23-ე მუხლის „დ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დ) მეცნიერების, სამეცნიერო-ტექნიკური კადრების, სტუდენტების გაცვლის გზით სპეციალისტების ერთობლივი მომზადებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საბიუჯეტო ასიგნებებში.“

შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

აქტივობა 1.2: უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების ინიცირება.

მოსალოდნელი შედეგი: ცვლილება უმაღლეს განათლებაში ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით განხილულია შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან (სამინისტროები, სსიპ-ები და კვლევითი უნივერსიტეტები) და წარდგენილია პარლამენტში დასამტკიცებლად.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

შესრულება:

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში 2020 და 2021 წლებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) 88-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საქართველოს მთავრობა 2005-2006 სასწავლო წლიდან 2021-2022 სასწავლო წლის ჩათვლით ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული და ნაწილობრივი ოდენობების მაქსიმალურ, საშუალო და მინიმალურ ოდენობებს. საქართველოს მოქალაქეებისათვის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა 2005-2006 სასწავლო წლიდან 2021-2022 სასწავლო წლის ჩათვლით უზრუნველყონ საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობების შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის საფასურის განსაზღვრა. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ამ მუხლით გათვალისწინებულისგან განსხვავებული საფასურის განსაზღვრა შესაძლებელია რეგენტთა საბჭოსთან შეთანხმებით.“.

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) 32-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 32. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებობს აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები, აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა თანამდებობები. 2. უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.“.

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. 56[4] მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში:
ა) დაწესებულება ვერ მოიპოვებს ან დაკარგავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღიდან;
ბ) საგანმანათლებლო დაწესებულება „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 2 2 პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში აგრძელებს საგანმანათლებლო საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც მას ეზღუდება სტუდენტების/აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/დოქტორანტობის კანდიდატების მიღების უფლება;
გ) სტუდენტს უფლება აქვს, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე11 მუხლის 2 2 პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადგენილი ვადით სწავლა გააგრძელოს იმავე საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან გადავიდეს სხვა, შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
დ) სტუდენტს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 2 2 პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადგენილი ვადის (ასეთი ვადის არსებობის შემთხვევაში) გასვლიდან, ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ ან ავტორიზაციის გაუქმების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში უჩერდება სტუდენტის სტატუსი და ის უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით;
ე) აბიტურიენტი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული რანჟირების დოკუმენტის მიხედვით მოიპოვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლება, უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით;
ვ) მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში მოხვდა, უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.“. 2. 66-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის ან აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში:
ა) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ეზღუდება მხოლოდ აკრედიტაციის საფუძველზე განსახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე

სტუდენტების/აბიტურიენტების/ მაგისტრანტობის კანდიდატების/დოქტორანტობის კანდიდატების მიღების უფლება;
ბ) სტუდენტი, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებით სწავლობს, უფლებამოსილია „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3 5 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭოს მიერ დადგენილი ვადით (ასეთი ვადის არსებობის შემთხვევაში) სწავლა გააგრძელოს იმავე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე და მიიღოს სახელმწიფო დაფინანსება ან ისარგებლოს მობილობის უფლებით, გადავიდეს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო http://www.matsne.gov.ge 43002000005001019868 პროგრამაზე და მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების დარჩენილი ოდენობა გადაიტანოს ამ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე;
გ) სტუდენტს, რომელიც მხოლოდ აკრედიტაციის საფუძველზე განსახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობს, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3 5 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭოს მიერ დადგენილი ვადის (ასეთი ვადის არსებობის შემთხვევაში) გასვლიდან, აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ ან აკრედიტაციის გაუქმების შესახებ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში უჩერდება სტუდენტის სტატუსი და ის უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით;
დ) აბიტურიენტი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული რანჟირების დოკუმენტის მიხედვით მოიპოვა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება, უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით;
ე) მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში მოხვდა, უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.“.

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ2 “ ქვეპუნქტი: „პ2) დისტანციური სწავლება – საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების ნებისმიერ საფეხურზე უმაღლესი განათლების მისაღებად ორგანიზებული, დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართული, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილას სტუდენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის ერთდროულად ყოფნას. დისტანციური სწავლების განსახორციელებლად აუცილებელია კურიკულუმის სათანადოდ დაგეგმვა, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვის შესაბამისი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება;“.
2. მე-7 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ18“ ქვეპუნქტი: „პ18) ეპიდემიის/პანდემიის დროს იღებს გადაწყვეტილებებს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის შეჩერების, განახლებისა და დისტანციურად წარმართვის თაობაზე;“.

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 47^7 მუხლი:

„მუხლი 477 . დისტანციური სწავლება

1. დისტანციური სწავლება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართვას.

2. დისტანციური სწავლება ხორციელდება სინქრონული ან ასინქრონული კომუნიკაციის ფორმით. სინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება, ხოლო ასინქრონული კომუნიკაცია – ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს არ ხორციელდება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისტანციური სწავლების განხორციელების მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების აპლიკაციის/პლატფორმის შერჩევასა და გამართულად გამოყენებას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის ინტერაქტიულად წარმართვა.

4. დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიმუშავებს შერჩეული დისტანციური სწავლების აპლიკაციის/პლატფორმის გამოყენების ინსტრუქციას/ვიდეოგზამკვლევს და უზრუნველყოფს სტუდენტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალისთვის მის გაცნობას.

5. იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტების ჩამონათვალს, რომელთა ფარგლებშიც დისტანციური სწავლება იქნება დაშვებული, ამტკიცებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარდგინებით.

6. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად http://www.matsne.gov.ge 43002000005001019872 წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესსა და პირობებს ამტკიცებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი.

7. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დისტანციური სწავლების დაშვებისა და დისტანციური სწავლების განხორციელების პერიოდის შესახებ გადაწყვეტილებას, აგრეთვე იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თაობაზე გადაწყვეტილებას, რომელმაც უმაღლესი განათლების მისაწოდებლად დისტანციური სწავლება უნდა გამოიყენოს, იღებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.“.

მუხლი 2. ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა უზრუნველყოს ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 47^7 მუხლით განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემა და სათანადო სამართლებრივი აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) დაემატოს შემდეგი შინაარსის 8916 მუხლი: „მუხლი 8916 . 2020 წელს სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის

განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის საფუძველი 1. აბიტურიენტი, რომელსაც სურს 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხოს სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, გადის შესაბამის კონკურსს სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით სახელოვნებო/შემოქმედებითი ან სასპორტო უმაღლესი განათლების მისაღებად. 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ აბიტურიენტზე არ ვრცელდება ამ კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედება.“. მუხლი 2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 1 თვისა უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება: 1. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ) ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სწავლის პირობების შესაქმნელად;“.
2. 43-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის ქმნის შესაბამის პირობებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, რაც განისაზღვრება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით.“.

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. მუნიციპალიტეტს ეკრძალება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნება, წილის (აქციის) ფლობა ან წევრობა.“.

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო
მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „პ16
“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ16) ამტკიცებს საქართველოს მოქალაქეებისა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში
მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს
მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 მუხლით
გათვალისწინებული პირების, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული
ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების
შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ
იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, აგრეთვე „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში
მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს
მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 მუხლით
გათვალისწინებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების, რომლებსაც
ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და საგანმანათლებლო პროგრამების
არარსებობის გამო არ ჰქონდათ სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა და სრული
ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს საქართველოში (გარდა
ოკუპირებული ტერიტორიისა) მოქმედ სკოლაში, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო
დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვისა და
დაფინანსების წესსა და პირობებს;“.

მუხლი 2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან
არაუგვიანეს 2 თვისა უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ამ კანონთან
შესაბამისობა.

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. 88-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 12 პუნქტი: „12 . კანონით ლიცენზირებულად ჩათვლილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ, ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის მიუხედავად.“.

2. 89-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 86 პუნქტი: „86 . 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად გაცემული უმაღლესი განათლების დიპლომი გათანაბრებულია მაგისტრის დიპლომთან.“.

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) მე-2 მუხლის „ჰ14“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ჰ14) სტუდენტი – პირი, რომელიც ამ კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად, აგრეთვე პირი, რომელიც ჩარიცხულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ასრულებს სასწავლო კომპონენტის ან/და კვლევითი კომპონენტის ნაწილს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში/საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – უნივერსიტეტთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში/საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში, და საქართველოს მოქალაქეობის მქონე ან პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი პირი, რომელიც ჩარიცხულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;“.

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) 88-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„8. საქართველოს მთავრობა 2005-2006 სასწავლო წლიდან 2022-2023 სასწავლო წლის ჩათვლით ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული და ნაწილობრივი ოდენობების მაქსიმალურ, საშუალო და მინიმალურ ოდენობებს. საქართველოს მოქალაქეებისათვის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა 2005-2006 სასწავლო წლიდან 2022-2023 სასწავლო წლის ჩათვლით უზრუნველყონ საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობების შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის საფასურის განსაზღვრა. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების მიერ განხორციელებული ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ამ მუხლით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული საფასურების განსაზღვრა შესაძლებელია საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.“. მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) 52-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 31 პუნქტი: „3[1] . აბიტურიენტების ხელშეწყობის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში სწავლა დასაშვებია საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისთვის, რომლებიც ოლიმპიურ/პარაოლიმპიურ თამაშებში, აგრეთვე საჭადრაკო ოლიმპიადებში ოქროს მედალოსნები/ვერცხლის მედალოსნები/ბრინჯაოს მედალოსნები გახდებიან.“. მუხლი 2. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მიღება. მუხლი 3. ამ კანონის მოქმედება გავრცელდეს აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც ოქროს მედალოსნები/ვერცხლის მედალოსნები/ბრინჯაოს მედალოსნები ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიურ/პარაოლიმპიურ თამაშებში გახდნენ.
შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა
აქტივობა 1.3: ინოვაციების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების ინიცირება.
მოსალოდნელი შედეგი: ცვლილება IPR და ტექნოლოგიების ტრანსფერის (უნივერსიტეტი-ინდუსტრიის თანამშრომლობა) ხელშეწყობასთან დაკავშირებით განხილულია შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან (სამინისტროები, სსიპ-ები და კვლევითი უნივერსიტეტები) და წარდგენილია პარლამენტში დასამტკიცებლად.
პასუხიმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება: საანგარიშო პერიოდში კანონში არანაირი სახის ცვლილება არ შესულა
შესრულების სტატუსი: არ განხორციელებულა
აქტივობა 1.4: გრანტების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების ინიცირება.
მოსალოდნელი შედეგი: ცვლილება STI-ს მიმართულებით, უმაღლეს განათლებაში, კვლევისა და განვითარებისათვის სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტისა და ინდუსტრიის თანამშრომლობის ხელშეწყობასთან დაკავშირებით განხილულია შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან (სამინისტროები, სსიპ-ები და კვლევითი უნივერსიტეტები) და წარდგენილია პარლამენტში დასამტკიცებლად.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

შესრულება:

2020 წლის ივლისში აღნიშნულ კანონში განხორციელდა შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.07.96, გვ. 11) მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ან ავტონომიური რესპუბლიკის ორგანო ან მუნიციპალიტეტი;“.

შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ განხორციელდა

ამოცანა 2: საქართველოს კვლევით უნივერსიტეტებში, მათთან ინტეგრირებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და დამოუკიდებელ კვლევით ცენტრებში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) ინფრასტრუქტურისა და კვლევითი შესაძლებლობების მოდერნიზება და განახლება.

აქტივობა 2.1: სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტების საბაზო დაფინანსება

მოსალოდნელი შედეგი: 2.1.1. მიზნობრივი პროგრამების განხორციელების გზით დაფინანსდა 42 უსდ–ების სტრუქტურული ერთეულის ფორმით და 4 საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებული სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი (46 სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი).

პასუხიმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულება:

2.1.1. მეცნიერების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2021 წელს პირველად ჩატარდა:

1) სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსი, რომლის ფარგლებში დაფინანსდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებული 39 სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის (სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი) 44 პროექტი, რომლის ჯამურმა ბიუჯეტმა შეადგინა 2,999,730.97 ლარი;

2) „ღია მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებში დაფინანსდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებული 49 სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი (სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი). პროგრამის საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 1,396,500.00 ლარი.

შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%

აქტივობა 2.2: საქართველოს ინოვაციური ეროვნული ეკოსისტემის განვითარების საქართველოსა და განვითარების - GENIE პროექტის ფარგლებში "გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის" განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგი: 2.2.1.დაფინანსებულია 36-მდე პროექტი;

2.2.2. მეცნიერის კვლევითი და ტექნოლოგიების ტრანსფერის უნარებში გადამზადებულია მინიმუმ 36 ახალგაზრდა

პასუხიმგებელი უწყება: სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

შესრულება:

გამოცდილი მეცნიერებისა და ინდუსტრიის წარმომადგენელთა კოლაბორაციით განხორციელებული გამოყენებითი კვლევითი პროექტების ფარგლებში ჩართულმა 162 ახალგაზრდა მეცნიერმა (49 პოსტდოქტორი, 58 დოქტორანტი, 34 მაგისტრი, 21 მაგისტრანტი) გაიუმჯობესა კვლევითი და ტექნოლოგიური ტრანსფერის უნარები

შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%

ამოცანა 3: კარიერის განვითარების მექანიზმების ოპტიმიზაცია მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სექტორში საერთაშორისოდ კონკურენტუნარიანი ადამიანური რესურსის განვითარების მიზნით.

აქტივობა 3.1: სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემა კონკურსის წესით და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა

მოსალოდნელი შედეგი: 3.1.1. განხორციელდა 20-მდე სახელმწიფო საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება;

3.1.2. განვითარებულია არსებული სახელმწიფო საგრანტო კონკურსები;

3.1.3. შემუშავებულია/შექმნილია საგრანტო დაფინანსების ახალი სქემები;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

შესრულება:

3.1.1. განხორციელდა 16 სახელმწიფო საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება და „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში გამოაცხადა 2 ქვეპროგრამა;

- მე-2 ქვეპროგრამა - სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსი
- მე-3 ქვეპროგრამა - „ღია მეცნიერების“ განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

3.1.2. დაიხვეწა და განახლდა ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2021 წლის კონკურსის პირობები, კერძოდ კი დაინერგა ევროპული კვლევების საბჭოს ფუნდამენტური კვლევების კლასიფიკატორი, პროექტების შეფასებისა და საუკეთესოთა გამოვლენის პროცედურების თანამდროვე ევროპული მიდგომები, გაუმჯობესდა ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობით პროექტების ბიუჯეტი; დაიხვეწა საგრანტო კონკურსებში მონაწილე პროექტების შეფასებისა და გამარჯვებულთა გამოვლების პროცედურები;

3.1.3. შემუშავებულია ახალი დებულებები და შექმნილია ახალი საგრანტო დაფინანსების სქემები, მათ შორის: გადამუშავდა გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის დებულება, შეიქმნა 3 ახალი დაფინანსების სქემა - საგრანტო კონკურსის დებულება. ოთხივე ამ კონკურსის გამოცხადება იგეგმება 2022 წელს.

შესრულების სტატუსი: 80% - მეტწილად შესრულებული (განხორციელებულად ჩაითვლება, როდესაც დებულების პროექტები დამტკიცდება და გამოქვეყნდება საკანონმდებლო მაცნეში)

აქტივობა 3.2: საქართველოში გამორჩეული ხარისხის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა
მოსალოდნელი შედეგი: 3.2.1. ფუნდამენტური კვლევებისათვის (FR) დაფინანსდა არანაკლებ 70 პროექტი; 3.2.2. საერთაშორისო ჩარჩო პროგრამებში მონაწილეობის გასაძლიერებლად - დაფინანსდა არანაკლებ 4 პროექტი.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება: 3.2.1. 2021 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსზე დარეგისტრირებული პროექტებიდან შეფასების ეტაპზე გადასული 513 პროექტის შეფასება განხორციელდა ევროპის სამეცნიერო ფონდის მიერ (European Science Foundation – Science Connect, ESF-SC). გამარჯვებული პროექტების გამოვლენა მოხდება 2022 წლის იანვარში. გაორმაგებულია საგრანტო კონკურსის ბიუჯეტი 8 მლნ ლარამდე, რაც არის წინაპირობა კონკურსის წარმატების ინდექსი გაიზარდოს 24%-მდე (2019 წლის კონკურსის წარმატების ინდექსი იყო 13%). კონკურსის შედეგები ცნობილი გახდება 2022 წლის იანვრის ბოლოს.
შესრულების სტატუსი: 90% მეტწილად შესრულებული (განხორციელებულად ჩაითვლება, როდესაც კონკურსში გამარჯვებულებთან გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულება და გაიცემა საგრანტო დაფინანსება, რაც დაგეგმილია 2022 წლის I კვარტალში)
აქტივობა 3.3: ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კარიერის განვითარებისა და კვლევით უნივერსიტეტებში ინტეგრირების ხელშეწყობა
მოსალოდნელი შედეგი: 3.3.1. დაფინანსდა მინიმუმ ერთი ახალგაზრდა მეცნიერის, რომელსაც საზღვარგარეთ აქვს განათლება მიღებული და თანამშრომლობს საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან, საქართველოში კვლევით პროექტში მონაწილეობა. 3.3.2. იულიხის კვლევით ცენტრში კვლევითი სტაჟირებისათვის დაფინანსდება არანაკლებ 2 პროექტი.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება: 3.3.1. SMART|EDM ლაბორატორიის პროექტის სახით უზრუნველყოფილია ერთი ახალგაზრდა მეცნიერის, რომელსაც საზღვარგარეთ აქვს განათლება მიღებული და თანამშრომლობს საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან, საქართველოში კვლევით პროექტში მონაწილეობა. 3.3.2. იულიხის კვლევით ცენტრში კვლევითი სტაჟირებისათვის დაფინანსდა 1 პროექტი (მაგისტრანტი).
შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%
ამოცანა 4: კვლევითი და საგანმანათლებლო პროგრამების ინტეგრირების ხელშეწყობა კვლევითი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამებში კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსის აქტიური გამოყენებით.
აქტივობა 4.1: ეროვნული სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების განვითარებისა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით ერთობლივი სადოქტორო პროგრამების განვითარების ხელშეწყობა

მოსალოდნელი შედეგი: 4.1.1. დაფინანსდა საგრანტო კონკურსის წესით შერჩეული მიმდინარე საუკეთესო 8 ეროვნული სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამა და 4 ქართულ-გერმანული სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამა (PhD)
პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება: გრძელდება 2016-2017 წლების სადოქტორო პროგრამების კონკურსში გამარჯვებული პროექტების ფინანსური მხარდაჭერა და განხორციელების მონიტორინგი.
შესრულების სტატუსი: 99% მეტწილად შესრულებული (განხორციელებულად ჩაითვლება დაფინანსებული პროექტების დახურვის მომენტში)
აქტივობა 4.2: საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი კვლევითი სტაჟირების დაფინანსება (DAAD – რუსთაველის ფონდის სტიპენდიები დოქტორანტურის სტუდენტებისა და პოსტ დოქტორანტებისათვის).
მოსალოდნელი შედეგი: 4.2.1. დაფინანსდა 25-მდე დოქტორანტურის სტუდენტისა და პოსტდოქტორანტის კვლევითი სტაჟირება გერმანიის კვლევით უნივერსიტეტებში DAAD - რუსთაველის ფონდის ერთობლივი სასტიპენდიო პროგრამით.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება: დაფინანსდა 7 დოქტორანტურის სტუდენტისა და 15 პოსტდოქტორანტის კვლევითი სტაჟირება გერმანიის კვლევით უნივერსიტეტებში DAAD - რუსთაველის ფონდის ერთობლივი სასტიპენდიო პროგრამით.
შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%
აქტივობა 4.3: ახალგაზრდა მეცნიერთა დაფინანსება (კვლევითი გრანტები პოსტ დოქტორანტებისათვის)
მოსალოდნელი შედეგი: 4.3.1. დაფინანსდა პოსტდოქტორანტების 30-მდე სამეცნიერო პროექტი საქართველოს კვლევით უნივერსიტეტებსა და ცენტრებში ევროსტატის კლასიფიკატორით განსაზღვრული ყველა სამეცნიერო მიმართულებით.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება: 4.3.1. 2021 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის ფარგლებში ევროსტატის კლასიფიკატორით განსაზღვრული ყველა სამეცნიერო მიმართულებით დაფინანსდა 54 პოსტდოქტორი 121 მონაწილიდან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიხეილ ჩხენკელის ინიციატივით, მნიშვნელოვნად გაიზარდა 2021 წლის კონკურსის ბიუჯეტი 772 642 ლარამდე და წარმატების ინდექსი გახდა 44.6% (54/121), ხოლო 2019 წლის წარმატების ინდექსი იყო 33.3%. ამასთანავე, 2021 წელს ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტის მოსაპოვებლად გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტიდან

წარდგენილი იყო ორი პროექტი, რომლებიც ტექნიკური ექსპერტიზის შემდეგ გამოეთიშა კონკურსს.
შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%
აქტივობა 4.4: დოქტორანტურის სტუდენტების დაფინანსება (კვლევითი გრანტები დოქტორანტურის სტუდენტებისთვის)
მოსალოდნელი შედეგი: 4.3.1. დაფინანსდა პოსტდოქტორანტების 30-მდე სამეცნიერო პროექტი საქართველოს კვლევით უნივერსიტეტებსა და ცენტრებში ევროსტატის კლასიფიკატორით განსაზღვრული ყველა სამეცნიერო მიმართულებით.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება: 4.4.1. 2021 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის ფარგლებში, ევროსტატის კლასიფიკატორით განსაზღვრული ყველა სამეცნიერო მიმართულებით დაფინანსდა 86 დოქტორანტი კონკურსის 203. მნიშვნელოვნად გაიზარდა 2021 წლის კონკურსის ბიუჯეტი 850 000 ლარამდე და წარმატების ინდექსი გახდა 42.4% (86/203), ხოლო 2019 წლის წარმატების ინდექსი იყო 28%. სსიპ - გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მიხედვით, დოქტორანტურის სტუდენტების კვლევითი გრანტების ფარგლებში, დაფინანსდა 2 პროექტი: PHDF-1-590 2021-2022 B.fragilis მიმართ აქტიური ბაქტერიოფაგის იმუნოგენობის და ანტიბაქტერიული თვისებების შესწავლა უჯრედულ კულტურებზე (სტუდენტი ნატა ბაკურაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). PHDF-19-8446 2020-2022 Pseudomonas aeruginosa სპეციფიკური ბაქტერიოფაგების მოლეკულურ-ბიოლოგიური დახასიათება და მათ მიმართ განვითარებული იმუნური პასუხის კვლევა ადამიანის ეპითელური უჯრედების in vitro მოდელის გამოყენებით (სტუდენტი ნინი გრძელიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი).
შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%
აქტივობა 4.5: მაგისტრატურის სტუდენტების დაფინანსება (სასწავლო-კვლევითი სამეცნიერო გრანტები მაგისტრატურის სტუდენტებისთვის)
მოსალოდნელი შედეგი: 4.5.1. დაფინანსდა მაგისტრატურის კვლევებისათვის 60-მდე სამეცნიერო პროექტი, საქართველოს კვლევით უნივერსიტეტებსა და ცენტრებში ევროსტატის კლასიფიკატორით განსაზღვრული ყველა სამეცნიერო მიმართულებით.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება:

4.5.1. 2021 წლის მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსის ფარგლებში ევროსტატის კლასიფიკატორით განსაზღვრული ყველა სამეცნიერო მიმართულებით დაფინანსდა 38 მაგისტრანტი კონკურსის 47 მონაწილიდან. გაიზარდა 2021 წლის კონკურსის ბიუჯეტი 211 466 ლარამდე და წარმატების ინდექსი გახდა 80.85% (38/47), ხოლო 2018 წლის წარმატების ინდექსი იყო 23.3%. შედეგები გამოქვეყნდება 2022 წლის 25 იანვარს და თებერვლის ბოლომდე გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულებები და გაიცემა საგრანტო დაფინანსება.
შესრულების სტატუსი: 95% მეტწილად შესრულებული (განხორციელებულად ჩაითვლება, როდესაც კონკურსში გამარჯვებულებთან გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულება და გაიცემა საგრანტო დაფინანსება)
ამოცანა 5 სტრატეგიული პრიორიტეტული დარგების და შესაბამისი დაფინანსების ხელშეწყობა მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) მიმართულებით, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის მდგრად განვითარებას
აქტივობა 5.1: მეცნიერების, განვითარებისა და ინოვაციების სისტემით დაინტერესებულ პირებს შორის დიალოგის დაწყება, მათ შორის, სამთავრობო, აკადემიური, სახელმწიფო და კერძო სექტორების ჩართულობით.
მოსალოდნელი შედეგი: 5.1.1. ჩატარებულია 1 საერთაშორისო ფორუმი, 10-მდე მრგვალი მაგიდა და სამუშაო შეხვედრა.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება: 5.1.1. საგრანტო დაფინანსებისა და კონკურსის პირობების გაუმჯობესების, სამეცნიერო და კერძო სექტორის დაახლოების, მეცნიერების პოპულარიზაციის თემატიკაზე ჩატარებული 50-ღონისძიება (ფორუმი, მრგვალი მაგიდა და სამუშაო შეხვედრები)
შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%
აქტივობა 5.2: მეცნიერების სფეროში დარგობრივი დიალოგის, მეცნიერების პოლიტიკის მოდერნიზაციისა და ქვეყანაში კვლევითი სისტემის რეფორმირების ხელშეწყობის მიზნით ევროკავშირის Horizon 2020 Policy Support Facility (H2020 PSF) მექანიზმის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების განხორციელების მიზნით სამოქმედო გეგმის შემუშავება.
მოსალოდნელი შედეგი: 5.2.1. H2020 PSF მექანიზმის რეკომენდაციების შესაბამისად შემუშავებულია დეტალური სამოქმედო გეგმა; 5.2.2. სამოქმედო გეგმამ ვალიდაცია გაიარა ევროკომისიის წარმომადგენლების მიერ.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ -შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება: Policy Support Facility მექანიზმის ფარგლებში რეკომენდაციების შესრულების საკითხი წარმოდგენილია ახალ 2022-2032 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სტრატეგიასა და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმაში.
შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

ამოცანა 6. ქართული კულტურისა და ეროვნული იდენტობის დაცვასა და პოპულარიზაციაზე ორიენტირებული მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) პროგრამებისა და დაფინანსების სქემების შემუშავება და განხორციელება.
აქტივობა 6.1: საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსების გამოცხადება
მოსალოდნელი შედეგი: 6.1.1. საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებულია მინიმუმ 1 სამეცნიერო კვლევითი პროექტი, 1 საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება; 6.1.2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა მინიმუმ 3 სამეცნიერო კვლევითი პროექტი, 2 საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება. 6.1.3. კავკასიოლოგიის კვლევებისათვის საგრანტო კონკურსის წესით დაფინანსდა მინიმუმ 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი, 1 საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება: 6.1.1. საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებულია 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი; 6.1.2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 4 სამეცნიერო კვლევითი პროექტი, 2 საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება. 6.1.3. კავკასიოლოგიის კვლევებისათვის საგრანტო კონკურსის წესით დაფინანსდა მინიმუმ 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი. 6.1.4. სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის კონკურსის ფარგლებში, დაფინანსდა 5 კვლევითი პროექტი.
შესრულების სტატუსი: შესრულდა 100% დაგეგმილი 3 კონკურსის გარდა, ჩატარდა კიდევ ერთი კონკურსი - სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის

სტრატეგიული ამოცანა 2: ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) როლის, სტატუსისა და ღირებულების გაძლიერება და მისი, როგორც ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, ეროვნული პრიორიტეტის პოზიციონირება.
ამოცანა 1: მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI)-ს პოპულარიზაცია ფორმალური და არაფორმალური განათლების ყოველ საფეხურზე.
აქტივობა: 1.1. მეცნიერების ფესტივალის პროგრამის განვითარება
მოსალოდნელი შედეგი: 1.1.1. ცნობილი ქართველი მეცნიერების მონაწილეობით, მეცნიერების ყოველწლიური ფესტივალის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო ღონისძიებების და სემინარების, ვორქშოპების და ამ ღონისძიებებში მონაწილე მუნიციპალიტეტების/მონაწილეების რაოდენობა
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება: მეცნიერების ფესტივალის ფარგლებში განხორციელდა სამი ტიპის აქტივობა: 1). სემინარი Green Deal perspectives/sustainable development" თვინინგის ექსპერტების ჩართულობით 2). 2021წლის შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემია მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის" კონკურსში გამარჯვებულ ახალგაზრდა მეცნიერთა დაჯილდოების ცერემონიალი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში) 3). მეცნიერების კალენდარი 2021 (ვიდეო კლიპები 10 გამოჩენილ მეცნიერთან) პროექტის „კაპიტანი: მეცნიერება კაპიტანია" ფარგლებში გაწეული აქტივობა: უნდა აღინიშნოს, ასევე სსიპ - გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მიერ ქ. თბილისის 75-ე საჯარო სკოლის მე-11კლასის მოსწავლეებისათვის ზუმის პლატფორმის მეშვეობით ჩატარებული ლექცია თემებზე: ზოგადად განათლების მნიშვნელობა, მიკრობიოლოგიის სფერო (მეცნიერი - სოფიო რიგვავა), ასევე ჩაწერილია ინტერვიუ. ლინკი: https://youtu.be/9wFzJ0ivoHU 2). ასევე აღნიშნული ინსტიტუტის მიერ „ევროპელ მკვლევართა ღამისათვის" მომზადდა ქვემოთ წარმოდგენილი ვიდეო-სიუჟეტები: https://www.youtube.com/watch?v=a8UjkVxZuBU https://www.youtube.com/watch?v=CmZPOnd8mRQ https://www.youtube.com/watch?v=S6HOWCWmLx4

შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%
აქტივობა 1.2.გამორჩეული მეცნიერების პოპულარიზაცია
მოსალოდნელი შედეგი: 1.2.1. მეცნიერებისთვის გაცემულია ყოველწლიური სტიპენდიები და პრემიები
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება: 1.2.1. მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის გაცემულია 5 ეროვნული პრემია მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებაში და 2 საერთაშორისო პრემია ახალგაზრდა მეცნიერებისათვის STCU -სთან ერთობლივი კონკურსის ფარგლებში
შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%
აქტივობა 1.3. მიზნობრივი პროგრამების და პროექტების განხორციელება საშუალო სკოლებში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) პოპულარიზაციისა და კომუნიკაციის მიზნით.
მოსალოდნელი შედეგი: 1.3.1. ტელე-რადიო მაუწყებლობით გაშუქებულია მეცნიერების მიმართულებით საუკეთესო შედეგები; 1.3.2. გამოქვეყნებულია რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული წარმატებული პროექტები.
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება: 1.3.1. მეცნიერების, რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ ადმინისტრირებული კონკურსებისა და პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით ფონდის ვებგვერდზე შეიქმნა ინტერნეტ-არხი „მეცნიერების სამყარო“, რომელზეც განთავსდა ფონდის საგრანტო კონკურსების ფარგლებში შექმნილი სამეცნიერო - პოპულარული ფილმები, დოკუმენტური ფილმები, ვიდეობლოგები, სამეცნიერო თემატიკის ტელეგადაცემები. 1.3.2. ა) რუსთაველის ფონდის ვებგვერდზე ამოქმედდა ონლაინ ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს ფონდის კონკურსების ფარგლებში გამოცემულ სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების სტატიებს, წიგნებს და საკონფერენციო თეზისებს. ბ) ფონდის ოფიციალურ Facebook გვერდზე რუბრიკის „წარმატებული ახალგაზრდა მეცნიერი“-ს ფარგლებში ქვეყნდებოდა ინფორმაცია ფონდის კონკურსების გამარჯვებული ახალგაზრდა მეცნიერების, მათი საქმიანობის და წარმატების ისტორიის შესახებ.
შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%
აქტივობა 1.4 მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის გამოცხადება - მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობა ფართო საზოგადოებაში, საქართველოს

მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემაში მიმდინარე რეფორმების გაშუქება, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში და საქართველოში საუკეთესო, გამორჩეული სამეცნიერო კვლევითი პროგრამებისა და პროექტების, აგრეთვე საერთაშორისო თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.
მოსალოდნელი შედეგი: 1.4.1. მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა მინიმუმ 10 პროექტი.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება: მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 12 პროექტი (9 ინსტიტუციური და 3 ჯგუფური პროექტი). სსიპ - გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის ინფორმაციით მომზადდა „მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამა (პროგრამული კოდი 32 05 05) 2021წ. ქართველ მეცნიერთა შესახებ ვიდეო რგოლი: ლინკი: https://eliava-institute.org/4764-2/ ასევე პროგრამა - „ღია მეცნიერების“ განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში (პროგრამული კოდი 32 05 04 06) სამინისტროს სისტემაში შემავალ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ბოლო 20 წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტების, გამოცემული პუბლიკაციებისა და არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნა.
შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%
აქტივობა 1.5 გამორჩეული ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების (წიგნი/ მონოგრაფია / საგნობრივი ენციკლოპედია) გამოცემის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შედეგი: 1.5.1. საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში გამოსაცემად დაფინანსდა გამორჩეული ხარისხის სამეცნიერო ნაშრომები.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება: საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი ჩატარდა 2 ნაკადად და ჯამში გამოსაცემად დაფინანსდა 55 გამორჩეული ხარისხის სამეცნიერო ნაშრომები.
შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%
ამოცანა 2. კვლევითი კომპეტენციებისა და ინოვაციური აზროვნების განვითარების ხელშეწყობა, სამეცნიერო ეთიკის პოპულარიზაცია ფორმალური და არაფორმალური განათლების თითოეულ საფეხურზე.
აქტივობა 2.1. ახალგაზრდა გამომგონებელთა და მკვლევართა დაფინანსების ღია საგრანტო წესით დაფინასების სქემების ხელშეწყობა სკოლის მოსწავლეებისათვის („ლეონარდო და ვინჩის“

კონკურსი) და სკოლისა და უსდ-ების მასწავლებლების ერთობლივი კვლევითი პროექტებისთვის სკოლის მოსწავლეთა ჩართულობით.
მოსალოდნელი შედეგი: 2.1.1. „ლეონარდო და ვინჩი“ ფარგლებში დაფინანსდა პროექტები 2.1.2. დაფინანსდა სკოლის მოსწავლეებისა და უსდ-ების აკადემიური პერსონალის საგრანტო პროექტები.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება: 2.1.1. „ლეონარდო და ვინჩი“-ს ფარგლებში დაფინანსდა მოსწავლე გამომგონებელთა 4 გუნდი (11 მოსწავლე), რომლებმაც კონკურში მოიპოვეს გრანპრი და I-II-III ადგილები.
შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%
სტრატეგიული ამოცანა 3: საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სისტემის ინტერნაციონალიზაცია და დაფინანსების რესურსების დივერსიფიცირება
ამოცანა 1. საერთაშორისო, გრძელვადიანი თანამშრომლობის ინსტრუმენტებისა და პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სისტემაში.
აქტივობა 1.1. სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა
მოსალოდნელი შედეგი: 1.1.1. განხორციელდა ერთობლივი კვლევითი პროექტების, მობილობისა და სამეცნიერო ღონისძიებების ბილატერალური პროგრამების ადმინისტრირება.
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, კვლევითი უნივერსიტეტები
შესრულება: **საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ორგანიზებით განხორციელებული აქტივობები:** ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები და საერთაშორისო სეზონური სკოლები: • 2020 წლის 4 ივნისს გაიმართა ონლაინ კონფერენცია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და კელნის უნივერსიტეტის რესტავრაცია-კონსერვაციის ინსტიტუტის თანამშრომელთა მონაწილეობით. კონფერენცია ეხებოდა ერთობლივ პროექტებს. პროექტი, რომელიც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება, ითვალისწინებს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კალის ლექციონარის კოდიკოლოგიურ შესწავლასა და რესტავრაციას. • 2021 წლის 24-25 ივნისს გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე: საქართველო და საერთაშორისო გამოცდილება“. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული

კვლევითი ცენტრი; კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. პარტნიორები: ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

• 2021 წლის 25-31 მაისს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში განხორციელდა „საერთაშორისო სეზონური (საგაზაფხულო) სკოლა - „აფხაზეთი: შუა საუკუნეებიდან დღემდე (ისტორიულ-კულტუროლოგიური ასპექტები)". პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის" ფარგლებში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

• 2021 წლის 15 ივლისს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიხსნა ქართველოლოგიის VI საერთაშორისო საზაფხულო სკოლა - „ქართული ხელნაწერი", რომელიც განხორციელდა ლუვენის უნივერსიტეტთან (ბელგია) თანამშრომლობით შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. სკოლის მიზანია ქართველოლოგიური მეცნიერებების პოპულარიზაცია, ქართული ხელნაწერის მნიშვნელობის წინ წამოწევა, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა და სტუდენტთა თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარება;

გაფორმებული მემორანდუმები:

• 2020 წელს რუმინული აკადემიის სამხრეთ-დასავლეთ ევროპის კვლევების ინსტიტუტსა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ორგანიზაციები მიზნად ისახავენ ითანამშრომლონ კვლევითი და საგანმანათლებლო მიმართულებებით, რაც გულისხმობს: მეცნიერების მოკლევადიან მივლინებას ლექციების ჩატარების მიზნით, თანამშრომლობას სამეცნიერო პროექტების ფარგლებში, ერთობლივი ტრენინგების, ვორქშოფებისა და კონფერენციების განხორციელებას, ინსტიტუციებს შორის ისეთი პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციების გაცვლას, რომელიც შეესაბამება ჩვენი დაწესებულებების კვლევით-სამეცნიერო ინტერესებს.

• 2021 წელს სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ კვლევათა ინსტიტუტში (ქ. ერევანი) გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია „აღმოსავლეთ-მცოდნეობის თანამედროვე პრობლემები", რომელიც მიეძღვნა ინსტიტუტის დაარსებიდან 50 წლისთავს. საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში სომხეთის აღმოსავლურ კვლევათა ინსტიტუტსა და საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს მომავალ სამეცნიერო თანამშრომლობას, მათ შორის, ინფორმაციისა და პროფესიული გამოცდილების გაცვლა-გაზიარებას ისტორიულ-ფილოლოგიური და აღმოსავლეთმცოდნეობითი კვლევების სფეროში.

• 2021 წლის 5 ივლისს - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ათონის მემკვიდრეობის საერთაშორისო ინსტიტუტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობის გაღრმავებას, პროფესიული გამოცდილების გაზიარებას და ინფორმაციის ურთიერთგაცვლას ათონის მემკვიდრეობის შესწავლა-კვლევის სფეროში, აგრეთვე ერთობლივი შეხვედრების, კონფერენციების და სემინარების ჩატარებას, ექსპერტების და მეცნიერების გაცვლას, ათონზე მოღვაწე ქართველი და უკრაინელი ბერების შესახებ დოკუმენტური მასალის მოძიებას და სხვ.

გამოფენები, საგანმანათლებლო პროექტები:

• 2020 წლის აპრილში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ბარსელონას „წმიდა ნინოს“ სახელობის ტაძართან არსებული „წმიდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის“ თანამშრომლობით განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა საინტერესო კალიგრაფიული ნიმუშები შექმნეს. მათ მიერ შექმნილი ალბომი შესაძლებლობას გვაძლევს გავეცნოთ ესპანეთში მცხოვრები ბავშვების მიერ იზოლაციის რთულ დღეებში ქართულ ენაზე შესრულებულ ტექსტებს.

• 2020 წლის აპრილში ნიდერლანდების სამეფოში არსებული „ქართული კულტურის ცენტრისა“ და საქართველოში მოქმედი ფონდის - „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ - ინიციატივით, უცხოეთსა და საქართველოში მყოფი მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის შეიქმნა ონლაინ შემეცნებითი კურსები - „კალიგრაფიის ონლაინ გაკვეთილები“. კალიგრაფიის ონლაინ-გაკვეთილები მიზნად ისახავს ქართული ენისა და დამწერლობის პოპულარიზებას, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობაა. კალიგრაფიის პირველი ონლაინ გაკვეთილი 2 მაისს შედგა „ზუმის“ პლატფორმაზე.

• 2020 წლის 2-3 ოქტომბერს ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში აღინიშნა „ევროპის მემკვიდრეობის დღეები“. პროგრამაში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ჩაერთო კომპლექსური პროექტით - „საქართველოს ევროპული ისტორიის ფურცლები“.

- უცხოეთში გამოქვეყნებული ნაშრომები (თურქეთი, პოლონეთი, კანადა, ლიეტუვა, აშშ, რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი) – 16.
- უცხოეთში წაკითხული სამეცნიერო მოხსენებები (სომხეთი, დანია, რუსეთი, ლიეტუვა, გერმანია) – 17.

გარდა ამისა, მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის მიხედვით, განხორციელდა 3 ბილატერალური საგრანტო პროგრამა, რომლის ფარგლებში, ჯამში, დაფინანსდა 1 მაგისტრანტი 7 დოქტორანტი და 17 პოსტდოქტორი.

რაც შეეხება სსიპ - გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის ცნობით განხორციელდა გერმანიის მეცნიერების და განათლების სამინისტროს საპილოტე ღონისძიება ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მეცნიერებაში, კვლევაში და განათლებაში პარტნიორობისათვის:

- "Partnership for sustainable problem solving in emerging and developing countries - research for development" announcement 29.08.2019: 2020 წელს, გერმანული მხრიდან დაფინანსდა პროექტი „ფაგოთერაპიის შედეგად აღმოცენებული ბაქტერიული ფაგორეზისტენტობის განმსაზღვრელი ფაქტორების დახასიათება“ (მენეჯერი: ლიზი ზალდასტანიშვილი)

- ინსტიტუტის მეცნიერმა, ნათია ქარუმიძემ გაიმარჯვა კონკურსში 2021-22 Fulbright Faculty Development Program, რომლის დახმარებით იგი სტაჟირებას გაივლის აშშ Harvard University / Massachusetts Eye and Ear Infirmary Hospital -- Michael S. Gilmore (PhD, sir William Osler Professor).

შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%

აქტივობა 1.2. საერთაშორისო კვლევით ინსტიტუციებში/ცენტრებში მიმდინარე მეგაპროექტებში ქართველ მკვლევართა ჩართულობის ხელშეწყობა

მოსალოდნელი შედეგი: 1.2.1. უზრუნველყოფილია ყოველწლიური საწევრო შენატანი საერთაშორისო ორგანიზაციებში/კვლევით პროგრამებში (CERN, DUBNA) ქართველი მეცნიერების მონაწილეობისთვის.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, კვლევითი უნივერსიტეტები

შესრულება:
უზრუნველყოფილია ყოველწლიური საწევრო შენატანი საერთაშორისო ორგანიზაციებში/კვლევით პროგრამებში (CERN, DUBNA) ქართველი მეცნიერების მონაწილეობისთვის.

შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%

აქტივობა 1.3. ევროკომისიის კვლევებისა და ინოვაციების ჩარჩო-პროგრამებში (ჰორიზონტი 2020, ჰორიზონტი ევროპა) ასოცირების მხარდაჭერა

მოსალოდნელი შედეგი: 1.3.1. უზრუნველყოფილია ჰორიზონტის ჩარჩო პროგრამაში საქართველოს ასოცირების გადახდილი საწევრო გადასახადი.
1.3.2. პროექტების გაზრდილი რაოდენობა საქართველოს მონაწილეობით.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, კვლევითი უნივერსიტეტები

შესრულება:

აქტივობის მოსალოდნელი შედეგი: 1.3.1. უზრუნველყოფილია ჰორიზონტის ჩარჩო პროგრამაში საქართველოს ასოცირების გადახდილი საწევრო გადასახადი.

- 2016 წლის აპრილში მოეწერა ხელი საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებას ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამასთან **„ჰორიზონტი 2020“**
- 2021 წლის 7 დეკემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა და ინოვაციის, კვლევის, განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის ევროპელმა კომისიონერმა მარია გაბრიელმა მოაწერეს ხელი საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებას პროგრამასთან „ჰორიზონტი ევროპა“.

- 2021 წლის 22 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო დადგენილება **საქართველოსა და ევროკავშირს შორის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამაში „ჰორიზონტი ევროპა“ საქართველოს მონაწილეობის** შეთანხმების რატიფიცირების თაობაზე.
- 23.12.2020 ბრძანების საფუძველზე მოხდა „Horizon Europe” საქართველოს მონაწილეობის 2021 წლის საწევრო გადასახადის **1'759'677.23 ევროს** გადახდა.

1.3.2. პროექტების გაზრდილი რაოდენობა საქართველოს მონაწილეობით.

ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამასთან **,,ჰორიზონტი 2020“** საქართველოს მონაწილეობა:
საქართველოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 58 პროექტში, 65 ორგანიზაცია იყო ჩართული პროექტებში. ,,ჰორიზონტი 2020“-ის განმავლობაში ევროკავშირიდან მიღებული თანხა შეადგენს 8,710,000 ევროს, რაც დაახლოებით 40%-ით მეტია საქართველოს მიერ შეტანილ თანხაზე.

ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი ევროპაში“ საქართველოს მონაწილეობის სტატისტიკა ჯერ არ არის ხელმისაწვდომი.

შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%

აქტივობა 1.4. საქართველოს ჩართვა ევროპის მკვლევართა მობილობისა და კარიერული განვითარების პროგრამაში EURAXESS და EURAXESS-Georgia ქსელის შექმნა და მდგრადი განვითარება

მოსალოდნელი შედეგი: 1.4.1. საქართველოს გაერთიანებულია EURAXESS-ში;
1.4.2. შეიქმნა EURAXESS-Georgia-ს პორტალი;
1.4.3. ჩატარებულია EURAXESS-Georgia-ს საერთაშორისო კონფერენცია, ვოქრშოპები, ტრეინინგები და საინფორმაციო დღეები მკვლევართათვის;
1.4.4. მომზადებულია "მკვლევართა კარიერული განვითარების გზამკვლევი" და გამოქვეყნებულია EURAXESS-ის პორტალზე.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

შესრულება:
1.4.1. საქართველოს გაერთიანებულია EURAXESS-ში და ინტეგრირებულია ევროპული კვლევითი სივრცის ტალანტების მართვის პლატფორმაზე: https://euraxess.ec.europa.eu/choose-your-country
1.4.2. შეიქმნა EURAXESS-Georgia-ს პორტალი: https://www.euraxess.ge/ ;
1.4.3. ჩატარებულია EURAXESS-Georgia-ს საერთაშორისო კონფერენცია, ვოქრშოპები, ტრეინინგები და საინფორმაციო დღეები მკვლევართათვის;
1.4.4. მომზადებულია "მკვლევართა კარიერული განვითარების გზამკვლევი" და გამოქვეყნებულია EURAXESS-ის პორტალზე.

შესრულების სტატუსი: შესრულდა 100%
აქტივობა 1.5 სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ინსტიტუციური განვითარება და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება
მოსალოდნელი შედეგი: 1.5.1. ევროკომისიის Twinning-ის პროგრამის ფარგლებში, განხორციელებულია პროექტი: ,,ინტერ სექტორული თანამშრომლობის შესაძლებლობების მხარდაჭერა კვლევასა და ინდუსტრიას შორის".
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება: განხორციელებულია 16 ვოქშოპი და სამუშაო შეხვედრა
შესრულების სტატუსი: 80% მიმდინარე - მეტწილად შესრულდა
აქტივობა 1.6 კვლევისა და ინოვაციის მიმართულებით გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა
მოსალოდნელი შედეგი: 1.6.1. მიზნობრივი გენდერული პოლიტიკის შემუშავების გზით გენდერული თანასწორობის გეგმის (GEP - Gender Equality Plan) ჩამოყალიბება და გავრცელება; 1.6.2. განხორციელებულია პროექტი ,,Caliper" - მეცნიერებაში ქალი მკვლევრების როლის გაძლიერების ხელშეწყობა;
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
შესრულება: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ შემუშავდა და გავრცელდა გენდერული თანასწორობის გეგმა (GEP - Gender Equality Plan); ასევე მიმდინარეობს პროექტი ,,Caliper"-ის განხორციელება - მეცნიერებაში ქალი მკვლევრების როლის გაძლიერების ხელშეწყობა; ელიავას სახ. ინსტიტუტის მეცნიერებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტ „კალიპერის“ ფარგლებში, რიგით მეორე საერთაშორისო კონფერენცია „ქალები მეცნიერებაში“, 20 ნოემბერი 2021, ქ. თბილისი.
შესრულების სტატუსი: განხორციელდა

შეჯამება

ამდენად, 2017 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული 2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის მიზანია განსაზღვროს ძირითადი სახელმწიფო პრიორიტეტები და გრძელვადიანი მიზნები, განათლებისა და მეცნიერების სფეროს განვითარების მიმართულებით. რაც შეეხება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიის მონიტორინგს და შეფასებას, ის სტრატეგიის განხორციელების თანმდევი პროცესი და შედეგების გაზომვისა და ზეგავლენის განსაზღვრის მთავარი მექანიზმია. აღნიშნულ სტრატეგიასთან დაკავშირებით, შემუშავებულ იქნა სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩო და სპეციფიური მიზნებისა და სტრატეგიული ამოცანების ინდიკატორები.

2017 წელს პირველად განხორციელდა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, ხოლო 2022 წელს, უკვე მეორედ მომზადდა 2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის სტრატეგიული ამოცანებისა და 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში.

სტრატეგიის ამოცანებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის პროცესში მოხერხდა მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაციის გამოთხოვა და დამუშავება სტრატეგიული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების მიმდინარეობის ხარისხის და შესრულებისას გამოვლენილი შეფერხებების გათვალისწინებით. სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტები საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის კოორდინაციით სამომავლოდ გააგრძელებს მუშაობას წარმოჩენილი ხარვეზების პრევენციისათვის.

აღსანიშნავია ის პროგრესი, რაც სამინისტრომ განახორციელა სტრატეგიის მიზნების მიღწევის მიმართულებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემის ყველა მიმართულებით (ბავშვთა ადრეული/სკოლამდელი აღზრდა და განათლება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, მეცნიერება და კვლევები), განსაკუთრებით აღსანიშნავია წინსვლა შემდეგი მიმართულებით: განათლების პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრის მიმდინარე და მომავალ მოთხოვნებთან, სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა, ყველა დონეზე განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დასაქმებაზე მიბმული პროფესიული მომზადება, უმაღლესი განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კავშირი ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან. როგორც აღინიშნა, 2021 წლის ბოლოს, ხელი მოეწერა ევროკავშირის ჩარჩო პროგრამაში „ჰორიზონტი ევროპა“ საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებით საერთაშორისო შეთანხმებას, რომლის შედეგად საქართველო გახდა ასოცირებული ქვეყანა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამასთან "ჰორიზონტი ევროპა", რაც კიდევ უფრო ამარტივებს საქართველოს წარმომადგენლებისათვის პროგრამის კონკურსებში და სხვა აქტივობებში მონაწილეობას.

რაც შეეხება სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულებას, 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 178 აქტივობიდან უმრავლესობა, 132 აქტივობა, სრულად შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა 30, პროცესი მიმდინარეობს 7 აქტივობასთან დაკავშირებით, პროცესი შეჩერებულია 3 აქტივობასთან დაკავშირებით, ხოლო არ შესრულებულა 6 მათგანი. დეტალური ინფორმაცია თითოეული აქტივობის სტატუსთან დაკავშირებით წარმოდგენილია ზემოთ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულების ანგარიშში. შემუშავებული

ანგარიშის საფუძველზე, შესაბამის პასუხისმგებელ სამსახურებთან ერთად, კიდევ უფრო სიღრმისეულად განხორციელდა აქტივობების შესრულების მონიტორინგი მტკიცებულებებზე დაყრდნობით, და სამომავლოდ, მიღებული ანალიზის შედეგები გათვალისწინებულ იქნება შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებისა და ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის აღსრულებისას.